

კვირის პალიტრა

„სიმოცხლავისჯილი“ – ახალი  
რეალური ისტორია „გზაში“



N10 (352  
ი 60 თ.

„უეჭვარებულთან  
დასაუბრებლად  
განკანაჭული  
მივდივარ...“

თინა კანაკლაჩი  
მორიბე პორტილს  
წყაღქვეუ გეგმავს



ზაზას ორი ადამიანის  
გველღობას აბრალაბენ



გაყრილი სოლ-ქარის  
შესვადრა  
ორი წლის  
შედეგ

„ჩემმა უეჭვარებულმა  
შენზე იეჭვინანა...“

პროდიუსერები მომღერალს დაუპირისპირდნენ



გამულიჩა და ნატო დუმბაძე  
ლექს-სენის წინააღმდეგ



რაბომ დადის  
კახა ბენდუქიძე  
სამსახურში  
ფესვიშველი

საგაფრულო ფასდაკლება ქალებზე და რეკორდი „გზაში“

საბანკო განაშენიანება



მარმარილოს მასალები და აქსესუარები




**საბა**  **SABA**

კანდლაკის ქ.65 0160 თბილისი, საქართველო.

 (+995 32)39 44 54

[www.saba.ge](http://www.saba.ge) E-mail: [sabaco@caucasus.net](mailto:sabaco@caucasus.net)

# რა სარგებლობა მოაქვს ტყუილს



ისე ამ კვირაში მესიჯების რეკორდული რაოდენობა მივიღე – 2 ათასზე მეტი! ასეთი რამ მართლა არ მახსოვს „გზაფინილების“ არსებობის მანძილზე. მგზაფინელთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ტყუილს მოკლე ფიქლები აქვს და არანაირი სარგებლობა

არ მოაქვს, მაგრამ თუ ყველა მესიჯს ყურადღებით წაიკითხავთ, მიხვდებით, რომ ეს მთლად აქსიომატური ჭეშმარიტება როდია...

„ჩემი ამრით, ტყუილი ცუდია, მაგრამ ხანდახან შესაძლოა, სიკეთეს კი მოგვიტანოს“.

30

# შენვლილი ჩვილი და ტბიპილნარკვი კურიოზი



„რა თქმა უნდა, მელოგონეებმა ყველაფერი ისე შეასრულეს, როგორც ექთანმა უბრძანა, მაგრამ ჩემთან საუბრისას აღიარეს, რომ ვაუჩერის გარდა, ფულს ექიმის ითხოვს, ექთანს და სანიტარს...“

16


# ქართული ტრადიციების, უძველესი პროგრამების, რეალური უთუხ...



„საზოგადოებას უფრო მოეწონება ის, რის წართმევასაც ამ შოუებით უპირებდნენ. ამიტომ ჩვენს ხალხს რასაც შევთავაზებთ, მგონია, მისაღებიც იქნება მათთვის და საინტერესოს“.

22

# „ერთგანეთის ცხოვრებაში პერ გავაჩნით...“



„შეყრაც“ ნაჩქარევი და ნაადრევი იყო და გაყრაც. ერთმანეთს რაღაც სისულელეებზე აყვებით და დაეცილდით. ადრე თუ გვიან, ეს მაინც მოხდებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც აჩქარდით“.

23



№10 (352)  
8 - 14 მარტი, 2007 წ.  
შასი 60 თეთრი

## ■ მინიატურები

სარკვევებო სალალოზო ანუ „იჩის დედის და იჩის დედისას რაზომ უნდა მიუღწეოთ დედის დედა?“ 3

## ■ თვალსაზრისი

სად უნდა დაიკრძალოს საქართველოს პირველი პრეზიდენტი 4

## ■ დღესასწაული

100 ნითელი ვარდი და მუხლინისთვის ბაკურიანში საჩუქრად აყვანილი მანქანა 6

## ■ ღაიჯისტი

8

## ■ აოჩისია

ნართიული სისოხის უფლება და ლიკვირბაზული კრიმინალები 10

## ■ დედა-შვილი

ქახა ბენდუჩიძის „ნიბნირი“ ბავშვობა, მონესული ავი კაღლები და საბალოზო სავაქაქლა მხრით მიყვანილი ხელიკი 11

## ■ რეალური

სისოხსლაშისჯილი 13

## ■ რეპორტაჟი

2-ლარიანი მალარიჩი, მხვლილი ჩვილი და ტივილნარკვი კურიოზი საშოპიარო სახლიდან 16

## ■ კრიმინალი

მამბახაზალთაბან ორი ადრე შიშიაბტიულ სააუდემყოფოში მქარნალოზდა 18

## ■ სააბარკლო

მხირული ტაბა დეარსილიდან ნივილ-კივილსა და კილს ბამოჟყავს 20

## ■ აკარან ვილვა

„ივარია“ ქართულ ბელსიოჩისეში არსაზული ნიშის დაქაუვახს ბვირბაბა 22

## ■ ჟურნალისტის როლი

რატომ იმჟიანა თამუნა მუსარიძის შავარკაზულმა მის ყოფილ ქმარზე 23

## ■ ანტიდეკრანენი

24

## ■ მამამოროფოზი

რა იოჟა ანი მიუბეარმა ბახსილი აბიისა და პარკულსის შაშაში 26

## ■ აქაუნენი

როგორ ვებრკლოთ სიღარიბეს 28

# ბრიმინალური ნოველა ჰინეპის პოლემიდიან



„– სხვა მემკვიდრეებთან ჰქონდა სტივენსს კავშირი? – არა, ის ბავშვობაში აყვანილი იყო და ამიტომ, ოჯახის

სხვა წევრებთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. მისი არყოფნის გამო, მემკვიდრეობას ვერც სხვები იღებენ.

– დაოჯახებულა? – ჯერ არა.“

65

- **გზავნილები**
- რა სარგებლობა მოქავეს ტყვიულს 30
- **საკითხავი ქალაქისთვის**
- ✓ როგორ მოვუაროთ თვას სივ ანიდელი 34
- ✓ ზურგის კორექსია მკიპაძის მუშაობით 35
- **ემიგრანტები**
- ხრიკაბი, რომელია ანაბიკაბი მსხოვრები ქართული არაღაბაღაბი ფულს შოულობა 36
- **ჯანმრთელობა**
- ✓ ორგანიზმის ბენარალური დანუშთავება 38
- ✓ ვიტამინური ანბანი 39
- ✓ ანიმალთარაბი 39
- **ბავშვ-ბავშვი** 40
- **რომანი**
- ზაზა ვაჩიკაძე. ნოქაუბი (ბაბრქაღაბა) 42
- **პლუს-მინუსი**
- შოუ დამთავრდა თუ – პირიქით?... 46
- **ისტორიის იღვრალი ფარსლები**
- ვიმ მოქლა ილია 50
- **ასპარეზი**
- „ჩივაქას, შენგელიას და სულაქველიქას ინა ვუყურებდი, როგორც სიურ არსებებს“... 52
- **მღვდელთმსახურები**
- პოლიტიკარ ინტრიგებს შინიკული ქათოლიქოს-პაბრიარაქი 54
- **ვაკსლავები**
- ✓ ქიანა რივი: „ქანუე უბრალოდ ხეკვაა, რომელსაც ეკრანა ვასრულა“ 56
- ✓ „საქორნიო ალიაქოთი“ ანუ თინა კანდელაკი მერაქვ ქორნიგაბაღა მსხეზობს 57
- ✓ კამერონ დიანი და დრიუ ბერიქორი დარღს იქარავებან 58
- ✓ Playboy-ს ბონი მისი პარამხანის ქართმინ ლამაზანაქ ქორნიღაბა 59
- **ფაქორიგები**
- პენიქ ლარსონი: „საქთარაი სიამოვნებინთვის თამაში მსურს“ 60
- **თინიქარული პონგები**
- როღის უბზავნიღან თამუნა ამონაშვილს სინიღან ბარათებს ანუ პოქულარობის ზინიტი და კარზა მიმბარაბული დიდი პარღი 62
- **ქრიმინალური ნოქეღა**
- ელ ლინი. მამკვიღრის მქვლეღა 65
- **ბომონდური მოზიქა** 68
- **ავტო** 70
- **პოროსქოქი** 71
- **მისიქომანი** 72
- **ქონქარსი**
- რისი შეპონღა ირაკლი ფირსხალაქანსთან საზარის შემღაღ ნუსა ჯანელიქას 76
- **გამოფანა**
- სხვადანსხვა ქომოქონტორის სიქომონის მოტივებაღა შექმნილი უსნაური ნახებები 77
- **ბისტი** 78
- **სანქორღი** 79
- **ქალეიდოსქოქი** 80

**ბარაქანა: ირმა ლიპარტალიანის კოლაქი**

საქორგალომბრემ-პოლიტიქორი შურნალი „გზა“ ბამოდის კვირაში მრთხელ, სუთშაბათობით ბავში „კვირის პალიტრის“ ლამაბტმაა ფურნალი ხელმღღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე მთ. რედაქტორის მოაღვიღებები: ლალი ფაცია, ლიკა ქეჯავაძე მენეჯერი: მათე კბილაძე მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49 ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

## ტუნგის კორექსია აბიქის მუშაობით



როცა დილით და საღამოს კბილებს იხეხავთ, გურებსაც ნუ დაივიწყებთ – მასზე კბილის რბილი ჯაგრისით მასაქი გაიკეთეთ.

პომადასთან ერთად, თქვენს „კოსმეტიკაში“ ყოველთვის უნდა იყოს გურის ბალზამი.

35

## ხრიკაბი, რომელსაც აბიკაბი არაღაბაღაბი ფულს შოულობა



„მადამიაში შევედი და ორი სვიგერი ვიყიდე. გამყიდველს შევეშალა და ორის ნაცვლად, ერთის საფასური გადამხდებინა. რა თქმა უნდა, არ ვუთხარი, შეგეშალა-მეთქი და იქიდან გახარებული წამოვედი“.

36

## შოუ დამთავრდა თუ – პირიქით?..



„რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ფონია, სიახლეები ყველა სფეროში შეინიშნება. ჯერ-ჯერობით, კიდევ პოლიტიკური მოუღა. ჩვენი ბედი პოლიტიკასთან არის დაკავშირებული, რაც შოუბიზნესზეც აისახება“.

46



– მიდი, გამოიყვანე შენი „გრანგალეკა“ და დაეხებითო! – რემის პასუხს უცდიდა ბერდია.

– ცხოვრებაში არაფერი მომიპარავს და ახლა ვჭამო დედირემის?! – იუარა რემი.

– რა? ჩვენ თუ ეს

გამოგვივიდა!.. – არ დაეთანხმა ბერდია. – „სპრაველიფოსტი“ იზიმიებს, სხვა რა?!

– მოიცა, რა, გამომიხვედი შენც არსენა ოძელაშვილი! – ხელი აუქნია რემი.

– ჩვენ შენთვის, ძმაო, შენა ხარ გაჭვდილი, შენ კარგავ სახლ-კარს, ჩვენ კი არა... – ჩაბურტყუნა ბერდია.

– ორი სახარება... – მოჭახუნა ჭიქა ბერამ ბიჭებს.

42

# სარვამარცო სალადონი ანუ „იმის დელას და იმის დელასაჲ რაჲსომ უნდა მიჲყოლოჲთი დელის დლე?!”



არაფერში ძვეს იმდენი სიბრძნე, რამდენიც — ქართულ პოეზიაში. საბავშვო ლექსებშიც კი მომჭირნეობისა და ფულის ყაირათიანად ხარჯვის დიდაქტიკა ჩაქსოვილი. აბა, ნახეთ სარვამარტო-საგაზაფხულო ლექსი, რომელიც მათემატიკის მცოდნე ორყურაწიული კურდღლის ლექსის ასაკშივე ისწავლება:

„ია-ია დაგიკრიფე ლურჯთვალა და კოპნია,  
მ მარტი და გაზაფხული ერთად მომილოცია“.  
ანუ, არ მაქვს ახლა ორი საჩუქრის საშუალება და ამ ორ ღირსშესანიშნავ მოვლენას ერთად გილოცავო — იაფში რომ გამოვიდეს ბავშვი...

მაგრამ ვის ესმის დღეს ამდენი?! მერე კიდევ იტყვიან, ქართველმა კაცმა რაინდობა დაკარგაო... რაინდობა კი არა, ჭკუა რომ არ დაეკარგეთ და ქვებს არ ვისვრით, არ გიკვირთ?! დადგება პირველი მარტი და მუხლამდე თოვლიც რომ იდოს მინაზე, გაზაფხულის „მოსვლა“ მაინც უნდა მიულოცო

საყვარელი მამაკაცი უკარნახებს. ასე რომ, მახვილი თვალითა და გონებით თუ დააკვირდები ქალს, შეიძლება მიხვდეთ, ვინ არის მისი ქმარი: თუ ქალს მაკიაჟის ზედმეტად სქელი ფენა ადევს სახეზე ან ნამეტანი აჭრელებულია, ე.ი. მისი ქმარი ფასადების მღებავია და სამსახურიდან საღებავებს იპარავს; თუ ქალს არა მარტო ყურები, ცხვირი, ტუჩი, ენა, ქუთუთო და ჭიპიც გახვრეტილი აქვს, ე.ი. მისი ქმარი მონადირეა და სახლში ვარჯიშობს სოლმე; თუ ქალს პომადა ტუჩებიდან ლოყებზე აქვს გადასული, ახალი „ნაზასავებია“; თუ თვალი ჩალურჯებული და ტუჩი გახეთქილი აქვს, მისი ქმარი ნამდვილი ქართველი ვაჟკაცია და ოჯახში „ვერხი“ უჭირავს... თუმცა, მგონია, რომ ბოლო დროს, საქართველოში მესხანძრე მამაკაცები მომრავლდნენ: იმდენი ქალი დედის სოლარიუმში და ისეთები გამოდიან, რომ იმას თუ ჩააქრობ ჯერ, თორემ როგორ უნდა მოეფერო, არ ვიცი. ერთმა ასეთმა იმგზავრა ავტობუსით, ჩემ გვერდით დაჯდა. ისეთი მწვადის სუნი ასდიოდა, შეჭამდი. თან გავთბი კიდევ, ბოლოს სიგარეტი მივადე, მოვუკიდე და ჩამოვიდე...



და ასეთ ქალებს კიდევ ებრძვიან ჩვენს ვითომ დემოკრატიულ ქვეყანაში: ჯერ იყო და, გარევაჭრობა აკრძალეს. ხედავთ, რა უხეში შელახვაა ქალის უფლებებისა?! გარეთ თუ არ დადგა და ის ბოსტნეული არ გაყიდა, რა მიუტანოს საღამოს სახლში ნამონოლილ ქმარს და დევივით სამ ვაჟკაცს, არნახული მადა რომ აქვთ?! მერე, ესეც არ აკმარეს და სარეცხის გაფენა აკრძალეს, ფასადს ამახინჯებსო. არადა, მოპირდაპირე კორპუსში ვინმე სარეცხს რომ გამოფენდა, ჩვენს კორპუსში უკვე ზემობდნენ ქალები, მალე აქაც მოვაწყალიო; დაბოლოს, ყველაზე სასტიკი კანონი ქუჩაში რაიმეს დაგდებისას დაჯარიმების შესახებ. საცოდავ ქალს

ქალს და ერთი „კონა“ ია, ყოჩივარდა თუ ენძელა (ვერ ვარჩევ ერთმანეთისგან) მაინც უნდა აჩუქო. ესეც შენი 50 თეთრი; კარგი, ამას აიტან, მაგრამ ორ დღეში 3 მარტი — დედის დღე მოდის ანუ კიდევ ერთ 50 თეთრს გასძვრა ფსკერი; ამასობაში 8 მარტის 50 თეთრი ამოგაძრობს სულს და ფაქტობრივად, წელში ხარ კაცი განყვეტილი! თვეში რომ ქალს ლარ-ნახევარს დაახარჯავ, რაინდობის დაკარგვაა ეს?! არა, ფული კი არ გვიჭირს, მაგრამ პრინციპის საქმეა: ცოლს, სიდედრს, ცოლისძებს, საყვარელს, იმის ძებს, იმის დედას და იმის დედასაც ჩვენ რატომ უნდა მივულოცოთ დედის დღე, ყველა ჩვენი დედაა?! ამდენი დედა თუ გვყავდა, იქნებ რამე უკეთესი გამოვსულიყავით!..

თაიგულს რომ აჩუქებენ და სანაცვლოდ ცოლობას სთხოვენ, უარის ნიშნად, ის ყვავილებიც ვეღარ მიუყრია ფეხებში. მოვა მერიის სპეცსამსახური და 500 ლარს „აგახვეს“. სადაა 500 ლარი?! ამიტომ იძულებულია, დათანხმდეს და ცოლად გაჰყვეს.

არა უშავს, ცოტაც მოითმინეთ და მოგეცემათ შურისძიების საშუალება — ყველა მამაკაცი 40-დღიან ჯარში მიჰყავთ და ბურთიც თქვენი იქნება და მოედანიც. მრავალ მ მარტს დაესწარიო!..

*P.S. ორი მამაკაცის დიალოგი:*

— შენ სამსახურში რჩები ამაღამ?

— ჰო, ცოლს დაქალები ჰყავს სტუმრად, მ მარტს აღნიშნავენ და მითხრა, ხვალ მოდი და სახლი დაალაგეო.

— ჩემი კი, ისეთი ყოჩალია, მარტო რომ დატოვო სახლში და დაუბარო, ახლა ქალიც შენა ხარ და კაციცო, შეიძლება, ბავშვიც კი დაგახვედროს...

კროკოკატორი

# სად უნდა დაიკრძალოს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია

ბოლო რამდენიმე დღეა, საზოგადოებაში მიმდინარეობს გაცხარებული დისკუსია იმაზე, თუ სად უნდა დაიკრძალოს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომლის გროზოდან გამოსასვენებაც, ექსპრეზიდენტის დაბადების დღის, 31 მარტისთვისაა დაგეგმილი. კონსტანტინე გამსახურდიას მიაჩნია, რომ მამის სამუდამო განსასვენებელი მთაწმინდის პანთეონში უნდა იყოს. ამ აზრს არ იზიარებს მანანა პრჩვაძე-ბამსახურდია, რომელიც აცხადებს:

— უპირობოდ მოვიტხოვ, რომ ზვიად გამსახურდიას ნეშტი დაიკრძალოს



წმინდა სამების საკათედრო ტაძარში. არავის აქვს უფლება, თავი პირველი პრეზიდენტის მუულის, მანანა არჩვაძისა და მისი ვაჟების, ცოტენ და გიორგი გამსახურდიების წინ დააყენოს.

საზოგადოებაშიც აღნიშნული საკითხსადმი განსხვავებული დამოკიდებულებაა. საკუთარი შეხედულებების მკითხველისთვის გაზიარება რამდენიმე ცნობილ ადამიანს ვთხოვეთ.

**ოტია იოსელიანი, მწერალი:**

— ჩემი აზრით, ზვიად გამსახურდიას ნეშტი მთაწმინდის პანთეონში უნდა დაიკრძალოს, რადგან პოლიტიკური პირები სწორედ იქ არიან დასაფლავებული. ეკლესიაში დაკრძალვა სწორად არ მიმაჩნია. ეკლესიაში, გელათში დავით აღმაშენებლის საფლავი კი გვაქვს, მაგრამ ეს მისი ანდერძის თანახმად მოხდა. საქართველოს პირველი პრეზიდენტის სასუფეველი კი — გინდა, პან-

თეონი დაარქვით და გინდა, ძვალთშესალაგი — მთაწმინდაზე უნდა იყოს.

**დოდო ჭიჭინაძე, მსახიობი:**

— ვფიქრობ, რომ ზვიადის ნეშტი სამების ტაძარში უნდა დაკრძალონ, რადგან ის ძალზე ეკლესიური ადამიანი იყო. თუმცა, ისიც კი გაურკვეველია, თუ რა ვითარებაში გარდაიცვალა ჩვენი პირველი პრეზიდენტი: თუ მან მართლაც, თავი მოიკლა, მაშინ, რელიგიური თვალსაზრისით, მისი ტაძარში დაკრძალვა არ შეიძლება... მე მიმაჩნია, რომ მთაწმინდის პანთეონი მწერლებისთვის არის განკუთვნილი, მიუხედავად იმისა, რომ ისეთი დიდი მწერლები, როგორებიც ლევან გოთუა და კონსტანტინე გამსახურდია არიან, იქ არ განისვენებენ. ჩემი აზრით, პოლიტიკოსებს აბსოლუტურად სხვა განსასვენებელი უნდა ჰქონდეთ. თუ ჩვენი მთავრობა გადანყვეტს, რომ პირველი პრეზიდენტი მთაწმინდაზე უნდა დაიკრძალოს, ესეც არ იქნება ურიგო, რადგან იქ ზვიადის განუყრელი მეგობარი — მერაბ კოსტავა განისვენებს. მოკლედ, ეს ყველაფერი სახელმწიფოს გადანაწყვეტია. ზვიად გამსახურდია საქართველოს პირველი პრეზიდენტი და შესაბამისად, ის ყველაფერი საუკეთესოს ღირსია.

**ბია ბულაძე, მხატვარი:**

— ამ საკითხს საზოგადოება ვერ გადანყვეტს. ეს ეკლესიის, მისი ოჯახ-



ისა და სახელმწიფოს გადანაწყვეტია. თუმცა მე ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, საკუთარი მოსაზრება მაქვს. თუ ზვიად გამსახურდიას ნეშტს მთაწმინდაზე დაასაფლავებენ, ამით უნდა დაიხუროს ის განსასვენებელი და მისი ნეშტი უნდა იყოს ბოლო, რომელსაც იქ დაკრძალავენ. ისე კი მიმაჩნია, რომ



პრეზიდენტების განსასვენებელი სადმე ცალკე უნდა გამოიყოს (ღმერთმა კარგად ამყოფოს ცოცხალი პრეზიდენტები), მაგალითად — სამების ტაძარში და ეს ახალი პანთეონის შექმნის საფუძველი იქნება.

**ბეკა დავითაშვილი, საპატრიარქოს პრესამსახურის ხელმძღვანელი:**

— საპატრიარქოს მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ზვიად გამსახურდიას განსასვენებლის განსაზღვრა აუცილებლად შეთანხმებული უნდა იყოს სახელმწიფოს პირველ პირთან, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან. საპატრიარქოს აზრით, აუცილებელია გამოიყოს სპეციალური ადგილი, სადაც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები იქნებიან დაკრძალულნი.

# აფხაზების მიერ დაკავებული სტუდენტების გასათავისუფლებლად, ზუგდიდში უიმპილოზა დაიწყო

— სოხუმში დაკავებული, ორგანიზაცია „პატრიოტების“ სამი წევრი ამჟამად როგორ მდგომარეობაში იმყოფება? გაეროს წარმომადგენლებმა მოინახულეს თუ არა ისინი, რა შედეგი მოიტანა ამ შეხვედრამ და სხვა რა მოლაპარაკებები მიმდინარეობს მათ გასათავისუფლებლად?

**პაატა შაშუბია**, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელი სამეგრელო-ზემო სვანეთში:

— როგორც ცნობილია, ბავშვები ნაცემები არიან, თუმცა მათი მდგომარეობა ამ ეტაპზე ნორმალურია. გაეროც, ეუთოც და „ნათელი ჯვარიც“ მათი გათავისუფლების შესახებ აფხაზეტთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ. როგორც ცნობილია, მათ საზღვრის უკანანოდ გადაკვეთა ედებით ბრალად და სწორედ ამ ბრალდებით შედგა მათი სასამართლო პროცესი. ეს ბრალდება აბსოლუტურად აბსურდულია, რადგან ერთ-ერთი მათგანი — ლევან რიგვავა გალელია და როგორ გადაკვეთდა საზღვარს უკანონოდ?! ალბათ იცით, რომ ისინი სოფელ შამგონასთან აფხაზ სტუდენტებს შეხვდნენ და ისაუბრეს. უკან რომ ბრუნდებოდნენ, სწორედ მაშინ გადმოხტნენ შეიარაღებული აფხაზები ბუჩქებიდან, ყვირილითა და გინებით და ჰაერში სროლა დაიწყეს. სტუდენტები



სულ ოთხნი იყვნენ: კობა ლაჭავა, ლევან რიგვავა, ივერი ყორშია და კიდეც ერთი, რომელმაც იქიდან გამოქცევა მოახერხა; მის ვინაობას გარკვეული მიზეზების გამო, ვერ დავასახელებ. ეს ამბავი ასე დანვრლებით სწორედ მან მიაბო. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ სტუდენტების ბედი გაურკვეველია.

**თორნიკე კილანავა**, ორგანიზაცია „პატრიოტების“ გალის მიმართულების კოორდინატორი:

— როგორც ცნობილია, გაეროს წარმომადგენლები დაკავებულ სტუდენტებს შეხვდნენ, მაგრამ ამ შეხვედრის შედეგი სამწუხაროდ, ჩემთვის ჯერჯერობით ცნობილი არ არის. კონფლიქტის ზონაში არსებული ყველა ორგანიზაცია

მონაწილეობს აფხაზეტთან მოლაპარაკებებში, ახალგაზრდების გათავისუფლების მიზნით. სტუდენტების დედებმა მოითხოვეს, რომ სოხუმში ჩასულიყვნენ და საკუთარი შვილები მოენახულებინათ, მაგრამ სამწუხაროდ, ამისთვის მათ ციხის ადმინისტრაციის ნებართვა სჭირდებათ, რაც არ აქვთ და ამის გამო, მათი მშობლები ისევ ზუგდიდში იმყოფებიან. ალბათ ისიც იცით, რომ 7 მარტს ზუგდიდში სტუდენტებმა შიმშილობა დაიწყეს, დაკავებულების უპირობოდ გათავისუფლების მოთხოვნით. მიუხედავად ამ ყველაფრისა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არანაირი დადებითი შედეგი არ გვაქვს.

# მაჰარაშტრის ადვოკატი სახალხო დამცველის რწმუნებულს უნდობლობას უსხაღვბს


— როგორც გაირკვა, ციხის ბუნტის ორგანიზებაში ერთ-ერთი ბრალდებულის, პლატონ მამარდაშვილის ადვოკატი ლალი აფციაური თქვენს რწმუნებულს, გიგა გიორგაძეს უნდობლობას უცხადებს, რადგან მან განაცხადა, რომ მამარდაშვილის არ სჯერა. რას ფიქრობთ ამ საკითხზე და ხომ არ აპირებთ ამ საქმესთან მიმართებაში რწმუნებულის შეცვლას?

**სოზარ სუბარე**, სახალხო დამცველი:

— ვინ ჰკითხავს ლალი აფციაურს?! ჯერ ერთი, გიგა გიორგაძე რწმუნებული კი არა, დეპარტამენტის უფროსია და საერთოდ, ის ყველაფერია ამ ოფისში. მან საკ-



უთარი საქმე კარგად იცის. არაჩვეულებრივი იურისტი და ადვოკატი. ადამიანს პოლიტიკაში წასვლა რომ უნდა, მსგავს განცხადებებს, რა თქმა უნდა, გააკეთებს. ეს საქმე იმაზე არ არის აგებული, გიორგაძეს მამარდაშვილის სჯერა თუ არა, ამ ყველაფერს სასამართლო გადაწყვეტს. ისე კი, მამარდაშვილის სიტყვას როგორ შეიძლება ენდო?! როცა მე ვესაუბრე, აბსოლუტურად სხვა რაღაც მითხრა, რაც მოგვიანებით გადათქვა. ერთადერთი სიმართლე თქვა და მე ეს აღვნიშნე კიდეც: მან იკითხა — ხვებლიანი ჩაკეტული საკანში, ქურდებთან როგორ მოხვდაო?... — და მართალია, ეს საკითხი დიდ ეჭვს იწვევს. სხვა თვალსაზრისით, მამარდაშვილის ნდობა არ შეიძლება.



1910 წელს 8 მარტი ქალთა დღედ გამოაცხადეს და იმ დღიდან მოყოლებული, ამ თარიღს ძლიერი სექსის წარმომადგენლები ყოველთვის ღირსეულად სვდებოდნენ. სვდებოდნენ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ბოლო დროს, ამ თარიღის მიმართ საზოგადოების აზრი ორად გაიყო: მას კომუნისტური გადმონაშთი უწოდეს, ხოლო მას შემდეგ, რაც 3 მარტი დედის დღედ გამოაცხადეს, 8 მარტი თითქოს ცოტა გაუფერულდა, მაგრამ ამ თარიღს მაინც თავისებური სიბლი აქვს: ამას მოწმობს ჩვენ მიერ ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვა. კითხვით — მართებულად მიგაჩნიათ თუ არა დედის დღისა და ქალთა დღის ცალკე აღნიშვნა? — რამდენიმე აბონენტს მივმართეთ.

# 100 წითელი ვარდი და ძეგლისთვის ნაკლებად სწორად აყვანილი მსხვერპი

ახლანდელი ულუკაყენ ძეგლებს 8 მარტს ცნობილი მსხვერპნი

## თამუნა კვინიკაძე კაპ მიწაძე

**ნათა, 22 წლის:**

— კარგია, რომ დედის დღე არსებობს, მაგრამ მგონი, 8 მარტს საერთოდ აღარ აღნიშნავენ და რა დავაშავეთ იმ გოგონებმა, რომლებიც ჯერ დედები არ ვართ?

**თათა, 64 წლის:**

— 3 მარტი ვერ გავითავისებ, მიუხედავად იმისა, რომ დედაც ვარ და ბებიაც. ყოფილიყო 8 მარტი, ყველას ერთად გვეზი-მა და აღგვენიშნა, რას ერჩოდნენ?

**გიორგი, 41 წლის:**

— ეს, მგონი, ქალების ჩანაწერილი საქმეა.

**ასე რატომ ფიქრობთ?**

— იმიტომ, რომ საჩუქრებს ორჯერ იღებთ. კაცები ცოდვები არ ვართ? მაშინ, დაწესონ მამების და კაცების დღეც ცალ-ცალკე.

**ვივი, 57 წლის:**

— 8 მარტი არ უნდა გაუქმდეს. საქართველოში მამაკაცები ქალს ყოველთვის სათანადო პატივს ვცემდით და არც ახლა უნდა უარყოფთ ეს ტრადიცია.

**მამი, 28 წლის:**

— 3 მარტიც ვიდღესასწაულოთ და 8 მარტიც. ამით რა დავაშავებთ?

**მადონა, 30 წლის:**

— ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა, დედის დღეს სხვა თარიღს თუ შეურჩევდნენ; 3 მარტიდან 8 მარტამდე ძალიან მცირე დროა და მამაკაცები იჩაგრებიან.

**ლარი, 72 წლის:**

— მე თუ მკითხავენ... (მცირე პაუზის შემდეგ) გადავიფიქრე, არ გეტყვით, გეწყინებათ.

**ასეთი რა უნდა გეთქვას?**

— რა და, გული მტკივა, ქართველმა ქალმა კდემამოსილება როგორ დაკარგა. როგორი ჩაცმულები დადიან, როგორ იქცევიან ქუჩაში, ქართველებს აღარ ჰგვანან.

**ვიტალი, 32 წლის:**

— ორივე დღე ცალ-ცალკე უნდა აღნიშნოთ. საქართველოში ქალად რომ იბადები, ისედაც ბევრ რამეში ხარ შეზღუდული და ამით მაინც გავახალისოთ ჩვენი ქალბატონები.

**ნუსტიკო, 18 წლის:**

— დედაჩემის თაობას იმდენად უყვარს 8 მარტი, რომ მისთვის ამ დღის

„წართმევა“ უსამართლობა იქნებოდა. აი, ასეთი პასუხები მივიღე რესპონდენტებისგან. ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ ულოცავენ და რას უძღვნიან საჩუქრად თავიანთ მეუღლეებს ცნობილი მამაკაცები.

## „ეს მანქანა შენ მოგიყვანე საჩუქრადო, — და გასაღები მესროლა; ლამის სიხარულისგან გავგიჟდი“

**მაია ჯორჯაძე (გიო ხუციშვილის მეუღლე):**

— 12 წლის წინ, ამ დროს ბაკურიანში ვისვენებდი. იმდენად დიდი თოვლი მოვიდა, ტრანსპორტი საერთოდ არ მოძრაობდა. 8 მარტი რომ გათენდა, ერთ-ერთ დამსვენებელ ქალბატონს მეუღლემ იებით მიულოცა. გოგონები ვუბნებოდით, ბედნიერი ხარ, რა ყურადღებიანი მეუღლე გყავს-თქო და მისი, თეთრი შურით გვმურდა. ცოტა ხანში, ბაკურიანში გიოც ჩამოვიდა; ყველაზე საკვირველი ის იყო, იმ დიდ თოვლში მანქანით გზა როგორ გამოიკვლია. ეს მანქანა შენ მოგიყვანე საჩუქრადო, — რომ

მითხრა და გასაღები მესროლა, სიხარულისგან ლამის გავგიჟდი. არ მიმხელდა და თურმე, ჩუმიდ აგროვებდა ფულს ამ მანქანისთვის. ყველაზე დაუვინყარი 8 მარტი ჩემს ცხოვრებაში ეს იყო. გიო საერთოდ ძალიან ყურადღებიანი და ქალის დამფასებელი მამაკაცია. მანდილოსნის პატივისცემას შეილებსაც ასწავლის. 3 მარტი მან და ზუკამ ყვავილებით მომილოცეს. 8 მარტისთვის რას აპირებენ, ჯერჯერობით, არ ვიცი. გიოს მოულოდნელობები უყვარს.

## „გიგა 8 მარტს ყვავილებს და სუნამოს მწუქნის“

**მთევან კიკნაძე (გიგა ლორთქიფანიძის მეუღლე):**

— 8 მარტი ძალიან მიყვარს. იგი საერთაშორისო დღეა, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აღნიშნავენ და გული მწყდება, როდესაც მას კომუნისტურ გადმონაშთს უწოდებენ. გიგა შეძლებისდაგვარად, ყოველთვის მილოცავს ამ დღეს. ძირითადად, ყვავილებსა და სუნამოს მწუქნის. ერთხელ, ფეხსაცმელიც კი მიყიდა. როდესაც ჩემი შვილები პატარები იყვნენ, დილით გაღვიძებისთანავე სასთუმალთან მოსალოც ბარათებს და საჩუქრებს მასვედრებდნენ. უყურადღებოდ არც ახლა მტოვებენ, მაგრამ იმ ბავშვურ საჩუქრებს სხვა ეშხი ჰქონდა, სხვაგვარად განვიცდიდი და მიხაროდა.

## 100 წითელი ვარდი და დღე, რომელიც დღესასწაულად იქცა

**მთი ვადაჭაოკია (ზურა დოიჯაშვილის მეუღლე):**

— 8 მარტის წინა დღეებში, ზურა იმდენად წყნარად და ჩუმიდ არის, სულ მგონია, რომ დაავიწყდება და არ მომილოცავს, ამიტომ შინაგანად თითქოს ვნერვიულობ კიდევ, მაგრამ ასეთი შემთხვევა ერთხელაც არ ყოფილა. წინასწარ არასოდეს მიმხელს, თუ რის ყიდვას აპირებს. ყველაზე ხშირად სუნამოს მწუქნის. ასე მოიქცა დედის დღესაც. ზურა მიიჩნევს, რომ თუ გულით გასურს, საყ-



3 მარტი გიომ და მუკამ ყვავილებით მომილოცეს

ვარელ ადამიანს რაიმე აჩუქო, ეს დღესასწაულის გარეშე შეიძლება გააკეთო. არასოდეს დამავინყებდა ის დღე, როცა საჩუქრად 100 ცალი, ჩემი სიმალლის, წითელი ვარდი მომიტანა. მას შემდეგ 5 წელი გავიდა, მაგრამ იმ დღის გახსენება ახლაც მათობს და მახალისებს.


### ლევანი ორიგინალობით არ გამოირჩევა

**მანანა კოხაკოვა** (ლევან წულაძის მეუღლე):

— ლევანი 8 მარტს ტრადიციულად, ყვავილებით მილოცავს, მაგრამ ამ ბოლო დროს, იმდენად გადატვირთულია, რომ ზოგჯერ ავინყებდა კიდევ და ამიტომ ყოფილა შემთხვევა, როცა ეს თავად შემისხენებია. ამ მხრივ, იგი ორიგინალობით არ გამოირჩევა. ვერ ვიხსენებ იმ 8 მარტს, რომელიც დაუვიწყარ დღედ შემორჩა ჩემს მესსიერებას. მჯერა, რომ ეს მომავალში იქნება.



ქალს არ შეიძლება ყვავილი ჩვეულებრივ დღეს რომ მიართვა?



როგორც კომუნისტების დროინდელი კაცი, რა თქმა უნდა, 8 მარტს აღვნიშნავ

### ჰანრი ლოლაშვილი:

— სიმართლე გითხრათ, არც 3 მარტს და არც 8 მარტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. 3 მარტი საერთოდ არ ვიცი, რა არის (იციინის) ამბობენ, დედის დღეაო, მაგრამ განა ყოველდღე დედის დღე არ არის?! მე ჩემი თარიღები მაქვს: დედის გარდაცვალების დღესა და დედის დაბადების დღეს აღვნიშნავ ხოლმე. გარდა ამისა, არც ერთი სუფრა ისე არ ჩაივლის, რომ ჭიქა არ ავნიო და დედის სადღეგრძელო არ დავლიო. აბა, რად უნდა ამას დაკანონება? ქალს არ შეიძლება, ყვავილი ჩვეულებრივ დღეს რომ მიართვა? მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემს მეუღლეს, თათულის, 8 მარტს სუნამოს და თაიგულს მაინც ვჭუჭნი. მასსოვს, შარშან ამ დღეს გადაღებები მქონდა და რომ მოვრჩით, ქალთა დღე პავილიონში აღვნიშნეთ. შესაბამისად, სახლში გვიან დავბრუნდი, მაგრამ მეუღლეს ყვავილები მაინც მივართვი.

### გიგა ლორთქიფანიძე:

— ტრადიციისამებრ, უფრო 8 მარტს აღვნიშნავ. 3 მარტი დედის დღეა, მაგრამ ქალი და დედა ერთი არ არის? მათი ორ ნაწილად გაყოფა, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ვიცი, რომ ახალგაზრდების უმეტესობა 8 მარტს კომუნისტურ დღესასწაულს უწოდებს, მაგრამ ეს ასე არ არის. 8 მარტს სხვა ქვეყნებშიც აღვნიშნავენ. შარშან, ოჯახში მეუღლეს და ქალიშვილებს ყვავილებით მივულოცე ეს დღე. ვეცდები, მათ წელსაც ლამაზი თაიგული მივართვა.

### ჰეგაღა ღალანიაძე:

— ჩემი თაობის მამაკაცები 8 მარტს ვერ ვივინყებთ. ამ დღეს, წინათ, თეატრში აღვნიშნავდით ხოლმე, თითქმის ყოველ წელს ლამაზი საღამო ტარდებოდა. სამწუხაროდ, დღეს ამგვარი საღამო აღარ ეწყობა. ქალთა დღეს, ჯერ ჩემს მეუღლეს და ქალიშვილს ვულოცავ, მერე კი თეატრის ყველა მანდილოსანს. წელს ჩაფიქრებული მაქვს, 8 მარტს მეუღლეს ის სუნამო ვაჩუქო, რასაც თვითონ აირჩევს. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და ყველა ქალბატონს მოგილოცოთ ქალთა დღე და გისურვოთ სიყვარული, სიხარული და ბედნიერება!

### გივი ხაჩიკაშვილი:

— როგორც კომუნისტების დროინდელი კაცი, რა თქმა უნდა, 8 მარტს აღვნიშნავ. აბა, 3 მარტი რა არის? (იციინის) ადრე უფრო ლამაზად აღვნიშნავდით ხოლმე ქალთა დღეს. არც ერთი 8 მარტი არ არსებობდა ლონისძიების გარეშე. ამ

დღეს ძალიან მიყვარს მანდილოსნისთვის გაზაფხულის პირველი ყვავილის, იის მირთმევა და ალბათ, წელსაც ოჯახში მანდილოსნებს იებით მივულოცავ.



ალბათ, წელსაც იებს მივართმევ




ლევანი 8 მარტს ყვავილებით მილოცავს

ახლა კი, თავად მამაკაცებს დაფუგდოთ ყური: 3 მარტი ურჩევნიათ თუ 8 მარტი და როგორ აღვნიშნავენ ამ დღეს.

### მერაბ კოკოჩაშვილი:

— რატომღაც, 8 მარტს უფრო აღვნიშნავ. ალბათ იმიტომ, რომ ამ დღეს ვარ შეჩვეული. შარშან, ქალთა დღეს ჩემს მეუღლეს იები მივართვი. წელს კი, იებთან ერთად, ალბათ, სუნამოსაც ვუყიდი.




ქალთა დღეს ჩემს მეუღლეს იები მივართვი

### ნიკო ლეკიშვილი:

— 3 მარტსაც აღვნიშნავ და 8 მარტსაც. ძალიან მიყვარს მანდილოსნებისთვის ყვავილების მირთმევა. მასსოვს, შარშან ჩემს მეუღლეს დედის დღესაც და ქალთა დღესაც იების ლამაზი თაიგული ვაჩუქე. ალბათ, წელსაც იებს მივართმევ.

### ლევან ზარქაძეშვილი:

— არც 3 მარტის და არც 8 მარტის აღვნიშნავ არ მიყვარს. თუ ქალისთვის რაიმეს ჩუქება გინდა, რად უნდა ამას განსაკუთრებული დღე? წელს 8 მარტს ოჯახში მაინც ვერც ერთს, ვერაფერს ვაჩუქებ, რადგანაც იმ დროისთვის საქართველოში არ ვიქნები.



არც 3 მარტის და არც 8 მარტის აღვნიშნავ არ მიყვარს

## იური ლუჟკოვა ქართველებს სიყვარული აუხსნა



მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა საზოგადოებას სასაჩუქრე გამოცემა — ესე სახელწოდებით „О ЛЮБВИ“ წარუდგინა. წიგნში რუსებისა და ქართველების მრავალსაუკუნოვან ურთიერთსიყვარულზე ანუ იმ გრძნობაზეა ლაპარაკი, რომელიც ქართულ-რუსული ურთიერთობებიდან ძალადობრივად იდევნება. როგორც რუსე-

თის მასმედია იუწყება, აღნიშნული ესე როგორც რუსულ, ისე ქართულ პერიოდულ გამოცემებში ადრე დაიბეჭდა. „ეს თხზულება იმის ნათელი მაგალითია, რომ ზოგჯერ, ერთ მომცრო პუბლიკაციას, თუ ის სიყვარულითაა სავსე, მრავალი ტომის გადაწონაც კი შეუძლია. იმიტომ, რომ სიმართლე სიყვარულის მხარეზეა და სიყვარული ბოროტებას ამარცხებს“, — წერდა ესე შესავალში თბილისური **Всеобщая газета**-ს მთავარი რედაქტორი, ვალერი კვარაცხელია.

ამჟამად ესე ცალკე წიგნად, პარალელური ქართული და რუსული ტექსტებით გამოვიდა, მის გამომცემლად კი, მოსკოვის ქართული დიასპორის ცნობილი წარმომადგენელი, მიხეილ ხუბუტია მოგვევლინა.

წიგნის პრეზენტაციას იური ლუჟკოვი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ცნობილი რუსი და ქართველი კულტურის მოღვაწეები ესწრებოდნენ. ■

## სოსო ჰავლიაშვილი მოგვალ „ლას-ვეგასს“... უიზნავს

როგორც სააგენტო HA REGNUM იუწყება, რუსული შოუბიზნესის ორმა წარმომადგენელმა — გარიკ სუკაჩოვმა და სოსო ჰავლიაშვილმა თითქმის ერთდროულად შეიძინეს უძრავი ქონება კალინინგრადის ოლქში. ერთ-ერთი ადგილობრივი სარიელტორი კომპანიის წარმომადგენლის თქმით, მუსიკოსმა გარიკ სუკაჩოვმა ბალტიის ზღვის სანაპიროზე მდებარე კურორტ სვეტლოგორსკში 110 კვმ ფართის მქონე ბინა შეიძინა. მომღერალი სოსო ჰავლიაშვილი კი კალინინგრადში 160 კვმ ფართის ელიტური ბინის მფლობელი გახდა.

კომპანიის წარმომადგენელი კალინინგრადური უძრავი ქონებით დაინტერესებას რეგიონში ოთხი რუსული სათამაშო ზონიდან ერთ-ერთის შექმნით ხსნის. მისი თქმით, მომავალი ბალტიისპირული „ლას-ვეგასის“ შექმნასთან დაკავშირებით, ოლქში უძრავი ქონების ფასი უსწრაფესად იზრდება. ■

## ქოლუმბიის კოლონიების გარემოცვა ნარკოვაჭრობაში ჩაეფლო

კოლუმბიის საგარეო საქმეთა მინისტრის, მარია კონსუელო არაუხოს ძმა, სენატორი ალვარო არაუხო, ყველაზე ცნობილი ჩინოვნიკი გახლავთ, რომელიც კოკაინის მწარმოებელ და კონტრაბანდის მაკონტროლებელ გასამხედროებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან თანამშრომლობისთვისაა დაპატიმრებული. გარდა ამისა, კოლუმბიელმა მოსამართლეებმა ქვეყნის პრეზიდენტ ალვარო ურიბესთან დაახლოებული კიდევ 5 კანონმდებლის დაპატიმრების ორდერებიც გასცეს. ადრე გასამართლებული კიდევ 5 დეპუტატი კი, უკვე სასჯელს იხდის.

სენატორ ალვარო არაუხოს დაპატიმრებას კოლუმბიის სამართალდამცავი ორგანოები „ძალზე მნიშვნელოვნად“ მიიჩნევენ, რადგან მათი თქმით, ეს „ცხადად გვიჩვენებს, თუ რა ღრმად შეაღწიეს დანაშაულებმა ქვეყნის პრეზიდენტის გარემოცვაში“. მიუხედავად იმისა, რომ სკანდალი დღითი დღე ღრმავდება, თავად ქვეყნის პრეზიდენტის — ალვარო ურიბეს რეიტინგი ოდნავადაც კი არ დაცემულა და ის კვლავაც 70%-ის დონეზე რჩება. რიგითი კოლუმბიელების აზრით, აღნიშნული დაპატიმრებები მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყნის სამართალდამცავი სისტემა ამოქმედდა და გამოწვევის თვით უმაღლესი ჩინოსნებისთვისაც კი აღარ უშვებს. ■

BBC News დიდი ბრიტანეთი

## „როგორც ჯოჯორიანი პირალად მცემლა ღა მანამებლა...“ აცხადებს ყოფილი უპარტიზანული ტყვე

„მას შემდეგ, რაც რობერტ კოჩარიანმა მცემა, გონი დავკარგე და ამის გამო, დღემდე ცუდად ვხედავ. მთელმა მსოფლიომ უნდა იცოდეს, ვინ იყო ხოჯალის ტრაგედიის მოთავე, რომელიც თავს დემოკრატად წარმოგვიდგენს“, — ამბობს ხოჯალის მცხოვრები გიულალი ბინალიევი, რომელიც ირწმუნება, რომ 1992 წელს, სომხების მიერ ქალაქ ხოჯალის ოკუპაციის დროს, ის, ოჯახთან ერთად მძევლად აიყვანეს და უშუალოდ სომხეთის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა, რობერტ კოჩარიანმა აწამა.

სააგენტო HA REGNUM-ის ცნობით, ბინალიევიმ დღემდე არ იცის, თუ რა ბედი ეწია მასთან ერთად მძევლად აყვანილ მის ორ ვაჟს — ალიმირსა და ჯაბარას. „1992 წლის 25 თებერვალს, შუალაშუზე, სომხებმა დაგვპატიმრეს, ჩვენი სახლი გაქურდეს და ქალებს ძვირფასეულობა წაართვეს. დაახლოებით 84 ადამიანი სტეფანაკერტამდე თოვლში ფეხით გვარბენინეს. ქალაქს რომ მივუახლოვდით, წელზემოთ გახდა გვიბრძანეს. შემდეგ ავტოფარესში ჩაგვკეტეს, სადაც 4 დღე უსმელ-უჭმელებმა გავატარეთ. ამის შემდეგ, ჩვენი დაკითხვა დაიწყო... მოგვიანებით, ტელევიზორის ყურებისას, მე ამოვიცანი ადამიანი, რომელიც პირადად მკითხავდა. ეს არის სომხეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი, რობერტ კოჩარიანი, რომელიც ხოჯალის გენოციდს ხელმძღვანელობდა. მან მკითხა, სად არის მიხაილოვ? მე ვუპასუხე, რომ ასეთ ადამიანს არ ვიცნობ, მე მხოლოდ იმ მიხაილოს ამბავი ვიცი, ვინც 1941-44 წლებში გერმანული ფაშისტების წინააღმდეგ იბრძო-

და-მეთქი. ამაზე მან ჩაიცინა და მითხრა — შენს კოლეგაზე, ტოგიფზე გეკითხები, რომელთან ერთადაც სკოლაში მუშაობდიო. მე ვუპასუხე, რომ ხოჯალიში ახლახან გადმოვსახლდი და ამ ადამიანს არ ვიცნობ-მეთქი. სინამდვილეში, მე მას ვიცნობდი, ის ქალაქის დამცველებს შორის იყო და მისაილოს ეძახდნენ. დაკითხვის შემდეგ, კოჩარიანმა მის ირგვლივ მდგარ ადამიანებს სომხურად რაღაც გადაულაპარაკა, მერე მათ სასტიკად მცემეს და გონიც დავკარგე“.

ბინალიევი აცხადებს, რომ ამ ფაქტს საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურამდე მიიტანს. მისი თქმით, „კოჩარიანმა ჩაიდინა დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ და ამისთვის ის მსოფლიო საზოგადოებამ უნდა გაასამართლოს“. ■





იდენტი ბილ კლინტონი ევროპისთვის შიდა-კონტინენტურ კონფლიქტებში დახმარების განწევნა ლაპარაკობდა. მას იმის იმედიც ჰქონდა, რომ ამ გზით ევროპელები საკუთარ გეოპოლიტიკურ პერსპექტივებს გაიფართოებდნენ და ევროპის საზღვრებს გარეთ არსებული არაერთი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაშიც ამერიკის პარტნიორები გახდებოდნენ. ნუთუ, კიდევ ვინმეს ეპარება ეჭვი, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, პირველ რიგში, სწორედ ამის საჭიროება გაჩნდა? ეს რომ არა, განა დღეს ავღანეთში ნატოს ჯარები იდგებიან? განა იქნებოდა ლაპარაკი კიდევ უფრო გლობალურ მისიებზე, 1990-იანი წლების ცივი ომის შემდეგ, ევროპას უსაფრთხოების სტაბილური სისტემის შექმნაში რომ არ დაეხმარებოდით? დღევანდელი ევროპა რომ სტაბილური არ იყოს, ავღანეთისა და ახლო აღმოსავლეთის მისიებში მონაწილეობაზე ჩვენი მოკავშირეების დათანხმება ხომ ბევრად უფრო გაგვიჭირდებოდა?

იმის მტკიცება, რომ ნატოს გაფართოება პუტინის პრეზიდენტად არჩევა გამოინვივია, ისტორიის ხელახლა გადანიშნის ტოლფასია. პუტინის კარიერისთვის მადლობა

პირველ რიგში, ბორის ელცინის ეკუთვნის. მან პუტინი საკუთარ მეგობარად მხოლოდ საკუთარივე ინტერესების დასაცავად შეარჩია. ამდენად, მიზეზებს, რომლებითაც ის ხელმძღვანელობდა, ნატოს გაფართოებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. ყველაფერი რუსეთის შიგნით მიმდინარე პროცესებთანაა დაკავშირებული, რომელთა გავონტროლებაც დასავლეთს პრაქტიკულად, არ შეუძლია.

იმაზე ლაპარაკი, რომ ნატოს გაფართოებით დასავლეთი არაფერს მიიღებს, უბრალოდ, თავის მოტყუებაა. მიუხედავად იმისა, რომ ნატოს ახალი წევრები ჯერაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე ბევრად ღარიბი არიან, ერთ სულ მოსახლეზე განაგარიშებით, ალიანსში მათი წილი უკვე დასავლეთევროპელი მოკავშირეების უმეტესობის საერთო წილსაც კი აღემატება. ამჟამად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დემოკრატიული და სტაბილური სახელმწიფოები არიან. ასეთ პროგრესს კი მათ საბჭოთა ორბიტის დატოვებისა და ევროპის ნაწილად ქცევის წყალობით მიაღწიეს. ნატოში შესვლასა და ევროპულ ოჯახში დაბრუნების ოცნებამ ადამიანები იმ სერი-

ოზული რეფორმების მხარდასაჭერად გააერთიანა, რომლებიც წარმატებით მხოლოდ იმიტომ განხორციელდა, რომ ეს ნატოში შესვლის საფასურს წარმოადგენდა და ამჟამად, ამ ქვეყნებს ის თავდაჯერება და აუცილებელი რესურსებიც აქვთ, რომლითაც რუსეთის მხარდ ნაციონალიზმს უპირისპირდებიან.

არსებითად, ნატოს გაფართოების წყალობით, ჩვენ ჩვეთის ფლოტზე ბევრად უფრო მეტი — გაერთიანებული და თავისუფალი ევროპა მივიღეთ. ჩვენ მივიღეთ ალიანსი, რომელსაც მომავლის საფრთხისგან ჩვენი ბევრად უკეთ დაცვა სწორედ იმიტომ შეუძლია, რომ ჩვენ ჩვენივე წარსულის ამდენი აწრდილის დამარხვა მოვახერხეთ. და ეს საკმაოდ წარმატებული გარეგნობა გახლავთ...

Washington post, აშშ

P.S. სტატიის ავტორებს — კრეგ გრეისსა და რონალდ ასმუხს, ბილ კლინტონის ადმინისტრაციის დროს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში წამყვანი თანამდებობები ეკავათ.

**რუბრიკა მონაგვალა რუსულან ლაბანიძე**

პოზიხია

wartmeuli sicocxlis ufleba da likvidirebuli kriminali

სახელისუფლებო ბლოკის წინააღმდეგ ბრძოლაში, ოპოზიციურ ძალებთან ერთად, ბოლო დროს, „თანასწორობის ინსტიტუტის“ შესამჩნევად გააქტიურდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს არასამთავრობო ორგანიზაცია ჯერჯერობით ძალზე ახალგაზრდაა, არაერთი ხმაურანი ღონისძიებით, საპროტესტო აქციით, სეროზული ბრალდებებით გამოიჩინა თავი და საზოგადოების ყურადღების ცენტრშიც აღმოჩნდა. ვინ არიან მასში გაერთიანებული ახალგაზრდები, საიდან ფინანსდებიან და რა იდეები ამოძრავებთ მათ? — ამ კითხვებზე პასუხებს, „თანასწორობის ინსტიტუტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი, ლაშა ჩხარტიშვილი გავცემს.

თავად ლაშა 26 წლისაა. პროფესიით ბიოლოგია და ამჟამად ეკოლოგიის განხრით საქმიანობს. დაამთავრა აგრეთვე, ვეტერინარული ფაკულტეტი. ზოოლოგიის კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობს.

ხათუნა ბახტურიძე

— ლაშა, ეკოლოგი და ზოოლოგი, რამ მოგაყვანათ პოლიტიკაში?

— რასაც ვაკეთებ, ამას ზოგადად, სამოქალაქო აქტივობას უწოდებენ, თუმცა ფართო გაგებით, პოლიტიკური (ოღონდ — არა პარტიული) საქმიანობაც შეიძლება ეწოდოს. დასაწყისში ჩემი სამოქალაქო აქტივობა მხოლოდ გარემოსდაცვითი სფეროში შემოიფარგლებოდა, შემდგომ ჩემი საქმიანობა გასცდა ამ დარგის ფარგლებს და შევარდნაძის მმართველობის მანკიერ გამოვლინებებთან ბრძოლაში გადაიზარდა. 2005 წლის სექტემბრიდან, ტელეკომპანია „202“-ზე „დებატები“ მიმყავდა. ჟურნალისტობაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ მოულოდნელად, ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ტელეკომპანიას დასუფრვის საფრთხე დაემუქრა და ჩემი დახმარება დასჭირდა. რაც შემძლო, გავაკეთე. 4 თვე გადაცემა პირდაპირ ეთერში უსასყიდლოდ მიმყავდა. დღესდღეობით ჩვენ, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური ნაწილი, ისევ გვიწევს პოლიტიკურ სა-

კითხვებთან შეხება, რადგან ნებისმიერ სფეროში არსებული პრობლემები მნიშვნელოვანწილად, ხელისუფლების მიერ გატარებული არასწორი პოლიტიკის შედეგია. გარემოსდაცვით სფეროში მუშაობისთვის ბოლო პერიოდში ნაკლები დრო მრჩება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე უფლებდაცვითი საქმიანობა. საქართველოში ამ მხრივაც უმძიმესი სიტუაციაა. გარემოს დაცვა პირდაპირ უკავშირდება ადამიანის უფლებებს, მათ შორის უმთავრესს — სიცოცხლის უფლებას. სამოქალაქო აქტივობა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაიწყო, როდესაც გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია „ლობო“ ჩამოვყავალიბე.

— თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რომელ სფეროში ირღვევა ადამიანის უფლებები?

— სამწუხაროდ, საქართველოში ადამიანის უფლებები პრაქტიკულად, ყველა სფეროში ირღვევა. ადამიანის უპირველესი უფლება — სიცოცხლის უფლება, რომელიც ჩვენთან პრაქტიკულად, დაუცველია.



— რას გულისხმობთ?

— შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და სხვა გაულენიანი პირები სწორ შემთხვევაში, არად დაგიდევენ ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას. მიხეილ სააკაშვილმა და ვანო მერაბიშვილმა თავიანთ გამოსვლებში პოლიციელებს პირდაპირ მოუწოდეს, ხელის აუკანკალებლად სროლისაკენ. ასეთი ნამახალისებელი გამონათქვამების შემდეგ, არც არის გასაკვირი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მომუშავე ძალიან ბევრმა ნაძირალამ დიდი მონდობით დაიწყო ამ მოწოდების შესრულება.

— მაგრამ ხომ დამეთანხმებით, რომ ქვეყანაში მართლაც მიიმე კრიზისი მდგომარეობაა...

— მართალია, მაგრამ სამართალდამცველების ქმედებები, უფრო მეტად, მიმართულია არა კრიმინალების დაკავებისკენ, არამედ მათი ლიკვიდაციისკენ. ეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საზოგადოებაში შიში დანერგონ. ხელისუფლებას და

# კახა ხანდუჩიძის „ნიბნიაი“ ბავშვობა, მონუსხული ავი კალაჯი და სახალატო სპექტაკლზე მხრით მიყვანილი ხელიჩი

ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქართველი — კახა ბენდუქიძე მსოფლიოს ვერც ერთ რესტორანში ვერ შეუკვთეს იმას, რაც ძალიან უყვარს. ამ გემოელი ულუფის მირთმევა, მას დედის სახლში შეუძლია. თბილისში არსებულმა ვერც ერთმა ელიტურმა მაღაზიამ ვერ შეძლო ბენდუქიძისთვის შესაფერისი წინდების შეთავაზება და ამიტომ, ის ზამთარში ფეხშიშველი დადის. კახა ბენდუქიძე თავისი არაორდინარულობით საკუთარ დედასაც აკვირვებს. ქალბატონი ჯუშულიძე რუსნაძე მიიჩნევს, რომ მისი შვილი ფსიქოლოგებისთვის საინტერესო „ობიექტი“ იქნებოდა. უმდიდრესი შვილის დედაც, 3 მარტის ვესტუმრე აღმოჩნდა, რომ დედა-შვილს, არც მსგავსი და არც უფრო მნიშვნელოვანი დღესასწაულები არ სიბლავს და ერთმანეთს საჩუქრებითაც არ ანებივრებენ.


## ნათია ქარუშიძე

— კახა ხასიათით მე მგავს. მეც არ მიყვარს და მნიშვნელობას არ ვანიჭებს რაღაც თარიღების აღნიშვნას. ის არც საჩუქრებს ანიჭებს დიდ მნიშვნელობას.

— რამდენად ყურადღებიანი შვილია?

— ამ მხრივ „ნულოსანია“. სიმართლე გითხრათ, ვერც გავიციხავ. რაც პოლიტიკაშია, ძალიან დაკავებულია. ცოტა ხნით შემოირბენს და ამასაც არ აცლიან. გამუდმებით ურეკავენ. ისიც მალე გარბის. არ ვიცი, ამდენს როგორ უძლებს. ყველა საკითხი, მისი მოსაგვარებელი ხდება. ის არ ჩანს, რადგან საერთოდ არ უყვარს თავის გამოჩენა. თუმცა, ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება, მისი განსასჯელი და გადასაწყვეტია. თავის გამოჩენა ბავშვობიდანვე არ უყვარდა. არც ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს. ძალიან ჭკვიანი და განათლებულია, მაგრამ დისერტაციის დაცვა არც მოისურვა. ძალიან განსხვავებული ადამიანია. ვფიქრობ, ფსიქოლოგებისთვის საინტერესო შესასწავლი იქნებოდა.

— თავის გამოჩენა არ უყვარს, იმიტომ, რომ თავმდაბალია თუ თავის საქმიანობაზე საუბარი არ სურს?



უზომოდ უყვარდა წიგნების კითხვა

— თავისი საქმიანობის აფიშირება არ უყვარს. მის ამბებს მძლოლებისგან უფრო ვიგებ ხოლმე — რას საქმიანობს და როგორ.

— დედასთან გულახდილი საუბარი არ უყვარს?

— არა.

— რჩევებს თუ გეკითხებათ? მის ოჯახზე რას იტყვი?

— მისი მეუღლე კარგი ქალია. ქვრივი გახლდათ და ორი შვილი ჰყავს. კარგი გარეგნობის, განათლებული ქალია. მე საერთოდ არ მახსიათებს სხვის საქმეში ჩარევა, მათ შორის — შვილის. რა თქმა უნდა, მინდოდა, ქართველი გოგო შეერთო ცოლად, მაგრამ ეს სურვილი ჩემთვის, გულში მქონდა. კახას ასეთ თემებზე ვერ დაეღაპარაკები, ისეთი ხასიათი. აქვს ან რატომ უნდა ვუთხრა, როდესაც შეიძლება უსიამოვნება მოხდეს. მოვა თუ არ მოვა, მომიკითხავს თუ არ მომიკითხავს — ამაზე საუბარი — უხერხული და ცუდი ტონია. მე ასე ვარ აღზრდილი, დედაჩემის მსგავსად, არ მიყვარს ადამიანებისთვის შენიშვნის მიცემა.

— ბატონ კახას მამისგან თუ მიუღია რამე შენიშვნა?

— არა. არ იმსახურებდა და იმიტომ. კარგად სწავლობდა, შრომობდა და შენიშვნა რის გამო უნდა მიეღო?!

— როგორი ბავშვი იყო?

— ძალიან ჭკვიანი. უზომოდ უყვარდა წიგნების კითხვა. იმდენს კითხულობდა, ხანდახან ვუსლიდი კიდეც. ექსპედიციაში ხშირად დავდიოდი. ერთხელ ზემო სვანეთში ვიყავი და კახაც წავიყვანე. რაღაც მომენტში, დამეკარგა. ყველანი ვეძებდით. სად არ ვიარე, მაგრამ ვერსად ვიპოვე; ბოლოს, ბიბლიოთეკაში მიაგნეს. რამდენჯერმე ვიყავი იმ მხარეს ნაწყობი და ბიბლიოთეკა საერთოდ თუ იყო, არ ვიცოდი. კახას სვანეთი ძალიან მოეწონა. მეუბნებოდა — დედი, რა კარგია სვანეთი



ცოტა ხნით შემოირბენს და ამასაც არ აცლიან. გამუდმებით ურეკავენ

„გვერდითი მოვლენები“ რომ არ ჰქონდესო. მოგეხენებათ, სვანეთში, არც ახლა და არც მით უმეტეს მაშინ, არ იყო აბაზანა და კომფორტის სხვა ატრიბუტები. ეზოში, ვაბანავები და „გვერდით მოვლენას“ ამას ეძახდა...

— მეგობრებთან როგორი ურთიერთობები ჰქონდა?

— ჩემი უფროსი ქალიშვილის, ნუნუკას მეგობრები ჩვენთან ხშირად სტუმრობდნენ. კახას კი სახლში თითქმის არავინ მოჰყავდა. ერთხელ ვკითხე — რატომ არ მოგყავს მეგობრები სახლში-მეთქი? — რა საჭიროა, დედი, — მიპასუხა, უნივერსიტეტში ხომ მთელი დღე ერთად ვართო. ერთხელ მახსოვს, კახამ

სახლში მოსვლა დაიგვიანა. მე და მამამისი მის საძებნელად წავდიდით. ქუჩაში, ერთ-ერთი ფანჯრიდან კახას ხმა შემოგვესმა. მივუახლოვდით. კახა მასპინძლებს ლექციას უკითხავდა. დაულალავად შეეძლო ლაპარაკი. ძალიან საინტერესო ამბებს ჰყვებოდა. ამიტომ პროფესორას ეძახდნენ. ერთხელ, ექსპედიციაში ყოფნისას, ღამე იმდენი ილაპარაკა, ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი — დავიღალე, დამაძინე-მეთქი...

— არ ეწყინა?

— არა.

— თუ უტირია რამეზე?

— მისი ტირილი არ მახსოვს. გაბრაზება იცოდა. ერთხელ ექსპედიციაში ვიყავი, კახა თბილისში იყო. მხატვარი კორნელი სანაძე ასფალტზე ცარცით რაღაცას ხატავდა და თან კახას ესაუბრებოდა. კახას უკითხავს — დედაჩემი ხომ მალე ჩამოვაო? კორნელის კი გაუცინია — რად გინდა დედაშენი, ლამაზიცი კი არ არისო. კახა ძალიან გაბრაზებულა, ცარცით დახატულს ფეხით შლიდა და ჯიუტად იმეორებდა — დედაჩემი ძალიან ლამაზიაო...

— რამდენადაც ვიცი, პროფესია დამოუკიდებლად აირჩია. ბოლო-გია მისთვის საყვარელი საგანი იყო და დღესაც ძალიან უყვარს ცხოველები, არა?

— ცხოველები ძალიან უყვარს. რა არ გყავდა სახლში — ხვლიკი კი. ძალიან განიცდიდა, როდესაც მისი ცხოველები ავადმყოფობდნენ. ერთხელ, ჯორჯ ბალანჩინის კონცერტზე წაიყვანე. მთელი დარბაზი ჩვენკენ იყურებოდა. მივტრიალდი კახასკენ და რას ვხედავ? მას მხარზე მკვეთრი მწვანე ფერის ხვლიკი უზის!.. ახლობლებთან სტუმრად ვიყავით სოფელში. მათ ორი ავი ძალიან ჰყავდათ. ჩვენს მისვლამდე ვილაც მამაკაცი კინალამ დაუგლეჯიათ. მაგრამ კახა რომ შევიდა, ხმა არ ამოუღიათ, გატრუნულები უყურებდნენ. როგორც ჩანს, მის სიყვარულს ცხოველებიც გრძობენ.

**— რა არის კახა ბენდუქიძის სუსტი ნერტილი?**

— ჭამა-სმა. არ იფიქროთ, რომ განურჩევლად ყველაფრის ჭამა შეუძლია. ძალიან არჩევს საჭმელს. აინტერესებს, რა და როგორ მზადდება. მისთვის არასოდეს მისწავლება კერძების მომზადება, მაგრამ თავად ყველაფერი ეხერხება. ერთხელ, სახალწლოდ, მთელი სუფრა თვითონ გაამზადა.



მისი გირილი არ მახსოვს. გაბრაზება იცოდა

**— რა კერძი უყვარს ყველაზე მეტად?**

— ძალიან უყვარს იმ ტაფის მოსუფთავება, რომელზეც რაიმე იყო შემწვარ-მოხრაკული.

**— არაორდინარულობით ამ მხრვაც გამოირჩევა. თქვენ თუ იცით, ფეხშიშველი რატომ დადის?**

— კახა ფეხზე ვერ გუობს ხელოვნურ წინდებს. ის ხმარობს ნატურალური ქსოვილისგან დამზადებულ წინდებს, რომელიც თბილისში არ იყიდება. როცა საზღვარგარეთ მიდის, იქ ყიდულობს. უხარისხოს ჩაცმას კი, ფეხშიშველი ყოფნა ურჩევნია. ამ დღეებში, ჩემთან იყო მოსული, ახველებდა, გაცივებული იყო. ვხედავ ფეხშიშველა. ვუთხარი — კახა, ისედაც გაცივებული ხარ, ფეხშიშველი რატომ დადიხარ-მეთქი? კარგი, რა, დედი, ნუ მელაპარაკებო. მეც გაგწუმი და ხმას არ ვიღებ.

**დასაწყისი იხ. გვ. 10**

ძალოვნებს კონსტიტუცია, კანონები და საერთაშორისო სამართლის ნორმები პირდაპირ ავალდებულებს, დაიცვან ადამიანის სიცოცხლე, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის ის. თუ ხელისუფლებისთვის პრიორიტეტი მართლაც, კრიმინალთან ბრძოლა და არა საზოგადოების დაშინება, მაშინ უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს ცოცხალი დამნაშავეების შეპყრობა, თუნდაც იმიტომ, რომ მათი საშუალებით, შესაძლებელი იქნებოდა მრავალი დანაშაულის გახსნა. აღსანიშნავია ისიც, რომ ე.წ. სპეცოპერაციებს ხშირად, სრულიად უდანაშაულო ადამიანებიც ეწირებიან. გარწმუნებთ, რომ ამ ქვეყანაში სამართალდამცველების ძირითადი ფუნქცია არის ხელისუფლების პოლიტიკური ინტერესების დაცვა და არა კრიმინალთან ბრძოლა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მალაჩინოსნებს უბრალოდ არ მოეწონათ სანდრო გირგვლიანის ნათქვამი და თავიანთ ხელქვეითებს მისი წაგება დაავალეს. საგრაუდოდ, მათ ბიოგრაფიაში მსგავსი საქმეები ადრეც უხვად იქნებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ ქმედებას არ ჩაიდენდნენ. რობაქიძის შემთხვევაშიც ანალოგიურ ქმედებასთან გვაქვს საქმე. სასაცილოა, რომ პროკურატურად დღემდე ფორმალურად იძიებს იმ ფაქტს, რომელიც ყველასათვის კარგად არის ცნობილი. ვასო კომახიძის ფილმში მშვენივრად ჩანს, რომ სამართალდამცველების მონაწილეობით მოხდა ნივთმტკიცების გაყალბება და იარაღის ჩადება, მაგრამ ხელისუფლებას ეს არ ალღელებს და ცდილობს, ყველანაირად დაიცვას საკუთარი თანამებრძოლები. საპარლამენტო უმრავლესობამაც არ ისურვა საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება და არ ინება გირგვლიანისა და რობაქიძის მკვლელობების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის შექმნა. ამით მათ მხარი დაუჭირეს მკვლელებს.

**— გირგვლიანის მკვლელობამდე ალბათ, სხვა, ნაკლებად ცნობილ ადამიანებთან ანგარიშსწორებაც ხდებოდა. რატომ არ აპროტესტებდით ამ ფაქტებს?**

— „თანასწორობის ინსტიტუტი“ 2005 წლის 15 თებერვალს შეიქმნა, სანდრო კი 27 იანვარს მოკლეს, ამიტომაც მიეძღვნა ჩვენი პირველი აქცია ამ საქმეს. მანამდე პირადად მე, ისევე, როგორც ჩვენი ორგანიზაციის სხვა წარმომადგენლები, სხვადასხვა ფორმით ვახდენდით რეაგირებას ხელისუფლების დანაშაულებრივ ქმედებებზე. ტელეკომპანია „202“-ზე „დებატების“ წაყვანის პერიოდში, არაერთ მწვავე საკითხზე მომიმზადებია გადაცემა. ერთ-ერთ გადაცემაში, სატელეფონო ჩართვის საშუალებით, თელიამ საჯაროდ განაცხადა, რომ კოდუას უწყების წარმომადგენლები გამოემდებოდა დეინდინგს და მის მოკვლას ცდილობდნენ. ასეთი განცხადების მიუხედავად, ის მაინც მოკლეს. მართალია, მკვლელობას სპეცოპერაცია უწოდეს, მაგრამ ეს რომ დადგმული საქმეცა იყო, აშკარაა: ტელევიზიის საშუალებით ყველა გავიერდა, რომ თელია ცაცია იყო, იარაღი კი მარჯვენა ხელში „აღმოუჩინეს“. არასოდეს დამვიწყდება ვაწო მერაბიშვილის განცხადება — თითქოს მას



ჰქონდა ოპერატიული ჩანაწერი, რომელიც ადასტურებდა, რომ გია თელია შინაგან საქმეთა სამინისტროს უთვალთვალებდა. ეს იყო ცინიზმი, შემზარავი ფაქტი...

**— ამბობთ, რომ ხელისუფლება საზოგადოების დაშინებას ცდილობს. თქვენი დაშინება რატომ ვერ მოახერხეს?**

— მთელი საზოგადოების დაშინება შეუძლებელია. მე ვამბობ, რომ საკმაოდ დიდი ნაწილი შემინებულია, ძალიან ბევრი ადამიანი კი, მოსალოდნელი საფრთხის მიუხედავად, მაინც გამოხატავს საკუთარ პოზიციას სხვადასხვა ფორმით. დაუსჯელობის სინდრომი უფრო და უფრო მეტ ძალადობას წარმოშობს. საზოგადოების ჩუმად ყოფნა დანაშაულის ტოლფასია. პრობლემა საერთოა, მხოლოდ დაღუპულთა ოჯახებისადმი თანაგრძობისა და მხარდაჭერის გამოხატვაზე არ არის ლაპარაკი. იმ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება ზღვარგადასულია და ადამიანის სიცოცხლეს არაფრად აგდებს, საფრთხე თითოეული ჩვენგანის ოჯახს შეიძლება დაემუქროს.

**— დაბოლოს, საიდან ვინანდებთ თქვენი ორგანიზაცია?**

— ჩვენი ორგანიზაცია სამწუხაროდ, დღემდე, ძირითადად თვითდაფინანსდება. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციები გვიწვევენ მნიშვნელოვან დახმარებას იურიდიული თვალსაზრისით, როგორც სხვა მოქალაქეების დახმარების პროცესში, ასევე საკუთრივ ჩვენთან მიმართებაში, — ვგულისხმობ ჩვენს უკანონო დაპატიმრებებს. არასამთავრობო ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ — ხელმძღვანელობამ გამოიჩინა კეთილი ნება და თავისი ოფისის გარკვეული ნაწილი უსასყიდლოდ დაგვითმო. დღეს ყველაზე გავრცელებული ფორმა სხვადასხვა ფონდიდან დაფინანსების მიღებაა და ამ საკითხზე ჩვენც ვმუშაობთ, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ახალგაზრდა ორგანიზაცია ვართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გარკვეულ ფინანსებს მოვიპოვებთ და უფლებდაცვით საქმიანობას კიდევ უფრო ფართომასშტაბიანს გახვდით. გვინდა, რომ მომავალში აქტივობა გადავიტანოთ რეგიონებშიც, უფრო მეტი პრობლემა წამოვიწყოთ და მეტი ადამიანი დაფინანსოთ. ამჟამად, ორგანიზაციის წევრები თავად ვფარავთ იმ ელემენტარულ ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია ჩვენი საქმიანობის გასაგრძელებლად.

როგორც „გზის“ წინა ნომერში გაცნობეთ, ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ერთი ახალგაზრდა კაცის, ზაზა ჩუთლაშვილის დრამატული ცხოვრებისეული თავგადასავლის გაცნობის შესაძლებლობა გეძლევათ. ეს გავლავთ რეალური ამბავი, რომელიც სრულიად შეუღამაზებლად გადმოცემულიც უთუოდ, დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს მკითხველზე, განურჩევლად იმისა, თუ ვის სიმართლეს ირწმუნებს იგი და ვისკენ გადაიხრება მისი სიმპათია. ამაზე მეტს ამჯერად არაფერს ვიტყვით, თანამიმდევრულად მივყვით იმ მოვლენების განვითარებას, რომლებიც რამდენიმე წლის წინ დაიწყო...

**მარი ჯაშარიძე**

— ზაზა! ზაზა! — ბუნდოვნად ჩამესმა ნინოს ხმა. თვალები გავახილე. მთლად ოფლში ვცურავდი, გული გამალებით მიცემდა, ნერვიულობისგან კი, კისრის ძარღვები დამძაბვოდა და მტკიოდა. ლოგინში წამოვჯექი, იდაყვებით მუხლებს დავყვრდენი და ხელის თითები თმაში შევიცურე. კარგა ხანს ვიყავი ასე. ნინო ალბათ აზრზე მოსვლას მაცდიდა და ხმას არ იღებდა. მის თბილ ხელისგულს ვგრძნობდი ჩემს ზურგზე და ცოტათი ვმშვიდდებოდი. მეორე ბალიშზე მოწყვეტილი დავეცი და ჭერს მივაპყარი მხერა.

— ზაზა, კომმარი გესიზმრა? — ჩურ-



ჩულით მკითხა ნინომ.

— ჰო, საშინელი სიზმარი ვნახე. დიდ, ღრმა ორმოში ვიყავი. ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ამოსვლას ვცდილობდი, ფრჩხილები დასისხლიანებული მქონდა მინის ფხოჭნით. როგორც კი გავიფიქრებდი, რომ საშველი სადაცაა დამადგებოდა და ორმოდან თავს დავაღწევდი, პატარა ტანის 3 ბალნინი არსება გამოჩნდებოდა ხოლმე. ერთი ფეხებზე მეკიდებოდა, მეორე თავზე მაჯდებოდა, მესამე კი ხელებს მაშვებინებდა ორმოს ნაპირზე და ისევ უკან ვვარდებოდი. საშინლად ვიტანჯებოდი.

— კარგი, დაწყნარდი, ეს მხოლოდ სიზმარი იყო. ხანდახან მართლაც უცნაური რამ დაესიზმრება ადამიანს.

როგორც ჩანს, ჩვენს ჩურჩულზე პატარა გიომ გაიღვიძა და ატირდა. ის 5 თვის იყო. იქვე, ჩვენ გვერდით, პატარა ხის სანოლში ეძინა. გიო ჩემი მეორე შვილია. უფროსი გოგონა მყავდა — ნათია. ნინო გიორგის დასაწყნარებლად

ადგა. მე კი ფიქრებს მივეცი თავი.

როგორც ჩანს, წინა დღეს მომხდარმა ავარიამ იმოქმედა ჩემზე ცუდად. ჩემს ისედაც დანგრეულ და დაფასფახებულ მანქანას ესლა უნდოდა?! 27 დეკემბერს, ღამით მორიგე ვიყავი. 28-ში დილით კი, მე და ჯუბა შინ ვბრუნდებოდით. ჯუბა ჩემი თანამშრომელია. თემურ მღებრივი ღამით, სპეცდანიშნულების რაზმში ერთად ვმუშაობდით და 2 თვის წინ, მცხეთის პოლიციაშიც ერთად გადმოვედით. იმ დილით, ჩვეულებრივად, მორიგეობიდან შინ ერთად ვბრუნდებოდით. მუხიანში ვცხოვრობდი. როგორც კი დილიდან გლდანში გადასასვლელ ხიდზე შევდექით, უკნიდან დარტყმა ვიგრძენი. მე და ჯუბა მანქანიდან გადმოვედით. თეთრი ფერის „გაზ-24“ დამჯახებოდა. მძლოლი ვიცანი — ჩემი მეზობლის მეგობარი იყო. სიმთვრალისგან თვალებს ძლივს ახელდა, მაგრამ მაინც მიცნო. ძალზე შეწუხდა და თვითონვე შემომთავაზა, რომ ჩვენს საერთო მეგობართან ავსულიყავით მოსალაპარაკებლად. მეორე დღეს, 29 დეკემბერს ჩემი ნათიას დაბადების დღე იყო. რაიონში ვაპირებდი წასვლას. ახალი წელიც ახლოვდებოდა. ბევრ რამეში შემეშვებოდა ხელი და ამას ვწუხდი. რას წარმოვიდგენდი, რომ ეს ავარია ჩემთვის საბედისწერო აღმოჩნდებოდა?!

...ნინომ გიორგი დააძინა და თვითონაც დანვა. თავი მოვიმძინარე, რადგან არ მიწოდოდა, მისთვისაც გამეტეხა ძილი. მე კი საფიქრალი ბლომად მქონდა. კარგა ხანს ვიფხიზლე და გამთენიისას, როგორც იქნა, ჩამეძინა.

უხასიათოდ, მოთენთილმა გავიღვიძე. გუშინდელი დღის ამბებმა და ღამით ნანახმა კომპარმა, როგორც ჩანს, ძალზე იმოქმედა ჩემზე. ის იყო, ხელპირი დავიბანე და საუბრობას ვაპირებდი, რომ კარზე დააკაუნეს.

— ჯუბა! — გამომძახა დერეფნიდან ნინომ.

— შემოდი, — დავუძახე სამზარეუ-



ლოდან.

— როგორ ხარ? — ჯუბამ მხარზე ხელი დამარტყა და ჩემ წინ დაჯდა.

— ვერ ვარ კარგად. სუსტად ვგრძნობ თავს. ჩაის დალევ?

— არა, ვისაუბრე უკვე. ხომ არ გაარკვიე რამე, გუშინ საღამოს?

თავი უსიტყვოდ გავაქნიე, უარის ნიშნად.

— სამსახურში არ წავიდეთ?

— დღეს ნათიას დაბადების დღეა, სტუმრებს ველოდებით. ათასი რამ დაგვჭირდება ოჯახში, ნინოს უნდა მივხმარო. საღამოს შენც დაპატიჟებული ხარ. მოდი, დღეს ნუ წავალთ სამსახურში.

— კარგი, როგორც შენ იტყვი, ისე მოვიქცეთ. წავალ, მეც ჩემს საქმეებს მოვაგვარებ, მაშინ.

ჯუბა აღარ შემიჩერებია. კარამდე მივაცილე.

— საღამოს გელოდები, იცოდე! — მივაძახე კიბეზე ჩამავალს.

— მოვალ! — პირველი სართულიდან მომესმა მისი ხმა.

მცხეთის რაიონის პროკურორის მოადგილის, ვაჟა ხუცურაულის კაბინეტში 2 ადამიანი იჯდა — ვაჟა და მე-ნ განყოფილების უფროსი, ლევან მიგრიაული.

— სად არის ეს კაცი ამდენ ხანს? — ნერვიულობისგან ყვრილი უთამაშებდა ვაჟას. ოთახში ერთი გრძელი მაგიდა, რამდენიმე სკამი და მომცრო ღუმელი იდგა, რომელშიც ნედლი შებენი შეეკეთებინათ და თავის თავსაც ძლივს ათბობდა. როგორც კი ქარი დაუბერავდა, კვამლი ოთახში შემოდიოდა და სუნთქვა

შეუძლებელი ხდებოდა. კედელზე პრეზიდენტ შევარდნაძის ფოტო ეკიდა, რომელიც ალბათ კვამლს თუ გაყვითლებინა და სინესტეს ოდნავ მოეჭმუჭნა.

— რომელ საათზე გყავს დაბარებული? — იკითხა ლევანმა და ლუმლის კარი გამოაღო. ცეცხლს სული შეუბერა, მაგრამ იქიდან გამოვარდნილმა კვამლმა ლამის დაახრჩო. გინებით მიხურა ლუმლის კარი და მაგიდასთან დაბრუნდა.

— გამარჯობა. — ღია კართან გამომძიებელი ლაშა გულდუდავა იდგა. საკმაოდ ჩასუქებული, კარის ჭრელს თითქმის მთლიანად ავსებდა. სიცივისგან ლოყები დასწითლებოდა და ძლივს სუნთქავდა. ალბათ კიბეზე ამოსვლა ძალზე უჭირდა.

— მოდი, კაცო, სად ხარ ამდენ ხანს? — გულმოსულმა უთხრა ვაჟამ და სკამზე მიუთითა. ლაშა როგორც იქნა, სკამზე მოთავსდა და სქელი საქალაღდე წინ დაიდო. — ახალი რა არის?

— ამ საღამოს ავიყვანთ, — გამარჯვებული კაცის გამომეტყველებით თქვა ლაშამ.

— მთავარი აყვანა კი არა, საქმის ბოლომდე მიყვანაა. ისეთი არგუმენტები უნდა დავუდოთ წინ, რომ დედა უტიროს ყველაფერს, — საუბარში ლევანი ჩაერთო.

— კონსტანტინოვიჩ, აღიარების მიღება გავიჭირდება, — თვალები მოწკურა ლაშამ.

— კაცო, შენ აქამდე მომყვანინე და მერე მე ვიცი. ხომ იცი, ჩემი გაუხსნელი საქმე არ არსებობს. გენერალურიდან ბევრი მადლობა მაქვს მიღებული. ეგ ტიპი პოლიციის თანამშრომელია. ძალიან დიდი პლუსი იქნება ჩვენთვის, თუ მას დანაშაულს დავუმტკიცებთ და დავსჯით.

— ვიცი, ვიცი... — ჩაიქირქილა ლაშამ და ლევანს მიუბრუნდა: — 10-12 კაი ნავარჯიშევი ბიჭი მჭირდება. ხომ იცი, ორმეტრიანი კაცია, მუტრუკივით ძალა ექნება. წინააღმდეგობა რომ გაგვინოს, წინასწარ უნდა ვიყოთ მაგისტვის მზად.

— გჭირდება და გეყოლება. რომელი საათისთვის მიდიხარ?

— დღეს ბავშვის დაბადების დღე აქვს, სტუმრებს 6 საათისთვის ელოდება. ჰოდა, ჩვენც მაგ დროს მივალთ. გაუხარდება, ამდენ საბავშვო სტუმარს რომ დაინახავს... — ისევ ჩაიქირქილა ლაშამ.

— მანქანა რომ დაამტვრია, იმ საქმის მოახერხა რამე? — იკითხა ვაჟამ. ლაშამ ხელი ჩაიქინა — აქაოდა, სალაპარაკო-დაც არ ღირსო.

— რაღად უნდა მანქანა?! „ჩორნი ვორონი“ მოემსახურება უფასოდ... — ლევანის ამ სიტყვებზე ყველამ გაიცინა.

— აბა, თქვენ იცით, — თქვა ვაჟამ და ფეხზე წამოდგა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ვიზიტი დამთავრდა.


საღამო ხანს რამდენიმე ახლობელმა მოიყარა თავი ჩემს ოჯახში. თითქოს მეც გამომიკეთდა გუნება, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. სუფრასთან დავსხდით და სულ 3-4 სადღეგრძელო გვქონდა შესმუ-

ლი, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა.

— ნინო, გაულე, ეტყობა, კიდევ ვილაცას გავახსენდით, — გავძახე მე. ნინოს არ ეცალა. კარი სიდედრმა გააღო. ოთახში რამდენიმე უცხო, ფორმიანი მამაკაცი შემოვიდა. 1... 2... 3... მათ სათვალავს ბოლო არ უჩანდა. მივხვდი, რომ ისინი სასიკეთოდ არ მოვიდოდნენ, მაგრამ ძალიან გამიკვირდა, წარმოდგენა არ მქონდა, რა საქმე უნდა ჰქონოდათ ჩემთან. ოთახში შემოლაგდნენ და კედლის გასწვრივ ჩამწკრივდნენ. ოთხნი კი აქეთ-იქიდან ამომიდგნენ. ამ ახმას ბიჭებს შორის, ცოტა ხნის შემდეგ, კარგად ჩასუქებული, დაბალი მამაკაცი შემოძვრა და თავი გამომძიებელ ლაშა გულდუდავად წარმომიდგინა.

— ესენი ვინ არიან? — ვკითხე მას და ბიჭებზე მივუთითე.

— ესენი მცხეთის რაიონის პროკურატურისა და მე-6 განყოფილების თანამშრომლები არიან, — უცნაურად ჩაიცინა გამომძიებელმა.



— კი, მაგრამ რა ხდება?

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, გუშინ თქვენ ავარია მოგივიდათ.

— დიახ, მართალია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიმე საგანგაშო მოხდა და მთელი სპეცდანიშნულების რაზმი შინ უნდა მომეჭრას... მსუბუქი შეჯახება მოხდა, თანაც, ავარია თბილისში მომივიდა და არა — მცხეთაში. მე დავზარალდი... ესეც ცნობილია თქვენთვის?

— ჩვენთვის ყველაფერი ცნობილია, ჩემო ზაზა, უბრალოდ, რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი. წამოგვეყვი, ყველაფერი გაირკვევა და თუ უდანაშაულო ხარ, უკან გამოგიშვებენ.

— კი, მაგრამ ხომ ხედავთ, რომ სტუმრები მყავს? ამ საღამოს არ არის აუცილებელი ჩემი წამოსვლა, დილით მე თვითონ გამოვცხადდები თქვენთან.

— არ გამოვა. ახლავ უნდა წამოხვიდე, ჩვენ უნდა გამოგვეყვი, — მითხრა და ბრძანება გასცა: — ხელბორკილი დაადეთ!

გაოგნებული ვიყავი. მე თვითონ ამ სისტემის თანამშრომელი ვიყავი და კარგად ვუწყობდი, რომ ასეთი მსუბუქი ავარიის გამო არც ამდენი სპეცრაზმელი მოვიდოდა და არც ხელბორკილს დამადებდნენ. ვერაფრით ვხვდებოდი, რას მერჩოდნენ. თუმცა, იმედი მქონდა, რომ რაღაც გაუგებრობაში მოვყევი, სულ მალე ყველაფერი გაირკვეოდა და ისევ ოჯახში დავბრუნდებოდი.

მანქანა მცხეთის პოლიციის შენობის ეზოში გაჩერდა. ნელმონწყვეტილივით გადმოვიდი. 2 თითქმის ჩემსიმაღლე ბიჭი აქეთ-იქიდან ამომიდგა, მკლავში ხელები ჩამჭიდეს და კიბეზე ისე ამიყვანეს. მესამე სართულზე, ერთ-ერთ ოთახში შემიყვანეს და სკამზე თითქმის ძალით დამსვეს.

ოთახში 3 კაცი დამხვდა. ორი ვიცანი — ვაჟა ხუცურაული და ლევან მიგრიაული; მესამე — გამომძიებელი ლაშა გულდუდავა გახლდათ. სკამზე დავჯექი, მაგრამ ადგილს ვერ ვპოულობდი. ემოციებს ვერ ვფარავდი:

— რატომ დამიჭირეთ? ხელბორკილი რატომ დამადეთ? რაში მდებთ ბრალს? — კითხვებს სამივეს მისამართით ვსვამდი და მზერაც ერთიდან მეორეზე, შემდეგ — მესამეზე გადამიქონდა. არც ერთი არ იღებდა ხმას. ეს უარესად მაცოფებდა.

— გამცემს პასუხს ვინმე თუ არა?! — ლამის მთელი ხმით ვიღრიალე.

— სად იყავი ამა წლის 25 ოქტომბერს? — უეცრად კითხვაზე კითხვითვე მიპასუხა ვაჟა ხუცურაულმა.

— კი, მაგრამ ავარია გუშინ მოხდა, 25 ოქტომბერი რა შუაშია?! რა ხდება? — ისევ ვერ ვისვენებდი მე.

— გაისხენე, სად იყავი 25 ოქტომბერს! — დაჟინებით მეკითხებოდა პროკურორის მოადგილე. დაფიქრდი, მაგრამ ზუსტად ვერ გავისხენე, სად ვიყავი იმ დღეს, 2 თვის წინ.

— მაგ დროს სპეცდანიშნულების განყოფილებაში, თემურ მღებრიშვილთან ვმუშაობდი. იმ დღეს ვერ ვისხენებ. თემურთან გადაამონშეთ, იქ ყოველი დღე დაფიქსირებულია და ზუსტი ინფორმაციას იქიდან მიიღებთ, — ვთქვი კარგა ხნის ფიქრის შემდეგ. მივხვდი, რომ ჩემმა პასუხმა მათში უკმაყოფილება გამოიწვია.

— თემურთან, არა?! — დამცინავად მკითხა ვაჟამ. — აბა, აბრძანდი მაგ სკამიდან! — დავემორჩილე და ფეხზე წამოვდექი. — იქით მიდი... — ხელი მკრა და კუთხეში მიამწყვდია. კედელს ზურგით მივეყრდენი. — ასანძი! — გასძახა ვილაცას. ოთახში ერთ-ერთი მათგანი შემოვიდა, ვინც ჩემთან სახლში იყო მოსული. — ხელბორკილით მიაბი „ტრუბაზე“! — გასცა შემდეგი ბრძანება ვაჟამ. მივხვდი, რომ ჩემი საქმე ცუდად იყო. ასე რა შემთხვევაში იქცევიან ხოლმე, კარგად ვიცოდი, მაგრამ არც წინააღმდეგობის განწევას ჰქონდა აზრი.

— რა გინდათ, რას მერჩით?! — მთელი ხმით ვყვიროდი. — ის მანც მითხ-

არით, რაში მდებთ ბრალს?

— ყველაფერს ძალიან მალე გაიგებ... — მითხრა ვაჟამ და ოთახში მყოფებს თავის მოძრაობით რაღაც ანიშნა. დანარჩენებიც წამოდგნენ და ოთახიდან გავიდნენ.

იატაკზე დავეჯექი და თავი კედელს მივადე. „ნეტავ, რა შუაშია 25 ოქტომბერი?! ღმერთო, გამახსენე, სად ვიყავი მაგ დღეს!“ — ვფიქრობდი ჩემთვის და გონებას ძალას ვატანდი, რომ თუნდაც მცირე დეტალი გამეხსენებინა, მაგრამ ეს დღე ჩემი შესხიერებიდან ამოვარდნილი იყო.

დიდხანს არ მომიწია მარტო ყოფნამ. ორიოდე წუთში 2 სპეცრაზმელი შემოვიდა. ხელში „დუბინკები“ ეჭირათ. გაოცებისგან თვალები დაჭყიტე. მივხვდი, რაც ახლა, აქ მოხდებოდა, სასიამოვნო მოგონებების არქივში არ ჩაინერგებოდა. სულ რამდენიმე დღის წინ, 20 დეკემბერს, 23 წელი შემისრულდა. ასეთ სიტუაციაში კი, პირველად ვიმყოფებოდი.

— რა ქენი, გაისხენე? — მკითხა ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა. პასუხი არ გავეცი.

— კარგი, მაშინ ჩვენ დაგეხმარებით და გაგახსენებთ... — კრეჭვით თქვა მეორემ. — გახსოვს, 25 ოქტომბერს, საგურამოს ტყეში 2 ადამიანი როგორ მოკალი?

— თქვენ რა, მესუმრებით?! — ვიკითხე გაოცებულმა.

— გვეტყობა რამე, რომ ვხუმრობთ? — მკითხა პირველმა.

— სახუმაროდ გაქვს საქმე, შე უბედურო?! — დაამატა მეორემ.

— რას ამბობთ?! საგურამოში ნამყოფი ცი არ ვარ, სულ სამჯერ ვარ გავლილი მაგ ტერიტორიაზე. ერთხელ მაშინ, როცა სოფელ ზაქაროში მივდიოდი, მეორედ — ახატანში, მესამედ კი, ბინწენდში სტუმრობისას. ხომ არ გაგიჟდით?!

— ჩვენ გაგიჟდით, არა?! ადამიანებს რომ ხოცავ გულგრილად, ის კარგია?! ახლა გაისხენე მკვლელობის დეტალები, თორემ ციხედ შეგენება საქმე!

— ცხოვრებაში ქათამიც არ დამიკლავს, ადამიანის მკვლელობას მტენით? — ვიღრიალე. მივხვდი, რომ საქმე იმაზე გაცილებით სერიოზულად იყო, ვიდრე წარმოვიდგენდი. სიტყვა „მკვლელობა“ მეხივიანი გავარდა ჩემს თავს ზემოთ. ყურებით დამიგუბდა. სისხლი სახეზე მომანვა. ხელები ჩემდა უნებურად მომემუშტა.

— ადამიანის კი არა, ადამიანების... ახლაგაზრდა ქალის და კაცის მკვლელობაზე ლაპარაკი, — დამიზუსტა ისევ პირველმა.

— მე მკვლელი არა ვარ! ჩემი დალუპვა გინდათ?! ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული!.. ვერ შემომტენით მკვლელობას!.. — მთელი ხმით ვყვიროდი ისევ. სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, რომ ერთ-ერთმა „დუბინკა“ მთელი ძალით მოიქნია და გვერდში მომარტყა. ხმამალა დავიკვნესე. მეორემ ფეხსაცმელი გამსადა და შემდეგი დარტყმა ფეხის გულბში მივიღე.

...ხმამალა ვღრიალებდი. ისინი კი ჩემს ცემას განაგრძობდნენ. რიგრიგობით მირტყამდნენ. ერთი რომ დაიღლებოდა, მეორე აგრძელებდა ჩემს წამებას. ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევდნენ. ეს გაუსაძლისი ტკივილი იყო. ხმა ჩამიწყდა ღრიალისგან. მხოლოდ ხავილი ამომდიოდა ყელიდან და მაინც ვცდილობდი, ხმა მიმენვდინა ჯალათებისთვის.

— ვილაცაში გეშლებით... მკვლელი არ ვარ... არ მომკლათ... — ვხაოდი და ვგრძნობდი, რომ ჩემი სიტყვების გარჩევა შეუძლებელი იყო.

— შენ ხარ მკვლელი, ყვითელი „ჟიგული“ შენ გყავს!.. — ხმამალა ყვიროდა ერთ-ერთი ჯალათი. სუნთქვა მიჭირდა. მთელი სხეული დაბეგვილი მქონდა. ვნატრობდი, რომ მხოლოდ 1 წუთით მოეცათ ამოსუნთქვის საშუალება. ამ დროს, ოთახის კარი გაიღო და ვაჟა და ლაშა შემოვიდნენ.

— აბა, ბიჭებო, რას ამბობს? აღიარა დანაშაული? — იკითხა პროკურორის მოადგილემ. ჯალათებმა ერთდროულად გააქნიეს თავები უარის ნიშნად. მე უკვე საერთოდ ვეღარ ვიღებდი ხმას. ვაჟას და გამომძიებელს მხოლოდ თვალებით ვთხოვდი შველას. მაგრამ მათ ჩემი სიტყვებისაც არ სჯეროდათ და თვალებით ნათქვამს გაიგონებდნენ?! სულ 2 წუთით შეყოვნდნენ ოთახში და გავიდნენ.

ისევ გაგრძელდა ჩემი წამება. დეკემბრის სუსხიან ამინდში, გაყინულ ოთახში ოფლად იღვრებოდნენ, ისეთი მონდომებით მირტყამდნენ. მერე უეცრად ჩემი ცემა შეწყვიტეს. თვალები გავახილე. ერთი მეორეს გადატყვიე „დუბინკას“ უჩვენებდა.

— ნახე, გადატყვიდა... — ყველაფერს უხარისხოს უშვებენ, მე ამათი დედა!.. — შეიგინა მეორემ და ერთი „დუბინკით“, მონაცვლეობით ჩემი „დამუშავება“ განაგრძეს. ცოტა ხანში კარი ისევ გაიღო და ისევ ის 2 ადამიანი გამოჩნდა. მათი დანახვა ისე გამიხარდა, თითქოს ახლობლები ყოფილიყვნენ. მათი ოთახში გამოჩენა იმას ნიშნავდა, რომ ცოტა ხნით მაინც ჩემს ცემას შეწყვეტდნენ და თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება მექნებოდა.

— ჰა, ალაპარაკდა ბიჭი? — იკითხა გამომძიებელმა. ჯალათებმა ისევ გააქნიეს თავი უარის ნიშნად.

— რატომ არ ამბობ, რომ საგურამოში მოკლული 2 ადამიანი შენი მსხვერპლია? — წამომადგა თავზე ვაჟა. ხმას ვერ ვიღებდი. მხოლოდ ამოვიკვნესე. — რა იყო, ბიჭო, ცუდად ხომ არავინ გექცევა? ხომ არ გცემენ ეს არამზადლები? — მკითხა დამცინავად და კარისკენ გაემართა. — განაგრძეთ! — გასცა ბრძანება გასვლისას.

— „დუბინკა“ გაგიტყდა, უფროსო, — მიაძახა ერთ-ერთმა.

— სხვა მეთოდი არ არსებობს?! — იკითხა გაბოძიებულმა და კარი გაიხურა. ერთი ჯალათი იქვე ჩამოჯდა, მეორე კი გასულელებს უკან მიჰყვა. ცოტა ხანში მობრუნდა. ხელში ცელოფანის პარკი ეჭირა.

— მომეხმარე, — უთხრა მეორეს. ცელოფანის პარკი თავზე ჩამომაცვეს და ყელზე რაღაც მომიჭირეს. თან მეორე ხელი გამიკავეს, რომ ცელოფანი არ მომეგლიჯა. სული შემეხუთა. სიკვდილის სუნს იქვე, ახლოს ვგრძნობდი. 2 წუთის მერე ვიგრძენი, რომ გონს ვკარგავდი. ხელები ჩამომიცივდა და მთელი ტანით მოვეშვი. ცელოფანი ამაგლიჯეს და ვედრით წყალი შემომასხეს... აზრზე მოვედი. განსჯის უნარი დამიბრუნდა. იმის მიუხედავად, რომ გარეთ ყინვა იყო და ოთახშიც თითქმის იგივე ტემპერატურა, ცივი წყალი თითქოს მალამოდ მოედო ცემით გახურებულ და დასივებულ სხეულს. რომ მიხვდნენ, გონს მოვედი, ისევ ჩამომაცვეს ცელოფანი თავზე და ისევ გადამიკეტეს უანგზადი... მერე ისევ ცივი წყლით მომიყვანეს გონზე... ასე მანამეს მთელი ღამის განმავლობაში. რომ ინათა, ისევ შემოვიდა გამომძიებელი და თქვა:

— სასწრაფოდ „კამერაში“ ჩავიყვანოთ, ახლა თანამშრომლები მოვლენ. იმდენი ბოზია მათ შორის, ვინ იცის, სადმე წამოაყრანტალოს ეს ამბავი. დღისით დაისვენოს, საღამოს ისევ გავაგრძელოთ დაკითხვა.

— ადექი! — მიბრძანა ერთ-ერთმა ჯალათმა. მაგრამ სად მქონდა ადგომის თავი?! ფეხის გულბში იმდენი მირტყეს, ვერაფრის დიდებით ვერ გავივლიდი. ისევ დამიწყეს ცემა.

— ადექი, შენი!.. გამოადგი ფეხი!.. — მიყვიროდნენ მთელი ხმით. ვერ შევძელი წამოდგომა. სკიტერის საყელოში ჩამავლეს ხელი და ასე, იატაკზე თრევა-თრევიტ გამიყვანეს. მეზიზღებოდნენ ჯალათები, მეზიზღებოდა ყველა და ყველაფერი, რაც ჩემ გარშემო იყო. მინდოდა, სახეში შემეფურთხებინა მათთვის, მაგრამ მაგის თავიც აღარ მქონდა. გვერდითა ოთახიდან კიდევ ვილაცის წამების ხმა მესმოდა და ძალიან მეცოდებოდა, თუმცა, არ ვიცოდი, ვინ შეიძლებოდა, ყოფილიყო. ჩამათრიეს სარდაფში, სადაც წინასწარი დაკავების საკანი — ე.წ. „კაპეზე“ იყო. სარდაფში ბნელოდა, ციოდა... მე თავიდან ფეხებამდე სველი ვიყავი. სიცივე ძვალსა და რბილში გამიჯდა. ერთიანად ვკანკალებდი. კარი მხოლოდ ნახევრად გამოაღეს, რადგან ბოლომდე არ იღებოდა და საკანში შემაგდეს.

კარგა ხანს ვეგდე იქვე, კართან. საკანში სრული სიჩუმე იდგა. ცოტა სული რომ მოვითქვი, ვცადე, ოთახის შუაგულისკენ გავხოხებულიყავი. იმედი მქონდა, რომ რაიმე სანოლის მაგვარი იქნებოდა და დაბეგვილ სხეულს დავასვენებდი.

— მოიცა, ძმაო, მოიცა... — მომესმა ვილაცის ხმა. — დაგეხმარებით...

სიბნელეში ვერ გავარჩიე ჩემკენ დახრილი სახე, მაგრამ იმის შეგრძნებამ, რომ მარტო არ ვიყავი, თითქოს იმედი ჩამისახა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# 2-ღაჩიანი მაღაჩიჩი, შესწილი ჩვილი და უკივილნაჩევი კუჩიოჯი საგუოჯიჯო სახლიჯან ხნუ „ოყნჯჯ, გოგო, ზუოციოზერი ხომ ჯრჯ!“

ყოველთვის მინდოდა რეპორტაჟის გაკეთება ისეთი ადგილიდან, სადაც უცხო პირთა შესვლა სასტიკად აკრძალულია. მაგალითად, სამოცნებით შევიხედავდი ეროვნული ბანკის საცავში, ცოტა ხანს გისოსებს მიღმაც გავატარებდი და თუ ამის შესაძლებლობა მექნებოდა, მთავრობის დახურულ სხდომასაც გავაშუქებდი...

ცოტა ხნის წინ, თბილისის ერთ-ერთი სამშობიარო სახლის მიმღებ განყოფილებაში აღმოვჩნდი. წუთიც არ დამჭირვებია იმის მისახვედრად, რომ ერთგვარ აკრძალულ ზონაში ვიმყოფებოდი...

სამშობიაროს მიმღებების კართან უამრავი ადამიანი ირეოდა. ვილაც ბოლთას სცემდა, ვილაც სიგარეტს ეწეოდა, მაგრამ ყველა, როგორც ერთი,

## შპს ქაშთარაძე

— სიორიძის პატრონი ვინაა? — კარიდან მწვანე ფერის უნიფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი გამოვიდა. — სამშობიარო ტკივილები აქვს და ბლოკში გადაგყავს, — თქვა ქალმა და კარი ისევ გაიხურა.



ხედავ, რა ვაჟაკი გყავს — ოთხი კილო და ხუთასი გრამი!

— მშობიარე მოამზადეთ, — მოკლე განკარგულება გასცა ექიმმა და ახალგაზრდა ქალი სანიტარ ინეზა დეიდას გადაულოცა. სანიტარი კი, ოყნის შეიარაღებულ მონსტრს ჰგავდა და ყველა მშობიარეს ამ სიტყვებით ხვდებოდა:

— გაიხადე, გენაცვალე და დანექი. ნუ გეშინია, გოგო, ოყნაა, ბუღდოზერი ხომ არა! გადამრევს ეს ხალხი პირდაპირ, ახლა გტკივა და რომ თხოვდებოდი, არ გტკიოდა?.. დედა, რა ლამაზი ჩუსტი გაცვია, სწორედ ისეთი, მე რომ გამომადგებოდა აქ. ფეხიც ჩემი ზომის გიჩანს. აქედან რომ წახვალ, მაჩუქე, ინეზა მქვია და სანიტარი ვარ მიმღებში... — ისე ქაქანებდა ინეზა, თითქოს ვერც ამჩნევდა, რომ ქალს დროდადრო ძლიერი ტკივილები ეწყებოდა. ამ დროს, მიმღებში ექიმი შემოვიდა და სანიტარი ინეზაც თითქოს გამოცვალეს, თაფლად დაიღვარა:

— გენაცვლოს ინეზა დეიდა, ცოტაც მოითმინე, შვილო, და დედა გახდები. შენისთანა სამი გოგო მყავს სახლში. იცი შენ, რა ექიმები გყავს აქ? ოქროს ხელები აქვთ, ისე გამშობიარებენ, ვერაფერი გაიგებ. სანიტარმა მშობიარეს ხელკავი გაუყარა

და სამშობიარო ბლოკში ააცილა. იქ კი მას რუსული გარეგნობის ფუმფულა ექთანი დახვდა, მშობიარე თავის დავთარში „მიითვალა“ და თავისუფალ სანოლზე მიუთითა: აქ დანექიო. სანოლზე მეზობლად შუახნის ქალბატონი ინეზა და ისეთი მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს სამშობიაროს ბლოკში კი არა, პლაჟზე, შეზღონზე წამოწოლილიყო. ახალშემოსულს სულის მოთქმაც არ აცალა, გაუშინაურდა და თავისი გასაჭირის გაზიარებას შეუდგა:

— უკვე შვიდი დღეა, რაც ამ სამშობიარო ბლოკის კედლებს შევყურებ. ტკივილები რომ დამეწყოს, მეუღლემ მაშინვე მომიყვანა, მაგრამ შემდეგ ტკივილები დამიყუჩდა. ექიმი სახლში არ მიშვებს: მშობიარობის პროცესი დანყებულია და სტიმულატორები უნდა გაგიკეთოთ, პროცესი დაგაჩქაროთ, მე კი სისტემის დადგმაზე უარს ვამბობ. ექვსი შვილი მყავს და სტიმულაცია არასდროს დამჭირვებია. მესტაც გეტყვი, მეოთხე შვილი, სამშობიაროში მიმავალმა, ტაქსიში გავაჩინე. ისე სწრაფად ვიმშობიარე, რომ აქამდე მოსვლაც ვერ მოვახსარიო.

ქალი მხოლოდ მაშინლა გაჩუმდა, როდესაც დერეფნის ბოლოდან მშობიარის ყვირილი გაისმა.

— მიშველეთ, ადამიანები არ ხართ?! ღმერთი ხომ გნამთ?! ვაი, დედა! ტკივილებს ვეღარ ვუძლებ, დაუძახეთ ბატონ გიას!

— მოვა ბატონი გია, მოვა, ცოტაც მოითმინე, ყვირილი არ შეიძლება, — მშობიარის დამშვიდებად ფუმფულა რუსი ექთანი შეეცადა. რამდენიმე წუთში ექიმიც გამოჩნდა, მშობიარე მოინახულა: უკვე კარგად გტკივაო, — დაამშვიდა და ბლოკი ისევ დატოვა. ქალის ყვირილი ახლა უკვე დერეფნის სხვა კუთხიდან ისმოდა, მაგრამ ის საშველად ალაჰს უხმობდა.

რამდენიმე წუთში დაძაბულობამ იმატა. ექთანმა ტელეფონით სადღაც დარეკა და მორიგე სამეანო ბრიგადა მშობიარობის მისაღებად მოემზადა. ახალგაზრდა ქალი,

რომლის ყვირილიც დერეფნის ბოლოდან მესმოდა, სამშობიარო სავარძელზე დაანვიწეს.

— ახლა რაც შეიძლება ღრმად ისუნთქე და ეცადე, რომ არ იყვირო... კარგია, მიდი, კიდევ ცოტაც, — ექიმი მშობიარეს მიითთებებს აძლევდა და არსებული დაძაბულობის მიუხედავად, ძალზე მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა. მაგრამ ძლიერ ტკივილებს მშობიარისთვის ძალა გამოეცალა და ძლივს გასაგონად ამოილულულა: გონს ვკარგავო. ექთანი არ დაბნეულა, ფერმიხდილ ქალს სახეზე ცივი წყალი აპკურა. ექიმისა და პაციენტის ძალისხმევის მიუხედავად, ბავშვს დედის სხეულის დატოვება უჭირდა. ექიმმა თანაშემწეს თვალთ საშედიცინო ინსტრუმენტზე ანიშნა, თავად კი მშობიარეს მუცელზე ორივე ხელით დააწვა. ქალი მიხვდა, რომ ეს ბოლო შანსი იყო, ხელებით სავარძელს ჩაებლაუჭა და მთელი ძალით შეეცადა ბავშვისგან გათავისუფლებას. დედის არანორმალური ყვირილი, ბავშვის ტირილის ხმა შეცვალა. ექიმმა ჩვილი დედის მუცელზე დაანვიწა, თავისუფალი ხელით კი, შუბლზე მომდგარი ოფლის წვეთები მოიწმინდა. ქალი ხმაშალდა ქეთითინებდა. მშობიარობა მხოლოდ რამდენიმე წუთი გაგრძელდა, მაგრამ მე საუკუნედ მომეჩვენა.

— ხედავ, რა ვაჟაკი გყავს — ოთხი კილო და ხუთასი გრამი! ახლა სიგრძეს არ იკითხავ? მთელი ორმოცდაათექვსმეტი სანტიმეტრი! გავრივილობას აჩართლებს. ახლა კი გაილიმე და შენი ცრემლები აღარ დამანახვო, — ამის თქმა იყო და, ექიმს მორიგი მშობიარობის მისაღებად უხმეს. როგორც კი ის თვილს მიეფარა, ფუმფულა ექთანმა დრო იხელთა და მშობიარის გულშემატკივართან სამახარობლოს მისაღებად გაიქცა...

სამშობიარო ბლოკში მიღებული ემოციები ვიკვარე და მელოგინეთა განყოფილებას მივაშურე. ალაგ-ალაგ ამომწვარი იატაკი, რკინისზამბარებიანი სანოლები და ჭუჭყიანი თეთრეული იმაზე მეტყველებდა, რომ ე.წ. უფასო განყოფილებაში ვიმყოფებოდი. ვინც ჯერ არ იცის, განვმარტავ, რომ სახელმწიფო ყველა ორსულს 200-ლარიანი ვაუჩერით ასაჩუქრებს. როგორც სამშობიაროს თანამშრომლებმა მიაჩნეს, ამ შეღავათით უმეტესად დაბალი სოციალური ფენა სარგებლობს. ხოლო მათ, ვისაც 600-700 ლარის გადახდა არ უჭირთ, უპირატესობას სამშობიაროს ფასიან განყოფილებას ანიჭებენ. განსხვავება კი მართლაც, თვალსაჩინოა. ერთ მხარესაა ახალგაერემონტებული, კომფორტული პალატები, ინდივიდუალური საშხაპეებით, ტელევიზორით, მეორე მხარეს — ჭუჭყიანი, გახუნებული კედლები, დამტვრეული ავეჯი და მხოლოდ ერთი საპირფარეო მთელი განყოფილებისთვის... სამშობიაროს თანამშრომელთა აზრით, საყოველთაო ვაუჩერ-



ბავშვებს ალბათ შია, მაგრამ თუ არ დაერწმუნდი, რომ ჩემი შვილია, ვერ ვაჭმევ

რომ გეცნება, ბავშვს მაშინ მოაკითხეო...

კიდევ ბევრ საინტერესო ამბავს მოვისმენდი ამ პალატაში, მაგრამ მყუდროება ისევ იმ ექთანმა დაგვირღვია და ოთახში დიდი ჩანთა ძლივს შემოიტანა. ერთ-ერთი სანოლზე მოკალათდა, ჩანთა გახსნა და გასაყიდად გამზადებული საქონელი ამოალაგა.

— აბა, გოგოებო, კარგი ლიფები, ჩუსტები, ბავშვის „ნასკები“... როგორ, არაფერი გინდათ? თუ ფული არ გაქვთ, ხვალ მოვალ, ზეგ და მერე მომეტყვი. ა, შენს შვილს აცვია „ნასკები“? — ჩააცვიდა ერთ-ერთ მელოგინეს. — მოგიკვდება გოგო, უფრედ და ჩააცვი.

ექთანმა ისე შეაშინა ახალგაზრდა ქალი, რომ ერთის ნაცვლად, ორი წყვილი წინდა აყიდვინა. ამ დროს პალატაში საკაცით კიდევ ერთი მელოგინე შემოიყვანეს. ქალის გვერდით, საკაცებზე ვარდების თაიგული იდო. ექთანმა ამის დანახვასთანავე, ჩანთა სანოლქვეშ შეატურა და პალატის ახალ წევრს ჩხუბი დაუწყო:

— სამშობიარო სახლში ყვავილების შემოტანა არ შეიძლება! გინდა, რომ ბავშვებს ალერგია დაემართოს?! მომეცი, ამ ყვავილებს მე წავიღებ, — და ექთანმა თაიგულს ხელი დაავლო.

— იქნებ, ჩემს ექიმს, ქალბატონ ეკას გაუგზავნოთ? — ძლივს ამოიღულულა ქალმა.

— ექიმს კი არა, ბავშვის ექთანს მივართმევ. ხომ გინდა, რომ შენს პატარას კარგად მოუაროს? — თქვა ექთანმა და ქალის პასუხს არც კი დალოდებია, თაიგული ოთახიდან გაიტანა. მოგვიანებით, ჩანთის წასაღებად შემოვიდა და ჩანთის ორცხობილაც ითხოვა.

ის-ის იყო, გავიფიქრე: უკვე საკმარისი ვნახე და მოვისმინე-მეთქი, რომ ფანჯრიდან მუსიკის ხმა შემომესმა. ყველა, ვისაც ფეხზე დგომა შეეძლო, ფანჯრებს მიანყდა. ეზოში დოლ-გარმონით კონცერტი გაემართათ. თურმე, ბედნიერი მამები ამ ფორმით ხშირად გამოხატავენ სიხარულს. ამ დროს კი, ქალები შინ ყოფნას ნატრობდნენ... თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, აქ ისევ დაბრუნდებიან, რომ საყვარელ მამაკაცს კიდევ ერთხელ მიანიჭონ სიხარული, თავად კი, შვილის დაბადებით გამოწვეულ ბედნიერებას ეზიარონ...

ნახო, რას დაემსგავსებო!..

— „დევეშკა“, „ა, „დევეშკა“, — თავდაპირველად ვერც მივხვდი, რომ ეს ხმა მე მომართავდა. ჩემ წინ ტანმორჩილი აზერბიჯანელი გოგო იდგა და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს იმანჭებო.

— ორი ლარი მომე, რა! — უტიფრად, პირდაპირ მთხოვა იასამინისფერ ხალათში გახვეულმა პატარა დედამ.

— რისთვის გინდა?

— ძილი მინდა და „მედესესტრამ“ მითხრა — თუ მალარიჩი იქნება, ბავშვს მე დავიტოვებო. ხვალ ჩემი დედა და მამა მოვა და ისევ მოგცემ, გეფიცები.

— ქმარი არ მოვა? — ჩავეკითხე.

— უჰ, ქმარი რუსეთშია, დავრეკე და გაიგო, რომ გოგო გავაჩინე, მამა.

სამირამ (ასე ერქვა ჩემს ახალ ნაცნობს) ისიც მიაშბო, რომ 16 წლის ასაკში გაათხოვეს სრულიად უცნობ მამაკაცზე და ქმარი წელიწადში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ თუ სტუმრობს...

დერფანში რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვასწარი, რომ ერთ-ერთი პალატიდან ქალის ხმამ მიხმო:

— ბოდიშს გისდით, რომ განუხებთ, — ახალგაზრდა შავგვრემანი ქალი სანოლიდან ოდნავ წამოინია. — დილით ვიმშობიარე და ძალიან სუსტად ვარ... ექთანმა ბავშვი შემომიყვანა, რომ ვაჭამო. კი არ შემომიყვანა, შეიძლება ითქვას, რომ კარიდან მესროლა და მას შემდეგ აღარც მინახავს. იცით, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩემი შვილი არაა...

მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რომ სანოლის კიდებზე პატარა იწვა და პერიოდულად პირს აღებდა.

— ბავშვს ალბათ შია, მაგრამ თუ არ დაერწმუნდი, რომ ჩემი შვილია, ვერ ვაჭმევ. მე ქართულად ვერ ვვითხულობ და იქნებ, ნაიკითხოთ, რა გვარი წერია მუშაშაზე.

მუშაშაზე გარკვევით ეწერა „როზაგა, ქალი“. აღმოჩნდა, რომ მელოგინე მართალი იყო — თავად რაშოიანი გახლდათ და თან, ბიჭი გაუჩნდა... ბევრი არ მიფიქრია, ბავშვი ექთანს მიუყვანე, რომელმაც ამ ამბის გაგონებაზე მხოლოდ ცალკებად ჩაიღვინა და რზაგა რაშოიანში გამოცვალა. ბავშვი დედას მიუყვანე და ის-ის იყო, წასვლას ვაპირებდი, რომ აქომინებული ექთანმა შემოვარდა და პალატის პაციენტთა მისამართით განკარგულება გასცა:

— მოკლედ, ახლა აქ ახალგაზრდა ქალი შემოვა — გაუხმეს ის ბუნუნინი თავი — და შეგვეკითხებათ, კმაყოფილი ხართ თუ არა აქ არსებული პირობებით. ეტყვი, რომ ვაუჩერის გარდა, ერთი თეთრიც არ გადაგხდიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემთან გეყენება საქმე...

რა თქმა უნდა, მელოგინებმა ყველაფერი ისე შეასრულეს, როგორც ექთანმა უბრძანა, მაგრამ ჩემთან საუბრისას აღიარეს, რომ ვაუჩერის გარდა, ფულს ექიმიც ითხოვს, ექთანიც და სანიტარიც...

— გუშინ აქ ისეთი ამბავი იყო!.. ქალს სამშობიაროდან წერდნენ და იმის გამო, რომ პედიატრს 20 ლარი ვერ გადაუხადა, შვილს არ ატანდნენ. ჩემი ყურით მოვისმინე, როგორ უთხრა ექიმმა: შენ წადი და ფული

იზაცის თავისი დადებითი მხარე აქვს. ახლა აღარავინ იპარება სამშობიაროდან, თანხის გადაუხდელობის გამო. უნინ კი, ეს თურმე ხშირად ხდებოდა: ხან თოვზე გამობმული კალათით ჩაუშვებდნენ ჩვილს სამშობიაროს მესამე სართულიდან, ხან სურსათის ჩანთით გააპარებდნენ.

პატარების ნახვა, ყველაზე დიდი სიამოვნებაა, რაც კი შეიძლება, სამშობიარო სახლში სტუმრობისას მიიღო და მეც ჩვილ ბავშვთა ოთახს მივადექი. ოთახს კარი არ ჰქონდა, ამიტომ შიგნით გაუფრთხილებლად შევედი. ზენრებში გახვეული პატარების უმეტესობას ეძინა, რამდენიმე კი ომპიანად ტიროდა. ყველაზე საინტერესო კი, ოთახის შუაგულში ხდებოდა: ექთანსა და ერთ-ერთი ჩვილის დედას ლამის ხელჩართული ბრძოლა გაემართათ.

— ქალო, შენ სამშობიაროში რა გინდა, ბაზარში უნდა იჯდე და მხესუმზირას ყიდდე! — მთელი ხმით ყვიროდა ახალგაზრდა ქალი და ექთანს თითქოსანთნის ისე ახლოს უტრიალებდა, რომ ვიფიქრე, სიტყვიერი შესლა-შემოხლა ცემა-ტყეპის გარეშე არ დამითარებოდა.

— რა ჩემი ბრალია?! — იფოფრებოდა ექთანი.

— ამ უსინდისოს დამიხედეთ, ბავშვს სანოვარათი შენ არ აჭამე? დროულად რომ არ მოვსულიყავი, ჩემი პატარა თავისივე საკვებით დაინარჩობოდა! — მელოგინე ახლა უკვე სხვა მედდას უხსნიდა საქმის ვითარებას.

...ასსოლუტურად განსხვავებული გარემო დამხვდა ფასიანი განყოფილების ბავშვთა ოთახში. იქ მოსახვედრად, რამდენიმე კარი გავიარე და შესვლის ნებართვა ექიმისგან ვითხოვე. პირველად თვალი დღენაკლული ჩვილებისკენ გაექცა. პატარა შუშის ყუთებში, რომელსაც იქ კუყვეს ეძახიან, პატარები მუცელში ყოფნის მსგავს პირობებში იმყოფებიან. თითოეულს, საკუთარი სახელის ნაცვლად, მუშაშაბის პატარა ნაჭერზე დედის გვარი, დაბადების თარიღი, თავისი ნონა და სიგრძე აწერია. სწორედ ამ ჩანაწერების კითხვით მივაგენი ჩემს ნაცნობ პატარა გოლიათს და ერთობ კურიოზული სურათის მომსწრე გახდი — სანოლში ერთგული ცოლ-ქმარივით, ერთმანეთის გვერდიგვერდ იწვნენ: ჩხეიძე (თვალში საცემი გზარტივით — 4 კილოგრამი და 500 გრამი) და მამედოვა (ორი კილოგრამი)...

ამ სამშობიაროში მნახველების შემოშვება დამკვიდრებული არ არის, ამიტომ მელოგინეები ახლობლებს ფანჯრიდან ელაპარაკებიან. ქართული ფილიმი — „არაჩვეულებრივი გამოფენა“ გამახსენდა, როდესაც ასეთი რამ მოვისმინე:

— იცი, რა შავია?! შენ გგავს. კვახივით მრგვალია, ბევრს ჭმას და კარგად სძინავს.

— ძალიან თეთრია, ცისფერი თვალები აქვს... რაც გინდა, ის დაარქვი.

ყველაზე გაბედულმა დედამ კი ჩვილი ფანჯარასთან მიიყვანა და ახლობლებს აჩვენა: „შეხედეთ ერთი, რას ჰგავსო! ამის თქმა იყო და, ექთანმა მელოგინეს ხელიდან ბავშვი გამოსტაცა: გაგიცივდება, და აი, მერე უნდა



# „უკაცრიელ ადგილზე მიმჩვენანეს... იმ ავტომობილის შიარაღიშული ოთხი ნიღბიანი დაგვხვდა...“ – წერს დაზარალებული გოგონა

გამბავებულთაგან ორი ადრე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაწვავდა

ყაჩაღური დაჯგუფება, რომლის დანაშაულთა ნუსხაში ოჯახებზე თავდასხმებსა და ავტომობილების დაყაჩაღებასთან ერთად, არასრულწლოვანი გოგონას გატაცების ფაქტიც ფიქსირდება, სასამართლოს წინაშე ოთხი კაცის შემადგენლობით წარდგა. სამართალდამცველებმა თავიდანვე ივარაუდეს, რომ დანაშაულებში გამოძიებით დაუდგენელი პირებიც მონაწილეობდნენ. კბილუბამდე შეიარაღებული ყაჩაღური ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულებს, თავიანთ ჩვენებებში დაზარალებულებიც — მათ შორის, დიდი რაოდენობით ფულის გამოძალვის მიზნით გატაცებული გოგონაც — ადასტურებენ...

ჯგუფის წევრები წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი და გამოცდილი კრიმინალები აღმოჩნდნენ. საქმის მასალებში მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები დეტალურადაა აღწერილი. მართალია, ეს ფაქტები სასამართლოში უკვე განსასჯელთა რანგში წარმდგარმა კრიმინალებმა უარყვეს, მაგრამ არსებობს მათ მიერ გამოძიებისთვის მიცემული აღიარებითი ჩვენებებიც. ჩრეკისა და ამოცნობის ოქმებიც, რაც არაერთ მძიმე დანაშაულსა და მათ ბრალეულობაზე მეტყველებს...

გამოძიების მასალების მიხედვით, დავით გაბოკიძემ (გვარები შეცვლილია) მეგობარს — გოჩა მუშუდიანს ერთ-ერთ ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის განხორციელება შესთავაზა. უთხრა, რომ ოჯახში, რომლის უფროსიც თბილისში, რამდენიმე ავტოგასამართ სადგურს ფლობდა, დიდი ქონება ინახებოდა. მუშუდიანი წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გახლდათ, მსგავს საქმეებში გამოცდილი იყო და ეს ახალი ინფორმაცია ადეკვატურად მიიღო — მეგობრის წინადადებას ის მაშინვე დათანხმდა. მუშუდიანი და გაბოკიძე „საქმისთვის“ საჭირო სხვა პირებსაც დაუკავშირდნენ, ცეცხლსასროლი იარაღი, ასევე თავდასხმისთვის აუცილებელი სხვა ნივთები მოიმარაგეს და დანაშაულის ჩადენის დროზეც მოილაპარაკეს. შეთანხმდნენ — განზრახვას ღამის საათებში მოიყვანდნენ სისრულეში.

გამოძიების მასალების მიხედვით, დანაშაულში დაუდგენელი პირებიც მონაწილეობდნენ. სწორედ ერთ-ერთი მათგანი, ვინმე ზაზა, „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომობილს გახლდათ შეიარაღებული. მუშუდიანს საფანჯარის პისტოლეტი ეჭირა ხელში, თავად გაბოკიძეს — დანა და ხელყუმბარა ჰქონდა თან. თუმცა, როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, როცა ბოროტმოქმედები წინასწარ შეთვალდებულ ადგილს მიუახლოვდნენ, გაბოკიძემ გარეთ, ეზოში მეთვალყურედ დარჩენა არჩია, მუშუდიანი და ზაზა (სავარაუდოდ, მათთან ერთად, კიდევ ერთი დაუდგენელი პირი იმყოფებოდა) კი, კორპუსში დოლაბერიძეების დასაყაჩაღებლად შეუშვა.

მუშუდიანმა და მისმა თანხლებმა პირებმა, კორპუსის მე-2 სართულის აივანზე აძრომა მოახერხეს, იქიდან დოლაბერიძეების ბინის ერთ-ერთ ოთახის კარის შუშა გატეხეს და სახლში ისე შეაღწიეს. ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირებით, მუქარითა და ძალადობით, დაზარალებულს 6 ათასამდე დოლარი და ძვირფასეულობა წაართვეს.

ბინიდან ძვირად ღირებული ტექნიკა და სხვა საოჯახო ნივთებიც გაზიდეს.

მომხდარი ფაქტის შემდეგ, დაზარალებულმა, კრიმინალური ავტორიტეტები ჩარია საქმეში. სწორედ მათი დახმარებით, მომხდარი ყაჩაღობიდან დაახლოებით ერთ თვეში, დოლაბერიძეებს მუშუდიანმა და მისმა თანამზრახველებმა წაღებული ნივთების უმეტესი ნაწილი დაუბრუნეს. ამასთანავე, გაბოკიძე და დანაშაულბერივი ჯგუფის სხვა წევრები, იმ დროს უკვე მორიგი ყაჩაღობის ჩადენაზე ფიქრობდნენ.

ამჯერად გაბოკიძე თბილისში მცხოვრებ კოვალენკოს დაუკავშირდა და დიდი რაოდენობით ფულის გამოძალვის მიზნით, არასრულწლოვანი ნათია ბახტაძის მძევლად აყვანა შესთავაზა. ბოროტმოქმედებმა იცოდნენ, რომ ბახტაძეების ოჯახი შეძლებული იყო. საჭირო ინფორმაცია შეაგროვეს, ოჯახის წევრების მიმოსვლის გრაფიკიც დააზუსტეს და გატაცების გეგმაც შეადგინეს. კოვალენკომ, თავის მხრივ, „საქმეში“ რუსეთის ფედერაციის, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში მცხოვრები 3 პირი ჩართო. თუმცა სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ დანაშაულში, გამოძიებით დაუდგენელი კრიმინალები მონაწილეობდნენ.

შეთანხმებისამებრ, არასრულწლოვანი გოგონა გაბოკიძესა და კოვალენკოს უნდა ჩაეგდოთ ხელში, ხოლო დანაშაულბერივი ჯგუფის დანარჩენი წევრები გატაცებულის გადამალვას უზრუნველყოფდნენ. შესაფერისი ადგილი მათ უკვე შერჩეული ჰქონდათ: ის ცხინვალის რეგიონში გახლდათ. გეგმის თანახმად, მას შემდეგ, რაც გატაცებულს წინასწარ შერჩეულ და მომზადებულ ადგილზე მიიყვანდნენ, ბოროტმოქმედები მის მშობლებს დაუკავშირდებოდნენ და გამოსასყიდ თანხას დაუსახელებდნენ.

საქმის მასალების მიხედვით, დანაშაულის ჩადენის მიზნით, კოვალენკომ სპეციალურად, „ნივის“ მარკის ავტომობილს შეიძინა. ამ მანქანით ის და გაბოკიძე,

ნათია ბახტაძეს სისტემატურად დაჰყვებოდნენ, უთვალთვალდნენ და დანაშაულის ჩადენისთვის შესაფერის მომენტსაც ელოდნენ.

ასეთი მომენტი მაშინ დადგა, როცა ნათია ბახტაძე, საღამოს, დაახლოებით 10-ის ნახევრისთვის მეგობართან ერთად, კორპუსის სადარბაზოდან გამოვიდა. უეცრად, მათ სიახლოვეს „ნივა“ გაჩერდა. მანქანიდან გაბოკიძე გამოვიდა და მუქარისა და და სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის გამოყენებით, გოგონა იქვე შებოჭა. შემდეგ, ის ავტომობილში ძალით ჩასვა და „ნივის“ საჭესთან მჯდომი კოვალენკო დიდი სისწაფით მოსწყდა ადგილს.

მოტაცებული გოგონა ცხინვალის რეგიონში მიიყვანეს, იქ, სადაც ჯგუფის სხვა წევრებიც ელოდებოდნენ. ბოროტმოქმედებმა გოგონა ტყეში, საგანგებოდ მონყობილ კარავში მოათავსეს. საქმის მასალების მიხედვით, გატაცებული იქ 14 დღის განმავლობაში ჰყავდათ გამოწყვდიული. მთელი ამ ხნის განმავლობაში, მძევალს ბოროტმოქმედები რიგრიგობით სდარაჯობდნენ. გარდა ამისა, გატაცებულს, უსაფრთხოების მიზნით, პერიოდულად ადგილსამყოფელსაც უცვლიდნენ.

პარალელურად, უკავშირდებოდნენ გატაცებულის მამას, რომელსაც შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ, 5 მილიონ დოლარს სთხოვდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ქალიშვილის ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდნენ.

მოლაპარაკებების პერიოდში, ბოროტმოქმედებმა გამოსასყიდ თანხის რაოდენობა მნიშვნელოვნად შეამცირეს. ბოლოს კი, დათქმულ ადგილზე მიტანილ 120 ათას დოლარსაც დაყაბულდნენ...

აღნიშნული თანხა გატაცებულის მშობლებმა დათქმულ ადგილზე — გორის რაიონის ერთ-ერთი სოფლის ტერიტორიაზე, გვიან ღამით მიიტანეს. თანხის მიღების შემდეგ, გამტაცებლებმა გოგონა ტყევიდან გაათავისუფლეს, აღებული ფული კი ერთმანეთში გაინაწილეს.

საქმის მასალებში მოცემულია ინფორმაცია იმ ცეცხლსასროლი იარაღსა და დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალაზე, რომელიც ბრალდებულებმა, სამართალდამცველების თქმით, დანაშაულბერივი საქმიანობის პერიოდში უკანონოდ შეიძინეს. ბრალდების თანახმად, მათი საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას, სხვადასხვა დროს, დაუდგენელ ვითარებაში უკანონოდ შეძენილი, სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს: „ნაგანის“ სისტემის უნომრო რევოლვერი (საბრძოლო ვაზინი), „სტარის“ მოდელის 9 მმ ნომინალური კალიბრის საფანჯრის პისტოლეტი (10 საბრძოლო ვაზინი) „ფ-1“

ტიპის ხელყუმბარა კავსულადეტონატორით, „აკმ“-ის სისტემის უნომრო ავტომატი, „რგდ-5“ ტიპის ხელყუმბარა და სხვა. გარდა ზემოთ აღნიშნული დანაშაულებისა, ყაჩაღურ ჯგუფს ბრალი დაედო იმაში, რომ წინასწარი შეთანხმებით, ავტომატებით შეიარაღებულებმა, უცხოური მარკის ავტომანქანის გატაცების და შემდეგ, ცხინვალის რეგიონში მისი რეალიზაციის მიზნით, თბილისიდან ხაშურის მიმართულებით მოძრა „ლექსუს-ზე“ თავდასხმა მოაწყვეს. მანქანას იოსებ გოგიაშვილი მართავდა. მასთან ერთად იმყოფებოდა ახალგაზრდა ქალბატონი, მძღოლის დეიდაშვილი. თავდასხმის დროს, ბოროტმოქმედებმა ქალს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში დაზიანება მიაყენეს, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა გონება დაკარგა. მძღოლი კი შეეცადა, თავდამსხმელებისთვის წინააღმდეგობა გაენია. ამით გაღიზიანებულმა, ყაჩაღური ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა — ალიევმა არ დააყოვნა და გოგიაშვილს ავტომატიდან ტყვიები დაახალა. მიღებული ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა და გოგიაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა. რაც შეეხება ბოროტმოქმედებს, ისინი ავტომანქანაში მოთავსდნენ და ცხინვალისკენ აიღეს გეზი. სამართალდამცველების თქმით, გატაცებული მანქანის ფასი 45.000 ლარს შეადგენდა. გზაში გამტაცებლებს თანამზრახველები მობილური ტელეფონით დაუკავშირდნენ და შეატყობინეს, რომ — „ლექსუს“, რომელშიც ისინი ისხდნენ, პოლიცია მისდევდა. ამის გამო, მათ მანქანა გზის პირას მიატოვეს, თავად კი მიიმალნენ.

სასამართლოს წინაშე წარმდგარი გახოკიძე, მუშკუდიანი და მათი თანამზრახველები აცხადებდნენ, რომ ბრალდების მიერ დაფიქსირებული ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. განსაკუთრებულად თავი დამნაშავედ არ ცნეს და მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა მოითხოვეს. მათ საპასუხოვად, ბრალდების მხარე გამოძიების პერიოდში მოპოვებულ მტკიცებულებებზე, ამოცნობისა და ჩხრეკის ოქმებზე, ასევე დაზარალებულთა და მონშემთა ჩვენებებზე მიუთითებდა. განსაკუთრებით ადვოკატები ყოველივე ამას აპროტესტებდნენ და აცხადებდნენ, რომ საქმეში არსებული თითქმის ყველა ოქმი გაყალბებული იყო.

„ჩხრეკა კანონის უხეში დარღვევით ჩატარდა და ის დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნას მიჩნეული“, — განაცხადა ადვოკატმა, რომლის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის — გახოკიძის ბინაში, სინამდვილეში არანაირი ცეცხლსასროლი იარაღი არ აღმოუჩინიათ. „საგამომძიებო მოქმედების დაწყებამდე, ეჭვმიტანილი დერეფანში გამოიყვანეს და ხელბოროკილი დაადეს, დედამისი კი დამსწრეთა მოსაყვანად გაგზავნეს. პოლიციელები ოთახებში, ეზოსა და სარდაფში მიმოიფანტნენ. მათ მოქმედებას არავინ აკონტროლებდა, დამსწრეები იქ მხოლოდ

ნახევარი საათის შემდეგ მივიდნენ. ოქმში მიუთითეს, თითქოს მათი თანდასწრებით, საწოლიდან ავტომატი ამოიღეს“, — აღნიშნა ადვოკატმა. მისი, ისევე როგორც დანარჩენ განსასჯელთა დამცველების აზრით, პოლიციელებმა ეჭვმიტანილთა საცხოვრებელ ბინაში იარაღი და საბრძოლო მასალა თავად ჩადეს.

ადვოკატებმა გააპროტესტეს ამოცნობის ოქმებიც. მათი თქმით, დამნაშავეს ამოცნობის პროცესი რეალურად არ ჩატარებულა. „სასამართლო სხდომაზე, გაუგებარი მიზეზით, არ დაიკითხა დაზარალებული — ნათია ბახტაძე, მაშინ, როცა მისი სასამართლოში წარმოდგენის ყველა საშუალება არ ამოწურულა“, — განაცხადა გახოკიძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა. მისი თქმით, დაზარალებულმა გოგონამ დამნაშავეების დახასიათება და ამოცნობა ვერ შეძლო.

სამიწისპიროზე მეტყველებს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მასალები. წინასწარი გამოძიების პერიოდში დაკითხული ნათია ბახტაძის თქმით, დამნაშავეების ამოცნობა შეუძლია, რადგან გამტაცებელთა სახეები კარგად დაიმახსოვრა.

„...ჩვენ პირდაპირ თეთრი „ნივა“ გარედა. ორმა მამაკაცმა ძალით ჩამსვა მანქანაში და უკაცრიელ ადგილზე მიმიყვანა. იქ ავტომატებით შეირაღებული, 4 ნიღბიანი მამაკაცი დაგვხვდა. მომთხოვეს, მამაჩემის მობილური ტელეფონის ნომერი მეკარნახა. ნომერი ჩავანერინე და ამის შემდეგ მამაჩემს ურეკავდნენ, ჩემი გათავისუფლების სანაცვლოდ ფულს სთხოვდნენ... ადგილსამყოფელს პერიოდულად ვიცვლიდით. ერთ-ერთ სოფელში მისვლისას, დავინახე სწორედ ის მამაკაცი, რომელმაც გამიტაცა. გამტაცებლებმა რამდენიმე დღეში მოიხსნეს ნიღბები და ამიტომაც, მათი სახეების დანახვა კარგად შემეძლო. მათი სახეები და აღნაგობა დღემდე კარგად მახსოვს...“

საქმის მასალებში არსებული ოქმის მიხედვით, დაზარალებულმა ნათია ბახტაძემ წარდგინდა პირთა შორის, დამსწრეთა მონაწილეობით, გახოკიძე ამოცნობა და მთელი კატეგორიულობით განაცხადა, რომ იმ საღამოს სწორედ მან გაიტაცა. სხვათა შორის, ოქმს გახოკიძის ადვოკატიც აწერს ხელს, სადაც ადასტურებს, რომ ამოცნობის პროცესს დაესწრო.

ამის შემდეგ, ნათია ბახტაძემ წარდგინდა პირები შორის კოვალენკოც ამოცნობა; მიუთითა, რომ იგი გატაცებისას ავტომანქანის საჭესთან იჯდა. ამ პროცესსაც ესწრებოდნენ, როგორც ადვოკატი, ასევე თარჯიმანი. დაზარალებულმა ზემოთ ხსენებული ორი პირის გარდა, დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებიც ამოიცნო. ხოლო რაც შეეხება სასამართლო პროცესზე დაუსწრებლობას, — არსებობს განცხადება, სადაც გოგონა და მისი მშობლები აღნიშნავენ, რომ მომხდარის შედეგად, ძლიერი ფსიქიკური სტრესი განიცადეს. ამის გამო, საქმის

მათ დაუსწრებლად განხილვა მოითხოვეს და მათ მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებებით ხელმძღვანელობა სთხოვეს სასამართლოს.

დანაშაულში მონაწილეობა უარყო კოვალენკომ. მისი ადვოკატის თქმით, კოვალენკო იძულებით მკურნალობას გადიოდა ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. საავადმყოფოდან კი დაკავებამდე რამდენიმე თვე ადრე გამოუშვეს, ზუგდიდის ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში ამბულატორიული ზედამხედველობისა და მკურნალობისთვის. „კოვალენკო გახოკიძის ჩვენების საფუძველზე დაკავებულ იქნა. დადგენილია, რომ გახოკიძე ფსიქიკურად დაავადებულია. არსებობს ოფიციალური ცნობები, რომლის თანახმადაც, ისიც ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობდა და კოვალენკო სწორედ იქ გაიცნო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლოში დაკითხვისას მან კატეგორიულად უარყო დანაშაულში კოვალენკოს მონაწილეობა. თავად კოვალენკო კი, თავი დამნაშავედ ცნო იმაში, რომ დროულად არ შეატყობინა სამართალდამცვე უწყებას არასრულწლოვანი გოგონას გატაცების თაობაზე, ამ დანაშაულის შესახებ, მან მოგვანებით შეიტყო, მაშინ, როცა გატაცება უკვე განხორციელებული იყო...“, — განაცხადა კოვალენკოს ადვოკატმა და მისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა.

სასამართლოს კი ბახოკიძემ ასეთი ჩვენება მისცა:

„... ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ვმკურნალობდი. კოვალენკო სწორედ იქ გავიცანი. როცა იქიდან გამომიშვეს, მან ცხინვალში დამპატიჟა. იქ გავიცანი ალიევიც, რომელსაც შემდეგ ხშირად ვხვდებოდი. ერთ-ერთი შეხვედრისას მითხრა, რომ ცოტა ხნის წინ, რუსეთიდან „ნივის“ მარკის თეთრი ავტომანქანით ჩამოვიდა. მაშინ შემომთავაზა ნათია ბახტაძის გატაცება...“

ოფიციალური ცნობით, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, გახოკიძე, ისევე როგორც კოვალენკო, შენარცხად პირებად ცნეს. აღნიშნეს ისიც, რომ მათ დანაშაულის ჩადენის მომენტში საკუთარი ქმედებების გაცნობიერება და გაანალიზებაც შეეძლოთ. მათ მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებებიც თანამიმდევრულად და დამაჯერებლად მიიჩნიეს. მართალია, განსასჯელთა ადვოკატები გამოძიების პერიოდში დაშვებულ უამრავ კანონდარღვევასა და აღიარებითი ჩვენებების სიყალბეზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ სასამართლომ მათი პოზიცია არ გაიზიარა. განაჩენი გამამტყუნებელი, სასჯელი კი — საკმაოდ მკაცრი აღმოჩნდა.

გახოკიძეს, 4 სხვადასხვა მუხლით ჩადენილი დანაშაულისთვის — 11 წლით, მუშკუდიანს, კოვალენკოსა და ალიევს კი, 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასჯელი მათ მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში უნდა მოხდა.

# მხიარული ცაცა დაჩანთილან ნიჟინე-პიჟინესა და პილს ზაბაძესაჟს

„ჯეობარმა“ ნერვების მოთოკვის უნარი საბოლოოდ დამაკარგვინა...“

„მამაკაცს, რომელიც ჩემ გვერდით ყოფნას მოისურვებს, მყარი მატერიალური მდგომარეობა უნდა ჰქონდეს“, — გულახდილად მითხრა „ჯეობარი 2“-ის მონაწილე ტატა ზარბანდიანი, რომელსაც უყურადღებო და უფულო მამაკაცები ნაკლებად ხიზლავს. არ უყვარს საოჯახო საქმეების კეთება, თუმცა, როცა ამას საჭიროება მოითხოვს, მაინც აკეთებს. მიიღტვის გართობისკენ, სილამაზის სალონში სიარულისკენ და საკუთარ გარეგნობაზეც ზრუნავს...

## სორო ჭონიშვილი

- ტატა, შენი ოჯახი გაგვაცანი.
- დედასთან, დასთან და დისშვილთან ერთად ვცხოვრობ. დედ-მამა გაყრილები არიან. შინ ოჯახის ნევრებთან ერთად, თავს ფანტასტიკურად ვგრძნობ.
- რამდენი წლის ხარ?
- 21-ის.
- ჰოროსკოპით რა ხარ?
- მერწყული.
- ჰოროსკოპების გვერა?
- სშირად ვკითხულობ, მაგრამ არ მჯერა.
- მოდი, ახლა შენი თავი დაგვიხსაიათე.

— საერთოდ, საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს. ის უფრო მსიამოვნებს, როცა ჩემს კარგ ან ცუდ თვისებებზე სხვები ლაპარაკობენ.

— ამ შემთხვევაში, გამონაკლისი დაუშვი და შენი დადებითი და უარყოფითი თვისებები თავადვე გაგვაცანი.

— მოდი, მაშინ უარყოფითით დავიწყებ. ფიციხი ხასიათი მაქვს და რაც „ჯეობარიდან“ გამოიწვევს, ეს თვისება კიდევ უფრო გამომძაფრდა. ამ პროექტმა ნერვების მოთოკვის უნარი საბოლოოდ დამაკარგვინა. ელემენტარული რაღაცის გამო, შეიძლება წონასწორობა დაკვარგო და მდგომარეობიდან კვიღის, ყვირილის გამოყვავარ. ამ დროს ცუდი აურისგან ვიცლები და შემდეგ, უცებ კარგ ხასიათზე ვდგები. ამასთანავე, ცოტა დებრესიულიც ვარ. თუმცა, მეგობრები ძალიან მხიარულ და ისეთ ენერგიულ ადამიანად მიმოიწვევენ, რომელიც 24 საათის განმავლობაში იცინის. მათ ვერ წარმოუდგენიათ ტატა დებრესიული მდგომარეობაში, რადგან მათთან ურთიერთობისას ამას არასოდეს ვიმჩნევ.

— დებრესიიდან რას გამოიყვარა?

— როცა დებრესიაში ვარ, სახლიდან გარეთ აღარ გაგვივარ, ოთახში ვიკეტები და ტირილს ვინწყებ. მერე, კარგად გამოვიძინებ და მეორე დღეს არაჩვეულებრივ ხასიათზე ვარ. ასე რომ, ძილი ჩემი დებრესიიდან გამოყვანის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მოდი, ჩემს კარგ თვისებებზე ვილაპარაკებ (იცინის).

— კარგა.  
— ძალიან მეგობრული და თბილი ვარ. ყველანაირ სიტუაციაში შემიძლია, ადამიანი კარგ ხასიათზე დავაყენო. მაქვს იმის ნიჭი და უნარი, რომ ჩემ ირგვლივ მხიარული ატ-

მოსფერო შევექმნა. მიმაჩნია, რომ ლამაზიც ვარ...

— საოჯახო საქმეების კეთება გეხერხება?

— მეხერხება, მაგრამ როგორც უკვე გითხარი, ზარმაცი ვარ. ისე, სისუფთავე ძალიან მიყვარს. როცა შინ მარტო ვარ, მუსიკას ბოლო ხმაზე ჩავრთავ და სახლს ცეკვა-ცეკვით ვალაგებ. მაგრამ თუ შინ ჩემ გარდა, ვინმეა, არ არსებობს, რაიმე გაგვკეთო.

— საქმლის მოზადება თუ გეხერხება?

— სამზარეულოში ტრიალი არ მიყვარს.  
— როცა გათხოვდები, შენს მეუღლეს საქმელს ვინ მოუზადებ?

— (იცინის) შევეუკვეთო და გამზადებულს მოგვართმევ.  
— კარტოფილის შეწვაც არ იცი?

— კარტოფილის და კვერცხის შეწვა ვიცი, მაკარონსაც არაჩვეულებრივად ვამზადებ, მაგრამ წვინანი კერძები და ჩახოხბილი არ გამომდის. ოჯახში საქმელს ყოველთვის დედა ამზადებს.

— გარეცხვა და გაუთოება თუ გეხერხება?

— კი, როგორ არა. გამირეცხია და გამიუთოებია კიდეც, მაგრამ რომ გითხრა, საოჯახო საქმეების კეთება დიდ სიამოვნებას მანიჭებს-მეთქი, მოგატყუებ.

— მაშინ ის მითხარო, სიამოვნებით რას აკეთებ?

— ოო... მალაზიებში, სილამაზის სალონსა და გასართობ ადგილებში სიამოვნებით დავდივარ (იცინის).

— ტყუილის თქმა გეხერხება?

— სამსუხაროდ კი, ძალიან კარგად ვიტყუები.

— ვის ატყუებ ხოლმე?

— ყველაზე მეტად დედას. ერთი პერიოდი ისე სშირად ვიტყუებოდი, დღეში ერთიორი სიცრუე რომ არ მომეფიქრებინა, თავს ცუდად ვგრძნობდი. ტყუილის თქმა ჩვევაში გადამივიდა (იცინის).

— შენი ტყუილი ვინმესთვის ზიანი მიგყენებია?

— ერთხელ, დილის 5 საათზე მეგობრებს დაფურეკე და ვუთხარი, ავარიში მოგყვამეთქი. ნახევარ საათში ეზოში გადავიხდე და 6 მანქანა იდგა, გულგახეთქილები მოცვივდნენ. ამ ტყუილის შემდეგ, კარგა ხანს აღარ მელაპარაკებოდნენ.

— შენს მავნე ჩვევად რას მიიჩნევ?

— რა ვიცი. მგონი, მავნე ჩვევა არ მაქვს



თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სიგარეტს ვწენვი. ყავას არ ვსვამ, ნარკოტიკებს არ ვუტანები.

— ალკოჰოლური სასმელები გიყვარს?

— არც ისე.

— რის გამო შეიძლება იტირო?

— როცა ნერვები მეშლება, ცრემლები ჩემდა უნებურად მომდის. მქონია ისეთი შემთხვევა, როცა კარგ ხასიათზე ვყოფილვარ და უეცრად ტირილი მომნდომებია. ამ დროს, ჩემს ოთახში შევედივარ, გემრიელად ვიტირებ და ისე გამოვდივარ, თითქოს არაფერი მომხდარა. ბევრჯერ მიკითხავს საკუთარი თავისთვის — რა მატირებდა? მაგრამ პასუხი ვერ მიპოვია.

— ტატა, როგორი მამაკაცები მოგწონს?

— პირველ რიგში, მამაკაცს გარეგნული მონაცემებით ვაფასებ. შემდეგ კი იმის მიხედვით, თუ რამდენად ყურადღებიანია. საერთოდ, „სტროგი“ მამაკაცები მომწონს ანუ იმ ადამიანის სიტყვა, რომელიც ჩემ გვერდით

იქნება, კანონი არა, მაგრამ მნიშვნელოვანი და გასაგები უნდა იყოს.

— **შენი რჩეულის მატერიალური მდგომარეობით თუ დაინტერესდები?**

— აუცილებლად. ჩემმა რჩეულმა მოთხოვნილებები უნდა დამიკმაყოფილოს.

— **მამაკაცს, რომელიც შეგიყვარდება, მოთხოვნებს თამამად ნაუყენებ?**

— რა თქმა უნდა, ყოველგვარი კომპლექსის გარეშე. თუმცა, მისგან არ მოვიტხოვოქროს კომპლექსს და მძღოლიანი ლიმუზინით მომსახურებას. მაგრამ მიმაჩნია, რომ როცა ოჯახში მყარი მატერიალური მდგომარეობა არ არის, ამ დროს სიყვარული ნელ-ნელა ფერმკრთალდება და ბოლოს, ქრება კიდევ.

— **ამჯერად, შენ გული თავისუფალია?**

— (ფიქრობს) არ ვიცი (იცინის).

— **როგორ, გიყვარს თუ არა ვინმე არ იცი?**

— ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის არსებობდა ისეთი ადამიანი, რომელზეც ვფიქრობდი, ვეჭვიანობდი.. ამჟამად ისეთი არავინ არის, ვისზეც სერიოზულად ვფიქრობ.

— **ექვიანი ხარ?**

— ავადმყოფურად ეჭვიანი არ ვარ, მაგრამ მაინც, მეგობრებზე ხშირად ეჭვიანობ.

— **საყვარელ მამაკაცზე არ ეჭვიანობ ხოლმე?**

— არა (იცინის). დარწმუნებული ვარ, რომ რადგან ის ჩემ გვერდითაა, სხვისკენ არ გაიხედავს. თუ მაინც გაიხედავს და სხვაში გამცვლის, ყველაფერი დამთავრდება.

— **რას ვერ აპატიებ საყვარელ ადამიანს?**

— ყველაფერს ვაპატიებ.

— **ლალატყავ?**

— კი. დღემდე ყველასთვის ყველაფერი მიპატივბია. საერთოდ, მიმტევებელი ვარ. წყნას გულში არასდროს ვიტოვებ და არც არასდროს ვიბოძებ. მით უმეტეს, თუ ვგრძნობ, რომ ის ადამიანი თავის დანაშაულს ინანიებს.

— **საყვარელმა მამაკაცმა რაიმე რომ აგიკრძალოს, როგორი რეაქცია გექნება?**

— თუ მიყვარს და პატივს ვცემ, მის აკრძალვას მივიღებ და გავითვალისწინებ

კიდევ.

— **რა პროფესია გაქვს?**

— კინომცოდნე ვარ.

— **როგორც ვიცი, ჯერ კიდევ სტუდენტი ხარ.**

— დიახ. მე-4 კურსზე ვარ, თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობ.

— **თუ გიფიქრია, როგორი ქორნილი უნდა გქონდეს?**

— კი, როგორ არა. ტრადიციული ქართული ქორნილი არ მინდა, ქელესის სუფრასავით რომ შლიან... თუ ოდესმე ქორნილი მექნება, დიზაინერს დავიქირავებ, რომელიც საქორნილო ინტერიერის მონაცობაზე იზრუნებს... ისე, ვოცნებობ, რომ ქორნილი მქონდეს იახტაზე, სადაც სტუმრები მხოლოდ ახალგაზრდები იქნებიან. როგორი კაბა მეცმევა, ამაზე ჯერ არ მიფიქრია.

— **თავლობის თვის გატარებას სად ისურვებდი?**

— სიამოვნებით ვიმოგზაურებდი სხვადასხვა ქვეყანაში. ერთ ქალაქში არ გაჩერდებოდი. ჩემი ოცნების ქვეყანა იტალია და ოცნების ქალაქი — პარიზი.

— **მზითვე თუ გაქვს?**

— (იცინის) თავად მზითვეი არა ვარ?.. სახლში იმდენი ბალიში გვაქვს, რამდენი ადამიანიც ვართ. ასე რომ, მეც და ჩემი დაც უმზითვო საპატარძლოები გახლავართ.

— **როცა დაქორწინებას გადაწყვეტ, შენს რჩეულთან ერთად გაიპარები თუ ტრადიციის დაცვით გათხოვდები?**

— ქართული ტრადიციული წესები არ მომწონს, ამ საქმეს ჩემს რჩეულს მივანდობ — როგორც გადაწყვეტს, ისე მოვიქცევი. ნიშნობის ბეჭედი იმდენად მიყვარს, რომ ბავშვობაში ოქროს რგოლს ვატარებდი ხოლმე. მერე დედამ მითხრა — არ შეიძლება, ბედის ჩაკეტვა იცისო და მოვიხსენი.

— **ეი. ცრუმორწმუნე ხარ?**

— არა, მაგრამ მაინც, რალაც-რალაცებს ვითვალისწინებ.

— **სიყვარულში იმედგაცრუება გქო**



თავად მზითვეი არა ვარ?..



საერთოდ, მიმტევებელი ვარ

ნა?

— კი, ბევრჯერ. პირველი იმედგაცრუება თინეიჯერობის ასაკში განვიცაადე. მეზობელი შემეყვარდა, მთელი დღეები ფანჯარასთან ვიჯექი და მას ვუყურებდი. თუ დედა შემოვიდოდა, წიგნს გადავშლიდი, ვთომ ვმეცადინებოდი. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ის ბიჭი ჩვენი ოჯახის შორეული ნათესავი ყოფილა. მას შემდეგ, სიყვარულში იმედგაცრუება მრავალჯერ მქონდა..

დიდი სურვილი მაქვს, როცა გავთხოვდები, ჩემს მეუღლესთან ერთად მარტო ვიცხოვრო, რადგან მიმაჩნია, რომ ძალიან მძიმე სასიათი მაქვს და შეიძლება, დედამთილ-მამამთილს ვერ შევეგუო. ცოლ-ქმრის ურთიერთობაში არავინ უნდა ჩაერიოს, მათ სხვებისგან დამოუკიდებლად, ერთმანეთთან შეთანხმებით უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები. და კიდევ, დედამთილს „დედას“ ვერ დავუძახებ. მგონია, რომ ეს რალაც აფერისტული ჟესტია. თან ვიცი, ჩემმა შვილმა დედამთილს „დედა“ რომ დაუძახოს, გული გამიხსდება: დედა ამქვეყნად ერთია და მას ვერავინ მეცვლის.

— **ტატა, შენ სახელზე მოსულ „ესემესებს“ თუ გაცნობი?**

— დიდი სიამოვნებით, თითოეულ მათგანს გულდასმით ნავიკითხავ.

— **რომელიმე მითგანმა შენთან შეხვედრა რომ მოინდომოს, დათანხმები?**

— (იცინის), ვნახოთ. თუ საინტერესო ადამიანი იქნება რატომაც არა?!

P.S. საკუთარ თავზე ასე გულახდილად მოსაუბრე ვერ არც „სასიძო“ მყოლია და არც „საპატარძლო“. მან თავის დადებით და უარყოფით თვისებებზე თამამად ილაპარაკა. ტატას ფანებო! „საპატარძლო“ თქვენს მესიჯებს მოუთმენლად ელის. იაქტიურეთ, გამომიგზავნეთ მესიჯები ნომერზე 8(98) 23.09.21. და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილ კითხვებსა და ტატას პასუხებს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

**სტომატოლოგიურ ულინიკაში**  
 ქართვალ სტომატოლოგიკათან  
 ერთად მოგამსახურებათ  
 უცხოელთ სპეციალისტი  
 ა. მახარაბი

მთავარობთ ახილის ათღმანან და რასხანავა-  
 სინას ჩანოვანისლი მასალანით:  
 1. CHARMAFIL-ის უნიკალური ვალიო  
 ბჭანები (ვლომბანი)  
 2. პროთუხანი მზაფუნაა ვაროვალი  
 სბანდარბანით და მათოფანით. ახილის  
 ფანჩანა (ფანლომბანი) 10 ლარიოფან.

**3. სიახლე!**  
 ავროვის უახლასი  
 მოლა - ბრილიანბის  
 თვლაბის მიმბრებაა ახილუა.

პროთუხინი: პროი 88 - 80 ლარი და 80ს ხაპოთ  
 პროსალბანია უფასოა  
 პაციანბანის მილაბა მხოლოდ  
 დინასწარი ჩანარის მამდვბ  
 ტელ.: (822) 45 03 75; 877 41 58 54; 893 27 37 81

# „ივერია“ ჩართულ ტელევიზიულ პროგრამებში

ქართული ტელევიზიებიც, შემეცნებითი პროგრამებიც, რეალური შოუც...

საქართველოში ახალი ტელევიზია — ქართული ტელეკომპანია „ივერია“ შეიქმნა, რომელსაც კულუარებში საპატრიარქოს ტელევიზიად მოიხსენიებენ. თუმცა გარკვევით ითქვამს, რომ ეს არ იქნება საპატრიარქოს ტელევიზია — უბრალოდ, ყველაფერი საპატრიარქოს პატრონაჟით ხორციელდებაო, — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას „ივერიის“ ხელმძღვანელმა გიორგი ანდრიაძემ. ეს იქნება სრული მნიშვნელობით საზოგადოებრივი ტიპის ტელევიზია, სადაც სხვა შემეცნებითი გადაცემებთან ერთად, რელიგიურ თემატიკასაც დაეთმობა დრო. მაუნყებლობა, ალბათ, გაზაფხულზე დაიწყება, დანერგვით კი, მის მიმართულებებსა და მიზნებზე ბატონი გიორგი ანდრიაძისგან შევიტყობთ.



## ირმა ხარშილაძე

— ნიშა, რომელსაც ჩვენ დავიკავებთ, ცარიელია ქართულ ტელევიზორებში, ვინაიდან, დღეს არსებული ტელევიზიები ორიენტირებულია არიან პოლიტიკურ-საინფორმაციო მიმართულებებზე და დახარჩენი დრო შევსებულია გასართობი შოუებითა და უცხოური ტელესერიებებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნებისმიერ ქვეყანაში არის შემეცნებითი პროგრამები, დაახლოებით ისეთი, როგორცაა Discovery ან History National Geography და ა.შ ვცდილობთ, მსგავსი რამ ჩამოვყალიბოთ — ეს ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იქნება. მეორე მიმართულება ახლავს კონკურენტის გარეშე იქნება ქართულ ტელეზაზარზე: მოვამზადებთ გადაცემებს ისტორიულად არსებული ქართული დიასპორისთვის და ცოტა ხნის წინ საქართველოდან წასული ჩვენი მოსახლეობისთვის, რათა მათ არ დაკარგონ კავშირი ქართულ სამყაროსთან და საერთოდაც, საერთაშორისო დონეზე წარმოჩინდეს ქართული კულტურა, ეთნოგრაფია და ა.შ. მესამე მთავარი მიმართულება კი, იქნება ახალგაზრდული, გასართობი, მსოფლიოში მიღებული რეალური შოუებით, რომელიც რამდენიმე ქართულმა არხმაც განახორციელა. თუმცა მათი შინაარსი, მესიჯები, რომელსაც ის შოუები სთავაზობენ ჩვენს საზოგადოებას, სრულიად მიუღებელია როგორც ჩვენთვის, ასევე, ვფიქრობთ, ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილისთვისაც. ჩვენ შევთავაზებთ ფორმით მსგავსს, მაგრამ შინაარსობრივად სრულიად განსხვავებულს, დაფუძნებულს ქართულ ტრადიციებზე, მეგობრობაზე, ერთობაზე, ერთმანეთის გატანაზე, თანადგომაზე და ა.შ.



ნიშა, რომელსაც ჩვენ დავიკავებთ, ცარიელია ქართულ ტელევიზორებში

— ანუ ამ თვალსაზრისით, არსებულის ანტიპოდს?

— ყველას ვუბნებით ღიად და ნათლად, რომ ეს არის მთავარი მესიჯი. ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ მი-

მართულებას უხელმძღვანელებს კარგად ცნობილი და ნიჭიერი რეჟისორი ბასა ფოცხიშვილი, თავის მეგობარ რეჟისორებთან ერთად. მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ამ დასხვა მიმართულებასაც მალაპროფესიონალურ დონეზე შევთავაზებთ საზოგადოებას.

— დღეს ახალგაზრდობას, ენ. თინეიჯერებს, ის რეალური შოუები იტაცებს, რომელსაც თქვენ გულისხმობთ, ასაკოვანი მაყურებელი „საპრინსიპლებით“ იტაცებს თავს — ამას მიეწინააღმდეგება, მიიღებს და ამ დროს ჩნდება ალტერნატიული არხი, რომელიც მათ სულიერებაზე ორიენტირებულ პროდუქციას სთავაზობს. როგორ ფიქრობთ, ადვილად მიიღებს თქვენს პროექტებს მაყურებელთა დიდი ნაწილი?

— რაც თქვენ ბრძანებთ — მიიღებს და მიეწინააღმდეგება, — კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით. არა მარტო ჩემს მოსაზრებას გაუბნებთ — უკვე არსებული რეიტინგების გადასხედვას შემოგთავაზებთ. ტელევიზიები დღესაც სარგებლობენ ამ რეიტინგებით და მე რამდენჯერმე განმიცხადებია, ჩვენი ტელევიზიის შექმნამდე, რომ არსებულმა რეალურმა შოუებმა მარცხი, კრახი განიცადა იმიტომ, რომ მხარდაჭერი და მაყურებელი 15%-ზე მეტი არ ჰყოლია არასდროს. მაყურებელი, ჯერ ერთი, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამით საზრდოობს ან ეს ღირებულებები მისთვის ძვირფასია. იყო პერიოდი და ალბათ ახლაც არის, რომ ახალგაზრდები უყურებენ გარკვეულ ფილმებს, რომლებიც შეიძლება ითქვას, მალაპროფესიონობით არ გამოირჩევიან, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ როგორც იმ ფილმებშია ნაჩვენები, ისე აპირებენ ცხოვრებას. მეორეც, იმ პროდუქციას ალტერნატივა არა აქვს და როცა გაუჩნდება, თუ მათზე მეტი მაყურებელი არ გვეყოლება, მაშინ შეიძლება, ეს პრობლემად წარმოგვიჩინოს. მჯერა, ასე ნამდვილად არ მოხდება, ვინაიდან ის, რაც იმ შოუებში იყო წარმოდგენილი, ჩემი აზრით, ძალიან დაბალგემოვნებიანი იყო და არც საზოგადოების, კულტურის სფეროს წარმომადგენლებისა და თუ პროფესიონალების დიდი მხარდაჭერა ჰქონია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი აქტიურად ჩაერთვებოდნენ მათ მომზადებაში. გინდაც, სალონების თუ კულუარული საუბრების თემა გახდებოდა ეს შოუები და მასში მონაწილე პირები გახდებოდნენ გმირები და კერპები. მსგა-


ესი არაფერი მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ ისტერიკულად პიარდებოდნენ კონკრეტული პირები. პირიქითაც მოხდა და ამან დადებითი როლი შეასრულა: საზოგადოებას უფრო მოენატრა ის, რის წარმთქვევასაც ამ შოუებით უპირებდნენ. ამიტომ ჩვენს ხალხს რასაც შევთავაზებთ, მგონია, მისაღებიც იქნება მათთვის და საინტერესოც.

— თუ გადავხედავთ ქართულ მასმედია, მეტ-ნაკლებად ყველგან ნაფან-ყდებით მდარე პროდუქციას, რომელიც ჩართულია ღირებულში, ფასეულში, იმისთვის, რომ მასამ ნაიკითხოთ, მოისმინოს, უყუროს — ანუ ეს სროკით არის. კარგია, თუ ასეთი სროკები არ დასჭირდება თქვენს ტელევიზიას და ის მივა მაყურებელამდე.

— საბჭოთა კავშირის დროს ჩაკეტილი იყო სამყარო, მისი დაშლის შემდეგ კი გაიხსნა, მაგრამ საზოგადოების ნაწილისთვის კვლავ ჩაკეტილი დარჩა და რაც ხდება, ვთქვათ, იქ, ცივილიზებულ ქვეყნებში, ამას ზოგიერთი ისევ ტელევიზიის საშუალებით უყურებს. ტელევიზიები კი ამას არაობიექტურად წარმოაჩენენ. ყველაფერი არის ყველგან: სხვადასხვა დონის გადაცემა, კაფეები, ჩაცმის სტილი და გემოვნება და ყველას ჰყავს თავისი მომხმარებელი.

— იქ არჩევანს მომხმარებელი აკეთებს...

— დიახ, აქ კი ჩვენი ტელევიზიები მათი პროდუქციიდან რატომღაც უფრო მდარეს გთავაზობენ. თუმცა, ყველა არსზე ამას ვერ ვიტყვი. ვისარგებლებ შემთხვევით და მალაპროფესიონალი ტელეკომპანიები — „მზეს“ და „იმედს“ თანადგომისთვის, — ძალიან კარგია, როცა პირველ ნაბიჯებს დგამ და კოლეგები ხელს გამოგიწვდიან.



ჩვენს ხალხს რასაც შევთავაზებთ, მგონია, მისაღებიც იქნება მათთვის და საინტერესოც

ლალი შანია

კარგად მოგესხენებათ, რომ ერთი თვის წინ, თბილისში მოსკოვიდან ჩამოსული იყო აჩი ფურცელაძე, რომელიც სულ მალე ისევ უკან გაბრუნდა (როგორც გვითხრა, იქ უამრავი საქმე წამოუწყია და დიდი გეგმებიც აქვს). აჩის, თბილისში ყოფნას, მის ყოფილ მეუღლესთან, თამუნა მუსერიძესთან ერთად, რომელიც ტელეკომპანია „სტერეოს“ სახეა, რეჟისორმა ზაზა სვანიძემ კლიპი გადაუღო. მას აჩისა და თამუნას პირადი ცხოვრება (წველის გაცნობის, დაქორწინებისა და შემდეგ, გაყრის ეპიზოდები) დაედო საფუძვლად. ეს ინტერვიუც კლიპზე მუშაობისას ჩაინერა.

საჯარო და პირისპირ საუბარი ყოფილი მეუღლეებისთვის მაინცდამაინც სასიამოვნო არ აღმოჩნდა, თუმცა ისინი სომ თანამედროვე ცივილიზებული ადამიანები არიან და გაყრის შემდეგ ერთმანეთთან მისასვლელი გზები ბოლომდე არ მოუჭრიათ, მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნეს.

ქრნალისტი — აჩი შურსელაძე რუსკონენტი — თამუნა მუსერიძე

— თამუნა, გახსოვს, რამდენი ხანია, რაც ერთმანეთს დავცილდით? — ზუსტად 2 წელია. თეატრალში მოხდა ეს ამბავი.

— ამ 2 წლის განმავლობაში რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში? იმის გარდა, რომ გახდი პოპულარული, რაშიც გარკვეულწილად, მეც მიმიძღვის წვლილი?

— რა წვლილი მიგიძღვის? — შენი სელმლეგანელები მადლობას მისხდიან იმისთვის, რომ ტელევიზიაში მუშაობ.


— გამოდის, რომ ტელევიზიაში შენ მიმიყვანე?..

— დიახ. იქ მარტო მისვლა არ გინდოდა და მიგყევი, ყურადღება მიაქციეთ-მეთქი, — ვუთხარი. აჩი ფურცელაძის ექსცლოზა, ჩემი სახელი წაგადგა. თუმცა, არ გეგონოს, რაიმეს გამადლიდე. შენი წარმატებები მახარებს. საქმისთვის თავი რომ ვერ გავერთმია, ჩემი სირცხვილი იქნებოდა.

— ე.ი. ყველაფერი შენ ყოფილხარ. — თუ არ აღიარებ იმას, რომ შენთვის ყოველთვის „ტრამპლინი“ ვიყავი, ძალიან ცდები. ჩემი სახელი შენ რომ ყველგან, თან „ჯიგრულად“ დაგყვება, ვიმეორებ — მსიამოვნებს, მახარებს; ახლა დროა, ამ ჩრდილიდან ნელ-ნელა გამოხვიდე.

— უკვე გამოვედი. — დიდხანს განუხებდა ჩემი ჩრდილი. მას შენთვის რაიმე ლაქა

რასომ იაჭვიანა თამუნა მუსერიძის უაყარაზება მის ყოფილ ქარაზა



„ომონაღაღაჲ სქასის მიართ გავაიხი...“ „ართანათის ცხოვრებაჲ ვარ გავაიხი...“

სომ არ მოუცხია? — სერიოზული პრობლემა არ შეუქმნია, თუმცა 6 თვის განმავლობაში სულ თან დამყვებოდა ფრაზა — აჩი ფურცელაძის ექსცოლი. ჟურნალებში თამუნა მუსერიძედ კი არ მომიხსენიებდნენ, არამედ ფურცელაძის ყოფილ მეუღლედ.

— ამ გადასახედიდან, რას ფიქრობ — როგორი ნაბიჯები იყო ჩვენი „შეყრა“ თუ გაყრა?

— მგონი, არც ერთი იყო მართებული და არც მეორე. „შეყრაც“ ნაჩქარევი და ნაადრევი იყო გაყრაც. ერთმანეთს რაღაც სისულელებზე აყვევით და დავცილდით. ადრე თუ გვიან, ეს მაინც მოხდებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც ავჩქარდით.

— თუმცაღა, ჩვენს გაყრას არანაირი სკანდალი, სმაური არ მოჰყოლია. ღვთის წყალობით, ორივე ნორმალური ადამიანი აღმოვჩნდით. შენთან სახლში ჩემი სახელი და გვარი სშირად მოიხსენიება?

— ისე სშირად აღარ, როგორც ადრე...

— ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავს დედაშენი, ქალბატონი მარინა — ჩემი ექსსიდედრი, რას იტყვის?

— არაფერს. იცის, რომ მე და შენ ვმეგობრობთ.

— რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?

— განსაკუთრებული არაფერი. ალბათ ვერ შეგვიადის ისეთ ადამიანს, რომელიც ბოლომდე გამიგებს.

— მე ვიყავი ასეთი?

— კი... რამდენიმე დღის წინ, ჩემს გადაცემაში რომ მოგიწვიე, ადამიანმა, რომელთანაც ვმეგობრობ, იეჭვიანა და გადაწყვიტა, ჩემთან ურთიერთობა გაენყვიტა.

— სირცხვილი მას! მე ის ცოტა სხვანაირად მოაზროვნე მეგონა. ეს შენს მიწუსზეც სომ არ შეტყვევებს? რატომ გამოიწვია ამხელა აჟიოტაჟი?

— ალბათ, იმის ბრალია, რომ ურთიერთობა ახალი დაწყებული გვაქვს.

— ეს თქვენი პრობლემაა. მე საფრთხე არასდროს არავისთვის ვყოფილვარ და არც ვიქნები. ეს არამყარი და არაჯანსაღი დამოკიდებულებაა. შენთან თუ მლანძღავს ვინმე?

— ვერა. — იმიტომ, რომ შენ ამის უფლებას არ აძლევ?

— დიახ. იცინ — რაიმე რომ თქვან, ცუდ დღეში გაყერი და შენზე ლაპარაკს ვერ ბედავენ.

— კარგი. ახლა ის მითხარი, რით მიგიზიდე და „განგიზიდე“?

— ყურადღებით და სითბოთი მიმიზიდე.

— ე.ი. ასეთმა ადამიანმა შეიძლება, შენი გული დაიპყროს?

— დიახ(!). — თამუნა, არ გაცივდი?

— მოწინააღმდეგე სქესის მიმართ ძალიან ვარ გაცივებული.

— ე.ი. ჩემნაირი ტიპი ველარნახე, არა?.. ისე, „მეძებდი“?

— შენნაირს არ ვძებდი, მაგრამ...

ინფორმაციულ-შეხვედრებითი კოლაჟი

ეოსი ღვალის უბის წიგნაკრები:

1. კლარა ნოვიკოვა ჩიბუხს ეწევა.
2. კამიკაძეებს არც ერთი ავიამზიდი არ ჩაუძირავთ.
3. რვაფეხას თავი არ იჭმება. ჭამენ მხოლოდ ფეხებს.
4. აფრიკელ ბუმენებს, ინდიელებს მსგავსად, წვერი არ ეზრდებათ.
5. მოსკოვში მდებარე „რომენი“ ერთადერთი ბოშათა თეატრია მსოფლიოში.
6. საერთაშორისო სამართალში ზარალის ანაზღაურებას ინდემნიტეტი ჰქვია.
7. მაღაზიებში ქალები ოთხჯერ უფრო ხშირად ქურდობენ, ვიდრე მამაკაცები.
8. „ინიციატივა ტრახაუტ ინიციატორა“, — ამბობენ რუსეთის არმიის ჯარისკაცები.
9. რაიმე გარიგებაში შუამავლობისთვის მაკლერის გასამრჯელოს, კურტაჟი ეწოდება.
10. ნეანდერტალელს თანამედროვე ადამიანზე 13%-ით უფრო დიდი ტვინი ჰქონდა.
11. ორთქლზე მავალი პირველი ხომალდი, „შარლოტა დანტესი“ შოტლანდიელებმა ააგეს.
12. ინგლისის მეფეს, რიჩარდ I-ს პალესტინაში, ციხესიმაგრე აკრას ალების შემდეგ შეარქვეს ლომგული.
13. კარდინალი რიშელიე ხელს უწყობდა ფრანგების კოლონიზაციას კანადაში, ანტილის კუნძულებზე, სან-დომინგოში, სენეგალსა და მადაგასკარზე.
14. უწყლო ადგილებში გარეული ტახი არ ბინადრობს. ეს ცხოველი ვერ ძლებს იქ, სადაც არ შეუძლია ბანაობა და ტალახში ამოგანგვლა.
15. დედამიწაზე არსებული მწერების ერთი მესამედი ამაზონიაში ბინადრობს. მათი ნაირსახეობები იმდენად მრავალფეროვანია, რომ უმრავლესობას სახელიც კი არა აქვს.
16. საამქროში, სადაც დაჯავშნული მინები მზადდება, მტვრის ნასახიც კი არ უნდა იყოს. დამზადების პროცესში უმცირესი ლაქაც კი ასუსტებს მის გამძლეობას.



17. მგლებს საუცხოო ყნოსვა აქვთ. საკმარისია, ერთი მოლეკულა ჰაერის კვადრილიონ მოლეკულაზე, რომ მგელმა

თავდასხმის ობიექტი განსაზღვროს.  
18. „უჟიკა ზა ვნუჩკუ, ვნუჩკა ზა ბაბკუ, ბაბკა ზა დედკუ, დედკა ზა რეპკუ... ი ნიკტო ნი ზა შტო ნე ატვეჩაეტ“, — აღშფოთებას გამოთქვამს მიხაილ ჟანეცკი.

— რატომ გაცივდი? ადამიანზე გულს ადვილად იყრი?

— ძალიან ადვილად და თან, პრეტენზიულიც გავხდი.

— ეს ჩემი ბრალი არ არის.

— ვიცი. ეტყობა, იდეალს ვეძებ. სიტუაციამ მოიტანა, რომ საკუთარ თავს უფრო მეტად ვაფასებ.

— ეი. გგონია, რომ ამას იმსახურებ?

— კი!

— რატომ?

— ვიცი, რომ ვიმსახურებ იმაზე მეტს, ვიდრე მაქვს. მაქსიმალისტი გავხდი.

— მაქსიმალისტობა მაინცდამაინც კარგი არ არის... მე თუ განსენდები ხოლმე?

— შენ მაშინ მახსენდები, როდესაც რაღაც წინააღმდეგობას ვაწყდები. მერე გირეკავ, აზრს გეკითხები. შენც რჩევას მაძლევ ხოლმე. მე არ გიჯერებ. დრო რომ გადის, ვხვდები, რომ მართალი იყავი, მახსენდები და ჩემს თავზე ნერვები მეშლება.

— მოსკოვში გამგზავრების წინ, რას მეტყვი?

— მშვიდობიან მგზავრობას გისურვებ. იქ, სადაც ხარ, დაეფასებინოთ შენი საქმიანობა.

— „ცხოვრებისეულად“ რას მიჩნევ?

— გისურვებ ისეთ ადამიანთან შეხვედრას, რომელიც ბოლომდე გაგიგებს, მე ვერ გაგიგე...

— ჩემში სირთულე რა იყო?

— ბევრს გასცემ და სანაცვლოდ არაფერს იღებ.

— მომთხოვნი რომ არ ვარ, ეს დანაშაულია?!

— უბრალოდ, მეტისმეტად მალე შეისწავლი ხოლმე ადამიანს და მასთან ურთიერთობა აღარ გაინტერესებს.

— იმიტომ, რომ მისგან „ატდაჩა“ არ მაქვს. უკან ნახევარსაც კი ვერ ვიღებ.

— ამიტომ შენნაირი უნდა იბოვო...


ქურალისტი — თამუნა მუსხრიძე რუსოწინაში — აჩი უსრსელაძე

— გარდა იმისა, რომ მოსკოვში ცხოვრობ და მუშაობ, კიდევ რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც ერთად აღარ ვართ?

— არაფერი შეცვლილა, ისეთივე ვარ, როგორც ვიყავი, ცოტათი დავესერიოზულდი. ისე, შენთვის არ მიკითხავს — ერთმანეთს რომ გავეყარეთ, გული არ დაგწყდა?

— შენ?

— რა თქმა უნდა, გული დამწყდა, იყო რაღაც მომენტები, როდესაც განვიცადე. მერე, „მეორე ტალღაც“ გვეკონდა — შერიგება ვცადეთ, მაგრამ არც ეს გამოგვივიდა. მუდმივად მივიღტვოდი იმისკენ, რომ ოჯახი მქონოდა —



სამეგობროდ არაჩვეულებრივი გოგო ხარ და ამიტომაც დავრჩით მეგობრებად

ცოლი, შვილები, მაგრამ ის, რის წარმოსახვასაც მანამდე ვცდილობდი, დაიმსხვრა. არადა, მართლმე ხომ ვერ დაგხატავდი ჩემს ცხოვრებას, მას მეორე ნახევარი, თანავტორიც სჭირდებოდა. ასე რომ, ჩვენ ერთმანეთის ცხოვრებაში ვერ „გავეჩაეთ“, ვერ მოვნახეთ საჭირო ფერები, რომლებიც „ტილოს“ შეავსებდა. ამიტომაც დარჩა „ტილო“ ფერების გარეშე...

— ჩემამდე არაერთი შეყვარებული გყავდა. რატომ ამირჩიე შენს მეორე ნახევარზე?

— რა ძალა მადგა, არ ვიცი. ისე, ამ კითხვას დღემდე ვერ გავეცი პასუხი და კარგიც არის, რომ პასუხს ვერ ვცემ. როდესაც შეგიძლია ახსნა, ადამიანი რატომ გიყვარს, ეს იმას ნიშნავს, რომ არ გიყვარს. ერთად ყოფნა მოვიწოდოეთ, ავჩქარდით, მონადინებული ვიყავით, მაგრამ არ გამოგვივიდა.

— შენ ჩემს მერე კიდევ გყავდა შეყვარებულები, მაგრამ დღეს არც ერთთან არ ხარ. ურთიერთობა არ აგენყო?

— მიუხედავად იმისა, რომ ადვილად შესაგუებელი ადამიანი ვარ, ადაპტაციის პერიოდს მარტივად გავდივარ, მაინც არავინ მყავს დღეს ძველი შეყვარებულებიდან გვერდით. ალბათ გარკვეულწილად, ისიც მბოჭავდა, რომ მატერი-ალურად გამართული არ ვიყავი. არა მარტო მე, ეს ბევრს ბოჭავს.

— როგორც პროფესიონალი, „სტერეოზე“ ჩემს საქმიანობას როგორ შეაფასებ?

— ჩვენ ერთმანეთი სიყვარულის დღეს, 14 თებერვალს გავიცანით. შენ მაშინ არხზე მუშაობდი, გადაცემა „სტუდენტური“ მიგყავდა. ჩემთან მოხვედი და ინტერვიუ აიღე. იმ პერიოდში გაგიცანი. თუმცა, მაშინ არ შემიმჩნევია ის პატარა-პატარა ნიუანსები, რომლებიც

დღემდე არ მომწონს შენში. მაგალითად, სწრაფი ლაპარაკი. იმის მერე ერთად ვმუშაობდით რადიოში. როდესაც მე იქ „ღამურების გადაფრენა“ მიმყავდა, შენ იჯექი და SMS შეტყობინებებს კითხულობდი. მაშინ დიდი გამოცდილება მიიღე. რაც შეეხება შენს საქმიანობას „სტერეოში“, ვიტყვი, რომ თვითონ ამ არხის ფორმატი, სტილისტიკა არ მომწონს. შენ ცოტათი მეტი შეგიძლია, ვიდრე იქ იმ ფორმატში აკეთებ. გარეგნულად მშვენიერი გოგო ხარ, ბევრმა დაიკვირნოს შენაირი გარეგნობა, მაგრამ SMS-ების კითხვით წინ ვერ წახვალ. შენი შესაძლებლობები უფრო მეტის გაკეთებას „ითხოვს“, მაგრამ ამას იმ ტელევიზიის ფორმატი არ გაძლევს. ეს საერთოდ, ზოგადად, დღევანდელი ტელევიზიის სატიკავარია.

**რა მოგიტანა ჩემმა გაცნობამ?**

— პროფესიული თვალსაზრისით, არაფერი. შენს სულიერ სამყაროს რომ არ გაცნობოდი, ის ერთი ლამაზი წელი, რომელიც მქონდა, არ მექნებოდა. გახსოვს, როდესაც ვმორდებოდი, გითხარია — საკოცნელი პირი საფურთხეებლად არ უნდა ვაქციოთ-მეთქი, — და დავცილდით ერთმანეთს. სამეგობროდ არაჩვეულებრივი გოგო ხარ და ამიტომაც დავრჩით მეგობრებად. ბევრისთვის ასეთი ურთიერთობა მიუღებელია. უკვირთ ხოლმე. ჩაგხუტები კიდევ და გაკოცებ, მერე რა მოხდა?!

**ვიცი, რომ იქ, სადაც ხარ, გყავს მეგობარი ქალი, ეროვნებით რუსი, რომელიც ასაკით შენზე უფროსია...**

— ის ასაკით ჩემზე ბევრად დიდი ნამდვილად არ არის. 7 წლით უფროსი

გახლავს, რასაც ჩვეულებრივად ვეგუებ. საერთოდ, ბავშვობიდანვე მქონდა მიდრეკილება ასაკით ჩემზე უფროს გოგონებთან ურთიერთობისკენ. ჩემი განვითარების დონიდან გამომდინარე, მათთან კონტაქტი მეადვილებოდა. ქალი, რომელზეც საუბარი დავიწყეთ, განათლებული, ნაკითხი და კარგი ადამიანია.

**მის ცოლად მოყვანას ხომ არ აპირებ?**

— თუ იმ დასკვნამდე მივდი, რომ ეს ის ადამიანია, რომელთანაც თავისუფლად, გახსნილად ვიქნები და ნოტებით ლაპარაკი არ მომიწევს, მაშინ, შეიძლება ამაზე ვიფიქრო... ჩვეულებრივი ადამიანია, რომელსაც აქვს თავისი კომპლექსები, სურვილები, თან ცოტათი მიახლოებულია ქართველთან, რადგან შორეულ სანათესავოში ქართველი ჰყავდა. მისი წინაპრები ბათუმიდან იყვნენ.

**კარგი. მე რას მისურვებ? ჩემ გვერდით როგორ ადამიანს წარმოიდგენ?**

— არ ვიცი... თავისუფლად მოაზროვნეს, კომპლექსები არ უნდა აწუხებდეს, მასზე ხალხის აზრს სერიოზული გავლენა არ უნდა ჰქონდეს. შენც უნდა იცოდე, რომ ქალი ხარ და გვერდით გყავს მამაკაცი, რომელსაც დაეყრდნობი. სუსტ ქალად უნდა გრძნობდე თავს, რომელსაც მოეფერებიან და მოესიყვარულებიან.

**შენს ნაკლად იმას მივიჩნევ, რომ „ბაბნიკი“ ხარ...**

— ეს ადრე იყო, რაც შენ არ შეგებია.

**არასდროს აღიარებ შენს დანაშაულს...**


— თუმცა საქმე მაინც ისე მიმყავდა, რომ შენვე აღიარებდი — მართალი ვიყავი.

**დემაგოგი ხარ.**

— კარგი, ასე იყოს.

**ხანდახან სხვების აზრით უნდა გაითვალისწინო, პატივი სცე.**

— თუკი საზოგადოება ადეკვატურად არ არის ჩემ მიმართ განწყობილი, მის აზრს ვერ გავითვალისწინებ, არ მაინტერესებს, რას ფიქრობს... სულ ბოლოს, მინდა გისურვო მშვიდი ცხოვრება. მოეშვი ამდენ აზელილ და ათქვეფილ ურთიერთობებს. ვერასდროს მაჯობებ ხალხის გამოცნობაში, არც მინდა, რომ მაჯობო. გირჩევ, გყავდეს შენი ვიწრო წრე, რომელშიც კარგად იქნები. მუდმივად ეს პრობლემა გქონდა, გამოდიხარ ყოველთვის სხვების დამხმარე, მფარველი და მერე ამ ყველაფრის გამო გული გტკივა. დანებე თავი ალტრუისტობას და შენს ცხოვრებას მიხედე!..



ანტი: გარეგნულად მშვენიერი გოგო ხარ, ბევრმა დაიკვირნოს შენაირი გარეგნობა

თამუნა: ხანდახან სხვების აზრით უნდა გაითვალისწინო, პატივი სცე

**ინფორმაციულ-შეახსენებითი კოლაჟი**

**ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:**

19. პირველი მიკროტალღური ღუმელი სარეალიზაციო ქსელში 60 წლის წინ გამოჩნდა. დღევანდელი ღუმელების წინამორბედი, ადამიანის სიმაღლის იყო და 300 კგ-მდე იწონის.

20. ალბებში მომუშავე ადამიანები თან ატარებენ მცირე ზომის ლოკატორს, რომელიც გამუდმებით გადმოსცემს სიგნალს. ზვავში ჩამარხვის შემთხვევაში, ეს აპარატი საშუალებას აძლევს მამულელებს, დროულად აღმოაჩინონ დაზარალებული. ასეთ დროს, მამულეობა ოპერატიულობა გადამწყვეტ როლს თამაშობს დაზარალებულთა გადარჩენაში, რადგან ზვავში დამარხული ადამიანი 15 წუთზე მეტხანს ვერ ცოცხლობს.



21. სანამ ჯიმ კერის გაწყვეტა ცოლად, რენე ზელვეგერი რჩევის საკითხავად, მკითხავთან მივიდა. ჯიმ კერიმ მოასწროდა ეს მკითხავი მოისყიდა, ამ უკანასკნელმა კი რენეს მომავალი მეუღლის ინიციალები — ჯ.კ. გაუმხილა. ეს ქორწინება ბოლოს და ბოლოს, მანც არ შედგა. მოგვიანებით, ზელვეგერი ჯორჯ კლუნის გაწყვეტა ცოლად, რომლის ინიციალებიც ჯიმ კერის ინიციალებს ემთხვეოდა.

22. 1999 წელს ლატვიაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები, რომლებშიც რაიმონდ პაულსი იყრიდა კენჭს, კომპოზიტორის სრული მარცხით დასრულდა.

23. ჟურნალის მკითხველს მიხაილ ზადორნოვის კოლექციის კიდევ ერთი მშვენიერა მინდა შევთავაზო. ამონაწერი ავტომობილ „ოკას“ ტექსასპორტიდან: „ვენტილაცია სალონა ოსუსეტელიაეტსა ზა სჩოტ ესტესტვენნიხ შჩელეი ი ზაზოროვ“.

24. პრუსიის მეფეს, ფრიდრიხ დიდს პარიკის ტარებაზე გადასახადი ჰქონდა შემოღებული. მისი მმართველობისას, ჩინოვნიკები ურჩი გადამხდელს პირდაპირ ქუჩაში ხდიდნენ თავიდან პარიკებს.

25. ჩერჩილს ძალიან უყვარდა ცხოველები. ყველა ინგლისელისთვის იყო ცნობილი, თუ რა მზრუნველობით უყლიდა იგი თავის წითურ პუდელს რუფუსს. ხანდაზმულ ასაკში ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრი საათობით იჯდა აკვარიუმთან, რომელშიც ტროპიკული თევზები დაცურავდნენ. ერთხელ იგი დიდხანს აკვირდებოდა, თუ როგორ დივილივება წყალში ულამაზესი, შავი გუპია და ბოლოს აღტაცებულმა შესძახა: „მე შენ ძალიან მიყვარხარ, ძვირფასო! შენთან სიყვარულით დაკავადებოდი, რომ ვიცოდე, როგორ!“



3 წლის წინ, როცა თმა ქერად შევიღებე აღმოჩნდა რომ წარები ცოცხა დათხლებას მოითხოვდა...

სლოტო ჭონიძევილი

— ანი, თუ გახსოვს, გაპრანჭვა და კეკლუცობა რა ასაკიდან დაიწყო? — დედა იხსენებს, რომ თურმე, 2 წლის ასაკში, როცა „გარშოკზე“ მსვამდა, სარკესთან მივჩოჩდებოდი და ვიპრანჭებოდი. კეკლუცობა კი სკოლის პერიოდში დავიწყე, როცა ჩემი კლასელი ბიჭი მომეწონა. — მაშინ რომელ კლასში იყავი? — როგორც მახსოვს, მე-3 კლასში... არა, არა... გამახსენდა, მანამდეც მომწონდა ერთი ბიჭი, რომელიც ჩემზე 7 წლით უფროსი იყო. ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ რატომღაც, სულ მეუბნებოდა, ბავშვი ხარო და ეს ძალიან მწყინდა, რადგან ვფიქრობდი, რომ დიდი გოგო ვიყავი... ახლა, როცა იმდროინდელ

მომიბვლელი და ელევანტური ანი გიუნტარი, საზოგადოებამ ტელესერიალ „მუსკულებიდან“ გაიცნო, სადაც როგორც თვითონ ამბობს, ქარაფშუტა და გულუბრყვილო გოგონას როლს თამაშობდა. იქიდან მოყოლებული დღემდე (დღეს ხომ „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემის „კოსმო გოგონაა“), ძალიან ბევრჯერ მოუხდა იმიჯის შეცვლა. როგორ იყო ის თინეიჯერობის პერიოდში? როგორ ზრუნავს საკუთარ იმიჯზე? რა არის მისი სილამაზის საიდუმლო და რით ჩააგდო შოკში შალვა რამიშვილი? ამ და სხვა კითხვებზე თავად ანი გვიპასუხებს.

„ყველაზე ლამაზი და გაპრანჭული მაშინ ვარ, როცა შეყვარებული ვიყავი და სასაქონლოდ მივდივარ...“  
რბ იპოვება ანი გიუნტარმა ბახეხილი აბმისა და ჰერკულესის ფაფაში

ფოტოებს ვუყურებ, მეცინება — თანატოლებთან შედარებით, მართლა ძალიან ბავშვური ვყოფილვარ და ისიც კი მიკვირს, საერთოდ, როგორ მეღაპარაკებოდა.

— რას აკეთებდი მისთვის თავის მოსაწონებლად?

— ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მაკაიუს ნამდვილად არ ვიკეთებდი, რადგან მჯეროდა, რომ ბუნებრივად უფრო მომხიბვლელი ვიქნებოდი. ისე, ლიტერატურას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოუთაროს ქალმა თავს, ბავშვობის ასაკიდან ვკითხულობდი. ძალიან ბევრი ბუნებრივი კომპონენტის შემცველი სილამაზის რეცეპტი ვიცოდი. პატარაობიდანვე, ყოველ დილით, პერკულესის ფაფას მივირთმევდი, რადგან ვიცოდი, რომ ეს ჩემი სახის კანისთვის აუცილებელი იყო. 15 წლის ასაკიდან თავს აქტიურად ვუვლიდი, რის გამოც, მეგობრები ხშირად დამცინოდნენ.

— თუ გახსოვს, პირველად მაკაიუი როდის გაიკეთე?

— პირველად მაკაიუი სკოლის ბანკეტზე გავიკეთე და მეგონა, რომ ძალიან მკვეთრად მესვა, ამის გამო, თავს უხერხულად ვგრძნობდი. ახლა ფოტოს რომ ვუყურებ, არაფერც არ მეტყობა. სხვათა შორის, თმის ვარცხნილობაც პირველად მაშინ შევიცვალე. საერთოდ, ჩემი ბუნებრივი თმა ძალიან სწორია,

საბანკეტოდ კი, დახვეული მქონდა. მახსოვს, გრძელი ისანისფერი კაბა მეცვა.

— თინეიჯერობის პერიოდში როგორი იმიჯი გქონდა?

— იქიდან გამომდინარე, რომ ვიოლინოზე ვუკრავდი, ხშირად ვერ ვიცვამდი იმას, რაც მინდოდა. საერთოდ კი, სადა და შედარებით თამაში სამოსი მომწონდა. ყოველთვის ვცდილობდი, ჩემს ჩაცმულობაში ისეთი განსხვავებული დეტალი შემეტანა, რომლითაც სხვებისგან გამორჩეული ვიქნებოდი.

— სტუდენტობის პერიოდში შენს გარეგნობაში რაიმე შეცვალე თუ ისევ ბუნებრივად, ბავშვურად გამოიყურებოდი?

— მუსიკალური ათწლეულის დამთავრების შემდეგ, კონსერვატორიაში ჩავაბარე. სტუდენტობის ასაკში ტუშის და ტუჩის „ბლესკის“ წასმა დავიწყე. მკვეთრი მაკაიუი არასოდეს მომწონდა და საერთოდ, ჩემთვის ყოველდღიურად მაკაიუს გაკეთება მიუღებელია.

— წარბების კორექციაც სტუდენტობის დროს გაიკეთე?


— არა. მიუხედავად იმისა, რომ სქელი წარბები არ მაქვს, 3 წლის წინ, როცა თმა ქერად შევიღებე, აღმოჩნდა, რომ წარბები ცოცხა დათხლებას მოითხოვდა... მართალია, ყველა აღნიშნავდა, რომ ქერა თმა ძალიან მისდებოდა,



15 წლის ასაკიდან თავს აქტიურად ვუვლიდი



ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მაკაიუს ნამდვილად არ ვიკეთებდი



სადა და შედარებით თამაში სამოსი მომწონდა

მაგრამ უპირატესობას მაინც ჩემს ბუნებრივ ფერს ვანიჭებ. თუმცა, ერთი პერიოდი ძალიან მინდოდა, თმა წითლად შემეღებო, მაგრამ ვერ გავბედე შექმნივდი... როცა სერიალში — „ყავა და ლუდი“ გადასაღებად მიმინწვიეს, შავი პარიკი დამახურეს, სხვათა შორის, ისიც ძალიან მომიხდა, მასში უფრო მიმზიდველი და ვულგარული ვჩანდი...

— ან, საზოგადოებამ ტელესერიალ „მუსკულებით“ გაგიცნო, შემდეგ მას სხვა სერიალი მოჰყვა, რომელშიც ქერა თმით გიხილა მაცურებელმა. შენი თმის ფერის შეცვლა შალვა რამიშვილის იდეა იყო?

— არა. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი სურვილი იყო, ამის შესახებ შალვამ არაფერი იცოდა. ის კი არა და, პირველად რომ დაინახა, შოკში ჩავარდა, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი მითხრა — ძალიან გიხდებაო. ამ სერიალის შემდეგ, იმავე იმიჯით ტელეკომპანია „202“-ზე 1 წლის განმავლობაში წამყვანად ვიმუშავე.

— როგორც მასსოც, „202“-დან ტელეკომპანია „სტერეოზე“ გადახვედი.

— აქტიური ადამიანი ვარ, უსაქმურად ვერ გავჩერდებოდი და ამიტომაც „202“-ის დასურვის შემდეგ „სტერეოზე“ „მუსიკალური ათეული“ მიმყავდა, სადაც სრული თავისუფლება მქონდა — მაისურს, რომელიც პირდაპირ ეთერში მეცვა, ხან ტუჩები ეხატა, ხან — ფოტოპარატი... ხშირად, კიკინებოდაც კი „ვიჩითებოდი“!.. მაგრამ, როცა იმავე ტელევიზიაში დილის გადაცემის წამყვანობა დამეკისრა, იმიჯი შევიცვალე — კლასიკურად ვიცვამდი, რადგან არ მინდოდა, გამომწვევი ვყოფილიყავი.

— საერთოდ, როგორა შენი ჩაცმის სტილი?

— მიყვარს როგორც სპორტული, ისე კლასიკური სტილი. გააჩნია, სად მივდივარ და რა საზოგადოებაში მომიწევს ყოფნა. საერთოდ კი, ყველაზე ლამაზი და გაპრანჭული მაშინ ვარ, როცა ადამიანთან დასასაშორებლად მივდივარ.

— მამაკაცებს გულისხმობ?

— დიახ. მინდა, რომ ჩემი დაკარგვით გული დასწყდეთ.

— როცა შეყვარებული ხარ და ყველაფერი კარგად არის, მაშინ როგორ იცემ?

— ოო... მაშინ ისე ვიცვამ, როგორც იმ ადამიანს მოსწონს.

— „კოსმო გოგონას“ იმიჯში თავს როგორ გრძნობ?

— როგორც ვიცი, კოსმონავტს გაფრენის წინ მოსამზადებლად 40 წუთი ჰყოფნის (იცინის), მე კი იმისთვის, რომ კოსმოსში ანუ პირდაპირ ეთერში გავიდე, დაახლოებით საათ-ნახევარი მჭირდება.

— ვინ ზრუნავს „კოსმო გოგონას“ სტილზე?

— უამრავი ადამიანი — ვიზაჟისტი, სტილისტი...

— ამბობენ, ყველა ქალს საკუთარი სილამაზის რეცეპტი აქვსო. შეგიძლია შენი სილამაზის რეცეპტი გაგვიმთილო?

— სიამოვნებით. ჩემი სილამაზის რეცეპტი ყოველ დღით ჰერკულესის ფაფის ჭამაა.

— სახის კანს როგორ უვლი?

— სახის კანის მოვლის ბევრი ბუნებრივი რეცეპტი ვიცი. ჩემს კანს განსაკუთრებით, გახეხილი ატმის ფაფა უხდება, რომელსაც 20 წუთის განმავლობაში სახეზე ვიჩერებ. ასევე, ძალიან კარგია მჭადის ფქვილის ნილაბი. მინდა, რომ ბავშვივით რბილი და ნაზი კანი მქონდეს, ამიტომ თუ სახლში ვარ და გარეთ გასვლას არ ვაპირებ, სახეზე ყოველთვის რაღაც მისვია. რომელიმე თაყვანისმცემელი სახლში რომ მესტუმროს, გული გაუსკდება. ახლახან, ნაოჭების საწინააღმდეგო კრემის გამოყენებაც დავიწყე. სერიალ „მუსკულებში“ თამაშის შემდეგ, ნაოჭები გამიჩნდა.

— შენს ნაოჭებთან „მუსკულები“ რა კავშირშია?

— გადაღების დროს, დღეში დაახლოებით 3 საათი მაინც ვიცინოდი. გარკვეული პერიოდის შემდეგ მივხვდი, რომ თვალის ირგვლივ ნაოჭები გამიჩნდა.


— რა ფორმის კოსმეტევას ხმარობ?



პატარები ენერჯიას მმაგებენ...



გადაღების დროს, დღეში დაახლოებით 3 საათი მაინც ვიცინოდი



მიყვარს როგორც სპორტული, ისე კლასიკური სტილი



ახლახან, ნაოჭების საწინააღმდეგო კრემის გამოყენებაც დავიწყე



ჩემი სილამაზის რეცეპტი ყოველ დღით ჰერკულესის ფაფის ჭამაა

# როგორ ვებრძოლოთ სიღარიბეს:

## მეჯღანუაშვილი თუ უიძვილი?

ჰო, ეს თქვენი ტრიბუნაა და უკვე ვაღიარებ, რომ თქვენ მას ღირსეულად იყენებთ (წინამორბედი წერილი იხ. „გზა“, №7) მართალია, ჩემამდე მოსულ თქვენს წერილებში ისევ ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი პირები ლიდერობთ, გალიზიანებული და უიმედო მოსაზრებებით, მაგრამ მაინც ჩანს, რომ ქართველობა არც საღ აზრს ვუჩივით და არც პესიმიზმს ვეკვლევინებით...

### ღა სუსქირია

„არა აქვს მნიშვნელობა განათლებას, სულიერებას... ეს ყველაფერი არ ჩანს! კარგი ცხოვრება კი სახეზე ანერია ადამიანს. კარგი ცხოვრება ოქროსავეით ანათებს, რომელსაც ვერ დამალავ. ამ „მანათობებს“ ძლიერი ნერვული სისტემა და ჯანსაღი ფსიქიკა აქვთ, ამიტომაც ლიდერობენ. ანუ ზემოთ არიან... ჩვენ კი... ვაი, ჩვენს პატრონს!“

ეს პატარა მოსაზრება, რომელიც შეიძლება, მოკლედ ასე „გადმოვთარგმნოთ“ — მატერიალური კეთილდღეობა პირველობასაც ნიშნავს! — თუმც, „გზის“ ერთ-ერთ მკითხველს ეკუთვნის, მაგრამ მას მეორე არგუმენტირებული მკითხველი ერკინება: „სიმდიდრე არაფერ შუაშია. მთავარია, სწორად ვიცხოვროთ. მაშინ არც იმის გაცნა და გეუფლება, რომ მდებარე ხარ (რადგან ეს უფრო სულიერი მდგომარეობაა) და არც იმის უფლებას მისცემ ვინმეს, რომ ზემოდან გადმოგხედოს...“

ეს ორი გზავნილი სტილისტურად შევალაბაზე, მესამეს კი, ყოველგვარი შესწორების გარეშე შემოგთავაზებთ, რადგან მგონია, რომ ბევრი ჩემი თანამემამულისათვის ასე უფრო მეტად ახლობელი იქნება...



მიდის დრო და კვალს ამჩნევს ადამიანებს

— ამჟამად, „მანელის“ ფორმის კოსმეტიკას ვიყენებ.

### აქსესუარები თუ გიყვარს?

— ყოველდღიურად უამრავი სამკაული შემიძლია გავიკეთო, მაგრამ თუ წვეულებაზე მივდივარ და გამოსასვლელი კაბა მაცვია, არანაირ სამკაულს არ ვიკეთებ. მიყვარს ბეჭდები და ამ აქსესუარს თითქმის ყოველთვის ვატარებ. მაქვს ძალიან საყვარელი სამაჯური, რომელიც სულ მიკეთია და ის იმდენად მიყვარს, რომ წელს, ვალენტი-ნობას, „დაბადების დღე“ გადავუხადე.

### რომელია შენი საყვარელი ფერი?

— ყველაზე მეტად ხაკისფერი მიყვარს. ვერ ვიტან ვარდისფერს და ცისფერს, რადგან ეს ფერები ჩემი გამომეტყველების სინაზეს ხაზს კიდევ უფრო უსვამს — მანაზებს.

### სპორტულ დარბაზებში თუ დადინარ?

— ამჟამად აკვაერობიკაზე დავდივარ, რითიც ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, სილამაზის სალონშიც ხშირად მიწევს სიარული.

### ფენის ხშირად გამოყენება რომ არ შეიძლება?

— ვიცი, რომ არ შეიძლება, ამიტომაც თმის მოვლას ბევრ დროს ვუთმობ. ხშირად ვიკეთებ ბუნებრივ ნილაბს, რომელიც ჩემს თმას გააჯანსაღებს.

### როგორ ნიღბებს იკეთებ?

— ძირითადად, მაიონზის ნიღბს. მაქვს ასევე სპეციალური თმის ზეთი, რომელიც თმის ძირებში უნდა შეიზილო. ამ ყველაფერს რომ არ ვიყენებდე, შეიძლება, ახლა მელოტი ვყოფილიყავი.

### პედიკურს და მანიკურს თვითონ იკეთებ?

— არა, სალონში მიკეთებენ: პედიკურს თვეში ერთხელ ვიკეთებ, მანიკურს — შედარებით ხშირად. ადრე ყოველთვის მიწდიოდა, რომ გრძელი ფრჩხილები მქონოდა, მაგრამ ამის საშუალებას ვიოლინო არ მძლევდა, სულ ძირში ვიჭირდი ფრჩხილებს...

### სარკის წინ ტრალი გიყვარს?

— საერთოდ, ვცდილობ, რომ იმ ოთხში, სადაც ვმუშაობ, სარკე არ იყოს, რადგან მასში ხშირად ვიყურები და საქმე გაუკეთებელი მრჩება.

### ოდესმე რამე პლასტიკური ოპერაციის გაკეთება ხომ არ გნდობია?

— ამის სურვილი არასდროს გამჩენია. ადამიანმა არ უნდა იფიქროს იმაზე, რომ ვთქვათ, გრძელი ცხვირი აქვს და აუცილებლად ოპერაცია უნდა გაიკეთოს. ცნობილი და დადგენილი ფაქტია, რომ ადამიანის ცხვირის დაბოლოებებში არსებობს ისეთი ნივთიერება, რომელიც უხილავ სიგნალს გამოსცემს და საპირისპირო სექსის წარმომადგენელს იზიდავს, ამიტომ ცხვირის ოპერაციის გაკეთებით შეიძლება, ადამიანმა არა მარტო გარეგნობა, არამედ პირადი ცხოვრებაც შეცვალოს.

### როგორც „კოსმო გოგონა“, რას ურჩევდი იმ გოგონებს, რომლებიც ახლა იწყებენ საკუთარ გარეგნობასა და სილამაზეზე ზრუნვას?

— პირველ რიგში იმას, რომ ბევრი ივარჯიშონ, კარგად გამოიძინონ ხოლმე, ნუ მიეძალებიან მავიას, ნუ „დაიშპაკლავენ“ სახეს „ტონალური“ კრემით, რადგან ბუნებრივ სილამაზეს არაფერი სჯობს.

„იმედი ბოლოს კვდება... იქნებ, გამიმართლოს და ჩემი გზავნილი „გზაში“ ვიხილო... ყველაფერი წარმავალია ამ ქვეყანაზე, მიდის დრო და კვალს ამჩნევს ადამიანებს, ზოგს უმართლებს, ზოგს — არა. ზოგნი მიდიან და ზოგნი მოდიან. გაჭირდა გულით მდიდარი ადამიანების პოვნა ამ უსამართლოთა ბრბოში. ფული აქ არაფერ შუაშია. ვიცხოვროთ ისე, რომ როდესაც მოკვდებით, მესაფლავებაც დაგვტიროს. მაშინ არ იქნება ცხოვრება ფუჭად ჩავლილი... ის ცრელი კი, ის სიმდიდრე იქნებოდა ჩემთვის, რომელსაც მილიონებსაც არ შევადარებდი“.

ეს რომანტიკაგაგაფრებული გზავნილი, სამწუხაროდ, არ ვიცი, ვის ეკუთვნის, რადგან სახელი არ არის მითითებული. ბუნებრივია, უმელო, დამერეკა და მეკითხა, მაგრამ რადგან თავად არ ჩათვალა საჭიროდ, არც მე შევანუხე...

მოკლედ, ასე, ამ წერილების მიხედვით, საცხებიტ გასაგებია განწყობილება, რომლითაც ჩვენი ხელმოკლე მოსახლეობა მეორე ნაპირისკენ იყურება. იქ, მათთვის მიუწვდომელ სანაპიროზე, მარტოდენ ბედნიერებაა... უბედურება მხოლოდ ის არის, რომ მათი აზრით, ეს ნაპირი იქით მყოფთ დაუმსახურებლად ერგოთ... ნანილობრივ, ალბათ, ასეცაა, თუმცა...

სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი, რომელსაც ბავშვობაში ერთ ძუნწ, უგემოვნო და მდაბიო არსებად მივიჩნევდი, რადგანაც ასე მშობლურადღნენ სკოლის მასწავლებლები, ავერ, სოლიდურ ასაკს მიღწეულმა აღმოვაჩინე, რომ გენიოსი ყოფილა... ნუ გაიოცებთ! გენიოსი, რომელმაც უდიდესი შრომის, თავგანწირვის, საკუთარი ადამიანური მოთხოვნილებების უარყოფის, მეტიც — საკუთარი პიროვნების დათრგუნვის ხარჯზე, არაფრისგან იმპერია შექმნა.

თქვენ ფიქრობთ, რომ ეს გამოგონილი ამბავია და ცხოვრებაში ასე არ ხდება?

თქვენ ფიქრობთ, რომ მეჯღანუაშვილობა სირცხვილია, გოგია უიშვილი კი, გაცილებით მისაბაძი პერსონაჟია?!

მეჯღანუაშვილი, რომელიც უდავოდ, ნიჭიერ კაცად მოევლინა ქვეყნიერებას, იქ არ დაიბადა, სადაც მის გემოვნებაზე, განათლებაზე, მანერებზე იზრუნებდნენ, სწორედ ამიტომაცაა მისი ნიჭიერება განსაკუთრებული. მისი გონება, რომელმაც ავტორი თითქოს არაფერს ამბობს, თვალხილულია და მისაბაძი... თქვენ, რომელმაც იცით, რაზეც ვლაპარაკობ, ალბათ, ჩაიციინეთ... მისარია, რომ ასეა, რადგან ეს ნიშნავს — ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც

მინდოდა... მეჯღანუაშვილი პარალელის გასაკეთებლად გავისხენე... პარალელის, რომელსაც დღეს, საქართველოში, უამრავი ანალოგი აქვს...

ჩვენ შევეჩვიეთ, რომ უნდა შევიბრალოთ საკუთარი თავი და ამაში სხვა: ხელისუფლება, შეძლებული ადამიანები... მოკლედ, ვილაყ სხვა დაუდანაშაულოთ. ჩვენ შევეჩვიეთ, რომ ჩავარდნილი საქმის, გაფუჭებული ონკანის, დანაგვიანებული ეზოსა და სადარბაზოს გამო, ჩვენი ბედი ვწყველოთ და არაფერი მოვიმოქმედოთ, რათა ონკანიც შეკეთდეს, სადარბაზოც მოირეცხოს და ეზოც დაიგავოს. ჩვენ შევეჩვიეთ, რომ ჭუჭყი სიღარიბის ატრიბუტია და ამიტომაც არ ვებრძვით მას. ჩვენ შევეჩვიეთ, რომ ასე, ღარიბ-ღატაკი და შეგუებული უნდა დავიმარხოთ..

შევეჩვიეთ იმას, რომ თუკი ჩვენ შორის ერთი-ორი მეჯღანუაშვილი გამოერევა და ამ სიღარიბიდან, ჭუჭყიდან გამოსასვლელს იბოვის, ვაქილივით. ვაქილივით უგემოვნების, გაუნათლებლობის, გაუთვლელობის გამო... მაგრამ მთავარი რომ სხვაა?! რატომ ვერ ვხედავთ ასეთ ადამიანებში იმ გასაოცარ ძალას, რომელსაც სიბჭე კაცის დასახლება, უდაბნოში ხეხილის ბაღის აყვავება, არაფრისგან ყველაფრის შექმნა შეუძლია? იქნებ, ის ნათელი, თქვენ რომ ოქროს ბზინვარება გგონიათ, შინაგანი ძალის ნათებაა?!

ამიტომაც, მკითხველის მოსაზრება, რომ მატერიალური კეთილდღეობა მეორეს-არისსხოვანია, მთავარი კი — სულიერი ფასულობებია, აღფრთოვანებასაც იწვევს, მაგრამ იმაზეც გაფიქრებს, რომ ასე განსჯა შეგუებულს ნიშნავს. შეგუებულს, რომელიც არავის არაფერში არეგია, რომლითაც ვერც ჩვენი სახელმწიფოებრიობა იხიერებს და ვერც ჩვენი მომავალი..

ორი ხელი და ორი ფეხი, თავი მხრებზე და ერთი ადამიანის სამყოფი ენერგია. ვუსმენ ამბავს:

სოფელი, შორს ქალაქისგან და შორს კეთილდღეობისგან. ღამე ცივი და ბნელი. უხეირო სადილი, უხეირო ვახშამი. ერთი და იგივე: გაჭირვება... სამოვარზე გაქცეული კაცები, რომელთაც არაფერი იცინან, იმ მონის მოვლის გარდა, რომელიც მიატოვეს... და ამიტომაც იქ, საითკენაც გაიქცნენ, არაფერი გამოსდით. ვინც არ მიატოვა, იმან რა ქნა? რა და ინუშუნა! მარტო კაცი ქამაშიაც ბრალია... ესეც შენი კოლექტიური შრომისკენ მონოდება, მაგრამ ფუჭად... მონას მარტოკაცის ბრძოლა სასაცილოდ არ ჰყოფნის, ამიტომაცაა ყველაფერი ცუდად...

ვუსმენ ამბავს და ჩემდა გასაოცრად, ეს უღიმღამო ამბავი უცებ ნათდება. ისევ სოფელი, უხეირო გზა და მასზე ჯაყყაყით მიმავალი ცარიელი ავტობუსი, რომელსაც ასე, ცარიელ-ტარიელი სიარული, მოსახლეობის სიღუჭიროს გამო ერგო. ისევ ცივი ღამე და ისევ ერთი და იგივე: სიღარიბე... ახალგაზრდა წყვილი, რომლის სიყვარულშიც არც ფრანგული სუნამოს სურნელი ურევია და არც ვახშამი სანთლების შუქზე... სამაგიეროდ, ეს სიყვარული ბავშვებით, მოვალეობებითა და გამძლეობითაა „დახუნძლული“. როგორ გავძლოთ სიკვდილამდე კი არა, როგორ ვიცხოვროთ ღირსეულად?!

დღე დილაუთენია იწყება და გვიან ღამით მთავრდება, ზამთარშიც და ზაფხულშიც. ზაფხულში თითქოს მეტი საქმეა, მაგრამ

ქალიც და კაციც მინც ყველაფერს ასწრებს, რადგან უფაღმა ისურვა ასე: ზაფხულში ხომ დღე გრძელია. ოთხფეხსაც და ორფეხსაც მოვლა-პატრონობა უნდა. თუ ყინვები დაიჭირა, ბოსელში შეყუყულ ყველანიირი საქონელს ცეცხლსაც უნთებენ... დასციინან მეზობლები, მაგრამ ცოდოა სულიერი. სანამ ბავშვები ადგებიან, ცხოველების მოვლა უნდა მოასწონ, მერე დედა-მამა შვილებს უნდათ, დედა მამაც — განსაკუთრებით... არა, მამაც... გული არ ეტყინოს! მამა რომ არა, ასე თბილად და მშვიდად იქნებოდნენ?! სკოლისკენ გზა ხშირად

ტალახიანია, მაგრამ თოვლიანი უფრო ახსოვს ბავშვის მესხიერებას. ნეტავ, რატომაა ასე? ადამიანს კარგი და ნათელი რომ უფრო ამასსოვრდება?.. ბავშვები — სკოლაში, მამა — სახლის ქვეშ მონყობილ სახელდახელო ხის საამქროში, დედა კი — სამზარეულოში. მალე შუადღე დადგება და დედა-მამა ბავშვებთან ერთად, სუფრას მიუჯდება. ერთი და იგივე რიტუალი ყოველდღე, მაგრამ ეს არავის ჰბეზრდება. მერე უფროსებიც და უმცროსებიც თავთავიანთ საქმეს უბრუნდებიან...

ასე — საღამომდე. საღამომდე არაფერია მოსაყოლი. მოსაველელი საქონელი და მისახედი სასუკარი, მოსახვეტი ეზო და გასამაგრებელი ღობე, მოსაზიდი წყალი და მოსაზელი პური. არა, მოსაყოლი რალაც მინც არის... როცა სახლში პური ცხება, პატარები თონესთან თებინან, გასაოცარი სურნელი ეფინება მიდამოს. მერე ყველანი პურისა და ცეცხლის სუნით არიან გაჟღენთილი და თუმცა არავის შია, მინც სიამოვნებით გლეჯენ თავიანთი პატარა კბილებით ცხელ პურს. დედა თონეში დაბრუნებული ღოყებით უღიმის მათ და ცოტათი მამას ეპრანჭება. მამამ იცის, მაგრამ ამას არ შეიძინევს არასოდეს. აბა, ოჯახის თავი ხომ არ აცქმუტდება?! მარჯვნივ, ღობესთან სურნელს მოყოლილი მეზობლის ქალი გადმოადგება და იმასაც შეიპატიჟებენ ცხელ პურსა და ყველზე. ის თავისას იტყვის, დედა — თავისას, მამა ქალებს ტოვებს და საქმეს უბრუნდება. ეს საქმე, თავისთვის რომ გამოიგონა და ზამთრის მოკლე დღეებს კიდევ უფრო ამოკლებს, პატარა შემოსავალსაც აძლევს. პატარას, მაგრამ საიმედოს... მერე ღამეც დგება და რადგან ცხოველიც და ადამიანიც დაპურებულია, სასუკარი მოვლიან და ღვთის შენეებით, თავდაც კარგად არიან, ტელევიზორის ცქერაც შეიძლება. ტელევიზორში იშვიათად ხედავენ საკუთარი ცხოვრების მინამსგავსს, მაგრამ ეს არც არის საჭირო. ჩვენი ხომ ყველამ ვიცით, სხვისია საინტერესო...

ეს სხვა ცხოვრება ხშირად, მიმზიდველია, მაგრამ წარმოუდგენელიც. მერე, ისე გამოდის, რომ ამ რეალურ ამბებს და რეალურ ადამიანებს, რომლებზეც ჟურნალისტები უყვებიან, — როგორც ფილმის გმირებს, ისე აღიქვამენ. შუა ოთახში შემის ღუმელი ტკაცუნობს და ეს არის რეალობა, ტელევიზორში ნანახი კი — მხოლოდ წამიერი ოცნებაა, გაუგებარი და ალბათ, მიუღწეველიც... მერე პატარები იძინებენ და სანამ

დილა თავისი მოვალეობებით დაბრუნდება, მამას შეუძლია, დედის სიყვარულით საცხე გამოხედვას ასევე უპასუხოს... რა გამოდის, ესეც შეგუებაა? მეექვსება, ამას შეგუება ერქვას. ალბათ, ეს სწორად ცხოვრებაა.

ნახეთ, რა გამოვიდა?! აგრესიულები ვიყავით და ცოტათი რომანტიკულები გავხდით... ნუთუ ახლა საჭიროა, უსამართლოდ მინიჭებულ სტატუსზე, ვილაცის ამბიციასა და შურით გამონჯულ აგრესიაზე ვისაუბროთ?

— თუ შეიძლება, მითხრა, რამდენი ადამიანი გამოგვხმაურა? — იკითხა ახალგაზრ-

**დღე დილაუთენია იწყება და გვიან ღამით მთავრდება**



დამ, რომელსაც ისიც აინტერესებდა, მე თუ ვახერხებ საკუთარ სიღარიბესთან ბრძოლას. ფამილიარობამ გამაღიზიანა და — რამდენი წლის ხართ-მეთქი? — კვითხე (სხვათა შორის, არა მხოლოდ მას!).

— თქვენ წყალს ნაყავთ და ვერაფერს შეცვლით. ვის რაში აინტერესებს უბრალო ადამიანის ბედი?!

შენობითი ფორმა თქვენობითი მინც შეიცვალა.

- თქვენ ხომ დამირეკეთ!
- მე ერთი ვარ!
- ყველა ფიქრობს, რომ ერთადერთია, თუ ამას გულისხმობთ!
- თქვენი ნაწერიდან რბილი ჩანდით...
- არა, ეს სირბილე, როგორც თქვენ ბრძანებთ, ადამიანების სიყვარულია, თუმცა — არა მონური...
- მამაპტიეთ...

თქვენ მამაპტიეთ, იქნებ ქედმაღლობამ მძლია?.. მაგრამ თქვენი ზარიც ხომ იმის დასტური იყო, რომ თემა, რომელზეც ვლაპარაკობთ, მნიშვნელოვანია!

ჰოდა, ასე, დატუქსვა გინდოდათ ჩემი, სინამდვილეში კი — გამამხნევეთ... მომავალი საუბრის კონკრეტულ თემას აღარ გიკარნახებთ. მთავარი თემა იცით: როგორ ვებრძოლოთ სიღარიბეს... მომწერეთ თქვენს ემოციებზე, თქვენს ცხოვრებაზე, თქვენს ფიქრებსა და პრობლემებზე. იქნებ, ბევრი ვერაფერი შელავათია, როდესაც საკუთარ გულისტყვივლს ჟურნალის ფურცლებზე ამოიკითხავ, მაგრამ დამიჯერეთ — ესეც ერთგვარი თერაპიაა.

გამოიჩინეთ სითამამე!  
8.99.25.27.91  
ელ.ფოსტა: dea\_palitra@mail.ru



# ნა სანგებლობა მოაქვს სყუილს

სავაზაფხულო ფასდაკლება ქალებზე და გაუპატიურებას  
გადარჩენილი ანუ „მინდა ვიყო ქკრივი“

საოცარი გრძნობა გეუფლება, როცა მკითხველისგან ასეთ მესოჯს მიიღებ: „მარო, გამარჯობა. 2 წლის წინ თავის მოკვლას ვაპირებდი. შენ კი მითხარო, ყველაზე საუკეთესო წლები წინ გაქვსო... ახლა 1 წლის ბიჭი მყავს, რომელმაც გამაბედნიერა და ქმარი, რომელიც ძალიან მამრანებს ტყუალებით. მინდა, ჭკუა ვასწავლო, მაგრამ არ ვიცი, როგორ. სმის ამოღების უფლებას არ მაძლევს. მარო, იქნებ სასიყვარულო მესიჯი მისწერო, რომ სკანდალი მოფუწყო? ახლა მისი ნომრიდან გიმესოჯებ ნათია“. როგორ ფიქრობთ, ჩემ მიერ გაგზავნილი სასიყვარულო მესიჯი და ტყუილი ვითომ სარგებელს მოუტანს ნათიას? არა მგონია...

ისე, ამ კვირაში მესიჯების რეკორდული რაოდენობა მივიღე — 2 ათასზე მეტი! ასეთი რამ მართლა არ მასოჯს „გზავნილების“ არსებობის მანძილზე. მგზავნელთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ტყუილს მოკვლე ფეხები აქვს და არანაირი სარგებლობა არ მოაქვს, მაგრამ თუ ყველა მესოჯს ყურადღებით ნაიკითხავთ, მისვდებით, რომ ეს მთლად აქსიომატური ჭეშმარიტება როდია...

## მარო ჩაუარია

### შემთხვევა „გეპეიში“

„ჩემი აზრით, ტყუილი ცუდია, მაგრამ ხანდახან შესაძლოა, სიკეთეც კი მოგვითანოს. სტუდენტი რომ ვიყავი, ჯგუფში გათხოვილი გოგონა გყავდა. ხშირად უწევდა გაცდენა, რადგან პატარა ბავშვი ჰყავდა. საერთოდ, ჭკვიანი გოგო იყო, მაგრამ სამეცადინოდ დრო არ რჩებოდა. ერთხელ, გამოცდა გვექონდა. ლექტორი შემოვიდა და გამოგვიცხადა: ყველამ საითაოდ მითხარით, რა ნიშნებზე სწავლობთ და იმ ნიშანს დაგინერეთო. ყველამ ვუთხარით. ის გათხოვილი გოგონა გამოცდაზე საერთოდ ვერ მოვიდა. როდესაც ლექტორმა მისი გვარი ამოიკითხა, მე წამოვხტი და ვუთხარი, ბავშვი ჰყავს ავად, ექიმთან წაიყვანა, ისე კი, ხუთოსანია და ახლა რა ეშველება-მეთქი? ადგა და ხუთიანი დაუწერა. კი იყო ეს ტყუილი და თანაც მაგარი, რადგან იმ გათხოვილ გოგ-

ოს სამიანიც უხაროდა, მაგრამ მაინც კარგი შედეგი მოიტანა. ეს ამბავი კი, რა თქმა უნდა, „გეპეიში“ მოხდა“.

### სიმულანტი

„ერთ ღამეს ქუჩაში გასვლა მინდოდა. როგორ უნდა მომეხერხებინა? ვინ გამიშვებდა? ჰოდა, ბებიჩემი მოვატყუე, კუჭი მტკივა, ტუალეტში შევალ და 20 წუთში გამოვალ-მეთქი. ის ტელევიზორს მშვიდად უყურებდა, მე კი გარეთ გავედი და კარგად „ვიტასავე“. ჩემი საქმეც მოვაგვარე და შინ დაბრუნდი. ოთახში მოწყენილი სახით შევედი. რას ვხედავ? ბებიჩემი დგას ჭიქით ხელში და მეუბნება: წყალში სოდა გაეხსენი, დალიე, ტკივილს გაგიყუჩებსო. სხვა რა გზა მქონდა? გავიჭყიპე იმ საზიზღარი სოდიანი წყლით. ყოველივე ამის მერე, გვეითებით — მოაქვს თუ არა სარგებლობა ტყუილს? „დავიდოსნ“.

ხანდახან ადამიანს თავი ყოვლისშემძლე გგონია, მაგრამ არის ისეთი მომენტებიც, როცა ხვდები, რომ ძალზე უსუსური ხარ და არაფერი შეგიძლია. სწორედ ასე უსუსურად ვიგრძენი თავი, როდესაც ის მესიჯი წავიკითხე, რომელსაც ახლა გაგაცნობთ. შეუძლებელია, გულგრილი დარჩე და დახმარების სურვილი არ გაგიჩნდეს... მეც ბევრი ვიფიქრე, მაგრამ არ ვიცი, რით შეიძლება ვანუგეშო მესიჯის ავტორი... 18 წელი ძალზე მცირე ასაკია საიმისოდ, რომ ამხელა ტკივილი ატარო...

### პატარა დედა

„18 წლის ვარ. 1 წლის წინ შემაცდინეს და ფეხმძიმედ დავრჩი. აბორტი არ გავიკეთე, ცოდვა ვერ ჩავიდინე... პატარა გიორგი სექტემბერში გავაჩინე. ის დღეს 5 თვის არის. მატერიალური პრობლემების გამო, ჩვილი სამშობიაროში დავტოვე. ის ერთმა მდიდარმა ოჯახმა აიყვანა... გული მტკივა. მენატრება ჩემი თოთო გიო. რა უნდა მექნა? მშობლები — არა, ქმარი — არა, ნათესავები — არა... ვის იმედად უნდა წამომეყვანა შინ? იცით, რა ძნელია, როცა დედობაზე უარს ამბობ? მენატრება ჩემი პატარა. ღმერთო, რა რთული და დაუნდობელია ცხოვრება... ყველას ბედნიერებას და გამარჯვებას გისურვებთ. იმედი მაქვს, ჩემი ბიჭი ჯანმრთელი და ბედნიერი გაიზრდება. ხომ ასე ვანობ? ახლაც რომ მითხრან, გიო წაიყვანეო, ვერ წამოვიყვან, რადგან ვერ გავზრდო... დღეს მე თვითონაც არაფერი მიჭამია... პატარას რა უნდა ვუყო? მარო, ბოდიში შენუხებისთვის. ყველა ქალს ბედნიერ დედობას ვუსურვებ. ჩემი ცხოვრება რთულია და ღმერთს ვთხოვ, ასე არავინ გაამწაროს. ჩემს დედიკოს კი, სანთელს დაუწებებ, იებს ვუყიდი და ასე მივულოცავ დედის დღეს. პატარა დედა“.

### „პატალა“ მურისმადიებელი

„რაც თავი მასოჯს, სულ ვიტყუები. ჩემნაირი მატყუარა არც არავინ მეგულეობა, მაგრამ საოცარი ისაა, რომ ვერავინ მიჭერს ტყუილში. ყველას პატარა, ხუჭუჭა, მწვანეთვალეა ანგელოზი ვგონივარ. ერთხელ გაკვეთილი გავაცდინე და რა თქმა უნდა, მიზეზად ტყუილი ვთქვი. ჩემმა კლასელმა კი ჩამიშვა. ძალიან გავბრაზდი, მაგრამ არ შევიმჩნიე. ერთ მშვენიერ დღეს, მათემატიკაში საკონტროლო წერა გვექონდა (მათემატიკის არაფერი გამეგება, მაგრამ ისევე ჩემი ტყუილების წყალობით, მასწავლებელს გენიოსი ვგონივარ). იმ ვაუბათონმა ყველა საკითხი იცოდა და სწორად დანერა. მე გაკვეთილის დამთავრებას დავეუცადე, მასწავლებელთან მივედი და ანგელოზის გამომეტყველებით ვუთხარი — ერთი საკითხი ვერ გავიგე და თუ შეიძლება, ლევანის რვეული მომეცით, ვნახავ, რომელი ხერხით ამოხსნა ამოცანა-მეთქი. მასწავლებელმაც დამიჯერა „პატა-



მანეთს დავშორდით, მაგრამ ეს დღე ძალზე კარგად მახსენდება. თუ წაიკითხავს, მიხვდება და გაგახსენდება. პანო“.

**მიგნება**

„ჩემი მეგობარი ქმარს ეყრებოდა. ძალიან დაძაბული სიტუაცია ჰქონდათ ოჯახში. ამავე დროს, ინტენსიურად ხვდებოდა ბოიფრენდს, რომლის არსებობაც ქმარმა, რა თქმა უნდა, არ იცოდა. პაემნიდან შინ დაბრუნებულს, ახალ-ახალი ტყუილის თქმა უნდა, რომ შინ არყოფნა გაუმართლებინა. ერთ დღეს პაემნიდან ჩემთან შემოიარა და ორივენი მასთან წავედით. გზაში იმას ვფიქრობდით, რა

უნდა ეთქვა ქმრისთვის, რადგან ახალი ტყუილის მოგონება ძნელი იყო. თითქმის ყველა მიზეზი უკვე ნათქვამი ჰქონდა. ვერაფერი მოვიფიქრეთ. ამასობაში მივედით კიდევ. განრისხებულმა ქმარმა, ჯერ ოთახში არც კი ვიყავით შესული, რომ უღრიალა — სად იყავით?! — ჩემმა დაქალმა ინსტინქტურად უპასუხა — საყვარელთანო. ქმარმა გულიანად გაიცინა, რადგან ჩათვალა, რომ ეხუმრებოდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ სიმართლე უალტერნატივოა, მაშინაც კი, როცა გამოსავალი არ ჩანს“.

**მონანიება**

„მე ერთი გზააბნეული და გზას აცდენილი ბიჭი ვარ. თამაშმა დამლუბა. 6 წელია, რაც აზარტულ თამაშებს ვთამაშობ. თამაში იგივეა, რაც წამალი, ორივეს ერთნაირი „ლოშკა“ აქვს. მყავს მუდღე, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს. 3 თვეში კი, მამა უნდა გაგხდემინდა, ჩემი ცოლისა და შვილის გულისთვის ვიცოცხლო, მაგრამ ცხოვრება უკვე მომბუზრდა. ვიცი, რომ უღირსი ვარ, მაგრამ ჩემი ღირსება მაინც მაქვს. მე შევძლებ, რომ თავი მოვიკლა... გიო“.

**ვერიკოს ოინები**

„ყველაზე დიდი ტყუილი ძალიან კარგად დამიბრუნდა უკან. ძალიან ახტაჯანა გოგო ვიყავი და იმხელა გული მქონდა, რომ შემძლო, ნებისმიერი ბიჭი მეცემა. სიყვარულზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. არც ერთი ბიჭი სათოფერე არ მეკარებოდა: მაგის გასალახი თავი სად გვაქვსო?! 19 წლის ვიყავი, როცა მამაჩემის ძმაცაცის შვილმა სიყვარული ამისნა. რა უნდა მექნა? მეც ძალიან მომწონდა, მაგრამ როგორ მოვექცეულიყავი, არ ვიცოდი. ახლობელმა დამარიგა: ახტაჯანობა დაივიწყე და თავი ნახ გოგოდ მოაჩვენო. მეც დავეჯერე. იკას უხაროდ — რა ნახი და ტუბილი საცოლდე მყავსო!.. მოვატყუე და მისი გაგხდი. პირველ ღამეს

კი მოვატყუე, ქალწული არა ვარ-მეთქი. — უნდა გაგსინჯოო, — მიპასუხა. ჰოდა, დავრჩი ასე, „გასინჯული“, რადგან ახლა ძალზე ლამაზი და საყვარელი შეილი გყავს. მინდა იკამ გაიგოს, როგორი იყო მისი საყვარელი ცოლი წარსულში. ვერიკო“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

**„ქმარი მიჩქენია...“**

„იცით, რა პრობლემა მაქვს?! როცა ქართულ ჟურნალებს ვკითხულობ, ხელები ისე მიშავდება, ასე მგონია, „შხტაში“ ვმუშაობ. თანაც, ისეთი სურათებია... „ოთხთვალა“ და „ორცხვირა“ ადამიანების... ეს მართო „გზას“ არ ენება. ყველა ჟურნალს ვგულისხმობ“.

„ძალიან ცუდად ვარ, რადგან ქმარმა მიყვირა, ჩემს ტელეფონს რატომ უპასუხებო?! რა მოხდა, დავაშავე რამე? მას ღრმა ძილით ეძინა, მე კი ვილაც მამაკაცს გავეცი პასუხი და ვუთხარი, რომ ცოტა ხანში გადმოერევა. ისეთი ამბავი ატეხა, გეგონება, დიდი დანაშაული ჩავიდინე. ვიტყვი კიდევ... 2 ბიჭის დედა ვარ და სურვილიც კი არ მაქვს, რომ გოგო მყავდეს. პატარა გოგო არა ვარ, 37 წლის ქალი ვარ. ძალიან მტკივა გული, ასე უსამართლოდ რომ მექცევა. კლასიკური ქალი“.

„ჟურნალ-გაზეთებს ყოველთვის მე ვყიდულობ, მაგრამ შინ რომ მივალ, ვიტყუები, „გზა“ არ მიყიდილა-მეთქი. არადა, პირველად მაგას ვყიდულობ. ჩემს ოთახში შევიკეტები, ჩუმად წავიკითხავ და ამის მერე გამოვუჩენ ხოლმე ოჯახის წევრებს. ახალი „კლიჩკაც“ დავირტყი — „ჩემოქმელა“. აი, ასეთი სარგებლობა მოაქვს ჩემს ტყუილს, თორემ, „გზის“ „დუხს“ ვინ დამანახებდა?! ახალი, მაგრამ ძლიერი და ერთგული მკითხველი“.

„ახალ წელს, 10 საათზე ჩემს ოთახში ვიჯექი. უეცრად ფანჯარა შემოიმტვრა და ოთახში ნიღბიანი კაცი შემოვიდა. მან დედაჩემის ჩანთა და ჩემი ტელეფონი წაიღო. იმ ღამით მთელი ვერის პოლიცია ჩემს სახლში იყო, მაგრამ დამანაშავე ვერ იპოვეს. სამაგიეროდ, დედას ცოტა მოგვიანებით ვილაცამ დაურეკა და ჩანთა დაუბრუნა. ეს იმიტომ მოხდა, რომ იმ დღეს ძალიან ბევრი ტყუილი ვთქვი“.

„ღამურა, მგონი, გიცანი. შენ შემთხვევით, მეგრული გვარი ხომ არ გაქვს? ვერიკო“.

„ერთხელ ერთი ბიჭი მოვატყუე, მიყვარხარ-მეთქი. ადგა და თავის ძმაცაცებს ჩემი თავი მოატყუებინა. როცა გადავიჩინე, მისმა ერთ-ერთმა ძმაცაცმა შინ დამაბრუნა: — თუ შენ არ გიყვარს, მაშინ ასეთ ანგელოზს, აქ არ დაგტოვებო... ის ახლა ჩემი შეყვარებულია. რომ არ მომეტყუებინა, ასეთ კაცს ხომ ვერ დავითრევდი?“

„დღეს პირველი მართალი. ჰოდა, შეყვარებული მოვატყუე, „ექსლოვს“ შევურიგდი-მეთქი. არ ვიცი, მოაქვს თუ არა ტყუილს სარგებლობა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ შეყვარებული უნდა შემოვირი-

ლას“ და მომცა. მეც ეს მინდოდა. ამოვიღე ჩანთიდან სხვა რვეული, სადაც არასწორად იყო დაწერილი ყველა საკითხი, გარედან ლევანის სახელი და გვარი მივანერე და ჩემს რვეულთან ერთად ჩავაბარე. ლევანის საცოდავი თვალები უნდა გენახათ, როდესაც რვეული გადაშალა და იქ „საყვარელი“, „ლამაზი“ ორიანი დახვდა. მე კი „ოთხიანს“ არ დავჯერდი და იმდენი ვისლუკუნე, რომ მასწავლებელს შევეცოდე და ხუთიანი დამინერა. მწვანეთვალა ანგელოზი“.

**„დღეს პირველი აპრილია“**

„მინდა, ერთი ტყუილი გავისხენო. ამბავი ერთი წლის წინ მოხდა. თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში მედდად ვმუშაობ. ერთ საღამოს მორიგე ვიყავი. პირველი აპრილი დგებოდა. ჩემი თაყვანისმცემელი გამახსენდა და ვიფიქრე, რამეს მოვატყუებ-მეთქი. ვიდრე რამეს მოვიფიქრებდი, მისგან მესიჯი მივიღე: „მამატიე, რომ აქამდე არ გითხარი, მაგრამ არ მინდოდა, გული გტკენოდა. ახლა კი მინდა იცოდე, რომ სხვა მიყვარს“. მაშინვე მივხვდი, რომ ეს საპირველადრილო ხუმრობა იყო და მივწერე: „კაი, აბა, „პაკაააა...“ მან იფიქრა, რომ დავიჯერე და დაიწყო რეკვა. ამ დროს კლინიკაში ჩემი და იწვა და რომ არ შენუხებულიყო, ტელეფონს ზარი გავუთიშე. კარგა ხანს რეკავდა. მერე ტელეფონი საერთოდ გავთიშე — ცოტა ინერვიულოს-მეთქი. ამასობაში ჩამძინებია კიდევ. ასე, ღამის 3 საათი იქნებოდა, როდესაც პალატის კარზე ვილაცამ დააკაკუნა. დარაჯი იყო. მითხრა — ქვევით ვილაც ბიჭი გელოდება, მე არ შემოვუშვი, მაგრამ გაიძახის, სანამ არ ვნახავ, ფეხსაც არ მოვიცვლიო. ჩავედი ქვევით და რას ვხედავ? ეს ჩემი მატყუარა თაყვანისმცემელი სანწყლად დგას კიბესთან. გამოქანდა და გადამეხვია. სანოლიდან ავდექი და ტაქსით წამოვედი, რომ მეთქვა, ძალიან მიყვარხარ; დღეს პირველი აპრილია და გესუმრე, რომ არ მიყვარხარ; ტელეფონი რომ გათიშე, მეგონა, სამუდამოდ დაგკარგეო... მართალია, ჩვენ საბოლოოდ ერთ-

გო. მე ისევ დავბრუნდი „გზავნილებში“.

„გზას“ ვკითხულობ და შურით ვსკდები, რომ ჩემი მესიჯი არ დაიბეჭდა. ბედი არ მაქვს... დუმბო“.

„მობილურისთვის ფული ჩუმიად მოვაგროვე და ბოლო გამოცდაზე „ნოკია“ ვიყიდე. ჩემი ძმა კი მოვატყუე — ლომიამ აბიტურიენტებს ფული დაგვირიგამეთქი. ჰოდა, დაიჯერა და გადავრჩი. მანაველი“.

„დაახლოებით 1 წლის წინ ერთი ბიჭი გავიცანი. ძალიან მინდოდა, რომ მასზე შთაბეჭდილება მომეხდინა და მოვატყუე, კიბო მაქვს, სულ 2 თვის სიცოცხლე დამრჩენია-მეთქი. ძალიან განიცადა. 1 წუთით არ მტოვებდა. გავიდა 2 თვე და არ მოვკვდი. ამიტომ მომიწინა სიმართლის გამხელამ. ძალიან ბევრი იცინა. ახლა ძალიან კარგი მეგობრები ვართ და მართლა ძმასავით მიყვარს. ტყუილი კარგი მეგობარი მაპოვნინა. ეშლი“.

„სანამ ჩემი „კიბორჩხალა“ ქმარი უცხოეთიდან ჩამოვიდოდა, მე და „მორიელმა“ მისთვის კარგი ტყუილი გამოვაცხვეთ. ჰოდა, ჩამობრძანდა ეს „რქიანი“ და მე რომ დღეს ცოცხალი ვარ და მესიჯს გწერთ, ეს ტყუილის წყალობითაა. ახლა „კიბორჩხალა“ ისევ მიდის, მე კი ისევ... ჰოდა, რადგან ცოცხალი ვარ, ისევ მოგწერთ ხოლმე. „კიბორჩხალას“ ცოლი“.

„ჩემი ძმა „ჯეობარის“ გამარჯვებული, ირაკლი მარხულიაა. მან რომ კვადროციკლი მოიგო, ის მე დავუმტვრიე, მაგრამ სხვას დავაბრალე. ამიტომ, ჩემთვის ტყუილი მშვენიერი გამოსავალია“.

„კაცმა, რომელიც „გზის“ მემუეობით გავიცანი, მომატყუა, ცოლს გაცილებული ვარო. თავი შემაყვარა და როცა სიმართლე გაირკვა, გაქრა. ტყუილს არანაირი სარგებელი არ მოაქვს. მალო“.

„რა სარგებლობა მოაქვს ტყუილს? რა და... შენც დაიჭერენ, მეც დამიჭერენ, ტრიფონსაც დაიჭერენ და გაიხარებს პატრული... მიაშ... ხულიგანა“.

„მარიკუნა, მარი... რატომ ხარ ასეთი კარგი და სიხარული? ძალიან მაგარი გოგო ხარ... მაგრამ მიყვარხარ... მართლა კი არა, ქალო, ახლა გთავლავ, რომ მესიჯი დამიბეჭდო და გული გამიხარო. ძალიან მატყუარა ბავშვი ვარ. ისე კი, მე „დასალუბი“, ძალიან ლამაზიც ვარ და თუ ტყუილში დამიჭირეს, ღიმილით ვაგვარებ, უცებ. აი, ახლაც მოვატყუე. მუუები და ჩახუტებები, კაი ხალხს. მარიშვა, მიყვარხარ, ოღონდ, მართლა“.

„ეჰ... ტყუილი მაგარია. აბა, ტყუილის გარეშე როგორ შევეტენებოდი ჩემს იდიოტ ქმარს? მას ჰგონია, რომ მის გარდა ცხოვრებაში არავისკენ გამიხედავს. არადა, სანამ ეგ გამოჩნდებოდა, მანამდე 3 შეყვარებული მყავდა, ერთდროულად“.

სამივესთან მაგარი ურთიერთობა მქონდა და თანაც ძალიან ახლო ურთიერთობა. მერე მოვიდა გათხოვების დრო და არჩევანი ყველაზე სულელსა და მდიდარზე შევანერე. ახლა ვცხოვრობ უზრუნველად და ბედნიერად, ჩემს „თავბოსელასთან“. მარტის კატა“.

„ტყუილი ჩემი გაჭირვების ტალკვესია. ხშირად ვიტყუები, მაგრამ ყველას ვეუბნები, რომ ტყუილს ვერ ვიტან. ერთხელ დედაჩემის დამალულ შოკოლადს მივაგენი და მუსრი გავავლე. როცა დედამ ეს აღმოაჩინა, მიაშიტი სახე მივიღე და ვუთხარი, თვალითაც არ მინახავს-მეთქი. ჰოდა, ჩემს უმცროს დას მოხვდაა... ცოტა კი შემეცოდა, მაგრამ ასე გადავრჩი ცემას. ჰო, კიდევ, რას დაესეთ ამ „ღამურას“? ცოდოა „ბაღანე“, ისუშრა და რა ქნას? სინიორიტა“.

„როდესაც პეიმანზე მივდივარ, მამაჩემს ვატყუებ ხოლმე, ვითომ დაქალთან მივდივარ. ამ დროს ყოველთვის გულში მეცინება. ბელურა“.

„მინდა მადლობა გადავუხადო ჩინურ გოჭის ყულაბას, რომელმაც მომცა 5 „ოცთეთრიანი“, რათა თავი დამეღწია კოშმ“.



მარისა და უბედურებისაგან. აკვა“.

„ჩემთვის და ჩემი ტყუილისცალისთვის ტყუილს ის სარგებლობა მოაქვს — „მამიჯანმა“ იცის, რომ „მარშრუტით“ ვმგზავრობთ. ჩვენ კი ყვითელი ავტობუსით დავდივართ. ხურდები კი ქუჩდებიან... ნონიკო“.

„ცოცრის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩემს ჯგუფს ბიჭს წაუკითხავს განცხადება, „საგაზაფხულო ფასდაკლებათ“ და მეორე დღეს შეყარა თქვისი ძმაცაცები, ქალები დაიაფებულაო... თურმე არავითარი „სელი“ არ ყოფილა“.

„ტყუილს ჩემთვის ფულის დაზოგვა მოაქვს. მე-9 სართულზე ვცხოვრობ. ლიფ-ტი კი ფასიანია. როდესაც ლიფტში შევალ, ბებო ზვიდან გამოიძახებს ხოლმე და ვმგზავრობ ასე უფასოდ. რა მოხდა, ერთი ლიფტი თუ „გადავაგდე“?

„ჩემი დედამთელი მოსკოვში ცხოვრობს და მაგარ „მაყუთსაც“ შოულობს. ფულს კი იმ შემთხვევაში გვიგზავნის, თუ მოვატყუებ, რომ ავად ვართ. შემდეგ კი მართლა ავად ვხდებით ხოლმე და ის ფული ექიმებში გვეხარჯება. ასე რომ, ტყუილს ჩემთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს“.

„ახლა „დაკარგულებს“ ვუყურებ, მაგრამ შენ მაინც გიმესიჯებ. პრინციპში, მაინც რეკლამაა... „გზა“ და „გზავნილები“ მაგარია... ესეც რეკლამაა...“

„ტყუილს სარგებლობა კი მოაქვს, მაგრამ მისი გამოყენების წესი უნდა იცოდეთ. მე არ ვიზიარებ აზრს, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. სულაც არა! მე თუ მკითხავთ, მშვენიერი ტანის აქვს და ფეხებიც კისრიდან ეწყება. გრუბი“.

„ტყუილს რომ სარგებელი მოჰქონდეს, ცოდვა კი არ იქნებოდა... ამ გაგანია მარხვაში რა დროს ტყუილები იყო? რაც წინო მასწავლებლისთვის მომიტყუებია, იმდენი 1 დოლარი მე და ახლა უკვე მილიონერი ვიქნებოდი. პატარა ბ.ა.ლი“.

„ტყუილმა ის სარგებლობა მომიტანა, რომ შეყვარებულს მოვატყუე, ვერ შეგხვდები, სამეცადინო მაქვს-მეთქი და სინამდვილეში, დაქალთან ერთად სხვაგან წავედი. იქ კი ჩემი ნამდვილი სიყვარული გავიცანი. ამას ამბავი მოჰყვარა... გახსენებაც არ მინდა. მეც მინდა თქვენს „სასტავში“, რაა... ნინასი“.

„სახლვარგარეთ ვიყავი და სულ 2 კვირაა, რაც ჩამოვედი. პირველსავე დღიდან უამრავი პრობლემა დამატყდა თავს. ისევ უფულოდ დავრჩი და უკანვე ვბრუნდები. აქ სამ წელზე მეტხანს ერთი ძალიან კარგი გოგონა მელოდა, მე კი ყველაფრის უთქმელად მივდივარ. ვერაფერს ვეუბნები, რადგან ძალიან მრცხვენია. დედას გეფიცები, მატყუარა არ ვარ. ნათო, მამატიე“.

„მარი, ჩემს ოჯახში „მის სენსაციად“ ხარ წარდგენილი. ჩემს 19 წლის ძმას „დედა ენის“ გარდა წიგნი არ წაუკითხავს. გუმინ კი რას ვხედავ? „გზავნილების“ კითხვა არ დაინწყო? მგონი გვეშველა! ნოთერლაითი“.

„ეჰ... რომელ სარგებლობაზე ლაპარაკობთ? ჩემს საყვარელ ადამიანს მოვატყუე, სხვა მიყვარს-მეთქი და გაბრაზებულ გულზე, იმ დღესვე გოგო მოიტაცა. ახლა კი ორივეს სატრლად გვაქვს საქმე, რადგან ჩემთვის მიუღებელია ცოლიანი კაცის სიყვარული. პატარა ჟურნალისტკა“.

„ერთი ბიჭი მომწონდა ძალიან, მაგრამ გაგებული მქონდა, რომ ქალწული გოგონები არ „ევასებოდა“. აღარ ვიცოდი, რა მექნა. ავდექი და ვუთხარი, რომ ბოიფრენდი მყავდა და დავმორდი-მეთ-



ქი. ეს რომ გაიგო, არ მეცაა... გაუბატი-ურებას ძლივს გადავურჩი. დედაა... რა უტვინო ვააარ! ფანატკა“.

„პირველ მარტს ჩემს დაქალს მოვატყუე, რომ ფილტვებზე რენტგენი გადავიღე და ექიმი მაშინვე მიხვდა, მწველი რომ ვარ-მეთქი. უნდა გენახათ მისი სახე (უმკაცრესი მშობლები ჰყავს და რომ გაუგონ — ენევა, თავს მოჰკვეთენ). ჰოდა, აგერ, უკვე მეორე დღეა, სიგარეტისკენ გახედვაც არ უნდა. ხომ მოიტანა ჩემმა ტყუილმა სარგებლობა?“

„თავ-პირი მაქვს დაღწილი და იცი, რატომ? „გზის“ გამო. ხუთშაბათს დიდი ამბით გავრბოდი, რომ ჟურნალი მყიფი და... დავმახინჯდი... ბოქლომა“.

„ბოლოს ერთ ადამიანს მოვატყუე, რომ მძიმე ავადმყოფი ვარ. აბა, რა უნდა მექნა? თავს არ მანებებდა და...“

„მარი, მხოლოდ მეორედ გიმესიჯებ, მაგრამ „გზავნილების“ საშუალებით გაცივანი ერთი ცოლშვილიანი მამაკაცი და შემეყვარდა. არადა, მეც გათხოვილი ვარ. რა უნდა ვქნა ახლა, ნეტავ? ჩემი ნიკი „აგრესიონერა“ იქნება“.

„ეჰ... ტყუილს რომ სარგებლობა მოჰქონდეს, ჩემი ქმარი ახლა მილიონერი უნდა იყოს“.

„მარი, „ქვრივთა პარტიას“ როგორ დაუკავშირდე? ქვრივი არ ვარ, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, ახლო მომავალში ვიყო. ნიტა“.

„ერთხელ დედაჩემმა „ხუთლარიანი“ მომცა და პურზე გამგზავნა. რომ დავბრუნდი, მოვატყუე, ხურდა არ დამიბრუნეს-მეთქი. დედაჩემი მალაზიამ ჩავიდა და იქ ამბავი ატყდა... აი, რა სარგებლობა მოაქვს, ტყუილს“.

„უკვე აღარ მახსოვს, მერამდენედ გიმესიჯებ. შენ არ მიბეჭდავ, მე — არ ვნებდები. ვგზავნი და ვგზავნი მესიჯებს, რადგან მეოცნებე ვარ და მჯერა, ერთ „მშვენიერ“ ხუთშაბათს გადავმლი „გზას“ და ჩემს მესიჯს ნავიკითხავ. ევეჰ... ოცნებას კაცი არ მოუკლავს... ნოსტალგია-19“.

„რას ერჩით ამ „ლაშურას“, ხალხო? თუ მარის ეპირფერები? ერთი შეცდომა ყველას მოსდის და „ლაშურასაც“ უნდა ვაპატიოთ. „ლაშურა“, იმედია, ასე იქნება, ხომ? მეორედ მე უკვე ვეღარ დაგიცავსათქმელი აღარ მექნება. ვერიკო“.

„ნინა ნომერში ლიკამ ჩემს „გასაგონად“ დაამესიჯა — შენი ქმარი არ მომიპარავს, მიპოვიაო. მინდა ვუთხრა, რომ ჩემი ქმარიც მიჩუქნია და დედამთილ-მამათილიც. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, ყველა. თუ თავის ნაპოვნს მალე „ნაილებს“, ნაქურდალს სულაც არ დაემსგავსება. სოფო“.

„ბებიანები ნამდვილი კუდიანია. ვერ მიტანს და სულ იმას ცდილობს, რამეში გამოიჩინოს, რომ მამაჩემთან ჩამიშვას. ჰოდა, მეც სხვა რა გზა მაქვს? ნავიდა ტყუილები... ტყუილები რომ არ არსებობდეს, ახლა მესიჯს ვერ მოგწერდით. დღესაც, ჩემმა კუდიანმა ბებიკომ და მეზობელმა, შეყვარებულთან ერთად მოსერივნე დამაფიქსირეს. თუ მამიკოს

ყურამდე მივიდა, მომიწევს ტყუილების თქმა. ვნაცვალე, ტყუილებს. ჭინკა გოგო“.

„ვაიმე, რა მემშველება? ბიოლოგიის მასწავლებელმა გამიძახა და ვუთხარი, ვიმეორებ-მეთქი. არადა, გამეორების მაგივრად თქვენ გიმესიჯებთ. მოვდივარ, მასნ...“

„მარი, მჯერა, რომ სულ არ ჰგავხარ იმ მასწავლებელს, „იმერული ესკიზებიდან“ და ჩემი არცთუ ისე კარგი საქციელის გამხელისთვის, იმ საწყალი ბავშვივით არ დამსჯი. ჩემს ტყუილს, როცა ვამბობ, რომ ანგარიშზე თანხა არ მაქვსო — ყოველთვის სარგებლობა მოაქვს და დეპოზიტის შევსებით მთვრდება. ცუდი ვარ? გიჟი გოგო“.

„დღეს ჩემი 20 წლის იუბილეა, მაგრამ ასე ცუდად სიცოცხლეში არ ვყოფილვარ. ჩემი უახლოესი ძმაცაცი აფხაზებს ჰყავთ დაჭერილი. იმ 3 პატრიოტიდან ერთ-ერთია. დღეს ჩემს თავს მილოცვა გავუგზავნი და იკვს გათავისუფლება ვუსურვე. იკა ყორშია, თურმე როგორ მყვარებხარ! ლანა ყორშია“.

„ახლა ამბავს რომ მოგიყვებით, ასეთს მარტო სერიალში თუ ნაიკითხავთ, მაგრამ მერწმუნეთ, სრული სიმართლეა. ძალიან მომწონდა ერთი ბიჭი. ის კლუბში ვნახე და ძალიან მიწოდდა მისი გაცნობა. არ ვიცოდი, როგორ მომიხერხებინა. ბოლოს, ასეთ ხერხს მივიმართე: მის წინ გავიარე და ფეხებთან დავეცი, ვითომ გული წამივიდა. მე მგონი, გამომივიდა, რადგან ის ახლა ჩემი ქმარია, გვერდით მინევს და ხვრინავს. მაგარი „გოგჩო“.

„ჩემს ოჯახში ხუთშაბათის მოსვლა უხარიათ. რატომ? იმიტომ, რომ ადრე ვდგები. რატომ? იმიტომ, რომ „გზის“ ყიდვა მეჩქარება. რატომ? იმიტომ, რომ ჩემს მესიჯს ველი, მაგრამ რატომაც ვერ ვპოულობ. თუთი“.

„თვას მსგავსად, მეც ვზივარ ახლა და „გზავნილებს“ ვკითხულობ. ჩემი 11 თვის შვილი კი ტირილით სკდება. აბა, მე არა ვარ ცოდვა, მთელი დღე რომ მატირებეს?! ათენა“.

„მე ახალი ვარ და მიმიღებთ თქვენს „სასტავში“? მაგრამ მევასებით და რაც მთავარია, ტყუილების დიდოსტატი ვარ. გველი“.

„ტყუილს სარგებელი რომ არ მოჰქონდეს, ახლა დედაჩემი ცოცხალი არ იქნებოდა. აბა, ყველაფერი სიმართლე რომ ვუთხრა, ხომ გაუსკდა გული და შემიკლა დარიგებებით?! ილინი“.

„ტყუილი ძალიან ცუდია. ერთხელ, 9 წლის უნახავმა მამამ მომატყუა, მოვალე. მთელი დღე ველოდი მას, მაგრამ არ მოვიდა“.

„მე და ჩემს მეუღლეს ერთმანეთი 6 წლის განმავლობაში გვიყვარდა, მაგრამ ჩვენს მეუღლებას სამველი არა და არ დაადგა. ამ ზაფხულს, დედოფლისწყაროში ვიყავი (ჩემი მეუღლე იქ ცხოვრობს) და ერთხელ მოვატყუე, ვითომ მეორე დღეს შინ ვბრუნდებოდი. იმან კიდევ, იმავე საღამოს მომიტაცა. მაისში უკვე ბაის ველოდები. რომ არ მომეტყუებინა, ახლა ისევ გასათხოვოდი ვიქნებოდი. აი, რა მშვე-

ნიერი სარგებლობა მომიტანა ტყუილმა. ფისო“.

„ტყუილი? რა ვიცი, მე მარგებელი ტყუილი არ შემხვედრია „პრაქტიკაში“. ისე, ალბათ არსებობს კეთილი ტყუილიც. ძნელია, როცა ახლობელი ადამიანი გატყუებს და გლალატობს. ლიკანა“.

„იმდენი ტყუილი მაქვს ნათქვამი!.. სულ სიმართლე რომ ვილაპარაკო, მშობლები კუბოს გარეშე დამმარხავენ“.

„ძალიან მიყვარს ერთი ბიჭი. ის ჩემი დისშვილის ნათლიაა. მასაც ვუყვარვარ და ჩუმი ვხვდებით ერთმანეთს. თუმცა, ყველას ვუბნებთ, რომ ჩვენ შორის არაფერია“.

„მინდა თქვენს „კლუბში“ გაერთიანება და მინდა, რომ მიცნობდეთ. მე ვარ მათა“.

„გაიხაროს ტყუილის მომგონმა! რომ არა ტყუილი, მე უბედური, დღეში ათჯერ გავილახებოდი, მოტყუებული შეყვარებულის მიერ. სამსუნგა“.

„რა სარგებლობა მოაქვს ქათამ... უფ, ტყუილს? ტყუილი ქაჩავს თვალს, ჰძაბავს გონებას... კიდევ? თუ გამიგეს, მხვდება „პოლის“ ჯოხი და მაჯდება კოპი. კიდევ, ეფექტურად ფარავს ჩვენს კომპლექსებს. მაგალითად, თუ ხარ დაბალი, შავი და მელოტი, შეგიძლია, უცებ გახდე მალაღი, ქერა და ლამაზი. კიდოოო?.. კიდო ჩინჩლავს და ნავედი ახლა, დავდექი კუთხეში. მატყუარებო, გაიხარეთ! ნინო-მილიანი“.

„ტყუილს რომ სარგებლობა მოჰქონდეს, ახლა არ ვიტირებდი, შეყვარებულთან განშორების გამო“.

„სკოლაში ნახვლა არ მიწოდდა და დედაჩემს ვუთხარი, დაქალთან წავალ, ქიმი უნდა ამიხსნას და ხვალ ერთად წავალთ სკოლაში-მეთქი. მე და ჩემმა მეგობარმა მთელი ღამე კომპიუტერთან გავათენეთ, შუადღისას გავიღვიძეთ და დიდი ამბით პიჟამოთი „დავტასაობდით“. ცხოვრება მიხაროდა და არ ნამომადა თავზე დედაჩემი?! აღარ ვიცოდე, სად შევმძვრალყავი. დაიწყო ლექცია... ახლაც, უკვე 9 საათია და ისევ იმაზე მელაპარაკება. ეჰ, უბედურო ჩემო თავოოო... ტყუილს ნამდვილად მოკლე ფეხები აქვს...“

„ვაიმე, რა მაგარი შეგრძნებაა, როცა შენს მესიჯს „გზაში“ ნაიკითხავ! მე ის ვარ, ჟურნალი მამ რომ „ამახია“. თქვენთან ვარ! ჩემი ნიკი კი იქნება „კირჩხიბი“.

„აუ, მარი, არ გეცოდები? როდის უნდა დამიბეჭდო ერთი „საცოდავი“, „კინკილა“ მესიჯი? „გზა“ შენ შემეყვარე. არ გეცოდები? ლოგინში ვარ, სიცხინი და „გზას“ ვკითხულობ. დიფსი“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — მოულოდნელი გადაწყვეტილება. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.



# როგორ მოვუბროთ თმას სივ აბინდში

ნებისმიერი ქალი ოცნებობს ლამაზ თმაზე. სამწუხაროდ, ზამთარში თმის ძირები სუსტდება, მტვრევადი ხდება, კარგავს ელასტიკურობას და ცუდად ივარცხნება. სიცვიდან სისხლძარღვები ვიწროვდება, სისხლის მიმოქცევა შედარებით ნელდება — ე.ი. თმის ძირები ვერ იღებს სიცოცხლისთვის აუცილებელ საკვებს, ამის შედეგად კი, კარგავს ძალას, მისი ძირები მალე ცხიმოვანდება, ხოლო ბოლოები პიროქით, შრება და მტვრევადი ხდება.

მანამ, სანამ თმის სწორად მოვლას დაიწყებთ, საჭიროა გაარკვიოთ, თუ რომელ ტიპს მიეკუთვნება თქვენი თმა.

### თუ თქვენი თმა გაჭიმულია:

მაშინ თქვენ აუცილებლად უნდა ჩაიტაროთ შემდეგი პროცედურა. პირველ რიგში, დაბანამდე 15 წუთით ადრე, მასზე დაიდეთ მკვებავი ნიღაბი, რომელიც შეიცავს ნატურალურ პალმის ზეთს.

განებიერეთ ის შინ მომზადებული კარტოფილის ნიღბით: აიღეთ 3-4 საშუალო ზომის კარტოფილი, კანიანად ჩაყარეთ ადუღებულ წყალში და მოხარშეთ. როცა მზად იქნება, წყლიდან ამოიღეთ, გაასუფთავეთ, თიხის ჭურჭელში მოათავსეთ, პიურედ აქციეთ და დაამატეთ 2-3 ს/კ არაჟანი ან ნაღები. ეს მასა თმაში შეიზილეთ, მერე თავზე ცელოფანის პარკი, ზემოდან კი სქელი პირსახოცი შემოიხვიეთ. 30 წუთის შემდეგ თავი დაიბანეთ მშრალი თმისთვის განკუთვნილი შამპუნით და ბოლოს, გადაივლეთ შემდეგი ნარევი: 1 ჩ/კ ლიმონის წვენი ან ვაშლის ძმარი, შერეული ნახევარ ჭიქა წყალში.

ისეთი შამპუნი და ბალზამი უნდა გამოიყენოთ, რომელიც მშრალი თმისთვისაა განკუთვნილი და სასურველია, რომ ისინი ერთი და იმავე ფირმის იყოს. ბალზამი 2 წუთით მაინც გაიჩერეთ და ბოლომდე არ ჩამოიბანოთ.

შეცადეთ, თმა ზოგჯერ მაინც გაიმართოთ ფენის გარეშე.

### თუ თქვენი თმა გაჭიმულია:

არ გირჩევთ თავის დაბანას ძალიან ცხელი წყლით, რადგან მაღალი ტემპერატურა ცხიმის გამოყოფას უწყობს ხელს. იგივე ეხება ფენსაც: აირჩიეთ საშუალო ან ცივი პაერ.

ისევე, როგორც მშრალი თმის შემთხვევაში, მის მოვლაში ნიღაბი გვეხმარება. თმის დავარცხნის დროს თავი აარიდეთ ისეთი საშუალებების გამოყენებას, რომელიც სილიკონს შეიცავს და კიდევ: თმას იშვიათად შეეხეთ ხელით — ეს შეამცირებს მის გაცხიმინებას.

შეგიძლიათ მოამზადოთ შემდეგი ნიღაბი: აიღეთ თიხის ჭურჭელი და მასში მოათავსეთ კარტოფილის პიურე, შეურთეთ ათქვეფილი კვერცხის ცილა და 1 ს/კ თაფლი, დაუმატეთ ცოტა მარილი და 1 ჩ/კ დაფქული შვრია. ნიღაბი თმაზე წაისვით, თავზე ჯერ ცელოფანის პარკი, შემდეგ კი პირსახოცი შემოიხვიეთ და 20 წუთის შემდეგ თავი დაიბანეთ ცხიმოვანი თმისთვის განკუთვნილი შამპუნით. ბოლოს, თავზე გადაივლეთ წყალში გახსნილი ვაშლის ძმარი.



### თუ თქვენი თმა გაჭიმულია:

არაოდნე საოცარიც არ უნდა იყოს, ცივ ამინდში, შერეული ტიპის თმა ყველაზე მეტად ზიანდება: ცუდად ივარცხნება, ვარცხნილობა მალე იშლება, თმის ძირები სწრაფად ცხიმოვანდება, ხოლო ბოლოები იმტვრევა. ამ ყველაფრისგან თავის დასაღწევად უნდა გამოიყენოთ კომბინირებული შამპუნი — ცხიმოვანი თმისთვის, რომელშიც შერეულია მშრალი თმისთვის განკუთვნილი კონდიციონერი.

შეგიძლიათ გამოიყენოთ სპეციალური შამპუნი შერეული თმისთვის, რომელიც ამორებს ზედმეტ ცხიმს, იცავს და „მორჩილს“ ხდის თმას.

### თუ თმა გაცივდა:

ნუ შეშფოთდებით, თუ ცუდ ამინდებში თმა უჩვეულოდ უხვად იწყებს ცვენას, რადგან ეს მხოლოდ და მხოლოდ სიცვიდან ბრალია. თუმცა, ამას მაინც უნდა ვებრძოლოთ — თმის ძირების გასამაგრებელი საშუალებებით. მის დამარცხებაში დაგეხმარებათ მასაჟიც, რომელიც აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ალადგენს თმის ძირებს და შედეგად, თმის ცვენა მცირდება. მისი გაკეთება შეიძლება თავის დაბანის დროს და საერთოდ, მთელი დღის განმავლობაშიც, მაგრამ ნუ დაიგლეჯთ კანს ფრჩხილებით, არამედ თითების ნაზი მოძრაობით გაიკეთეთ მასაჟი.

თმის ძირების გამაგრებაში დაგეხმარებათ ჩაის ნაყენის და სტაფილოს წვენისგან

მომზადებული ნიღაბი. აიღეთ ერთი საშუალო ზომის სტაფილო, გაასუფთავეთ, გახეხეთ და მოათავსეთ თიხის ჭურჭელში. დაამატეთ 5 წვეთი აბუსალათინის ზეთი, 1 ჩ/კ არაჟანი (ან ნაღები) და ჩაის ნაყენი. ყველაფერი კარგად ათქვიფეთ. ეს მასა თმაში შეიზილეთ და 40 წუთის შემდეგ თავი თქვენი თმის ტიპისთვის განკუთვნილი შამპუნით დაიბანეთ, ბოლოს კი გადაივლეთ 1 ჩ/კ წყალში შერეული 1 ჩ/კ ლიმონის წვენი.

### თუ თქვენი თმა გაჭიმულია:

მკვებავ ნიღაბს ისვამენ აუცილებლად დაბანამდე და ამისთვის იყენებენ სპეციალურ ფუნჯს ან ღრუბელს.

ერთმანეთში აურიეთ კვერცხის გული, 1 ჩ/კ აბუსალათინის ზეთი, 1 ჩ/კ თაფლი და თმაზე წაისვით ღრუბლის ან ფუნჯის მეშვეობით. თავზე წაიკაროთ ცელოფანის პარკი და შემოიხვიეთ სქელი პირსახოცი. 20-40 წუთის შემდეგ თავი თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

ერთმანეთში აურიეთ კვერცხის გული, ზეთის ზეთი, 1 ს/კ კონიაკი ან არაყი და თმაში შეიზილეთ. 30-40 წუთის შემდეგ, ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

საფუარი და კეფირი (თანაბარი ოდენობით) შეურთეთ ერთმანეთში და თქვიფეთ მანამდე, სანამ ფაფად არ იქცევა. ეს მასა შეიზილეთ თმაში, გააჩერეთ 30-40 წუთის განმავლობაში და შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

თავის კანსა და თმაზე წაისვით არაჟანი ან კეფირი, დაისურეთ ცელოფანის პარკი, შემდეგ შემოიხვიეთ სქელი პირსახოცი. 1-2 საათის შემდეგ, თავი ცხელი წყლით ჩამოიბანეთ.

კარგია, თუ თმაზე ვაშლის ნიღაბს დაიდებთ (სასურველია, ეს პროცედურა კვირაში 2-ჯერ მაინც გაიკეთოთ). აიღეთ ერთი დიდი ზომის ვაშლი და გახეხეთ. ეს მასა შეიზილეთ თავის კანში და 30 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ. თმა ფენის გარეშე გაიმართეთ.

### თუ თქვენი თმა გაჭიმულია:

მაშინ იზრუნეთ იმაზე, რომ ქუდი შეიძამხარე მაინც იყოს ბუნებრივი ქსოვილისგან მომზადებული.

თბილ შენობაში ყოფნისას, აუცილებლად მოიხადეთ ქუდი (თმას სუნთქვის საშუალება მიეცით).

რჩევა: შეცადეთ, არ გამოიყენოთ რკინის საფარცხელი და სამაგრები, რადგან ის თმის ცვენას უწყობს ხელს.



# ტუჩების კორექცია მაკიაჟის მეშვეობით

უკმაყოფილო ხართ თქვენი ტუჩების ფორმით? მაშინ დაიმახსოვრეთ, ყოველთვის მოიძებნება ისეთი რამ, რისი გამოსწორებაც შეიძლება. რა თქმა უნდა, ტუჩის ფორმის შეცვლა უმჯობესია, პლასტიკური ქირურგიის სპეციალისტს მიანდოთ, ხოლო მის მოვლას, მკურნალობასა თუ კორექციას (მაკიაჟის მეშვეობით) თავადაც შეძლებთ.

(რძის პროდუქტები, ბოსტნეული და ა.შ.).

კარგია, თუ დაზიანებულ ტუჩზე გახეხილი ვაშლის ფაფას წაისვამთ. ის რამდენიმე წუთის განმავლობაში გაიჩერეთ და შემდეგ, გაინმინდეთ.

ტუჩიდან აქერცლილი კანი რომ მოიშოროთ, ამისთვის აიღეთ მშრალი კბილის ჯაგრისი და ის მასზე ხელის მრგვალი მოძრაობით რამდენჯერმე აატარ-ჩამოატარეთ. შემდეგ, ტუჩი წყლით გაჟღენთილი ღრუბელით გაინმინდეთ, ხაოიანი პირსახოციტ გაიმშრალეთ და ბალზამი წაისვით.

## მაკიაჟის საიდუმლო

პომადა, ისევე როგორც სუნამო, უმჯობესია, მაცივარში შეინახოთ. ის უფრო დიდხანს შეინარჩუნებს ეფექტურობას.

პომადას ყიდვისას, მისი ფერის შესაბამისმებლად ის თითზე უნდა წაისვათ, რადგან მისი კანის ფერი და ხარისხი, ტუჩისას ემთხვევა.

თქვენი თხელი ტუჩით უკმაყოფილო ხართ? მაშინ შეეცადეთ, ის ვიზუალურად გაიდიდოთ. მოსინჯეთ ნათელი ფერის პომადა. მასთან ერთად გამოიყენეთ იმავე ან 2 ტონით მუქი ფერის ფანქარი და ტუჩის „ბლესკი“. ასეთი მაკიაჟის შემდეგ, თქვენი ტუჩები შედარებით ხორციანი გამოჩნდება.

## როგორ უნდა მოუაროთ ტუჩებს

როცა დილით და საღამოს კბილებს იხეხავთ, ტუჩებსაც ნუ დაივიწყებთ — მასზე კბილის რბილი ჯაგრისით მასაჟი გაიკეთეთ.

პომადასთან ერთად, თქვენს „კოსმეტიკაში“ ყოველთვის უნდა იყოს ტუჩის ბალზამი. მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, რომ ტუჩები არ დავიზიანოთ, ხშირად ამას ვერ ვახერხებთ და ის სკდება, უხეშდება, კანი იქერცლება. ამის მიზეზი კი ძირითადად, ცუდი ამინდი და ქარია. როგორ უნდა მოიქცეთ ამ შემთხვევაში?

## არ დაივიწყოთ ტუჩის ბალზამი

შეეცადეთ, უარი თქვათ მავნე ჩვევაზე (თუ ის გჩვევიათ, რა თქმა უნდა) — ხშირ-ხშირად დაისველოთ ტუჩი, რადგან ეს ხელს უწყობს მის დაზიანებას.

როცა ტუჩის კუთხეები ხშირად გიუხეშდებათ, გექერცლებათ, ეს იმის ნიშანია, რომ გაკლიათ B-2 ვიტამინი. ამიტომ თქვენს მენიუში უნდა შეიტანოთ ისეთი საკვები, რომელიც ამ ვიტამინს შეიცავს

თქვენი ტუჩი ძალიან სქელი გეჩვენებათ? მაკიაჟის საშუალებით, ამ პრობლემის მოგვარებაც შეიძლება. ფანქრით მისი შემოხაზვა საჭირო არ არის, პირიქით, უმჯობესია ტუჩის ბუნებრივ კონტურზე წაისვათ პომადა, ხოლო კუთხეები არ შეიღებოთ.

პირის ფორმის შესამცირებლად, მისი კუთხეები შეგიძლიათ ტონალური კრემით დაფაროთ.

თუ პომადას ფერი ცოტათი მკვეთრი აღმოჩნდა, ვიდრე ელოდით, მასზე ერთი ტონით უფრო მუქი ან ღია ფერის „ბლესკი“ გადაისვით.

პომადას დიდხანს შეინარჩუნებთ, თუ მასზე ფანქარს გადაისვამთ. უმჯობესია, ის პომადაზე რამდენიმე ტონით მუქი იყოს.



## ჩხელი ბუტერბროდი წინილის ხორცი

**მოსაზადებლად საჭიროა:** 200 გ შემწვარი წინილის ხორცი, 100 გ ყველი, 2 ს/კ მაიონეზი, 50 გ კარაქი, 400 გ პური.

**მომზადების წესი:** პური დაჭერით თხლად, წაუსვით კარაქი, დაანყვეთ ხორცისა და ყველის თხელი ნაჭრები, გადაუსვით მაიონეზი და გასუხეთ ჰაერლუმელში. სუფრასთან ცხელ-ცხელი მიიტანეთ.

- მოძისაწერებს მაღალი ხარისხი
- უკრნაღ-გაზეთებს ფართო არსიქანი
- ყველაზე დაბალი ფასები

და ეს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად!

**გაგონიერა!**

გამოცემის დასახელება	1 კგ ფასი	წილე
1 ბომბედი	2,00	52,00
2 Бурда	7,00	42,00
3 Бог	12,00	72,00
4 Космополитан	12,00	72,00
5 Мадам Фигаро	10,00	60,00
6 Elle	12,00	72,00
7 Караван истории	8,00	48,00



პრესის  
გავრცელების  
სააგენტო

ქ. თბილისი  
თბილისის ქ. № 49  
ტელ: 42-43-40;  
38-26-73; 38-26-74.  
ფაქსი: 38-26-74.  
E-mail: elvaservice@mail.ru.

აგრეთვე ნებისმიერი სხვა  
დასახელების უკრნაღ-გაზეთები



**ნათია ქვიპია**

— პირველად როდის და რატომ გადანწყვიტეთ ამერიკაში გამგზავრება?

— ალბათ ყველა იცნობს პიანისტ ლევან შენგელიას, რომელიც ჩემი მეგობარია. ის 1992 წელს გამგზავრა ამერიკაში, 1995-ში კი, მაიამიში დაბრუნდა. გადანწყვიტა, რომ მეც უნდა წავეყვანე და მიწვევა გამომიგზავნა, რომელიც რა თქმა უნდა, ნამდვილი არ იყო, უბრალოდ, ვიღაც ამერიკელს მოაწერინა ხელი. სხვა არანაირი საბუთი არ მქონდა... შანსი გამიჩნდა და წავედი, თუმცა, რა თქმა უნდა, ოჯახში მატერიალური პრობლემებიც გვქონდა. კარგად მახსოვს, ერთი ჯინსის შარვალი შევიძინე, სიდედრმა სვიტერი მიყიდა, ნიუ-იორკში ერთი მასწავლებელი გვყავდა, იმან ჩემი ბილეთის ფული გადაიხადა და ამერიკაში რომ ჩავედი, ჯიბეში 30 დოლარი მედო. მაიამიში კარგა ხანს, ადაპტაციის პერიოდი მქონდა. სანაპიროზე იქ ჩასვლიდან მხოლოდ 2 თვის შემდეგ გავედი... თავიდან სწრაფი კვების ობიექტში დავიწყე მუშაობა — სენდვიჩებს ვამზადებდი. პირველსავე სამუშაო დღეს, სრულიად მარტო დამტოვეს. ღამის 2 საათამდე უნდა მეშუშავა. ენა საერთოდ არ ვიცოდი. მყიდველებს თვალბუნი ვუყურებდი, არ მინდოდა, რაიმე შემშლოდა... ალბათ არ დამიჯერებთ, მაგრამ ახლა ყველა იქ მცხოვრებ ქართველს მანქანაც ჰყავს, კომპიუტერიც აქვს და სხვა დანარჩენი ფუფუნების საგნებიც არ აკლია, მაშინ კი, მსგავსი რაღაცები ჩვენთვის არ არსებობდა. ტელეფონზე დალაპარაკება ერთი წუთი 2,30 დოლარი ღირდა. რა თქმა უნდა, ქართველებმა აქაც ვიპოვეთ გამოსავალი: დავერეკავით თბილისში, საათს დავინიშნავდი, 55 წამი რომ გავიდოდა, გავითიშავდი. ასე ვლაპარაკობდი 15-20 წუთი... თვის ბოლოს სატელეფონო გადასახადი რომ მოვიდოდა, იმ კომპანიაში ვრეკავდი და ვუთხნებოდი: საქართველოში დარეკვას ვცდილობდი, მაგრამ ვერ გავდიოდი-მეთქი. ისინი ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ შეიძლებოდა, 55 წამი გელაპარაკა, გაგეთიშა და ასე გაგემორებინა 20-ჯერ. ამიტომ, ამ ტყუილს „ჭამდნენ“ და

რუბრიკას „ემიგრანტები“ საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან გვიკავშირდებოდნენ და თავიანთ ამბებს გვიყვებოდნენ. ამჯერად, მაიამიში მცხოვრებ ქართველ კაცს წარმოგიდგინებ. მას ამერიკაში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ვენციეთ შინ და ამერიკულ შთაბეჭდილებებზე საუბარი ვთხოვეთ... ჩვენი რესპონდენტი, გუჯარი მიწვარიშვილი უკვე 12 წელია, მაიამიში ცხოვრობს. პიანისტი და ბეჭი სხვა ემიგრანტისგან განსხვავებით, საკუთარი პროფესიით მუშაობს.

## ხრიანბი, რომლითაც ამერიკაში მცხოვრები ქართველი არალეგალი იქნა უფს პოულოვანი

„ამერიკაში ეზოსთან რომ ჩაივლი და შიგნით ძაღლია, უნდა ილოცო, რომ მან გიკბინოს“...

თვეში 400-500 დოლარის გადასახადი რომ მომდიოდა, ჩამომანერდნენ ხოლმე... 2-3 წლის შემდეგ, როცა იქ ქართველები მომრავლდნენ, ყველა ამ ხერხით რეკავდა საქართველოში და ამერიკელებიც მიგვისვდნენ ემზავობას... მოგვიანებით, სწავლაც დავიწყე. 2 წლის განმავლობაში, დღისით ლექციებს ვესწრებოდი და ვმეცადინებოდი, ხოლო საღამოს 6 საათიდან სამსახურში მივდიოდი და ღამის 2 საათამდე ვმუშაობდი. ამერიკაში ასეთი ცხოვრების რიტმი — დრო არა გაქვს იმისთვის, რომ საკუთარ თავზე იფიქრო. მოგვიანებით ავეწყვე. კერძო კოლეჯში მუსიკის მასწავლებლად დავიწყე მუშაობა, მანქანაც ვიყიდე და სხვა ნორმალური პირობებიც შევიქმენი. ეს ყველაფერი ჩემი იქ ჩასვლიდან დაახლოებით 3 წელიწადში მოხდა.

— სიდედრი ასწავლეთ. როგორც ჩანს, გამგზავრებისას ოჯახი უკვე გქონდათ.

— დიას, დაოჯახებული ვიყავი. პირველად ამერიკაში 8 თვე დავყავი. აქ რომ ჩამოვედი, ისეთი საბუთები ჩამოვიტანე, რომ ბავშვიც და მუდლაც წავიყვანე. მეორე ბიჭი იქ დაიბადა. მეგრე, ისევ საქართველოში დაბრუნდნენ.

— პროფესიით პიანისტი ხართ. სცენა არ გიზიდავდათ?

— მხოლოდ ერთი კონცერტი გავმართეთ მე და ლევანმა პუერტო-რიკოში. სხვათა შორის, მაშინ დიდი წარმატება მოვიპოვეთ. ერთ ფორტეპიანოზე ორივე ვუკრავდით და თან, დაკვრის პროცესში ადგილებს ვუცვლიდით ერთმანეთს. ძალიან კარგი პროგრამა გვქონდა. ხალხი აღფრთოვანდა. ყველას სურათის გადაღება უნდოდა ჩვენთან. ავტოგრაფებიც ჩამოგვართვეს. გარდა ამისა, ყველას უნდოდა, რომ შინ დავეპატიყთ. საბოლოოდ, არჩევანი ერთ-ერთ კაცზე შევაჩერეთ, რომელმაც შემოგთავაზა, ისეთ ხილს გაგასინჯებთ, რომელიც ნანახიც არ გექნებათ, იშვიათი ეგზოტიკური ხილის მოყვარული ვარ და ბევრი უცნაური რამ მაქვსო. მართლაც, ისეთი უცნაური ხილი ჰქონდა, მას მეგრე არსად მინახავს. თან ამ ხილისგან წვენი გამოიწურა და დავაგლევიანა.

— ამერიკაში ჩასული, იქურ ცხოვრებასთან შეგუება არ გაგიჭირდათ?

— იმდენად გამიჭირდა, რომ რამდენ-

იმე თვის შემდეგ ვამბობდი, საქართველოში რომ ჩავალ, ჩემს მინას ვაკოცებ-მეთქი. მაშინ იქ არც ქართველები იყვნენ (სულ ორნი გახლდით), ვერც ქართულ სატელევიზიო არხებს ვუყურებდით... მაიამიში აბსოლუტურად სხვა კანონებია. შენ ჩემს ბინაში რომ შემოხვედი, ხომ შეიძლებოდა, იატაკზე წყალი ყოფილიყო დაღვრილი, ფეხი გაგცურებოდა, ნაქცეულიყავი და ხელი მოგეტეხა? ასეთ შემთხვევაში, შეგიძლია მიჩვილო, მე კი იძულებული ვიქნები, შენი მკურნალობის ხარჯები ავანაზაურო და ფულიც გადაგიხადო — მორალური ზიანის მოყენებისთვის. ცნობილი ფაქტია — ამერიკაში „მაკდონალდსში“ ქალმა ყავა აიღო, მუხლებზე გადაიხსნა და მიმტანს უჩივლა — ზედმეტად ცხელი ყავა მომიტანაო. იმ ქალმა პროცესი მოიგო და მას კომპანია მილიონი დოლარი გადაუხადა... ამერიკაში ეზოსთან რომ ჩაივლი და შიგნით ძაღლია, უნდა ილოცო, რომ მან გიკბინოს, რადგან ამით იმდენ ფულს იშოვი, ვერ დაითვლი...

— იქ ჩასულ ქართველებთან როგორ ურთიერთობა გაქვთ?

— ქართველები მხოლოდ ისეთ ქალაქებში ახლობლებენ ერთმანეთთან, სადაც ბევრნი არ არიან, თორემ, ნიუ-იორკში, დედას გვეიცებო, ერთმანეთს თვალს არიდებენ, ქუჩაში ქართულ ლაპარაკს რომ გაიგონებენ, ამას ყურადღებასაც არ აქცევენ. ბევრი ქართველი იპარავს, ძალიან ბევრი კი — ნარკომანია. უმუშევრებს ძალიან უჭირთ და ერთმანეთს ესვენებია: შენთან მაცხოვრეო. 7-8 ადამიანი ცხოვრობს ერთ ოთახში და ისიც, სარდაფში. მოკლედ, არავინ იცის, ვინ რას აკეთებს და რითი ცხოვრობს, ამიტომ არიდებენ ერთმანეთს თვალს. მაიამიში ვინც ჩამოსულა, ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. სუსიშვილების ანსამბლი ორჯერ იყო ჩამოსული და ორივეჯერ მათი 12-13 წევრი შინ წავიყვანე. გაგიჟდნენ, ისეთი დრო გავატარებინე... სამწუხაროდ, ქართული არაფერი გვაქვს. ადრე პატარა ქართული რესტორანი იყო, მაგრამ 3 თვეში დაიხურა, რადგან კლიენტი არ ჰყავდა, მხოლოდ 3 ადამიანი დავდიოდი. მხოლოდ რუსულ ეკლესიაში თუ ვნახავთ ხოლმე ქართველებს... ამას წინათ, მაიამიში ახალგაზრდა ბიჭი დაიღუპა, მანქანა დაეჯახა, საცოდავს. იქ არალეგალუ-

რად ცხოვრობდა. ყველა ქართველი დავ-  
ესნარით პანაშვიდს და ვისაც რამდენი  
შეგვეძლო, იმდენი თანხა მოვაგროვეთ, რომ  
საქართველოში გადმოგვესვენებინა.  
საქართველოდან 8 წლის წამოსული იყო.  
სამშობლოში ერთი წლის შვილი დაუ-  
ტოვებია, რომელიც ახლა უკვე 9 წლისაა  
და მამა არ უნახავს... მიუხედავად იმისა,  
რომ ზოგიერთი ადამიანი იქ უკვე რამდენ-  
იმე წელია მუშაობს, ისინი მაინც არაღე-  
გალები არიან, ამიტომ ზოგი იქაურ მო-  
ქალაქესთან ხელს აწერს და ამით მო-  
ქალაქეობის მიღებას ახერხებს. თუმცა, მას  
ჯერ „მწვანე ბარათს“, ხოლო მოგვიანებით,  
მოქალაქეობას აძლევენ. ამერიკაში ჩასულ  
ადამიანს აძლევენ ფურცელს, სადაც წერია,  
რომ ეს იმ ადამიანის სოციალური  
დაზღვევაა. თან, იქვე მიწერილია, რომ ამ  
პიროვნებას ამერიკაში მუშაობის უფლება  
არა აქვს. ქართველი რისი ქართველია,  
თუ სიტუაციიდან გამოსავალს ვერ მოძებ-  
ნის?... ერთ-ერთმა, ასეთი რამ მოიფიქრა:  
ვითომ ფურცელი დაკარგა და ახალი მოითხო-  
ვა. მისცეს დროებითი სოციალური  
დაზღვევა, სადაც მისი ვინაობა კი წერია,  
მაგრამ მუშაობის უფლება რომ არ აქვს,  
ეს აღნიშნული არ არის. ერთ-ერთ კომპა-  
ნიაში რა იცოდნენ, ის ლეგალი იყო თუ  
არაღეგალი და სამსახურში მიიღეს. ასეთ  
პატარ-პატარა ხრიკებს იქ მცხოვრები  
ქართველები ხშირად იყენებენ. მობილურს  
რომ იყიდი, აუცილებლად უნდა დააზღვიო,  
რამაც თვეში 3 დოლარია გადასახდელი.  
რამდენიმე ხნის შემდეგ, სადაზღვევო კო-  
მპანიაში მიხვალ და განაცხადებ, რომ ტელე-  
ფონი დაკარგე. ისინი ახალ ტელეფონს  
მოგცემენ. ორჯერ შეგიძლია მსგავსი რამ  
გააკეთო, ოღონდ მერე გაფრთხილებენ:  
ერთი წლის განმავლობაში დაზღვევა აღარ  
გექნება, რადგან ტელეფონს არ უფრთხ-

ილდებო. ფაქტობრივად, გამოდის, რომ  
ერთ ტელეფონს ყიდულობ და ორს გრუ-  
ქნიან. ჰოდა, ჩვენებურები საქართველოში,  
ახლოლებს უგზავნიან...

**— ალბათ, ბევრი უცხოელი მე-  
გობარც გეყოლებათ.**

— რა თქმა უნდა. ჩემი მეგობრები სხ-  
ვადასხვა ქვეყნიდან არიან. მათი მიწვევით  
ბრაზილიაშიც ვიყავი, ესპანეთშიც, გერმა-  
ნიაშიც... ახლა საქართველოში ჩამოვედი,  
თორემ ვენესუელაში უნდა წავსულიყავი.

**— ამერიკელებს რა ისეთი გან-  
საკუთრებული თვისებები აქვთ, რაც  
ქართველებს არ ახასიათებთ?**

— შესაძლოა, გაგეცინოს, მაგრამ პა-  
ტიოსნება. ამას წინათ, მაღაზიაში შევედი  
და ორი სვიტერი ვიყიდე. გამყიდველს  
შეეშალა და ორის ნაცვლად, ერთის საფა-  
სური გადამახდევინა. რა თქმა უნდა, არ  
ვუთხარი, შეგეშალა-მეთქი და იქიდან გახ-  
არებული წამოვედი. ეს რომ ჩემს ამერიკელ  
მეგობრებს მოუყვი, გაცუბულებმა მკითხეს:  
მერე ფულის დაბრუნებას არ აპირებო?...  
ხომ ამბობენ, ამერიკელები მეტისმეტად  
გარყვნილები არიანო. შესაძლოა, ისეთი  
პატიოსანი ამერიკელი შეგხვდეს, 27-28 წლის  
ასაკში ისევე ქალწული იყოს. მყავს ერთი  
მეგობარი, რომელიც 30 წლის ასაკში გათხო-  
ვდა. ის გოგონა ოპაიოდანაა, სუფთა  
ამერიკელია, მაგრამ მისთვის ბევრს ნიშ-  
ნავდა, რომ ქალწული გათხოვილიყო...  
თბილისში ვინმე რომელიღაც რაიონიდან  
რომ ჩამოვა და მასზე იტყვიან — სოფლე-  
ლიაო. იქაც ასე ამბობენ: თუ ადამიანი  
ნიუ-იორკში, მაიაში, ჩიკაგოში, ლოს-  
ანჯელესში ცხოვრობს, უფრო ცივილიზე-  
ბულია. შუა ამერიკაში რომ წახვიდე, მონ-  
ტანაში და მსგავს შტატებში, გაგიყდები  
— ძირითადი მასა გაუნათლებელია. მხო-  
ლოდ ერთი კონკრეტული საქმე იცან: დილ-  
ით სამსახურში მიდიან და სა-  
ლამოს შინ ბრუნდებიან. მათი  
გართობა ის არის, რომ შინ  
ტელევიზორს უყურებენ, ლუდს  
სვამენ და ა.შ.

**— საქართველოსა და  
ამერიკას შორის სწორი მი-  
მოსვლა გაქვთ. რა პარალე-  
ლები შეგიძლიათ გავალოთ  
ამ ორ ქვეყანას შორის?**

— ისინი პატივს სცემენ კან-  
ონს და მისი შიშით აქვთ. საქართველოში  
საქესთან ნას-  
ვამი რომ იჯდე და დაგიჭირონ,  
რადაც გარკვეულ ჯარიმას  
გადაგახდევინებენ და მორჩა.  
მსგავს შემთხვევაში, იქ ჯერ ციხე-  
ში წაგიყვანენ, სადაც გამოფხ-  
იზლების შემდეგ 1.500 დოლა-  
რს გადაგახდევინებენ, მერე ად-  
ვოკატი უნდა აიყვანო და მისი  
მომსახურებაც მინიმუმ 5.000  
დოლარი დაგიჯდება. გარდა  
ამისა, საბუთებში 7 წლის გან-  
მავლობაში გენერება, რომ ნას-  
ვამი მართავდი მანქანას, რაც  
სამსახურის შოვნასა და კიდევ  
ბევრ სხვა რაღაცაშიც შეგიშ-  
ლის ხელს... ძალიან მიყვარს  
ლამის ცხოვრება და კლუბებში  
სწორად დავდივარ, სადაც მი-

უხედავად იმისა, რომ ყველა ცეკვავს, მთვრა-  
ლია, კაიფობს — „ექსტაზს“ სვამს და კო-  
კაინს ყნოსავს, — მაინც არ ჩხუბობენ...  
საქართველოში უფრო სამშობლო ცხოვრე-  
ბა, ვიდრე ამერიკაში. სწორედ ამიტომ, რა  
ბევრ უცხოელს უმინია აქ ჩამოსვლის...  
იქ ცუდი იცი, რა არის? ბევრს მუშაობ და  
ბევრ ფულს იხდი. სახლს რომ იყიდი, 30  
წელი უნდა იხადო მისი საფასური. საერ-  
თოდ, ყველაფერი განვადებით შეგიძლია შეიძი-  
რო და გამოდის, მთელი ცხოვრება იმისთვის  
მუშაობ, რომ გადასახადები იხადო. ნათქ-  
ვამია: ამერიკელები საკუთრებას კი არ ფლობენ,  
საკუთრება ფლობს მათო. აბსოლუტური ქმე-  
მარიტებაა. ისინი წელნიანდში მაქსიმუმ 10  
დღე თუ მოსწყდებიან სამუშაოს. ბევრი მათ-  
განი ევროპაში კი არა, ნიუ-იორკში არ არის  
წამყოფი. რომ ხედავენ, საქართველოში წე-  
ლინადში ერთხელ ან ორჯერ მოვდივარ,  
გიყდებიან. მკითხებიან: მილიონერი ხარ? ამას  
როგორ ახერხებო?

**— მერე, როგორ ახერხებთ?**

— ამერიკელები წინ იყურებიან, რად-  
გან როცა დაბერდები, თუ ბევრი ფული  
არ გაქვს დაგროვებული, ნას-ულია შენი  
საქმე, არავინ დაგეხმარება. სახელმწიფო კი  
უხდის მათ 500-1.000 დოლარს (პენსიას),  
მაგრამ თუ სახლი არ გაქვს, ეს თანხა მხო-  
ლოდ ბინის ქირაში წავა. თანაც, რაც  
უფრო ასაკში შედიხარ, დაზღვევა უფრო  
ძვირი ხდება. ამიტომაც, ადამიანები მუშაობენ  
იმისთვის, რომ სიბერეში ნორმალურად  
იცხოვრონ. 65-70 წლის შემდეგ, შეიძლება,  
სამოგზაუროდ დაიწყო სიარული. რა თქმა  
უნდა, ძალიან მდიდრებს არ ვგულისხმობ.

**— ამერიკის მოქალაქე როდის  
და როგორ გახდით?**


— საერთოდ, ძირითადად, მოქალა-  
ქეობას ფიქციური ქორწინებით იღებენ,  
მაგრამ ამას 8 წელი მაინც სჭირდება. უკვე  
4 წელია, ამერიკის მოქალაქე ვარ. მანამდე,  
სტუდენტური ვიზა მქონდა, მოგვიანებით  
კი — „მწვანე ბარათი“...

**— ქართველი გოგონები სწორ-  
ად თხოვდებიან ამერიკელებზე. იქაუ-  
რი ქალები თუ მოჰყავთ ქართველებს  
ცოლად, ოღონდ — არა ფიქცი-  
ურად?**

— კი, როგორ არა?! ქართველ ბიჭებს  
ჰყავთ ამერიკელი გელფრენდებიც და  
ცოლებიც. სამწუხაროდ, როცა ქართველი  
გოგონები იქაურებს მიჰყვებიან, მაღვე  
„ამერიკელებიან“. დედა ქართველი კი  
ჰყავთ, მაგრამ შვილებმა მშობლის ენა არ  
იციან, ეს ქართველი გოგონების დიდ მი-  
წუსად მიმანია. თუმცა, ისიც კარგად მეს-  
მის, რომ ეს ყველაფერი იქაური გარემოს  
ბრალია, თან ქართველები ყველაფერს  
ადვილად ვეგუებთ. მგონი, ცოტაც და ჩვენც  
გადავგვარდებით...

**— ახლა ამერიკაში ოჯახთან  
ერთად წახალთ?**

— ახლა ჩემი ოჯახის წევრების საბუთებს  
ვამზადებ. ორი ბიჭი მყავს და მინდა, ორივე  
იქ ისწავლოს, ამერიკის მოქალაქეობა მი-  
იღონ (რა თქმა უნდა, საქართველოსიც  
უნდა ჰქონდეთ) და მერე, მათთვის ყველა  
გზა ხსნილი იქნება, თვითონ გადაწყვეტენ  
— როგორ და სად განაგრძონ ცხოვრება.  
ჩემი მეუღლე კი ალბათ, იმუშავებს. ვნახ-  
ოთ, როგორ აენყოფა ჩვენი საქმე. ■



ორი ბიჭი მყავს  
და მინდა, ორივე  
იქ ისწავლოს,  
ამერიკის  
მოქალაქეობა  
მიიღონ

# ორგანიზმის გენერალური დასუფთავება

მათ, ვინც ათწლეულების განმავლობაში თანამედროვე ადამიანისთვის ჩვეული ცხოვრების წესით ცხოვრობდა, ორგანიზმში მილიარდობით გამოუსადეგარი უჯრედი უგროვდება.



საბედნიეროდ, ბევრი ადამიანი ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ ორგანიზმის განმენდა მხოლოდ ჰოლივუდის ვარსკვლავებს კი არა, ნებისმიერ სალად მოაზროვნე ადამიანს სჭირდება. ალბათ ერთხელ მანაც ყოფილხართ ნაბახუსევი, როცა ორგანიზმს აღარ ძალუძს ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების შედეგად დიდი რაოდენობით გამოყოფილ ტოქსინებთან (შხამებთან) გამკლავება. ასევე ჩვენი ცალკეული ორგანიზმი — ქრონიკული „ნაბახუსევის“ მდგომარეობაში ვერ ერევა გარედან მოხვედრილ ყველა მავნე ნივთიერებას. ინტოქსიკაციის (მოშხამვის) მიზეზი მრავალგვარია: დაბინძურებული ჰაერი, არასწორი კვება, ალკოჰოლი, თამბაქო, წამლები, სტრესიც კი, რომელიც ჰორმონულ დარღვევებს და ამის შედეგად, ტოქსინების დაგროვებას იწვევს. ნებისმიერ შემთხვევაში, დასკვნა ერთადერთია — ორგანიზმი უნდა გასუფთავდეს!

მაგრამ ყველაფერი ასე იოლი როდია. დღეს ბევრს წერენ ორგანიზმის განმენდის შესახებ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და რაც ერთს არგებს, იმან შეიძლება, მეორეს ავნოს. ზოგიერთი ადამიანი ღვიძლის განმენდის მიზნით, მზესუმზირის ზეთისა და ლიმონის წვენი მიღების შედეგად, სავადმყოფოში ხვდება, ზოგი კი, ასეთი პროცედურის შემდეგ, თავს მშვენივრად გრძნობს. საერთოდ, ორგანიზმიდან შხამების გამოყოფის ექსტრემალური მეთოდების უმტიკივანესად გადატანა მხოლოდ ჯანმრთელ ადამიანებს შეუძლიათ. ასეთები კი, დღეს ცოტანი არიან. ყველა დანარჩენმა, უმჯობესია, სიფრთხილე გამოიჩინოს — არ გამოცადოს საკუთარ თავზე ყველაფერი, რამაც სხვას არგო.

## ვინ უფრო „ჭაჭყინია“?

შეგიძლია, თავად გავარკვიოთ, რამდენად არის ჩვენი ორგანიზმი გადატვირთული ტოქსინებით. ამისთვის მონიშნეთ ყველა ის პრობლემა, რომელსაც დღეისთვის უჩივით:

- დაღლილობა, ნევროზულობა, ძილის დარღვევა;
- სისუსტე, ოფლიანობა, თავის ტკივილი;
- ყაბზობა, ფაღარათი, გაზების ჭარბად წარმოქმნა;
- უსიამოვნო სუნი პირიდან, ნადები ენაზე, ღრძილებიდან სისხლდენა;
- ნუშურა ჯირკვლების დავადებები, ხშირი სურდო;
- თირკმლების, საშარდე და სანაღვლე გზების ანთებითი პათოლოგიები;

- გამონადენი სასქესო ორგანოებიდან;
- სისხლძარღვებთან დაკავშირებული პრობლემები (ჰიპერ და ჰიპოტონია, ათეროსკლეროზი, ვარიკოზი და ა.შ.);
- უსიამოვნო სუნი სხეულზე დაბანის შემდეგაც კი;
- ჭარბი წონა.

რაც მეტი პრობლემა მონიშნეთ, მით მეტია ინტოქსიკაცია და მით უფრო მეტი სიფრთხილე გმართებთ გამწმენდი პროცედურების ჩატარებისას.

## ორგანიზმის გაწმენდის პროცედურის ჩატარება არ შეიძლება, თუ:

- ცოტა ხნის წინ გადაიტანეთ ინფარქტი ან ინსულტი;
- ნებისმიერი ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის პერიოდი მიმდინარეობს;
- დაგეგმეთ მწვავე ანთებითი პროცესი ან ქრონიკული ანთება გაგიმწვავდათ;

• ორსულად ხართ ან ბავშვს ძუძუთი კვებავთ.

## რით დავიწყოთ?

**პირველი:** აუცილებელია, ორგანიზმის მომზადება განმენდისათვის; რამდენიმე დღით ადრე რაციონში შეზღუდულ ხორცი (განსაკუთრებით, ცხიმოვანი და შემწვარი) რძე, შაქარი და პური (უფრო სწორად, საფუერიანი ცომის ყველა ნაწარმი); **მეორე:** ჩაიტარეთ მსუბუქი დასუფთავება ფიტორეცეპტებით.

## ნიღაბის გამოფხანნი გამწმენდი ჩაი

ხეჭრელის ფესვები — 9 ს/კ  
 პიტნა — 9 ს/კ  
 სალბი — 8 ს/კ  
 მელიკუდა — 6 ს/კ  
 ვარდკაჭაჭას ფესვები — 3 ს/კ  
 ამ ნარევის 2 ს/კ-ს დაასხით 500 მლ მდულარე წყალი, გააჩერეთ 20-30 წუთის განმავლობაში თავდახურულ ჭურჭელში, შემდეგ კი გადაწურეთ. მიიღეთ თბილ-თბილი ნაყენი 1/3 ჭიქა დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ 2 კვირის განმავლობაში.

## ნიღაბის გამოფხანნი და წონის დასაკლავი ნაყენი

ხეჭრელის ფესვები — 2 ს/კ  
 კაკლის ფოთოლი — 1 ს/კ  
 ქინძის ნაყოფი — 1 ს/კ  
 ამ ნარევის 1 ჩ/კ ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით 1 ჩ/კ მდულარე წყალი, დააყოვნეთ 1-2 საათი. მიიღეთ 1/2 ჩ/კ დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

პროცედურის წარმატების ნიშანია საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება, სიმსუბუქე, შრომისუნარიანობის მატება, გარეგნობის სასიკეთოდ შეცვლა, წონის დაკლება.

გამოიწერეთ!

და ეს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად!

გამოცემის დასახელება	1 ვგზ ფასი	6 თვე
1. Акушерство и гинекология	11.50	34.50
2. Журнал неврологии и психиатрии	14.00	84.00
3. Кардиология	14.00	84.00
4. Клиническая лабораторная диагностика	12.00	72.00
5. Клиническая медицина	11.00	66.00
6. Стоматология	26.20	75.60
7. Хирургия	14.00	84.00

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გაერთიანების სააგენტო  
**ELVASERVICE**  
 ქ. თბილისი  
 თბილისის ქ. № 49  
 ტელ: 41-43-40;  
 38-26-73; 38-26-74.  
 ფაქს: 38-26-74  
 E-mail: elvaservice@mail.ru.

# ვიტამინური ანბანი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას დიდწილად, ცხოვრების წესი და კვების თავისებურება განსაზღვრავს. ჩვენი რაციონი მხოლოდ ცილებით, ცხიმებითა და ნახშირწყლებით კი არ უნდა იყოს მდიდარი, არამედ საკმაოდ ენერჯიტიკული ვიტამინის და მინერალის უნდა შეიცავდეს. ვიტამინები (ლათინურად vita სიტყვას ნიშნავს) ორგანიზმისათვის მართლაც სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, მათი დეფიციტი კი, სერიოზულ დაავადებებს იწვევს.

## A ვიტამინი

A ვიტამინს ძირითადად, ცხოველური პროდუქტები (რძე, კვერცხი) შეიცავს. იგი აუცილებელია ორგანიზმის იმუნური დაცვისთვის, ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდში განვითარებისათვის, ერთროციტების წარმოქმნისა და რკინის ცვლისათვის.

### A ვიტამინის დეფიციტის მიზეზებია:

- სტრესი, ინფექცია ან ოპერაცია;
- სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება;
- მზის ზემოქმედება;
- კომპიუტერთან მუშაობა, ტელევიზორის ყურება, კითხვა;
- წამლების მიღება (ქოლესტერინის დამწვევი, საფლარათო და საძილე საშუალებები);
- დიაბეტი და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება.

### A ვიტამინის დეფიციტმა შეიძლება გამოიწვიოს:

- „ქათმის სიბრმავა“;
- კანის სიმშრალე, ქავილი და გამონაყარი;
- თმისა და ფრჩხილების მტვრევა;
- ყნოსვის და მადის დაქვეითება;
- სისხლში ერთროციტების რაოდენობის დაქვეითება;
- თირკმლებში კენჭების წარმოქმნის რისკის ზრდა.

### ორგანიზმისთვის A ვიტამინის მიმწოდებელი პროდუქტებია:

ღვიძლი, რძე, კარაქი, ყველი, სტაფილი, გოგრა, პომიდორი.



## D ვიტამინი

D ვიტამინი ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით წარმოიქმნება. იგი უზრუნველყოფს ძვლების ზრდასა და განვითარებას, იცავს ორგანიზმს რაქიტისა და ოსტეოპოროზისაგან. ეს ვიტამინი ხელს უწყობს ლეიკოციტების განვითარებას და ძვლებში მინერალების ჩაწვავებას.

### D ვიტამინის დეფიციტის მიზეზებია:

- მზის სხივების ნაკლებობა;
- ვეგეტარიანული საკვები;
- გარდატეხის ასაკი;
- თირკმლების ქრონიკული დაავადებები.

### D ვიტამინის დეფიციტმა შეიძლება გამოიწვიოს:

- სმენის დაკარგვა;
- კუნთების სისუსტე;

- სწორი ნაწლავისა და მკერდის სიმსივნის რისკის ზრდა;
- რაქიტი ბავშვებში;
- კბილების ამოსვლის დაგვიანება და კბილის ემალის განვითარების დარღვევა.

### D ვიტამინის წყარო:

თევზი, რძე, კვერცხი, ყველი.

## E ვიტამინი

E ვიტამინი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და იცავს უჯრედთა მემბრანებს თავისუფალი რადიკალებისაგან. მონაწილეობს ჰორმონთა სინთეზში და უზრუნველყოფს მუსკულატურის ნორმალურ ფუნქციონირებას.

### E ვიტამინის დეფიციტის მიზეზებია:

- თეთრი ფქვილის ნაწარმის უპირატესი მოხმარება;
- ფიზიკური დატვირთვა (სპორტი);
- ცხიმების ათვისების მოშლა.

### E ვიტამინის დეფიციტმა შეიძლება გამოიწვიოს:

- უნაყოფობა;
- გულის კუნთის დაზიანება;
- ერთროციტების კვდის გათხლევა, მათი დამლა და შედეგად, ანემიის განვითარება.

### E ვიტამინის წყარო:

კაკალი, მზესუმზირა, მარცვლეული.

## K ვიტამინი

K ვიტამინი პასუხს აგებს სისხლის შედელების ფუნქციასა და ძვლებში პროტეინების (ცილების) წარმოქმნაზე.

### K ვიტამინის დეფიციტის მიზეზებია:

- ღვიძლის დაავადებები;
- ალკოჰოლის ჭარბად მიღება;
- ანტიბიოტიკების მიღება.

### K ვიტამინის დეფიციტმა შეიძლება გამოიწვიოს:

- გახანგრძლივებული სისხლდენა;
- სისხლჩაქცევებისადმი მიდრეკილება;
- ძვლოვანი სისტემის დარღვევა.

### K ვიტამინის შემცველი პროდუქტებია:

ღვიძლი, კვერცხი, რძე, კომბოსტოს მწნილი, ისპანახი, ასკილი.

P.S. ყურნალის მომდევნო ნომერში B ჯგუფის ვიტამინებზე ვისაუბრებთ.

## ანიმალთერაპია

ანიმალთერაპია — ცხოველების გამოყენებით მკურნალობის მეთოდია. ფაუნის, პრაქტიკულად, ყველა წარმომადგენელი სხვადასხვა დაავადების მკურნალობის დროს შეიძლება გამოვიყენოთ. მაგალითად, გულის იშემიური დაავადებისას რეკომენდებულია ცურვა ძაღლთან ერთად. ამ დროს, ადამიანის ბიოველი ძაღლის ბიოველთან უნისონში მოდის.

თუ ნევროზი გაქვთ, კარგი იქნება ყოველდღიურად ძაღლის წვრთნა. ამ დროს, აქტიური მოძრაობები მშვიდი გასეირნებით შეანაცვლეთ ხოლმე.

თუ ფილტვების დაავადება განუხებთ, კატა შეიძინეთ. ამ ცხოველის მეშვეობით კი, ასეთი პროცედურა ჩაიტარეთ: დაინჯინეთ კატა (ან უმჯობესია, კნუტი) გულმკერდზე. ასე იწვეით მ წუთის განმავლობაში. შემდეგ, დანეჭით მუცელზე და ვინმეს სთხოვეთ, კატა თქვენს ზურგზე, ბეჭის ძვლებს შორის მოათავსოს. პროცედურა ყოველდღიურად ჩაიტარეთ.

## როგორ ღვიძლავთ თავი დაავადებებისგან

იმუნიტეტი ორგანიზმს ვირუსებისგან, ინფექციური და ონკოლოგიური დაავადებებისგან იცავს. მისი შესუსტება კი,

სხვადასხვა დაავადების განვითარებას იწვევს. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, ზოგიერთი რეკომენდაცია უნდა დავიცვათ:

საკვები მრავალფეროვანი უნდა იყოს. თუ ალერგია არ გაქვთ და ექიმმა რაიმე დიეტის დაცვა არ მოგთხოვათ, უარს ნუ იტყვით ხორცზე, თევზზე, რძის პროდუქტსა და მით უმეტეს, ბოსტნეულზე; თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ეს პროდუქტი ზომიერად უნდა მივიღოთ. დღე-ღამეში 7-9 საათი უნდა გეძინოთ. რეგულარულმა გამოუძინებლობამ შეიძლება ქრონიკული დაღლილობის სინდრომის განვითარება გამოიწვიოს.

მეტი იმოძრავეთ. ამისთვის სულაც არის საჭირო სატრენაჟორო დარბაზში სიარული, საკმარისია, ფეხით სეირნობა. დღეში 3 კმ მაინც უნდა გაიაროთ.



# გონების სასარჩილო

## „გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები უფრონაღ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვამისკენ არ გაბაძვთ თვალი.

1. მეოცე საუკუნის დასაწყისში კარიბის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე მძლავრმა ვულკანმა რამდენიმე წუთში კუნძულის 28 ათასიანი მოსახლეობა გაანადგურა. გადარჩა მხოლოდ ერთი ადამიანი. დაასახელეთ მისი სოციალური სტატუსი.
2. რითი მოკვდა თემურ ლენგი?
3. რა არის ტამაზლუხი?
4. კენდო იაპონური ორთაბრძოლის სახეობაა, რომელშიც მონაწილე მებრძოლის ჯოხებით არიან შეიარაღებული. მათ ორთაბრძოლებს გარკვეული შემახილები ახლავს. რას ყვირიან მებრძოლები?
5. იაპონიაში არსებობს დაუნერვლი კანონი: არ შეიძლება, რომ ქალიშვილი ზედიზედ ორი დღის განმავლობაში ერთი და იმავე ტანსაცმლით გამოცხადდეს სამსახურში. რატომ?
6. ვინ დააარსა თბილისის თეატრალური ინსტიტუტი?
7. რა არის ნავარნა?
8. სად ისწავლა ჭადრაკის თამაში მსოფლიო ჩემპიონმა ტიგრან პეტროსიანმა?
9. იმპერატორი ანდრონიკე კომნენოსი სუსტი სქესის დიდი მოტრფიალე ყოფილა. როცა რომელიმე ქალი მოეწონებოდა, მის ქმარს საიმპერატორო მამულში ნადირობის უფლებას აძლევდა, რაც დიდ პატივად მიიჩნეოდა. ვისაც ეს საპატიო ნებართვა მიეცემოდა, დამადასტურებელ ნიშნად მის ჭიშკარზე ირმის რქებს აკრავდნენ. სანადიროდ წასვლის ცოლს კი იმპერატორი ესტუმრებოდა ხოლმე. რომელი გამოთქმა გავრცელდა მისი მმართველობის შემდეგ?
10. რა არის ნათი?
11. როდესაც 1968 წლის ოლიმპიადაზე მეხიკოში ბობ ბიმონი 8 მეტრსა და 90 სანტიმეტრზე გადახტა და შედეგი ტაბლოზე აინთო, მთელმა სტადიონმა აღტაცებისგან ვულკანისებურად იფეთქა. სიმშვიდე მხოლოდ ბიმონმა შეინარჩუნა. რა იყო მისი სიმშვიდის მიზეზი?
12. 1994 წელს, სამ ახალგაზრდა ნიუ-იორკელს სასამართლომ სტივენ სპილბერგის ფილმის — „შინდლერის სიის“ ნახვა მიუსაჯა. რაში მდგომარეობდა მათი დანაშაული?
13. რა არის მამარაბი?
14. რა არის როყინი?
15. ხორვატი ჩოგბურთელი გორან ივანიშვიჩი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი უდისციპლინობითა და თავშეუკავებელი ქცევით. ერთხელ იგი იძულებული გახდა, უარი ეთქვა მატჩის გაგრძელებაზე. რა გახდა ამის მიზეზი?

# ანეკდოტები

\*\*\*

— მანახვე ერთი, რას კითხულობ: „22 დეკემბერი — პარასკევა, 23 დეკემბერი — პარასკევა, 24 დეკემბერი — პარასკევა“. ეს რა არის?

— რობინზონ კრუზოს ეროტიკული დღიური.

\*\*\*

სუანმა მარი შეერთო ცოლად და ბავშვს სახელად მარიხუანა დაარქვეს.

\*\*\*

— მოშე, გავიგე, რუსი გოგო მოგიყვანია ცოლად.

— ხომ, იცი, ებრაელი გოგოები ხშირად ავადმყოფობენ.

— რა, რუსები არ ავადმყოფობენ?

— კი, მაგრამ ისინი ნაკლებად მეცობიან.

\*\*\*

მღვდელი და მძლოლი საიქიოში მოხვდნენ. მღვდელი ჯოჯოხეთში გაგზავნეს, მძლოლი — სამოთხეში.

— რატომ, უფალო? — გადართია მღვდელი.

— იმიტომ, რომ შენი ქადაგების დროს, ხალხს ლოცვის ნაცვლად ეძინა, მაგის მანქანაში კი, ძილის ნაცვლად ლოცულობდნენ.

\*\*\*

გეოგრაფიის გაკვეთილზე:

— ბავშვებო, დამახსოვრეთ: მეხიკო, ლონდონი, ბერლინი და მადრიდი მტკვრის მარცხენა სანაპიროზეა განლაგებული, ხოლო ტაშვენტი, პეკინი, ულანბატორი და ტოკიო — მარჯვენაზე.

\*\*\*

ციხის კამერაში შესულ ექიმს პატიმარმა შესჩივლა:

— ექიმო, ტანი მეფხანება.



— რამდენი წელი გაქვს მისჯილი?

— შვიდი.

— ჰოდა, დაჯექი და იფხანე.

\*\*\*

საკონცენტრაციო ბანაკი. გაზის კამერაში ებრაელები შერეკეს და უკვე კარი უნდა დაკეტონ. უცებ, გენერლის თანაშემწე ყვირის:

— მოიცადეთ, კარი არ დაკეტოთ. კაფელის დაგება რომელმა იცის? გენერალს აივანის მოპირკეთება უნდა.

ხალხს ერთი კაცი გამოეყო:


— რამდენს გადამიხდის?

— კვადრატული მეტრი 1 მარკა.

— მაგ ფასად თვითონ გააკეთოს! დაკეტეთ კარი!

\*\*\*

ორმა ლოთმა გზაზე ასდოლარინი იპოვა. დგანან და ფიქრობენ,



როგორ დახარჯონ.

— მოდი, ერთ დოლარად პური ვიყიდოთ და დანარჩენი ფულით არაყი! — ამბობს ერთი.

— რად გინდა ამდენი პური!

\*\*\*

ორი მეგრელი პირველად მოხვდა კახეთში. ერთი, მატარებლის ფანჯრიდან ხედავს, მიხო ვირს ეფერება.

— უყურე, ერთი! მაგ ოხერს, ვირი თხა ხომ არ ჰგონია?!

\*\*\*

— სიმამრო, როგორა ხარ? — ეკითხება მიხო სიმამრს.

— აბა, როგორ ვიქნები?! საჭმელი არაფერი იშოვება და ამ პამიდვრის ჭამისგან უკან ჩითილი ამომივიდა.

— სარზე არ დაღონდე, მე მოგცემ!

\*\*\*

ერთ ტყეში საშინელი კაციჭამია ცხოვრობდა. ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდა კეთილშობილი რაინდი, შეებრძოლა კაციჭამიას, მოკლა და შეჭამა.

\*\*\*

— აუ, ეს რა მომივიდა!  
— მაინც, რა?  
— ჩემმა ბიჭმა ბოლო რომანის



ხელნაწერი დამინვა.  
— რამდენი წლის არის?  
— ოთხის!  
— ვა, ასე პატარაა და უკვე კითხვა იცის?!

\*\*\*

ცოლი ქმარს ეუბნება:  
— შენმა მეგობარმა დარეკა, ბარი დაკეტილია და სათევზაოდ აღარ მივდივართო.

\*\*\*

განცხადება: იყიდება მარმარილოს დაფა სასაფლაოსთვის. გამოადგება ყველა მოქალაქეს, ვინც გვარად ივანოვია და 1961 წელს არის დაბადებული.

\*\*\*

პაციენტი ექიმთან მივიდა და შესჩივლა:  
— მიშველეთ რაღე, ორი ისეთი დაავადება მჭირს, მოსვენებას რომ არ მაძლევს. პირველი ის არის, რომ მგონი, სექსუალური მანიაკი ვარ, რადგან დღეში ასჯერ შემძლია ქალთან კონტაქტი.  
— მართლა?! არა უშავს, იქნებ, რაღე გიშველოთ! ბარემ, მეორე დაავადებაზეც მიაბზეთ!  
— მეორე ის, რომ საშინელი მატყუარა ვარ!

\*\*\*

ორი მამაკაცი საუბრობს:  
— ასე ადრე რატომ მოდიხარ სამსახურიდან?  
— სადილი უნდა მოვამზადო.

— ცოლი სამსახურშია?  
— არა, შინაა.  
— ავადაა?  
— არა, დილიდან მშვიერია.

\*\*\*

— უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ორმოც წუთში ჩემი ქმარი დაბრუნდება.  
— მერე, რა, ჩვენ ხომ ცუდს არაფერს ვაკეთებთ!  
— მეც მაგას ვამბობ, დრო კი გადის!

\*\*\*

მამაკაცმა პოლიციას მიაშურა:  
— ცოლი დავკარგე!  
— მისი მონაცემები მითხარით!  
— ეუბნება მორიგე.  
— მე კი გეტყვით, მაგრამ როცა იპოვით, ეს მონაცემები არ აჩვენოთ!

\*\*\*

— აფსუს, რა ხაჭაბურების ცხობა იცოდა ბებიაჩემმა!  
— ბებიას რა დაემართა?  
— ბებია კარგადაა, ყველი გაძვირდა უსამყელოდ!

\*\*\*

განცხადება: „ჩემს სიდედრს დაეკარგა კატა. მპოვნელს ურჩევნია, თვალთ არ დამენახვოს!“

# გონებას სავსეა

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

## (პასუხები)

1. იგი პატიმარი იყო. მისი საპყრობილის კედლები ჩვეულებრივზე უფრო მტკიცედ გახლდათ აგებული.
2. ფილტვების ანთებით.
3. ასე ეძახდნენ სანაშენო საქონელს.
4. ისინი წინასწარ ყვირიან სხეულის იმ ნაწილის სახელს, სადაც აპირებენ მონინაღმდგისთვის დარტყმის მიყენებას.
5. რომ არ იფიქრონ, თითქოს მას ღამე სახლში არ გაუთეფია.
6. აკაკი ხორავამ.
7. კლდის ბილიკი.
8. თბილისის პონენტო სასახლის საჭადრაკო სექციაში.
9. „რქიანი ქმარი“.
10. საბრძოლო კვტი.
11. იგი მეტრული სისტემის ბაიბურში არ იყო.
12. ებრაელთა საფლავებზე სვასტიკებს ხატავდნენ.
13. სანებლად მოდუღებული ბრონეულის წვენი.
14. კამეჩის ხმიანობა.
15. ყველა ჩოგანი დაამტვრია.



საქართველო

აღფგომას მისი საყვარელი დღესასწაულია



დასაწყისი იხ. „გზა“, №3

### ზაზა პაჩნაძე

მდივანი გოგონები უბან-უბან ყველა „სტუკას“ დაუკაემირდნენ და ტყუცა ლოტკინის უბანში აღმოაჩინეს. ტყუცა ავადმყოფი კაცი იყო, „ზაპოი“ სჭირდა, ზოგჯერ წელი ისე გავიდოდა, სასმელს ახლოს არ გაეკარებოდა, მაგრამ საკმარისი იყო, ერთი წვეთი ჩაეშვა პირში, რომ მთელი თვე ჭიქას ხელიდან ვეღარავინ გააგდებინებდა.

დილის ექვს საათზე, როცა პოლიცია მიადგა და ჩაიცივო, უბრძანეს, „გახეული“ მთვრალი იყო. ვერაფრით მისვდა, მისგან რა უნდოდათ, უაზროდ მისჩერებოდა უცნობებს და ხელებს იქნევდა, თავი დამანებეთო. ბავშვებს ეძინათ, ხოლო ცოლს, რომელიც მაგრად გაბნეულიყო ტყუცას გადაბმული სმით, თითქოს გაუხარდა კიდევ, ტანისამოსს ფართხაფურთხით აცმევდა და რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა; მოუსაველეთში წასულა და ვეღარ მობრუნებულაო! — ქმარს თავზე რაღაც ამდაგვარს აფრქვევდა. ბოლოს და ბოლოს, პოლიციელებმა მთვრალი გარეთ გაათრიეს და მანქანაში ჩატყუნეს. მოგვიანებით, როცა ტყუცა ცოტა გამოფხიზლდა და აღმოაჩინა, რომ „აბიზიანიკის“ გისოსებს მიღმა იმყოფებოდა, ისეთი ღრენა და გინება ატეხა, ყველაფრის მწახველი მორიგეც კი განაცვიფრა. ახლავე გააღეთ კარი და გამიშვით, — გაპკიოდა, — მე სკოლაში, მერხზე სამადაშვილის გვერდზე ვიჯექი, თუ არა გვერათ, დაურეკეთ და ჰკითხეთო, — ირწმუნებოდა... ბოლოს დაიღალა და ხვეწნაზე გადავიდა, ერთი ჭიქა დამალევივით, ღმერთი არა გნამთ, ადამიანები არ ხართო?!

მერე გამოძიებულთან შეიყვანეს. პირველი, რაც ლერი კაპანაძეს აინტერესებდა, ამ კაცის სახელი და გვარი იყო.

— რა „მინიწენლი“ აქვს? ტყუცა დამიძახე. რა, არ მოგნონს ჩემი „კლიჩკა“? — შეეკითხა ტყუცა და უაზროდ გაიღრჩჭა.

— სახელი და გვარი! — უკვე მკაცრად თქვა გამოძიებულმა.

— დამისხი და გეტყვი! — ამოასლოკინა უეცრად ტყუცამ.

ლერიმ მაგიდის უჯრა გამოღო, იქიდან

პატარა ჭიქა და წყლის ბოთლი ამოიღო და შეავსო. ტყუცამ ხელი ჭიქისკენ წაიღო. ლერიმ ხელი დააფარა.

— ჯერ მეტყვი, რაც მაინტერესებს, და მერე დალევ, გაიგე? — მკაცრად უთხრა და ჭიქა და ბოთლი თავისკენ მისწია.

— კარგი, — თქვა ტყუცამ და ნერწყვი გადაყლაბა.

— სახელი და გვარი?

— როლანდ შაქინაშვილი.

— პროფესია?

— შოფერი ვარ. რა ვიცი, ვიყავი აქამდე და... ახლა უმუშევარი ვარ, კაი ხანია. დამალევივით, რა!

— მაცალე! თუ სიმართლეს ილაპარაკებ, დანაშაული შეგიმსუბუქებდა. თუ დამალავ, დაგიძიმებდა. გაიგე?

— რომელი დანაშაული, რა დანაშაული?! — ხელის მტევანი გაკვირვებით გადაატრიალ-გადმოატრიალა ტყუცამ.

— მაშ, მე მომქონდა ძელქვა დასაველეთიდან? მე მომყავდა ის „კრაზი“?

— რა „კრაზი“, რის ძელქვა? — გაკვირვა ტყუცამ. — რა დასაველეთი, აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი?.. არა, ძმაო, როგორ გეკადრება...

ლერიმ მორიგე გამოიძახა და — შემოუშვიო, — ვიღაცაზე უთხრა. მორიგემ დასაპირისპირებლად, საგამოძიებოში მიაშეშვიყვანა.

— ამ ქალს თუ ცნობ? — შეეკითხა ტყუცას გამოძიებელი.

— არა, ძმაო, არ მინახავს არასდროს, პირველად ვხედავ, — იუარა ტყუცამ.

— შენ? — შეეკითხა მაიას ლერი.

— ჰო, ისაა, ამას მოჰყავდა „კრაზი“. ტყუცა.

— კაი, გაიყვანე! — უთხრა მორიგეს ლერიმ და მია გაიყვანეს.

— ადვოკატის გარეშე ერთ სიტყვასაც აღარ ვიტყვი, — თქვა ტყუცამ.

ლერიმ სავეს ჭიქა მიუწია.

— ავი ვიტყვიო?

ტყუცამ ჭიქას ხარბად შეხედა.

— რა გაინტერესებს?

— ვისი იყო ის ხეტყე?

და ტყუცამ რეზი ერთ ჭიქა არაყში გაცვალა

- რეზისი.
- გვარი იცი?
- როგორ არ ვიცი? ბერიძე.
- სად ცხოვრობს?
- კუკიაზე.
- ოჯახი? ცოლ-შვილი თუ ჰყავს?
- როგორ არა ჰყავს?! თავისი შვილიც ჰყავს და ცოლისაც. სიდდერიც ჰყავს. აიღე, რა, ხელი..

ლერიმ ჭიქიდან ხელი აიღო. ტყუცამ ხელი დაავლო ჭიქას და კბილებზე რაკარუკი აუტეხა, რადგან ხელი უკანკალბდა... გადაკრა. წყალი იყო. მისვდა, რომ მოატყუეს. ძაღლოო! — უნდოდა ეთქვა, მაგრამ როგორც ჩანს, სასულეში გადასცდა და ხველა აუტყდა.

ლერიმ მორიგე გამოიძახა და სანამ ტყუცა მოსულიერდებოდა, გაიყვანეს კიდევ.

— როდის უნდა დამთავრდეს შენი ახალგაზრდობა, აღარ დადგა დრო? — ნელიკო თან გაბჭურასთან ტრიალებდა და თან მეორე ოთახში სანოლზე გაშლართულ ქმარს ეკამათებოდა.

— შენ იმისა დაუკარი, რომ ხუთწლიანი „სროკი“ არ ამკიდეს! — გამოსძახა ცოლს რეზიმ.

— მე უნდა დავეუკრა, არა? მაინც მე უნდა დავეუკრა!.. — რატომღაც სამწილად ეწყინა ასეთი ნათქვამი ნელიკოს. — შენ ხელეების ქნევას არ იშლი და მაინც მე უნდა დავეუკრა, ხომ?! — სამზარეულო დანიით და ხინკლის გასაბრტყელებლით ხელში შეუვარდა ნელიკო რეზის. — შენი ცოლ-შვილის გარდა, რამდენ ოჯახს გამოსჭერი ყელი, დაფიქრებულხარ მაინც?

რეზიმ შესედა კბილებამდე შეიარაღებულ ცოლს და ხმა ვერ ამოიღო. ბათქაშამოცვენილი ჭურისა და გახუნებული ნაცრისფერი შპალერის ფონზე, თმადაუვარცხნელი ნელიკო ნამდვილ „ბაბა იაგას“ ჰგავდა.

„აუ, ახლა ერთი კარგი ცოცხი და რას გაფრინდებოდა, ბიჭო!..“ — გაიფიქრა რეზიმ და გვერდზე გადაბრუნდა.

არა, ადრე რეზი ამდენს ვერ ბედავდა. ადრე თავს მაინც იმართლებდა ხოლმე. ახლა კი ადგა და უკანალი მიუშვირა. და ნელიკომ საჯდომზე მთელი ძალით ჩახთლიშა ხინკლის გასაბრტყელებელი.

— ვაიშე, დედა! — იღრიალა რეზიმ და სანოლში წამოიჯდა.

— გაგიჟდი, ქალო? ისედაც დაჟეჟილი ვარ, ერთი სანტიმეტრი არ დამრჩა, რომ არ მტკიოდეს და კეტს მირტყამ კიდევ?! — უსაზღვროდ გაკვირვებული იყო რეზი.



— არ ვიცი მე! ადგები ახლავე, ჩაიცვამ და ნახვალ! მუხლის ჩოქზე დაუდგები ყველას, ხოხვით, ხოხვით ჩამოუვლი და შეხვეწენები, შევედრები, რომ გაპატიონ და გამოგატანინონ ჩვენი საქონელი.. — ნელიკო კი ამბობდა ამას, მაგრამ, რა თქმა უნდა, თვითონაც არ სჯეროდა თავისი ნათქვამის. რატომ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რეზი არსად წამსვლელი და არავისთან შემსვლელი არ იყო. მეორე, იმიტომ, რომ ყელიც რომ გამოეღაძრა რეზის, უფულოდ ერთ ყუთსაც არავინ გამოაჭანიხებდა. მზია კი, ფირმის მუხატრონე, ფულს არ იხდიდა, არა მაქვს და რა მივცეო?! — გაიძახოდა. მოკლედ, ცოტაც და ალბათ, ამ საქმეს პროკურატურას გადასცემდნენ. მერე კი, მართლაც, ფაფუ, ნაოცნებარო დოღარებო და ლარებო, სახლ-კარო და მშვიდო მომავალო.. მოკლედ, სანამ ნელიკო პომიდორში ერბოკვერცხს წვადა და თავის დუხჭირ, უპერსპექტივო მომავალზე ფიქრობდა, რეზი ამასობაში ამდგარიყო, ხელ-პირიც დაუბნა და საუზმის მოლოდინში, სუფრასთან წამოჭიმულიყო. გამწარებულმა ნელიკომ კი, ჩაით სავსე ჭიქა ისე დაუხეთქა წინ, რომ რეზის ცხელი წყალი შარვალზე გადაახსა და სკამიდან წამოასტუნა.

— კაი, რა, ამის დედა ვატირე, რა ჩავიცვა ახლა, რით წავიდე? როდის ეს გამიშრება?! — აყვირდა რეზი. — ამით შევიდე იმ ხალხთან? ასეთი შარვლით?

— რასაც იმსახურებ, ის მიიღე! — უპასუხა ნელიკომ. — განა არ ვიცი, სად აპირებ წასვლას!. ნადი, ნადი, მე კი დღეიდან ყველაფრის ჩალაგებას ვაპირებ...

— რაში უნდა ჩალაგო? — მექანიკურად იკითხა რეზიმ.

— ნოეს კიდობანში... — უპასუხა ნელიკომ. — რა ვიცი, გამოვკრავ რაემში, თუნდაც, „ჩიხოლებში“.

რეზის გულზე არ მოხვდა ეს ყველაფერი-მეთქი, ვერ ვიტყვი, მოხვდა და ძალიან მაგრადაც. დაეღევი, — გაიფიქრა და უმაღვე გადაიფიქრა: არა, მოდი, წავალ, ირაკლის ვნახავო, — ონკანთან მივიდა, შარვალი წყლით ჩამოიფეროს და კარისკენ გასწია. ნელიკო იდგა და დაჟინებული უმზერდა. რეზი კართან შედგა. მოტრიალდა.

— რას მიყურებ?.. — ჰკითხა და თითქოს ხმა აუკანვალდა. — მე მბარალე, არა? მაინც არ იყო ის ქალი, ის მზიაა თუ ჩემი ფეხებია, მაგ ფულის გადამხდელი, მაინც ჩამოართმევდნენ ყველაფერს...

ოთახში, თვალების ფშვნებით, ნამძინარევი სანდრო შემოვიდა.

— ესეც შემობანცალდება ხოლმე, რა, ყველაზე მაგარ დროს!.. — ხელები გაშალა რეზიმ ბავშვის დანახვად.

— რა გინდა ამ ბავშვისგან, რას ერჩი, რას გიშავებს?! — მაგრად ეწყინა ნელიკოს და ბიჭი კალთაზე მიიკრა.

— სახლს გვართმევენ, დედა? — ახედა ბავშვმა დედას.

— ვერ წავგართმევენ! — თქვა მტკიცედ რეზიმ, მიბრუნდა და გაალაჯა.

ნელიკო დაჯდა, ბავშვი მიიხუტა, ხელში აიყვანა.

— ვერ წავგართმევენო, მამიკომ ხომ თქვა?! მაინც წავგართმევენ? — იკითხა ისევ სანდრომ.

რა უნდა ეპასუხა შვილისთვის დედას?.. ისეთი გრძობა ჰქონდა, თითქოს მათ დიდი, ათასტონიანი მატარებელი უახლოვდებოდა, ცოტაც და ზედ გადაუვლიდა. და ნელიკომ ყველაზე უცნაური, დაუჯერებელი რამ გადაწყვიტა...

რეზი ძმის სადარბაზოს კიბის საფეხურებს უსაზიზღრეს ხასიათზე, მძიმე, ბორკილდადებული ნაბიჯებით აუყვა. ირაკლი მარტო იყო. ალბათ ინვა და ლოგინიდან წამოდგა. რეზის დანახვა, მაგრად გაუტყდა, რაც რეზის შეუმჩნეველი არ დარჩენია. თავად კი ძალიან შეცვლილი მოეჩვენა ირაკლი: თმა გაუზარდა და კეფაზე „კოსა“ დაეკოსებინა... როცა ირაკლიმ კარი მიხურა და ლოგინში დასაბრუნებლად გასწია, რეზის თვალები შუბლზე აუვიდა.

— შენ რა, „კოსას“ ატარებ? — თავისთავად წამოსცდა რეზის.

— შენლა მაკლდი, რა! — ჩაიბურტყუნა ირაკლიმ და ლოგინში შეწვა.

— რა არის, არ ალაგებ ამ სახლს? — იკითხა რეზიმ და სკამს დახედა — რაზე არ იყოს ზედ, არ გამსვაროსო, იმდენად დაუღაგებელი და ჭუჭყიანი ეჩვენა იქაურობა.

— ვალაგებ, არ ვალაგებ — შენ რა?! — უპასუხა ირაკლიმ.

— არაფერი. რა იყო, რა გეწყინა ჩემი დანახვა, გკითხე არ შეიძლება?! გამიკვირდა, ასე, ყელამდე ნაგავში როგორ მოახერხე ჩაჯდომა?!

— ჰო, არა?! — ზედმეტად აგრესიული იყო ირაკლი. — მე კი ამოვალ ამ ნაგვიდან, მაგრამ აი, შენ როგორ ამოხვალ მაგ შენი ვალედიდან, საინტერესო ესაა... — ნაუკბინა იმწამს ძმას.

რეზი დაჯდა. მაგიდიდან სიგარეტის კოლოფი აიღო, ღერი ამოაძრო, მოუყიდა და გააბოლა.

— შენ რისთვის მყავხარ, მამ? — ეს იყო მისი პასუხი ირაკლის შეკითხვად.

— მართალია — მარტო ფულის ასახევად... რომ აღარ დამჩნა არაფერი, რომ ამასიხე უკვე ყველაფერი?! ჰო, რა იყო, რა განცვიფრებული მიყურებ? არა გჯერა? პანჩური მკრეს — აჩუო! — და გამომაგდეს სამსახურიდან. არ იცოდი? დალუქულია ჩემი კაბინეტი, მინიმუმ ათწლიანი „სროკი“ მაქვს, თუ ამომითხარეს ყველაფერი. აილე, აბა, წინ გიდეგს გაზეთი, განცხადებაა შიგ დაბეჭდილი: ვყიდი ამ ბინას, თუ მოვასწარი... — აბა, რა უნდა ქნა?! — თანაურგძნო რეზიმ.

— რა უნდა ვქნა? შენ რისთვის მყავხარ? შენთან გადმოვალ. არ მიმიღებ?

— დამკინი? — ჰკითხა რეზიმ.

— რა? — კითხვა დაუსვა ირაკლიმ.

— რა და, პანკშია ჩემი ბინა ჩადებული, კრედიტი მქონდა გამოტანილი. ოთხ დღეში გასდის ვადა...

— სალოლ, ძმაო, მაგარი ხარ! — ლოგინში წამოჯდა ირაკლი. — და ჩემთან ფულის სასესხებლად ამოხვედი?.. ვის სახლს დებდი, ტო, ცოლის?! ასე როგორ გამოსირდი ამხელა კაცი, რატომ რისკავდი, რისი ტრაკით, შენი მარიფათით?! გადავარდი,

არა, ისევე?! ვინ გადაგაგდო?

— ირაკლი, არ არის მასე საქმე, როგორც შენ გგონია... შენ რა, ძმაო?.. ცოლი შენ არ გიჩმახებს და შვილი შენ არ გიტირის... ახლა ჩემს გულში ჩახხედე! ტყვია მაქვს შიგ ჩასხმული, მთელი ტონა ტყვია, ისე მაქვს



დამძიმებული.

— არყის ჭიქებმა იცის ეგ — არაყში იცი, რამდენი რკინაა?! — შაყირის ხასიათზე დადგა ირაკლი.

— მომიხმინე, — დასერიოზულდა რეზი, — ჩვენებთან ადინარ? ნახულობ? როგორ არიან, ხომ არ იცი?

ირაკლის სახე მოელუშა, თითქოს გულში ტყვია დაახალესო: არც დადიოდა და არც აპირებდა თავისიანებთან მისვლას. ვერ მიდიოდა, ვერ ბედავდა...

— შენ? — ჰკითხა რეზის.

— მე-ე?... — ჩაფიქრდა რეზი. — კაი ხანია, არ ავსულვარ, მე ხომ წითელი მინთია.

— წითელი? ვინ აგინთო? — დაინტერესდა ირაკლი.

— ყველა! — მოკლედ მოჭრა რეზიმ. — წამო, გინდა, ერთად ავიდეთ?

— რატომ? მაგრად რომ გავახაროთ ჩვენი ამბებით?..

— არა.

— მამ? — ირაკლი მიხვდა, რომ რაღაც მაგარი ჩათლახური რამე ჩაიფიქრა რეზიმ.

— რა ვიცი. ვნახოთ, როგორ არიან, გავიგოთ, იქნებ ნიკა გამოჩნდა, იქნებ რა ხდება?..

— იცი, რა? შეეშვი მაგ აბდაუბდას და პირდაპირ მითხარი, რას აპირებ! — დაუკონკრეტა ირაკლიმ.

— არაფერს, ძმაო, რას უნდა ვაპირებდე? — ხელეში გაშალა რეზიმ.

— კაი, წავიდეთ, — თქვა ირაკლიმ და წამოხტა. ამაზე უკეთეს დროს თავისიანებთან მისასვლელად ვერ მონახავდა.

როცა ვერიკომ კარი გააღო და ზღურბლზე რეზი და ირაკლი ერთად დაინახა, მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა.

— შემოდით, შემოდით, — ჩალაპარაკა მან და ხელთაც ანიშნა.

ძმები შევიდნენ, დედას აკოცეს და ჩვეულებისამებრ, ჯერ სამზარეულოსკენ გასწიეს, ელისოს სანახავად. ის, ვისაც მათი დანახვა ნამდვილად გაუხარდა, მართლაც, ელისო იყო.

— ასე უნდა, შვილო? ასე უნდა გადაიკარგოთ, ბიჭო? სანთლით საძებარი უნდა იყოთ?! — უწყნარობდა ელისო შვილიშვილებს.

ბიჭები მაგიდას აქეთ-იქიდან მიუსხდნენ და სიგარეტი გააბოლეს. ვერიკომ შეაჩნია, რომ ირაკლი რატომღაც თვალს ვერ უსწორებდა. მაგიდასთან დაჯდა და იკითხა:

— რაშია საქმე?

ბიჭებმა ერთმანეთს შეხედეს: არ იცოდნენ, რომელს უნდა ეპასუხა.

— ირაკლი, რაღაც უცნაურად გამოიყურები, თითქოს... — ვერ მოითმინა დედის გულმა.

— სამსახურიდან წამოვედი, — თქვა ირაკლიმ და მაინც ვერ გაუსწორა თვალი დედას.

— რატომ, შვილო? — შეიცხადა ელისომ, რომელიც უკვე სუფრის გასაწყობად სამზადისს შესდგომოდა.

— მოკლედ, წამოვედი... — მწყრალად თქვა ირაკლიმ. — რატომ, როგორ, რისთვის... ახალ მთავრობას ახალი ხალხი სჭირდება.

— მარტო ეგ არ იქნებოდა მიზეზი... — თქვა ვერიკომ და შეიღწა მიაჩერდა — იქნებ კიდევ რაიმე ვათქმევინოო?..

— ჰო, ცუდად მაქვს საქმე, — თქვა ირაკლიმ და მაგიდას ჩააშტერდა.

— გიჭერენ? — იკითხა შემფოთებულმა ვერიკომ. — დღეს ყველას იჭერენ. ვიცოდი, ვიცოდი, რომ შენი ამბები ცუდად დამთავრდებოდა...

რეზი იდგა და ხან ერთს შეხედავდა, ხან — მეორეს და ხან — მესამეს. მე არავის ვახსოვარ, ჩემი დარდი არავის აქვსო, — გულში იბოლმებოდა. ამ დროს, კარი გაიღო და სამზარეულოში, საბავშვო, პლასტიკის სათამაშო იარაღებით ხელში, სოლომონი გამოცხადდა. შორტი და მაისური ეცვა, თავზეც რაღაც ჩაჩი ჩამოეცვა და კლოუნს უფრო დამსგავსებოდა, ვიდრე მეომარს.

ბიჭებმა შეხედეს და მთლად სახტად დარჩნენ.

— ვის უნდა „მომბანა“? — იკითხა სოლომონმა.

— მე! — ბავშვით თითი ასწია ვერიკომ.

— მეც! — მხარი აუბა ელისომ.

— მაშინ დაიწყით! — თქვა სოლომონმა — დავიმალოთ! — და უკანვე გავიდა.

— აი, ამ დღეში ვართ სულ... — ჩაილაპარაკა ვერიკომ.

— ნეტავ, მარტო ეგ გვქონდეს სადარდებელი და მეტი არაფერი... — ჩაილაპარაკა ელისომ.

— შენ, შენ რას შვრები? — მიუბრუნდა უფროს შვილს ელისო. — ან თქვენი ერთად ყოფნა და ერთად მოსვლა რას მივანეროთ?

— რასაც გინდა, იმას მიანერე... — ჩაიბურტყუნა რეზი.

— მაინც? — არ მოეშვა ელისო.

— მე, მაგალითად, იმიტომ ამოვედი, რომ... — დაიწყო რეზი. — ნიკას ამბავი მაინტერესებდა, არაფერი იცით, არ გამოჩენილა?

— შენ ნიკა კი არ გაინტერესებს, მე ძალიან კარგად ვიცი, რაც გაინტერესებს... — მიახალა ვერიკომ.

— ჰო, ფული მაინტერესებს, ჰო, მერე? — აყვირდა უცრად რეზი.

— არ გამოჩენილა, არც დაურეკავს, არც არაფერი... ფული კი არა, ცოცხალია თუ მკვდარი, ისიც არ ვიცი. ან მე რა უნდა ვილონო?! სად ვეძებო, როგორ, რანაირად?! მაინც რამდენი გჭირდება?

— ბევრი, — ჩაიბურტყუნა რეზი.

ვერიკო წამოდგა და სამზარეულოდან გავიდა.

— სად გავარდა? — იკითხა რეზიმ დაეჭვებით.

— არ ვიცი, — უპასუხა ელისომ.

— ვერ მიტანს... — თქვა რეზიმ.

— აბა, რას ამბობ?! — ეწყინა ელისო.

— „ვერ მიტანს“... ისე, რა ასატანი შენა ხარ, კაცმა რომ თქვას?! რაც თავი მახსოვს, მარტო დარდი და პრობლემები შემოგაქვს ამ ოჯახში, ერთხელ არ მახსოვს, სისარული შემოგეტანოს.

ახლა უკვე ირაკლი აკვირდებოდა ყურადღებით ახლობლებს.

— ბახ! ბახ! — გაისმა ამ დროს სოლომონის ხმა. — მოგაკალი, მოგაკალი, მოკლული ხარ! — და რაღაცის დაცემის ხმა გაისმა.

— მიშველეთ! — მოისმა ვერიკოს ბლავილი.

სამივენი სამზარეულოდან გამოცვივდნენ. ვერიკო დაბლა ეგდო, ზემოდან კი სოლომონი ეჯდა და სათამაშო ხმაღს უღერებდა.

— დახუჭე თვალები, თვალები დახუჭე! — დაჰკიოდა მაღლიდან ცოლს სოლომონი.

— მიშველეთ! მთლად გადაირია ეს უბედური! — შეეხვენა შვილებს ვერიკო.

ბიჭებმა ძლივს ააგლიჯეს მამა დედას. ის კი მაინც თავისას გაკიოდა:

— მე გავიმარჯვე, მე გავიმარჯვე! მოვკალი, მოვკალი, გავიმარჯვე!

— კაი, ჰო, გაიმარჯვე, შენ გაიმარჯვე! — ამშვიდებდნენ მამას ბიჭები.

— კიდევ, რა, კიდევ ვითამაშოთ! — შეეხვენა სოლომონი.

— კარგი, კარგი! წადი, დაიმალო! — უთხრა ირაკლიმ და თავისი ოთახისკენ მიუთითა. სოლომონიც მამიწვე შევიდა და დაიმალა. ირაკლიმ კარი ჩაუკეტა.

ვერიკომ რაღაც პატარა ზარდახშა დადო სამზარეულოს მაგიდაზე და გახსნა.

— აი, შვილო, აი, ესაა სულ, რაც გადავარჩინე... — თქვა და ყუთიდან ერთი ოქროს საათი ამოიღო, თავისი სამაჯურით და ერთიც გულსაბნევი, რომელსაც თავთავის გამოსახულება ჰქონდა და როგორც ჩანს, ისიც ოქროსი იყო. — ერთი, ნიკას მომავალი ცოლისთვის მქონდა გადანახული, —

თქვა საათზე და სამაჯურზე, — ეს თავთავი კი — შენი მეუღლისთვის, — ხელში აიღო ოქროს თავთავი ვერიკომ. — შენს მეუღლეს ხომ ვაჩუქე, ჩემი ქორწინების ბეჭედი, ბაჯალღოსი, — მიუბრუნდა ის რეზის.

— კი... — ჩაილაპარაკა რეზიმ. — ეს მე ვერაფერს მიშველის. მე სულ სხვა რამის თქმა მინდოდა... — და უცრად თქვა სათქმელი: — მე ხომ მეკუთვნის ჩემი წილი ამ სახლიდან?

სამივე ადგილზე გაქავდა, ირაკლიც. ისიც კი არ მოელოდა რეზისგან ასეთ რამეს.

— მერე? — ამოღერდა ვერიკომ.

— კი, ბატონო, მობრძანდი და იცხოვრე! — უთხრა გაკვირვებულმა ელისომ შვილიშვილს.

— არა, მე მაგას არ ვგულისხმობდი... — ჩაიბურტყუნა რეზი.

— აბა, რას გულისხმობდი? — შეეკითხა ვერიკო.

— სახლი რომ გაყიდულიყო და ჩემი წილი მოგეცათ... — ჩანდა, რომ სიკვდილი იყო რეზისთვის ამის თქმა, მაგრამ როგორც ჩანს, ეს იყო მისთვის უკანასკნელი გამოსავალი, სხვა არაფერი...

— და ეგ გიშველის, გგონია? — გაბედა ისევ დუმილის დარღვევა ელისომ. — ორსამ თვეში მაგასაც შეჭამ და მერე?

და ამ დროს, მოხდა ის, რასაც არც ერთი არ მოელოდა:

— არც მე მანყენდა, სხვათა შორის, ჩემი წილი, არც მე ვიტყოდით უარს... — თქვა ირაკლიმ და გაიცინა.

ვერიკოსთვის ეს უკვე მესხი გავარდნა კი აღარ იყო, ეს მესხის დაცემა და ნამდვილი, თავზარდამცემი კატასტროფა იყო.

— ანიმაც რომ თავისი წილი მოითხოვოს, ჩვენ სად წავიდეთ, მერე? ჩვენ ხომ უბინაოდ დავრჩებით! ვის მივეყვდლოთ, ვის შევავაროთ თავი? ჩვენ ხომ იმ ფულით, რაც დაგვრჩება, აღარაფერი მოგვივა!... — იკითხა მან და შეიღწა მიაშტერდა.

ბიჭები დუმდნენ. იმ დღეს ეს საკითხი გადაუჭრელი დარჩა.

— მიდი, აბა, მოუყვი! — უთხრა ძერას ბერდიამ, როგორც კი რეზიმ არყის პირველი ჭიქები შეავსო. ისინი საბურთალოზე, მეტრო „დელისის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ-ერთი კორპუსის შიდა ეზოში, სამუშაოლო ფანჯატურის ხის სკამებზე ისხდნენ და თავიანთ ყოველდღიურ რიტუალს შესდგომოდნენ. — შენ კიდევ, კარგად დაუგდე ყური!

— ამ ცოტა ხნის წინ, მარნეულში, იქაური პოლიციის უფროსის სახლში ვმუშაობდით მე და სევდა. სევდა ხომ იცი?

— მაშ, ვინდა ვიცი?! — ჩაიბურტყუნა რეზი.

— მაშინ ახალი გამოსული იყო ცინიდან. ჰოდა, ვაფელსა და მეტლას ვაგებდით, რა! გვაჭმევდნენ, გვასმევდნენ და იქვე, ერთ ოთახში გვეძინა. დანვებოდა ეს ჩემალა, ეს სევდა ტახტზე... ტახტზე ეძინა, რა!.. ამოიდებდა თავქვემ ხელებს და ოცნებობდა. რაზე იოცნებებდა?

— ფულზე, სხვა რაზე? — უპასუხა რეზიმ.





— ჰო, ახლა, რომ ამდენი და ამდენი მომპარვინა... მოდი, ეს გაეძარცვოთ და მოდი, იმას თავში ჩავარტყათ და... მოკლედ, ტვინი მქონდა შეჭმული, მარტო ფულზე ლაპარაკობდა, ინვა და ოცნებობდა.

— მაშ, რაზე უნდა ეოცნება, ქალებზე? — გაეცინა რეზის.

— მოუსმინე, მოუსმინე! — უთრა ბერდიამ.

— ჰოდა, ვიმუშავებ, რა! დაახლოებით თვე-ნახევარში მოვრჩით. კაი დიდი სახლი იყო და ორივეს სულ იქ, იმ ოთახში გვეძინა. მოკლედ, დავამთავრეთ, დაველიეთ იმ დღეს ერთად, დავილოცეთ, რა... ჩავალაგეთ ჩვენი იარაღები, ტანისამოსი, რამერუმე, ყველაფერი და უნდა „გავრაშოტდეთ“... ჰო, ამ პოლიციის უფროსმაც ჩვენთან ერთად დალია, რა! და — ნამოდით, მოგცეთ თქვენი ფულიო... შევიდა ამ ჩვენს ოთახში, სადაც ჩვენ გვეძინა და იმ ტახტს ახადა, რომელზეც ეს სევდა ინვა ის თვე-ნახევარი. ჰო, გეფიცები!.. საესე იყო ის ტახტი ფულით, საესე! ზედ ეძინა თურმე ამ სევდას, მთელი თვე-ნახევარი ფულზე ეძინა თურმე და ის კიდევ ინვა და ოცნებობდა... აბა!

ქერამ მაგარი რაზე მოჰყვა, მაგრამ სწორედ ისეთ მომენტში მოჰყვა, რომ თქმა არ უნდა, სადაც სულ სხვაგან „უკაკუნებდა“... ამიტომაც იკითხა რეზი:

— მერე?

— ხომ არ ავავითხოთო? — მიაცქერდა რეზის ბერდია.

— რა ვიცი, იქნებ იქ ინახავს დღესაც ის კაცი ფულს... — დააყოლა ქერამ.

— მიდი, გამოიყვანე შენი „ტრანზალეტკა“ და დავახვოთ! — რეზის პასუხს უცდიდა ბერდია.

— ცხოვრებაში არაფერი მომიპარავს და ახლა ვჭამო დეიჩემის?! — იუარა რეზი.

— რა? ჩვენ თუ ეს გამოგვივიდა... — არ დაეთანხმა ბერდია. — „სპრავედლივოსტი“ იზეიმებს, სხვა რა?!

— მოიცა, რა, გამომიხვედი შენც არსენა ოძელაშვილი! — ხელი აუქინა რეზი.

— ჩვენ შენთვის, ძმაო, შენა ხარ გაჭედნილი, შენ კარგავ სახლ-კარს, ჩვენ კი არა... — ჩაიბურტყუნა ბერდია.

— ორი სახარება... — მიუჭახუნა ჭიქა ქერამ ბიჭებს.

მეორე დილას, სამივენი რეზის მანქანაში ისხდნენ და მარნეულის გზაზე მიჯანჯლარებდნენ. რანაირად აპირებდნენ იმ ფულის წამოღებას, წარმოდგენა არ ჰქონდათ. ერთი-ორი დღე „ვალისკეროთ“ და გამოჩნდებო, გადანყვიტეს. ნასესხები 100 ლარი ედრო ჯიბეში და მაგარ გულზე იყვნენ.

მარნეული, აზერბაიჯანელებით დასახლებული ერთი პატარა, ტალახიანი ქალაქია, თბილისიდან 40-50 კილომეტრში, სადაც რვასართულიანი „ხრუშჩოკებიც“ კი დგას, მაგრამ ძირითადად მაინც, ერთ და ორსართულიანი უაივნო, ქვიტიკრისა და აგურის სახლები ჭარბობს. აი, სწორედ ასეთი ორსართულიანი აგურის სახლი გაურემონტებიათ ქერასა და სევდას, რომელიც მთავარ ქუჩაზე, ბაზრის გვერდზე იდგა. სახლი ქერამ

ამ კი ადვილად იცნო, მაგრამ იმდენი ხალხი ირეოდა, ეტყობა, მიცვალებული ნევსო, დასაკვნეს ბიჭებმა.

— აუ, ნალდად იმ ტახტზე იწვება, რომელშიც ფულია, აი, ნახეთ თუ არა! — მაგრად გაუტყდა ბერდიას.

— ქელებში ჩამოვსულვართ, — ჩაილაპარაკა ქერამ.

— მოიცა, ქართველები არიან თუ „თათრები“? — ახალა დაინტერესდა რეზი.

— ქართველები, ტო, რა „თათრები“?!

— უპასუხა ქერამ.

— აბა, სულ „თათრები“ რომ შედიან და გამოდიან? — იკითხა რეზი.

— ამდენი ხალხი, მიცვალებული!.. ეე, ესენი ერთ კვირას მაინც იგლოვებენ.

— გააჩნია, ვინ არის მკვდარი, იქნებ 100 წლის მოხუცებულია? — იკითხა ბერდია.

— ჰოდა, გავივით, რაღა... — თქვა ქერამ. — მიდი, აბა, აი, იმ მალაზიასთან მიაყენე.

ასეც მოიქცნენ. ქერა გადახტა, შევიდა მალაზიაში და იქიდან ასეთი ამბავი გამოიტანა:

— ის მომკვდარა, ტო, ის პოლიციის უფროსი, გელოდი შავიშვილი. სვალ ასაფლავენ.

— ბედი გინდა, რა.. ერთი-ორი დღე დაგვლოდებოდა, რა მოხდებოდა?! — გაუტყდა რეზის. — ესეც დაითარსა, მოკვდა, ტო, დაუმიზნა...

— მოიცა, რა! გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს! — გააჩუმა ბიჭები ბერდიამ. — მოკვდა და მოკვდა, ხომ ვეღარ გავაცოცხლებთ, არა?

— მერე, რანაირად მოიპარავ იმ ფულს, ქვეყნის ხალხი ირევა, ვერა ხედავთ?! — ხელი ჩაიქინა რეზი.

— თუ გული გულობს!.. დამიგდე თურმე... — მაინც ოპტიმისტურად იყო განწყობილი ბერდია. — გადავიდეთ, „მაგარი“ მგლოვიარე დავიჭიროთ, შევიდეთ სამძიმარზე და აღარ გამოვიდეთ...

— ჰოო? იქნებ საფლავშიც ჩაყვით?! — გაეცინა რეზი.

— მაცალე, რა! — ეწყინა ბერდიას.

— ჰო, მერე? — დაინტერესდა ქერა.

— აზრზე მოდი, რა! ხომიანი მომენტია... — აზარტში შედიოდა ბერდია. — ვითომ კურსელები ვართ...

— რა კურსელები, ტო, ერთი ათი წლით მაინც იქნებოდა ჩემზე დიდი! — არ დაუჯერა ქერამ.

— შენ იცი, რამდენი წლისას ჰგავხარ? ვინ მიხვდება მაგას?! — არწმუნებდა ბერდია.

— კაი, მერე? — შეეკითხა რეზი. — რამდენ ხანს დავრჩეთ?

— რავი, მანამ იმ ტახტს არ გაჭიით დავთ, — ჩაილაპარაკა ბერდიამ.

— თუ ზედ ნევს, მაშინ?

— ბევრად უკეთესი: ძმები ვიყავით ვითომ და ბოლო ღამე გვინდა გავეთხოთ. შენ გიცნობენ? — შეეკითხა ბერდია ქერას.

— რას მიცნობენ ამხელა წვერში?! მაგრამ ერთი რამე ვერ გავიცე — ღამე რატომ უნდა ვუთხოო?! რა გაათევს ამხელა ღამეს?!

— დებილია, რა ველაპარაკო!.. — გადაიხრია ბერდია.

— ტახტში რომ ჩავიხედოთ, — აუხსნა რეზი.

— მაშინ, ვითომ გვიან ჩამოვედით და ათზე ან თერთმეტზე ავიდეთ, — მოიფიქრა ქერამ.

— ჰო, ასე აჯობებს, — დაეთანხმა რეზი. — შენ სახლი ხომ კარგად იცი?

— ათიანზე! — თქვა დარწმუნებით ბერდიამ.

— თუ ასე არ აჯობებს, აი ნახავთ. რას ვვარგავთ? დიდი-დიდი, გამოგყარონ, სხვა რა?! — დაასკვნა ბერდია.

რა უნდა ეკეთებინა ათ საათამდე სამ გამოუსწორებელ ლოთს უცხო ქალაქში?.. ყოველი შემთხვევისთვის, მანქანა დაკეტეს, თუმცა, იმ ჯართის წამლები რომ არავინ იყო, იცოდნენ. ბაზარში შევიდნენ, რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, ერთი ბოთლი ლარიანი ჭაჭა იყიდეს, ერთი პური და ერთი კილოც ყურძენი და იქვე, ცარიელ დახლებზე დაუნყეს იმ ჭაჭას წრუპა. საღამომდე თავისუფლად გამოეფხიზლდებითო, თქვეს. სად ეჩქარებოდათ?! სვამდნენ, მასლაათობდნენ, კამათობდნენ და დრო გაჰყავდათ... ჩამობნელდა და ბაზარიც დაიკეტა. რვა იქნებოდა, ალბათ. ისინიც გამოვიდნენ, მანქანაში ჩასხდნენ და წაუძინეს. ათისთვის გაიღვიძეს, გადმოვიდნენ და თავიანთი ჩამოყვებული სიფათებით ჭირისუფალს „დაეხატნენ“. არაყი ჯერ არ გამოწელებოდათ, რა თქმა უნდა და ისევ მთვრალეები იყვნენ.

სახლს სიმდიდრისა მაინცდამაინც არაფერი ეტყობოდა. არც რემონტი უნდა ყოფილიყო ახალი გაკეთებული. ჭირისუფალი უფრო, ეზოსა და სამზარეულოში ფუსფუსებდა. საქელებო სუფრის სამზადისში იყო. რამდენიმე ქალი, მათ გამო, საქმეს ჩამოსცილდა და კუბოს მიუჯდა. სამუელმა კი, კუბოს შემოვლა დაინიკო, რომ ქალებსთვის ხელი ჩამოერთმია. კუბოს გარშემო ვაზებში ყვავილები ეწყო, თავთან კი, პატარა ტაბურეტზე, ხორბლით საესე ჯამში სანთელი ბუტყავდა. ჭალს მთლიანად გაეჩახახებინა ოთახი. დაიწყეს თუ არა შემოვლა, ქერა ნაბანცალად, ერთ-ერთ ყვავილის ვაზას ფეხი წამოკერა და გადააყირავა. ყვავილები გადმოცვივდა და პარკეტზე წყალი დაიღვარა.

— არა უშავს, არა უშავს... — ქალები წამოხტნენ, ტილო შემოიტანეს და იატაკის წმენდას მიჰყვეს ხელი.

კაცებმა მოიბოდიშეს, კუბოს შემოუარეს, სკამზე მჯდარ ქალს ხელი ჩამოართვეს და ოთახის კუთხეში სკამებზე ჩამოსხდნენ.

— რა კაცი, რა კაცი!.. — თქვა ქერამ.

— როცა უნდა გაეხარა... — დააყოლა ბერდიამ.

— რა არის ჩვენი სიცოცხლე — დღეს ხარ, ხვალ — აღარა ხარ... — ჩაილაპარაკა რეზიმი.

— ყველანი სიკვდილის შვილები ვართ... — თქვა ისევ ძერამ.

— ჰო, ვერავინ გავეცვეით, — დააყოლა ბერდიამ.

— ირბინე, რამდენიც გინდა, ბოლოს მაინც მიწაში ჩავალთ ყველანი... — დააყოლა ძერამ.

— შენ მაგრად უყვარდი, — უთხრა ბერდიამ ძერას, ქალების გასაგონად.

ქალებს მართლაც, აინტერესებდათ, ვინ იყო ეს სამი კაცი, ამ შუალამისას თავზე რომ წამოადგა, ახლა სკამებზე ისხდნენ და ნასვლას აღარ აპირებდნენ.

— სამსახურში კი არ მომანყო, ერთხელ და ორჯერ?! — ჩაილაპარაკა ძერამ.

— ეჰ, მარტო შენ? ყველას გულის მოგება უნდოდა... — ჩაილაპარაკა ბერდიამ.

— ჰო, მაგარ ვალში ვართ ყველანი, — დაამატა რეზიმი.

— სხვა გზა არაა, ღამე უნდა გავუთიოთ... ამით მაინც გცეთ პატივი, თორემ, შენი ვალიდან მაინც ვერ ამოვალთ, ჩვენო გელოდი! — მიმართა, მეტი დამაჯერებლობისთვის, მიცვალებულს რეზიმი.

ამის გაგონება იყო და ქალებიდან, რომელიც ყველაზე უფროსი უნდა ყოფილიყო, წამოდგა და გავიდა. იმ დროს მიცვალებულთან უკვე მოილოდ შინაურებიდა იყვნენ შემორჩენილი და ამიტომ, ამ სამი უცნობი კაცის გამოჩენა და მით უმეტეს, მათი ჩანაფიქრის განხორციელება — რომ გელოდისთვის ღამე გაეთიათ, მისი დაქვრივებული მუღლის, ციალას გემებში სულ არ შედიოდა. ამიტომ თავისი ძმა, იასონი, რომელიც ცხვარს ატყავებდა და კაცებთან ცხვრის სხვადასხვა ნაჭრის უპირატესობაზე საუბრობდა, გვერდზე გაიყვანა და ჩასჩურჩულა:

— არ ვიცი, ვინ არიან, ვილაც სამი კაცია შემოსული, თანაკურსელები ვართო, ამბობენ, დასხდნენ და მგონი, ნასვლას აღარ აპირებენ. ღამე უნდა გავუთიოთო, ამბობენ.

— რატომო? — გაუკვირდა იასონს.

— ეშმაკმა უწყის, რა ვიცი! ამის ვალიდან მაინც ვერ ამოვალთო და იქნებ ამით მაინც გცეთ პატივიო.

— აქაურები არიან? — შეეკითხა იასონი.

— არა, ჩამოსულები უნდა იყვნენ, აქაურებს ხომ ვიცნობდი!

— თბილისელები იქნებიან, იმათ იციან ღამის თევა. ხალხი ჩამოსულა და ხომ არ გაყვრით?! დაანებე თავი, თუკი ვალში არიან, მაშინ ფულსაც დადებენ, ალბათ... თქვენ გამოდით, გამოერიდეთ, იქ ხომ არ ისხდებით. მე აი, ცხვარი დავკალი, ხორცს დავაბინავებ და შევალ მერე, დაველაპარაკებო.

ასე მოილაპარაკეს, აბა, სამძიმარზე მოსულ ხალხს ხომ ვერ გაყრიდნენ, მართლაც! და ქალები გამოვიდნენ. ოთახში მხოლოდ მიცვალებული და სამეული დარჩა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# უთუ დაეთაყვანა თუ — პიკინით?..



## ლალი შანია

2000 წლიდან მოყოლებული, ჩვენში ვინც კი პირი გააღო, სიმღერა ჩაწერა, სცენაზე ავიდა და კლიბის გადაღებაც შეძლო (ხარისხს მნიშვნელობა არ ჰქონდა), უმაღლეს ვარსკვლავის სტატუსი შეიძინა. ასე რომ, საქართველოს რამდენიმე წლის მანძილზე „დიდი ვარსკვლავთცვენის ფაზი“ ედგა. ყურადღება არ ექცეოდა, როგორ იყო ეს ვარსკვლავი — მსხვილი, წვრილი, მქრქალი თუ კაშკაშა... მთავარი ის გახლდათ, რომ მას ვარსკვლავი ერქვა. შემდეგ, მათთვის გაისარჯნენ და გამალებით ამუშავდნენ ქართველი „კომპოზიტორები“ თუ „პოეტები“ და შესაბამისად, იქმნებოდა პოეტური თუ მუსიკალური „ტილოები“, რომლის ვერც შინაარსს გაიგებდი და არც მუსიკა გიზიდავდა, რადგან უმეტესობა ცუდად გადამღერებული ძველი ან „მოპარული“, უცხოური მელოდია გახლდათ. პარალელურად, საიდანაც ამოტივტივდნენ და ზედაპირზე მოექცნენ უგემოვნო, არაპროფესიონალი შოუს მომწყობნი, რომლებსაც „ფულის კეთების“ არაჩვეულებრივი ნიჭი აღმოაჩნდათ. ამის შედეგად კი, მოზარდებში, ენ. თინეიჯერებში გაღვივდა პრიმიტიული მუსიკისადმი სწრაფვა. მდიდარი მუსიკალური ტრადიციების ერთი ამ სფეროში სიცარიელის ზღვარზე აღმოჩნდა, რადგანაც მდარე ხარისხის მუსიკით „ტკობა“ დასჩემდა. ამ ყველაფერს კიდევ ერთი უბედურება დაერთო. „ვარსკვლავებს“ ამ უგემოვნო მუსიკის ცოცხალი შესრულებაც აღარ სურდათ, „ფონოგრამას“ „დაუმგებრდნენ“ და „პირის დამღებებად“ იქცნენ. „პირის დამღებებისთვის“ არაერთი კლიპი იქნა გადაღებული, რომლებმაც მუსიკალური არხების საშუალებით, ჩვენს სახლებში შემოაღწია და „გაგვებრუა“.

ცხადია, ყველაფერს აქვს თავისი დასასრული და „ეს შოუც“ დასრულდა, რადგან ქვეყანაში რევოლუცია მოხდა, რომელმაც ცხოვრების არაერთ სფეროში ბევრი რამ შეცვალა. „ვარსკვლავთა ჯარი“ თითქოს დაფრთხა და სადღაც გაუჩინარდა. მერე ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი შოუბიზნესი მოკვდა, მოკლეს თუ გარდაიცვალა... სცენას ძველებიდან ისინი შემორჩნენ, ვინც „ქარტილებს“ გაუძლო, ვისაც საქმის სიყვარულმა სძლია და შოუბიზნესში მუშაობაზე უარი არ თქვა.

რეალურად, რა ხდება ამ სფეროში დღეს? ვისზეა დამოკიდებული მომღერლის ბედი საქართველოში? რატომ არ არსებობს ჩვენში კლუბი, სივრცე, სადაც კონცერტს გამართავ? რა ვაგვირია შოუბიზნესისა და პოლიტიკის შორის? რატომ სხედან ნიჭიერი მომღერლები სახლში? — ამ კითხვებს პასუხს „პლუს-მინუსში“, ამ სფეროს რამდენიმე წარმომადგენელი გასცემს: პროდიუსერები — ნატო დუმბაძე, კახა მამულაშვილი (მამულარია), მუსიკოსი — ნუცა ჯანელიძე, რეჟერი — ლექს-სენი, მათთან ერთად ფსიქოლოგი — სოფო ვერულაშვილი. სტუმრებთან პირისპირ კი, ჩემთან ერთად გახლდნენ ჟურნალ „ბარის“ წარმომადგენელი თამუნა გონგაძე და გაზეთ „ყველა სიხლის“ ჟურნალისტი არმაზ ხარძიანი. დიალოგი მშვიდი სულაც არ გამოსულა, სტუმრები ერთმანეთში დაპირისპირებას ვერ ასცდნენ.

**ლალი ფაცია:**

— რას იტყვით ქართულ შოუბიზნესში არსებულ სიტუაციაზე მართლაც არის თუ არა ამ სფეროში კრიზისი? **მამულაია:**

— ნებისმიერ მომღერალს, ვგუფს სჭირდება გვერდით ადამიანი, რომელიც მუშაობაში ხელს შეუწყობს, დაეხმარება, რომ მან სწორად წარმოაჩინოს თავისი შემოქმედება. ამ ადამიანს პროდიუსერი ჰქვია. მუშაობა პროდიუსერის გარეშე რთულია, მით უმეტეს, დღევანდელ სიტუაციაში. თუმცა, ამჟამად, ჩემთვის მუშაობა უდიდესი სტიმულია, რადგან შოუბიზნესიდან წავიდნენ ის ადამიანები, რომლებიც უაზროდ იყვნენ ფეხის ხმას აყოლილები. ეტყობა, ფსევდომომღერლობა დასარულეს და შესაბამისად, გართობაც.

**ლალი:**

— კი, მაგრამ ბევრი ნიჭიერი მომღერალი ზის სახლში და ვერაფერს აკეთებს. რა არის ამის მიზეზი? **მამულაია:**

— ისევე იქამდე მივდივართ, რომ მათ პროდიუსერი არ ჰყავთ, რადგან ამ პროფესიის ადამიანს ისინი თანამშრომლად არ მიიჩნევენ. ნიჭიერთა უმოქმედობის მიზეზიც ეს არის. პროდიუსერი მომღერალს კი არა, ქვეყანასაც სჭირდება...

**ლალი:**

— ლექსო, რას იტყვი, სჭირდება მომღერალს პროდიუსერი?

**ლემს-სანი:**

— ხომ გაგიგონიათ — მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო... ამიტომ, არც მე ვარ მარტო. მარტო რომ ვსაქმიანობდე, ფაქტია, გამიჭირდებოდა. ჩემთან ჩემი ძმა, მინდოზა მუშაობს. ის გაცილებით კვალიფიციური პროდიუსერია იმათთან შედარებით, ვინც მანამდე მყოლია. თუმცა, ვფიქრობ, რომ პროდიუსერი მომღერლისთვის გარკვეული კომფორტი და ფუფუნებაა.

**მამულაია:**

— არ გეთანხმები.

**ნათო ღუმბაძე:**

— არც მე, რადგან შენი „შექმნის“ მონზე ვარ. ყველაფერი შესანიშნავად მასსოვს...

**თამაზა გონებაძე:**

— ლექსო, შენზე სეროიზული მოთხოვნა და ბუმი მაშინ იყო, როცა პროდიუსერად მამუკა ლლონტი გყავდა და შენი კლიპები „მაესტროს“ ეთერით გადიოდა.

**ლემს-სანი:**

— ჩემი და მამუკა ლლონტის ურთიერთობა სხვა რამ იყო. ჩვენ გვქონდა კონტრაქტი, რომელიც გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, ჩემი სურვილით გაგწყვიტე.

**ნათო:**

— რასაც ახლა ამბობ, სხვა რამ არის. ფაქტია, რომ ჩვენ, შენ მამუკა ლლონტის საშუალებით გავიცანი.

**ლემს-სანი:**

— მე უკვე ვარსებობდი, ჩემი სიმღერები რადიოეთერში ტრიალებდა და ამის შემდეგ დამიკავშირდა მამუკა ლლონტი. ვიშეორებ — პროდიუსერთან მუშაობა კომფორტია. ის მე ნაკლებად მჭირდება, რადგან თვითონ ვწერ ტექსტს, მუსიკას და კლიპზეც თავად ვფიქრობ... უცხოურ მაგალითს მოვიყვან: იყო დრო, ემინემსაც ჰყავდა პროდიუსერი, მაგრამ დღეს აღარ ჰყავს.

**ნათო:**

— შენს თავს ემინემს ადარებ? შენც ისეთივე შემოსავალი გაქვს, როგორც მას?

**ლემს-სანი:**

— ყველაფერი შეფარდებითია. როგორი ხალხიც ვართ და როგორ ქვეყანაშიც ვცხოვრობთ, ისეთი ხელოვნება, მუსიკა და რეპიც გვაქვს. არ მიტყვამს, ემინემის „იდეენტური“ ვარ-მეთქი.

**ნათო:**

— მე, როგორც პროდიუსერი, ჩემს აზრს გეტყვი: შენ დღეს შოუბიზნესში ისე აქტიურად არ ჩანხარ, როგორც ქართულ პოლიტიკაში.

**ლემს-სანი:**

— ეს შენი სუბიექტური აზრია.

**თამაზა:**

— ადრე, შენი პროდიუსერის მიერ როგორი იმიჯიც გქონდა შექმნილი, შენს ფანებს ისეთი მოსწონდი. თითქმის ყოველ ნომერში შენს პლაკატს ებეჭდავდით. დღეს ლექს-სენზე ასეთი მოთხოვნილება აღარ არის.

**ლემს-სანი:**

— ეს ბუნებრივია, ხომ გაგიგონია — ახალი ცოცხი კარგად გვისო. რაც შეეხება პოლიტიკას, ის ჩემი დღევანდელი ცხოვრების რეალობაა, რაც ყველასა და ყველაფერზე ახდენს გავლენას.

**ნათო:**

— როცა მომღერალს პროდიუსერი ჰყავს, მასზე მოთხოვნილება ყოველთვის არის.

**სოფო ვირულაშვილი, ფსიქოლოგი:**

— ნებისმიერ საქმიანობასა თუ პროფესიაში, რომელიც ხელოვნებას ემსახურება, საჭიროა გუნდი, რომელიც მუშაობს კონკრეტულად ამა თუ იმ ნიჭის მქონე პიროვნების აქტუალიზებისთვის (ვილაცას შემოქმედის პიარი აბარია, ვილაცას — რეკლამა, მისი პროდუქციის რელიზაცია და ა.შ.). დღეს-დღეობით, შოუბიზნესში ამ ყველაფერს პროდიუსერი იღებს თავის თავზე და მომღერლის გარეშე ნებისმიერ საკითხს აგვარებს. მუსიკოსის საქმე მხოლოდ სიმღ-

ერა უნდა იყოს, ხოლო მომღერლის საზოგადოებისთვის წარდგენა — პროდიუსერის ანუ გუნდის საქმეა. ლექსო, დამეთანხმე, რომ შენს შემთხვევაშიც ასეა, ვილაცა ხომ ზრუნავს შენზე? მეერ რა, რომ ის შენი ოჯახის წევრია. რაც შეეხება იმას, რომ ბევრი ნიჭიერი მომღერალი სახლში ზის და ვერაფერს აკეთებს, ეს იმის ბრალია, რომ მას არ ჰყავს პროდიუსერი ანუ გუნდი, რომელიც მის შემოქმედებას პოპულარიზაციას გაუწევს.

**არმაზ ხარბიანი:**

— მამულირ, ლეა ნურნუმიას გარდა, ვისი პროდიუსერიც ყოფილხართ, ყველამ მიაღწია იმას, რაც ჩაფიქრებული გქონდათ? თუ ეს ასე არ მოხდა, გამოდის, რომ საბოლოოდ, პროდიუსერი მომღერლისთვის საჭირო არ ყოფილა.

**მამულაია:**

— ვისთანაც მიმუშავია, მასთან დაცილების ერთადერთი მიზეზი ის არის, რომ მაქვს მუშაობის განსაკუთრებული რიტმი, რომელსაც მომღერალი უნდა აჰყვას და საქმე აკეთოს ისე, როგორც მე მინდა. რალაცები მკაცრად რომ მომიტხოვია, მათგან ასეთი პასუხი მიმიღია: იცი, რა? მე შემოქმედი ვარ, ჩემი საქმე უნდა ვაკეთოო. არადა, მე კომერსანტი გახლავართ. როდესაც შემოქმედს არ სურს, მისი შემოქმედება კომერციული გახდეს, მისი ხელოვნება შემოსავლიანი იყოს, მასთან მუშაობას რა აზრი აქვს?! თუმცა, მაინც შევძელი იმ ადამიანების პოპულარიზაციაში წვლილის შეტანა, ვისთანაც ვთანამშრომლობდით გამოვუშე მათი ალბომები...

**ნუცა ჯანელიძე:**

— შევეცდები, აზრი ვგუფი „ფორტეს“ საქმიანობიდან გამოდინარე მოგახსენოთ. პროდიუსერი არასდროს გვეყოლია, მაგრამ მეგობრების, კეთილი ადამიანების დახმარებით (ფინანსურ მხარდაჭერას ვგულისხმობ) ვმუშაობდით. ერთმა კეთილშობილმა ადამიანმა დავაფინანსა და მარტო ჩვენ კი არა, მთელ საქართველოს რამდენიმე მშვენიერი კლიპი აჩუქა. იმ შემთხვევაში, ის იყო ჩემი პატრონი. თუმცა, „ფორტეს“ მუშაობით საპროდიუსერო კომპანია „არტ-იმე-შიც“ არ ვიყავით უკმაყოფილო. იმ პერიოდში მხოლოდ რეპერტუარზე ვფიქრობდით, დანარჩენზე სხვები ზრუნავდნენ...

**მამულაია:**

— „არტ-იმედი“ კარგი იყო, მაგრამ მუშაობის სწორი სტრუქტურა არ ჰქონდა შემუშავებული. საქმეს სწორად ვერ აკეთებდნენ, ამიტომაც დაიშალა ეს კომპანია.

**ლალი:**

— ნათო, დღესდღეობით მხოლოდ ვგუფ „სიუენთან“ მუშაობ. არადა, შენთან თანამშრომლობის მსურველი ყოველთვის ბევრი მომღერალი იყო.

**ნათო:**

— ზოგი შოუბიზნესიდან წავიდა, ზოგს გაუჩნდა აზრი, რომ პროდიუსერი აღარ სჭირდება. თუმცა, ნათო ღუმბაძის სახელი და გვარი, სადაც მიდიან, დღემდე თან მიჰყვებათ.

**ლალი:**

— მინდა, ვაბა ქარსელაძის მაგალითს შევეხოთ. ის ერთი შეხედვით, შოუბიზნესიდან წავიდა, მაგრამ ცოტა



ვისმეა დამოკიდებული მომღერლის ბედი საქართველოში

ხნის წინ, ერთჯერადი პროექტი — ახალი კლიბი შემოგვთავაზა. რას ნიშნავს ეს, რას იტყვის ამაზე მისი ყოფილი პროდიუსერი, რომელმაც „შექნა“ ჯაბა ქარსელაძე?

**ნატო:**

— ის პარიზში სასწავლებლად იყო წასული. ალბათ, ჯაბას პოპულარობის ნოსტალგია მოაწვდა, შეაწუხა და მივიწყებული ჯაბა დაბრუნდა. თუმცა, ამბობს — ჩემი ახალი კლიბი ერთჯერადი პროექტია, მაგრამ სწორედ ეს ერთჯერადი პროექტი ინვესტის მის მიპატივებას ამა თუ იმ ტელეშოუში, ინტერვიუსს პრესაში. ამრიგად, ჯაბა ისევ აღზევდა, თუმცა ამ ყველაფერს თავს როგორ გართმევს, არ ვიცი. ეს მისი არჩევანია.

**ლალი:**

— როგორ ფიქრობ, გაიზარდა თუ არა ის, როგორც მომღერალი?

**ნატო:**

— როგორ გაიზარდებოდა, როცა სრულიად სხვა სფეროში მეცადინეობს და არა სიმღერაში. როცა ჩემთან იყო, დავდიოდით ვოკალის პედაგოგთან, სტუდიაში... დღეს მისთვის სიმღერას გართობის ფუნქცია აქვს.

**ლალი:**

— არსებობს თუ არა დღეს მომღერალი, რომელიც მოდის და ნატო დუმბაძეს, როგორც პროდიუსერს ქარაობს?

— უამრავი მსურველია, მაგრამ ყველას უარით ვისტუმრებ, რადგან მათში ვერ ვხედავ იმ პოტენციალს, რომელიც ამ საქმისთვისაა საჭირო. რეკუტიორი ხომ არ ვარ, რომ ფული გამოვართვა მხოლოდ იმისთვის, რომ ის პოპულარული გახდეს! მე მასში რაღაცას უნდა ვხედავდე, მისი რეალიზაცია რომ მოვახდინო. ასეთ ადამიანებთან მუშაობა არც ენერჯისა, არც სტიმულს და არც იდეას არ მაძლევს.

**ბრეზი:**

— ნატო, დღეს ლექს-სენმა რომ ჩაატაროს კონცერტი და ამავე დროს, ჯგუფმა „სეიშენმა“, სად უფრო მეტი ხალხი მივა?

**ნატო:**

— ორივეგან, რადგან ხალხი კონცერტებს მონატრებულია...

**ლალი:**

— 5-6 წლის წინ, როდესაც ჩვენში პოპმუსიკა გააქტიურდა, ამბობდნენ, — ახლა ქაოსია, ცოტა ხანში ყვე-

ლაფერი დალაგდება, ღირებული დარჩება, მდარე კი თავის გზას ნახავსო. წლებს შემდეგ, რალა-ცრალაცები მართლაც შეიცვალა, თუმცა —

**მაგალიჩა:**

— მე კმაყოფილი ვარ, ბევრი რამ გამოიკვეთა და გაირკვა. დარჩნენ ისინი, ვინც უნდა ყოფილიყვნენ...

**ნატო:**

— იმ აურზაურში, რომელიც წლების წინ ჩვენში იყო, დიდი როლი ტელეარსებმა ითამაშეს, რომლებმაც სერიოზული არეულობა გამოიწვიეს. დიდი დროით გვასმენინებდნენ მდარე და უხარისხო მუსიკას. პირადად მე, იმდენი მოვისმინე, რომ საერთოდ არაფრის მოსმენა აღარ მინდა — არც კარგის, არც ცუდის.

**სოფო:**

— ტელევიზიების ბრალია, რომ თინეიჯერებს დღეს გემოვნება არ უფარგათ. მუსიკალურმა არხებმა მდარესთან ერთად, ხარისხიანი მუსიკაც უნდა მოგვასმენინონ. ადამიანების გემოვნებაზე უნდა იზრუნონ. კლასიკურს რას ვუნდობთ? იმას, რამაც წლებს გაუძლო.

**ლექს-სენი:**

— ამ პატარა ქალაქში არსებობდა 4 ფსევდომუსიკალური ტელევიზია, რაც სულაც არ იყო საჭირო. ღვთის წყალობით, დღესდღეობით, გაიფილტრა და დარჩა ორი, მაგრამ ვაი, ამ დარჩენას. მათ, ვინც ტელევიზიის სათავეში დგანან, არა აქვთ კომერციული აზროვნება, ვერ ამუშავენ არხებს. ამიტომაც არის ამ სფეროში კრიზისი. თუმცა, ლაპარაკი იმაზე, რომ შოუბიზნესი მოკვდა თუ სძინავს, სწორი არ არის. უბრალოდ, რალა-ცები შენედა, რაც ბუნებრივი პროცესია. ეს ყველაფერი იმას ჰგავს, როდესაც გაზაფხული ხან წვიმიანია და მზე გვენატრება, ხანაც — პირიქით. დროა საჭირო და ეს სფერო ისევ გამოცოცხლდება.

**ნატო:**

— დავთანხმები ლექს-სენს და ვიტყვი, რომ ვხედავ, როგორ იცვლება ადამიანთა გემოვნება: თუ წლების წინ უფრო მეტად პოპს უსმენდნენ, ახლა — როკს... მომავალ, ახალ მომღერლებს ის არენა აქვთ, როცა შეუძლიათ ზუსტად გათვალონ და დააკმაყოფილონ მასის, მსმენელის გემოვნება. ვინც ამას შეძლებს, ის ჯგუფ „სახის“ მერე მოახდენს მეორე რევილუციას. 90-იან წლებში ჩვენში პოპულარული იყო რუსული ესტრადა, 90-იანი წლების ბოლოს,

უეცრად, გამოჩნდა პროდიუსერი შალვა რამიშვილი, რომელმაც ესტრადაზე საოცრება მოახდინა — საასპარეზოზე ჯგუფი „სახე“ გამოიყვანა.

**ლექს-სენი:**

— ისინი ქართული შოუბიზნესის პიონერები აღმოჩნდნენ და რევილუციაც ამიტომ მოხდა. მათ შემდეგ, ჩვენში უფრო მეტიც მოხდა, მაგრამ ისინი თვალში მოსახვედრი იმიტომ იყვნენ, რომ პირველები გახლდნენ.

**ლალი:**

— სჭირდება თუ არა მომღერალს რაიმე ინტრიგა — მაგალითად, კადრში გაშიშვლება, თავის გადაპარსვა და ა.შ.?

**ლექს-სენი:**

— ბრიტნი სპირსმა ახლა თავი გადაიპარსა. ამაზე ერთი ამბავი ატყდა, მაგრამ არავის ეგონოს, რომ მე რუსთაველზე ტრუშებიანი გავივლი. ასეთი „მასტი“ არ ვარ. მიჩვენია, ყურადღება ჩემი შემოქმედებით მივიქციო.

**ნატო:**

— არა, ლექსო, ინტრიგა საჭიროა... ამას როგორც პროდიუსერი, ისე ვამბობ.

**ლალი:**

— ერთი კვირის წინ ვესაუბრე დაშლილი ჯგუფის — „ქუჩის ბიჭები“ — ლიდერს, ზურა ხაჩიძეს. ის გულგატეხილი და და ნანწყინა იმის გამო, რომ „ქუჩის ბიჭები“ დღეს არავის სჭირდება. არადა, როგორც მითხრა, მათ ყოველგვარი სერჩო მოიწვევს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ამიტომაც დაიშლნენ. მათზე ლაპარაკი ახლა უხერხულია, რადგან აქ არც ერთი მათგანი არ არის, მაგრამ მაინც მაინტერესებს თქვენი აზრი ამ ჯგუფზე.

**სოფო:**

— კარგად შეკრული გუნდი რომ ყოფილიყო, ვფიქრობ, არ დაიშლებოდა...

**მაგალიჩა:**

— ფსიქოლოგს მეც ვეთანხმები. ჩემი აზრით, „ქუჩის ბიჭები“ უფრო ადრე დაიშალა, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა. ჯგუფი იმ დღიდან აღარ არსებობს, რაც იქიდან პიკასო წავიდა. მათი გუნდური პრინციპი მაშინ დაირღვა, დიდი ბზარი გაჩნდა.

**ნატო:**

— ჩემი აზრით, ჯგუფის წევრების პირადად ცხოვრებამ გადაწონა... მათ რომ ჰყოლოდათ პროდიუსერი, რომელიც საქმეებს კარგად დაულაგებდა, პიარს სწორად დაუგეგმავდა, ეს არ მოხდებოდა... ამ დაშლაშიც ინტრიგის ჩადება იყო საჭირო, რაც მათ ვერ შეძლეს.

**ლექს-სენი:**

— მათი დაშლის შესახებ ახლა შევიტყვე. ვფიქრობ, ეს ინდივიდუალური გადასაწყვეტია. ეტყობა, მათ ასე ერჩივნათ. თუმცა მუშაობა, პროდუქტიულობა, სტაბილურობა ნებისმიერი შემოქმედისთვის აუცილებელი პირობაა წარმატების მისაღწევად. ყოველ წელს ვუშვებ ალბომს, ვიღებ კლიპს.

**მაგალიჩა:**

— თუმცა ლექსო, შენ უფრო პროდუქტიული (მივუბრუნდები ისევ უკვე ნათქვამს) მაშინ იყავი, როდესაც „მესტროს“ ეთერში აქტიურად ჩანდი.

**ნატო:**

— სულ მქონდა მამუკას მიმართ პრეტენზია იმის გამო, რომ ლექს-სენის ასეთი



გელევიძების ბრალია, რომ თინეიჯერებს დღეს გემოვნება არ უფარგათ

დოზით „ტრიალი“ არ შეიძლება, რადგან როდესაც დაწესებულს გადააჭარბებ, მაყურებლის აგრესიას იწვევ.

**თაბუნა:**

— ლექსო, მამუკა ლლონტის შემდეგ, შენი პროდიუსერობა შეიძლება ითქვას, ქვეყნის პრეზიდენტმა ითავა. ამის გამო, შენი ცოტათი შურდათ კიდევ შენს კოლეგებს. პრეზიდენტს ყველა კონცერტზე დაჰყავდი.

**ლალი:**

— მეც მასსოვს, ერთ-ერთ სატელევიზიო სოუჟეტში პრეზიდენტმა საჯაროდ გითხრა, კონკურს „პატრონოტში“ გამარჯვებულ შენს სიმღერაზე კლიბი უნდა გადაიღო და პატრონოტებთან ერთად კლიბიც გადაგიღეს.



შენს პირველ ნაბიჯებში მონაწილეობა ვინც მიიღო, ისინი არ უნდა დაგავწყლეს

**გამაშლირა:**

— ნებისმიერი პარტია თავის არჩევანს ამა თუ იმ ხელგონანზე აკეთებს. ნაციონალურმა მოძრაობამ აქცენტი ლექს-სენზე გააკეთა. ახლა ჩვენმა ქვეყანამ ყურადღება სოფო ხალვაშზე შეაჩერა. ის „ევროვიზიანზე“ მიემგზავრება. პოლიტიკა და შოუბიზნესი ცალკე არ არსებობს.

**ლემს-სამი:**

— აქ ერთი საკითხის ნამონევა მინდა, რაც მართლა დასარეგულირებელია. შოუბიზნესის წარმომადგენლებისთვის ამ საკითხის მოგვარება და გადაჭრა სერიოზული სტიმული იქნება. მეკობრეობა დიდი პრობლემაა. ბაზარზე ფალსიფიცირებული პროდუქცია დიდი დოზით ტრიალებს (საუბარია ვიდეო და აუდიომასალაზე). კარგი იქნება, თუ ფინანსური პოლიცია ამით დაინტერესდება. უამრავი ფაქტი მაქვს, რომელიც შემოიძლია მათ მივანოდო.

**ნატო:**

— მეკობრეობას ჩვენზე დიდმა ქვეყნებმაც ვერაფერი მოუხერხეს, ვერ აღმოფხვრეს ეს პრობლემა... უფრო მნიშვნელოვანი ის იქნება, რომ სპონსორებს, რომლებიც შოუბიზნესს დააფინანსებენ, სახელმწიფომ შელაგათები დაუწესოს. რაც შეეხება პოლიტიკოსებს, არც ერთი პრეზიდენტის დროს არ მაინტერესებდა ქართული პოლიტიკა ისე, როგორც დღეს. ახლა ამ დარგში ჩემი ასაკის ადამიანები მოვიდნენ, მათგან რაღაც კარგი ენერგია მოდის.

**ლალი:**

— თუმცა, ვფიქრობ, როგორც პროდიუსერი, უფრო ნაყოფიერი და

**პროდუქტიული წინა ხელისუფლების დროს იყავი.**

**ნატო:**

— ჩემი ერთი შეხედვით ინერტულობა, ზოგადი ფონითაა გამოწვეული...

**ლალი:**

— რას ნიშნავს ზოგადი ფონი?

**ნატო:**

— ყველაფერი მაინც გემოვნებას უკავშირდება... ერთი შალვა რამიშვილი გვჭირდება. ვფიქრობ, ის ზუსტად მიხვდებოდა, თუ რა უნდა მსმენელს. ისე, გაჩერებული სულაც არ ვარ: მოლაპარაკებებს ვანარმოვებ ალა პუგაჩოვასთან; „უმა ტურმანთან“ უკვე მივალნიეთ შედეგს, უბრალოდ, საპაერო სივრცე გვიშლის ხელს, რომ ვერ ჩამოდიან. ვალენტინ იუდაშკინის ჩამოყვანის ორგანიზებაში ვმონაწილეობ და კიდევ, არის რაღაც პროექტები, რომლებზეც ჯერ ხმამაღლა ვერ ვლაპარაკობ.

**ლალი:**

— ვისი ბრალია, რომ თბილისში, ფაქტობრივად, ერთი კლუბის მეტ („ნაით ოფისი“) არ არსებობს, სადაც მომღერალი თუ ვაგუფი კონცერტს გამართავს?

**გამაშლირა:**

— ეს ხელისუფლების ბრალი არ არის. როცა ადამიანს აქვს საშუალება, რომ კლუბი გახსნას, ის გემოვნებით უნდა გააკეთოს. ეს კერძო პირების, ბიზნესმენების ბრალია და არა ხელისუფლების.

**ლემს-სამი:**

— რეკოლუციის შემდეგ, ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ფონია, სიახლეები ყველა სფეროში შეინიშნება. ჯერჯერობით, კიდევ პოლიტიკური შოუა. ჩვენი ბედი პოლიტიკასთან არის დაკავშირებული, რაც შოუბიზნესზეც აისახება. გავა რამდენიმე წელი და ყველაფერი კალაპოტში ჩადგება. რაც ახლა ხდება, საჭირო და აუცილებელი ეტაპია.

**სოფო:**

— ჩვენი დღევანდელი საუბარი მეტყველებს იმაზე, რომ არც ისე ცუდად არის საქმე და აბსოლუტურად პროფესიული მიდგომა და შეხედულება აქვს თითოეულ აქ მყოფს...

**ლალი:**

— იქნებ, თითოეულმა დაასახელოთ, საკუთარი ღვაწლიდან ყველაზე დიდ მიღწევად რას მიიჩნევთ?

**ნატო:**

— ქეთა თოფურიას რუსეთში წასვლას. ეს ჩემი იდეის გამარჯვება და უდიდესი მიღწევა იყო.

**ლემს-სამი:**

— ცხოვრება წინ არის, ჯერ სატრაბახო არაფერი გამიკეთებია.

**ლალი:**

— სპორტის სასახლის და სტადიონების გაგება ხალხით, ეს წარმატება არ იყო? შენ ხომ შექმნი ხალხის, მასის დაპყრობა?

**ნატო:**

— სერიოზული „ელექტორატი“ გყავდა... დღეს შენ ხარ პოპულარული, მაგრამ ქარიზმა არ გაქვს. რომ მოვინდომო, სულ რაღაც სამ დღეში ისე მოვანჯობ საქმეს, ისეთ სიტუაციას შევქმნი, „კვირის პალატის“ შენობას შენი ფანების არმია შეესება და გარეთ ვერ გახვალ.

**ლემს-სამი:**

— ჯერ ვერ ვხედავ ამის საჭიროებას.

**ნატო:**

— შენს პირველ ნაბიჯებში მონაწილეობა ვინც მიიღო, ისინი არ უნდა დაგავინდეს, მადლიერი უნდა იყო...

**ლემს-სამი:**

— მამუკასგან რომ წამოვდები, არ მეგონა, თუ რამე წარმატებას მივალწვედი, მაგრამ...

**ნატო:**

— გამოჩნდა ნაციონალური მოძრაობა, რაც ძალიან კარგია.

**ლემს-სამი:**

— ალბათ დავიმსახურე, რაღაც ღვთის მადლი იყო...

**სოფო:**

— როდესაც ლექსო ახალი გამოჩენილი იყო და მასზე დიდი მოთხოვნილება არსებობდა, იმ პერიოდთან ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: ანტინარკოტიკულ კოალიციაში რამდენიმე კოალიციური ორგანიზაცია შევიკრიბეთ. ანტინარკოტიკული კონცერტის მოწყობა გვინდოდა და ვმსჯელობდით, თუ ვინ უნდა მოგვეწვია მასში მონაწილეობის მისაღებად. სოციოლოგიური კვლევის მონაცემები რომ წარმოგვიდგინეს, გავოცდი, არ მეგონა, თუ ლექსო პირველ ადგილზე იყო.

**გამაშლირა:**

— საერთოდ, მიღწეულს შენარჩუნება, გამყარება უნდა...

**ლალი:**

— რატომ არ დავასრულეთ და არ გავცით პასუხი ყველამ კითხვაზე ვინ რას მიიჩნევს საკუთარ მიღწევად?

**გამაშლირა:**

— ჩემი მეუღლე. რა, არ მეთანხმებით?!

**ნუსა:**

— ჩემს მიღწევად მიმაჩნია თინეიჯერების შემობრუნება ქართული სიმღერისკენ და გემოვნებიანი მუსიკისკენ.

**ნატო:**

— სოფო ხალვაში შენ რომ აღმოაჩინე და საერთოდ, ბათუმიდან ჩამოიყვანე, ამას არ ამბობ?

**ნუსა:**

— კი, ასე იყო. სულ თავიდან, მისი მონაცემები რომ ვნახე (როდესაც მისი პაკეტი გავხსენი), მისი გარეგნობით მოვიხიბლე. მერე ვინატრე — ნეტავ, ისევე კარგად მღეროდეს, როგორი გარეგნობაც აქვს-მეთქი. როდესაც სოფოს ნამღერიც მოვისმინე, ოცნება ამიხდა, მისი წინაგანი მონაცემები გარეგნულს დაემთხვა.

**სოფო:**

— დაბოლოს, ასეთი რამ მინდა ვთქვა: ადამიანების უმრავლესობა, მსოფლიოს 2/3 „ვიზუალისტია“. ეს რას ნიშნავს? თვალი ჭამს და თვალი სვამსო, ხომ გაგიგონიათ?! ეს პროდიუსერებმაც იციან. და კიდევ, ამ სფეროს წარმომადგენელისთვის საჭიროა ნიჭი, შრომისმოყვარეობა, სტაბილურობა, მუდმივი ძიება და რაც მთავარია, საქმის მცოდნე პროდიუსერი, რომელიც მომღერალს ღირსეულად წარუდგენს საზოგადოებას. ■



საუკუნის წინ, 1907 წლის 30 აგვისტოს, საგურამოსკენ მიმავალ ილია ჭავჭავაძეს წინამართან შეიარაღებული პირები დახვდნენ. „არ მესროლოთ, ილია ვარ!“ — შესძახა დიდმა ქართველმა. სიტყვა დამთავრებულიც არ ჰქონდა, უმაღლესი გასროლის ხმა გაისმა. ესროლეს იმიტომ, რომ ილია იყო...

„მოკლეს პოეტი უღვთო იყო მისი სიკვდილი“, „კალამი მითრთის... ენა მებმის... აზრი მერყეა.“ — წერდნენ გაზეთ „ისარში“ შეძრწუნებული თანამედროვენი. შეიძლება ითქვას, რომ საუკუნის შემდეგ, მეც იმავე მდგომარეობაში ვიმყოფები — აღარ ვიცი, ქართველების ამ მარადიულ, ეროვნულ სირცხვილზე წერა საიდან და როგორ დაიწყო. ქართველ ხალხს ტრაგედიის შესახებ სიმართლეს მაშინდელი და შემდგომი პერიოდის ხელისუფალნიც წლების მანძილზე უმაღლესად ვადრე...

თამუნა კვინიკაძე

რატომ მოკლეს ილია? ვინ იყვნენ მკვლელები და როგორ წარიმართა მათი შემდგომი ცხოვრება? ვინ იდგა მათ ზურგს უკან? რამდენი გადაუხადეს ბერბიჭაშვილს იმ ტყვიის გასროლისთვის, რომელსაც „ერის მამა“ უნდა მოეკლა? როგორ შეხვდა ამ ტრაგედიას მაშინდელი საზოგადოება? როგორ მიმდინარეობდა ძიების პროცესი და რატომ გაურობდა სიმართლის თქმას გამოძიება? — ეს იმ კითხვების არასრული ჩამონათვალია, რომლებზე პასუხსაც საზოგადოება ათწლეულების მანძილზე ელოდა.

წელს ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 170 წელი სრულდება... ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიკოსი, პროფესორი გურამ ყორანაშვილი 20 წელია, რაც ილიას ცხოვრებასა და შემოქმედებას შეისწავლის; მის მიერ მიკვლეულ, საზოგადოების მანძილზე ნაწილ-ისთვის დღემდე უცნობ ფაქტებზე „გზის“

ვინ მოკლა დიდი ილია?

პასუხაუცემელი კითხვები, რომლებიც საუკუნის შემდეგაც აქაულორია

მომდევნო ნომრებში გვექნება საუბარი. დღეს კი, წინამართის ტრაგედიიდან დღემდე გასულ პერიოდს მიმოვიხილავთ: რატომ არ ჩატარდა ან რა უშლიდა ხელს ილიას მკვლელობის ობიექტურ გამოძიებას, ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ — პირველი დამოკიდებული რესპუბლიკის, საბჭოთა რეჟიმის დროს და ბოლოს, პოსტკომუნისტურ საქართველოში?

— ბატონო გურამ, მალე 100 წელი შესრულდება წინამართის შემზარავი ტრაგედიიდან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის მანძილზე სიმართლის დადგენას არაერთი მკვლევარი ცდილობდა, სიმართლე ჯერ კიდევ არ თქმულა.

— იმ არქივებში, რომელსაც თავის დროზე „ოხრანკა“ — ჟანდარმერია განაგებდა, ილიას მკვლელობის საქმიდან ბევრი რამ შეგნებულად არის განადგურებული. ისტორიკოსის ამოცანა კი ის არის, დაადგინოს სიმართლე იმ დოკუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც გადარჩა. როგორც ცნობილია, რომაელები დანაშაულის გახსნას იწყებდნენ კითხვით — ვის აძლევს ხელს, ვისთვის არის სასარგებლო? ასეთივე მიდგომაა საქირო ილიას მკვლელობის საქმის ძიებისას. დიდი ქართველის გვაში გაცივებულიც არ იყო, როცა თბილისის გუბერნატორი, საიმპერატორო კარის კანცელარიას პეტერბურგში ატყობინებდა — ილია ადგილობრივმა გლეხებმა, აგრარული დაპირისპირების ნიადაგზე სოციალ-დემოკრატების წაქეზებით მოკლესო. ძარცვა ინსცენირებული იყო. გამოძიების პროცესმა და სასამართლო წარმოებამ დაახლოებით 2 წელი გასტანა. შემდეგ, მკვლელობის ერთადერთ მოტივად ძარცვა გამოაცხადეს. ჩვენი უბედურება ის იყო, რომ მაშინდელი ხელისუფალნი სიმართლის დადგენას გაურობდნენ. ამას არ მორიდებია დღეშეთის მახრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი — ყარამან ფაღავა. მან ილიას ფასი ნამდვილად იცოდა. მკვლელობის საქმეზე სათანადო ცნობების შეგროვებაც დაიწყო, მაგრამ სასწრაფოდ მოაშორეს იქაურობას: ჯერ გორში, შემდეგ კი ახალქალაქში გადაიყვანეს. სწორ გზას დაადგა გამომძიებელი ევტუსევისკიც, მაგრამ არც მას მისცეს გამოძიების შემდგომი წარმართვის საშუალება. ილიას უკანასკნელმა მოურავმა დიმიტრი ჯაშმა ყველაფერი იცოდა. საეჭვო ყოფაქცე-

ვის გამო, დაკვირვებული ადამიანისთვის ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, მკვლელობის მომზადებაში მისი მონაწილეობა, მაგრამ ეს შესაძლებლობა ხელისუფლებას, კერძოდ, სასამართლოს, სავსებით გასაგები მიზეზების გამო (რაზეც შემდეგ სტატიებში მოგიხსნებთ) არ გამოუყენებია.

— როგორ შეხვდა ამ ტრაგედიას მაშინდელი საზოგადოების მონაწილე ნაწილი?

— ყველაზე ბრძნული პასუხი ტრაგედიის გარშემო გაჩენილ კითხვებზე ვაჟა-ფშაველამ გასცა: ილიას მკვლელობა მეფის ჟანდარმერიის მიერ არის მოწყობილი. ადვილი შესაძლებელია, მკვლევლები ქართველებიც იყვნენ, მაგრამ იმ ქართველებს იარაღად მეფის ჟანდარმერია იყენებდა, — დაბეჯითებით იმეორებდა ვაჟა და ასკვნიდა — ეს იმისთვის კეთდება, რომ ჩვენი უბედური ქართველები, ერთმანეთს წაგვიკიდონ, ჩვენი თვალის ასახვევად მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა მკვდარს ვერცხლის გვირგვინი მიართვა; ჩვენი ხალხის მტრებს არ დაუჯეროთო! — ყველგან ხმამაღლა ამბობდა ვაჟა და ილიას მკვლელობას, დიმიტრი ყიფიანის მკვლელობას ადარებდა. სამწუხაროდ, იმ პერიოდის ქართველი საზოგადოება ილიას მკვლელობის გამო-საძიებლად სათანადოდ არ გაისარჯა.

— არც იმდროინდელი პოლიტიკური პარტიები აქტიურობდნენ?

— ინიციატივა სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას უნდა გამოეჩინა, მაგრამ... როგორც მიხეილ ჯავახიშვილის გადმოცემით არის ცნობილი, ამ პარტიას საგამოძიებო კომისია შეუქმნია, რომლის სათავეშიც რატომღაც, გაზეთ „ისრის“ რედაქტორი, ესტატი ავალიშვილი ჩაუყენებიათ. მიხეილ ჯავახიშვილი გამოსულა ასეთი ინიციატივით — დიმიტრი ჯაშმა მოვიტაცოთ და რაც იცის, ძალით ვათქმევინოთო. ამ წინადადებას მიმხრო-

ბია ვაჟა-ფშაველაც, მაგრამ ავალიშვილის და სხვათა წინააღმდეგობის გამო, აღნიშნული წამოწყება აღარ განხორციელდა. ამის შემდეგ, პარტიულ დონეზე საგამოძიებო კომისია შეუქმნიათ მენშევიკებსაც, მაგრამ საქმის ობიექტური გამოძიება ვერც მათ მოახერხეს. საგულისხმოა, რომ ცნობილ სოციალ-დემოკრატ რუბენ ყიფიანს როგორღაც მოუხერხებია, 200 მანეთად გარეგნობა და სამხედრო სასა-



მკვლელობის ერთადერთ მოტივად ძარცვა გამოაცხადეს ილიას მკვლელობის ადგილი



მოურავი დიმიტრი ჯაში (ილიას დაკრძალვამდე გადაღებული ფოტო)

მართლოს ორ მოსამართლეს, რომლებსაც ლამბამობით გამოჰქონდათ ეს საქმე და ნაფიცო მსაჯულის, სერგო ჯაფარიძის ბინაში მალულად ბეჭდავდნენ. ეს 1912 თუ 1913 წელს მომხდარა. დაუდევრობის თუ უყურადღებობის გამო, გადაბეჭდილი საქმე ბოლოს, პეტრე გელეიშვილის სახლში მოხვედრილა. იგი ილიას მოძულე გახლდათ. ჯერ მენშევიკი იყო, ამავდროულად, მეფის „ოხრანკის“ აგენტიც და შემდეგ, ბოლშევიკი გახდა.

— 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. თუ მანამდე გამოძიების პროცესის ობიექტურად წარმართვაზე ხელს მეფის რუსეთი უშლიდა, დამოუკიდებლობის პერიოდში რატომ აღარ ჩატარდა ობიექტური გამოძიება?

— დიხ, ისტორიამ მკაცრი განაჩენი გამოუტანა რუსეთის იმპერიას და მის ბატონობას საქართველოში. ქართველობამ 117 წლის მანძილზე ნანატრი დამოუკიდებლობა აღიდგინა. ამ დროს თითქოს მოგვეცა შანსი, ჩვენი საკუთარი სახელმწიფოებრივი ძალებით გამოგვეძია და გაგვესამართლებინა ილიას მკვლელობაში გარეუღნი, თუნდაც ეჭვმიტანილები: დიმიტრი ჯაში, გიგლა ბერბიჭაშვილი, ფილიპე მახარაძე და სხვებიც. მაგრამ ეს შანსი იმის გამო დაიკარგა, რომ სახელმწიფოს სათავეში მდგარი მენშევიკები დიდ ქართველს არ სწყალობდნენ. არადა, ყველაზე ადვილად საქმის გამოძიება იმ დროს შეიძლებოდა წარმართულიყო: მეტეხის ციხეში იყვნენ დიმიტრი ჯაში და ფილიპე მახარაძე და ვერსად გაიქცეოდნენ, მაგრამ პირველი მათგანი „კანონიერად“ გაათავისუფლეს, ხოლო მეორე — გააპარეს... ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასაც არ შეეძლო, ილიას მკვლელობის საქმე საფუძვლიანად გამოეკვლია. ნოე რამიშვილის ვაჟის, აკაკის მონათხრობის მიხედვით, მამამისი ილიას მკვლელობის გამოძიებას ჯერ კიდევ 1918-21 წლებში აპირებდა, რაკი მან ეს იმხანად ვერ მოახერხა, ნოეს აღნიშნულ საქმეზე

მუშაობა პარიზში გაუგრძელებია. მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა, რადგან 1930 წელს ის მოკლეს. საეჭვოა, რომ ეს ვერსია სიმართლეს შეესაბამებოდეს. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა დამართა შერგოვილ მასალას?... 1921 წლის თებერვალ-მარტის ცნობილი მოვლენების შემდეგ კი, მრავალი წლის მანძილზე, საქართველოს მიწა-წყალზე დიდი სიამაყით დააბიჯებდა გიგლა ბერბიჭაშვილი, მისი ბრალეულობა ილიას მკვლელობის საქმეში თითქმის ყველამ იცოდა. ბერბიჭაშვილი განსაკუთრებით, ნაბახუსევი ტრაბახობდა ჩადენილი „საგმირო“ საქმით. თან „საქმეში გაჰყავდა“ იმ დროს აღზევებული პირები — სერგო ორჯონიკიძე და ფილიპე მახარაძე. ამ უკანასკნელზე ამბობდა, ილიას მკვლელობისთვის 30 მანეთი გადაამხადა და დამპირდა, დანარჩენს მერე მოგცემო. რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო საბჭოური ტოტალიტარიზმის პირობებში გათანგულ საქართველოში?..

— ცნობილია, რომ ილიას მკვლელობის გამოძიებით სტალინიც დაინტერესდა და ეს საქმე ლაგერენტი ბერიას დაავალა. ისიც ცნობილია, რომ ეს, პოლიტიკური მოტივით იყო ნაკარნახევი. რამ უზიძგა მას ამ ნაბიჯის გადადგმისაკენ?

— 1932 წელს გერმანიაში, ბერლინში, გერმანულ ენაზე გამოვიდა ქართველი მენშევიკის, იოსებ ირემაშვილის წიგნი — „სტალინი და საქართველოს ტრაგედია“. ბედის ირონიით, ორივე იოსები (ჯულაშვილი და ირემაშვილი) ყმანვილკაცობისას, მეგობრები იყვნენ, ერთად სწავლობდნენ ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ — თბილისის სასულიერო სემინარიაში. ბოლოს, მათი გზები გაიყარა. ირემაშვილი თავის წიგნში მთელი კატეგორიულობით აღნიშნავდა: „მკვლელები, ქართველი ბოლშევიკები იყვნენ, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური მტრების გზიდან ჩამოშორებით მოდიოდნენ, შურისძიების აღსრულებას მხოლოდ მკვლელობაში ხედავდნენ, თავადის მოკვლა პროგრესულ აუცილებლობად მიაჩნდათ“. ავტორის თქმით — „მკვლელების ზურგს უკან არაპირდაპირ, კობა (სტალინი) იდგა, ის ყველა ბოროტმოქმედების ნამქეზებელი და ორგანიზატორი იყო“. ცხადია, ასეთი წიგნის გამოცემას ქართველი პოლიტიკური მტრების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვებოდა. სტალინისთვის მისი უპასუხო დატოვება არ შეიძლებოდა. ეს „პასუხი“, ლაგერენტი ბერიასთვის ილიას მკვლელობის გამოძიების დავალება გახლდათ. ოღონდ, რასაკვირველია, ის არა პირუთვნელად და ობიექტურად უნდა წარმართულიყო, არამედ გარკვეული ვერსიით წარმდგარიყო საზოგადოების წინაშე — ყველაფერი „ოხრანკას“ უნდა დაჰბრალე-ბოდა. ლაგერენტი ბერიასთვის წინადადება მოულოდნელი არ ყოფილა. გამოძიება დაევალა 15-16-კაციან კომისიას, რომელსაც იმჟამინდელი ცეკას პროპაგანდა-აგი-

ტაციის განყოფილების გამგე, კოტე გორდელაძე თავმჯდომარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ შერგებელი მასალებით, მხოლოდ „ოხრანკის“ ბრალეულობა არ მტკიცდებოდა, დავალების შესაბამისად, კოტე გორდელაძე მხოლოდ ამ ვერსიის განმტკიცებაზე მუშაობდა. „ბერბიჭაშვილის საქმის“ გამოძიება 1941 წლის 12 ივნისიდან 25 ნოემბრამდე მიმდინარეობდა. 1942 წლის 5 იანვარს მკაცრი განაჩენი — დახვრეტა გამოუტანეს (შეგახსენებთ, რომ მისი თანამოსაქმეები — თედო ლაბაური, ვანო ინაშვილი და გიორგი ხიზანიშვილი 1909 წელს ჩამოახრჩვეს). ბერბიჭაშვილის სასამართლო კულუარულად და ფარულად მიმდინარეობდა, მიუხედავად ამისა, ამ საქმეში გამოიკვეთა ფილიპე მახარაძის როლი. სამწუხაროდ, საბჭოურ თემიდას ამ მიმართულებით თვალები ახვეული ჰქონდა. ბოლშევიკებმაც ხომ საზოგადოება „ხატად და სახედ თვისად“ შექმნეს. გაიმარჯვა ეიფორიულმა განწყობილებამ — ილიას მკვლეელი გიგლა ბერბიჭაშვილი თითქოს სამაგალითოდ დასაჯეს. ხალხის თვალშიც სტალინის ავტორიტეტი გაიზარდა: მან ხომ შეძლო, „ფარდა აეხადა“ ილიას მკვლელობის საიდუმლოსთვის!..

— ბერბიჭაშვილს დახვრეტის განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ არ დაუხვრეტიათ. რა მოხდა სინამდვილეში?

ილიას მკვლეელი გიგლა ბერბიჭაშვილი თითქოს სამაგალითოდ დასაჯეს



— კარცერში ჩასვეს, მასთან ხშირ-ხშირად მიდიოდა ავექსენტი რაფავა (მინისტრი) და ანუგეებდა — ნუ გემინია, არ დაგხვრეტოთ. შემდეგ, საკავშირო პროკურატურის ჩარევის შედეგად, დახვრეტა 10-წლიანი პატიმრობით — შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდით შეუცვალეს. გიგლასთან ერთად, კარცერში აკაკი ბალიაშვილიც იჯდა, ისიც სიკვდილიმსილი იყო, მაგრამ დახვრეტას ასევე გადაურჩა. მის მოგონებებში წერია: სანამ ბერბიჭაშვილს შრომა-გასწორების კოლონიაში გადაიყვანდნენ, დააჩემი მოვიდა ჩემს სანახავად და თევზი მომიტანაო. ბერბიჭაშვილი ღარიბი ოჯახიდან იყო, ლუარსაბ თათქარიძის არ იყოს, იმდენი თევზი უჭამია, რომ ნანლაგების გადახლართვა დამართვია და მომკვდარა. ■

# ახრიკ ცვიიბა: «ჩივაძეს, შენგელიას და სულაქვილიძეს ისე ვუყურებდი, როგორც ციურ არსებებს»

აფხაზეთში არაერთი ცნობილი ფეხბურთელი დაბადებულა, რომელსაც კარიერის მანძილზე თბილისის „დინამოც“ უსახელებია და სახელი საერთაშორისო ასპარეზზეც მოუხვეჭია. საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში აღზრდილ აფხაზ ფეხბურთელთა შორის, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კარიერა ახრიკ ცვიიბას ჰქონდა. მან დიდ ფეხბურთში პირველი ნაბიჯები თბილისის „დინამოში“ გადადგა, ხოლო მოგვიანებით, ვალერი ლობანოვსკის ხელმძღვანელობით, ასპარეზობა კიევის „დინამოში“ გააგრძელა. ამ გუნდთან ერთად, ცვიიბამ 1990 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და თასი მოიგო, ხოლო ერთი წლის შემდეგ, ის უკრაინის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ცვიიბა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კიეველთა კაპიტანიც გახლდათ, რაც ასეთ პოპულარულ კლუბში ფრად საპატიოა. მოგვიანებით, ახრიკი უკვე რუსეთის ეროვნული გუნდის ლირსებას იცავდა. ცვიიბა დღემდე კარგ ურთიერთობას ინარჩუნებს ქართველებთან და ზოგიერთი ჩვენი ფეხბურთელის მენეჯერაც გახლავთ.



## ლამა თაბაბარი


ცვიიბა სპორტის საყვარელი სახეობის ანბანას აფხაზეთში ეზიარა, რასაც ასე იხსენებს: „ფეხბურთის თამაში გუდაუთაში დავიწყე. იქ თითქმის ყველა ბიჭი დიდიდან სალამომდე ეზოში ბურთს დასდევდა და ერთხელაც, მეგობრებთან ერთად ადგილობრივ საფეხბურთო სკოლას მივაბურე. პარალელურად, ეროვნული ცენტრებით სერიოზულად ვიყავი დაკავებული და სასკოლო ოლიმპიადებში მუდმივად ვმონაწილეობდი. საფეხბურთო კარიერის განმავლობაში, ეს ძალიან დამეხმარა, რადგან ცვევა კოორდინაციას ავითარებს და ფეხის კუნთებს უფრო მოქნილს ხდის. 17 წლის რომ გავხდი, აფხაზეთის მთავარ გუნდში — სოხუმის „დინამოში“ მიმიწვიეს, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგაში გამოდიოდა. სწორედ სოხუმში თამაშისას შემამჩნიეს სელექციონერებმა თბილისიდან. თუმცა, მათ ხაბაროვსკელმა მწვრთნელებმა დაასწრეს. ხაბაროვსკის არმიის სპორტული კლუბი იმხანად საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველ ლიგაში გამოდიოდა და საკუთარი შესაძლებლობის მოსინჯვა უფრო სერიოზულ დონეზე მსურდა, ვიდრე მეორე ლიგა გახლდათ. თან, უკვე ჯარში სავალდებულო სამსახურის გავლის პერიოდიც დამიდა. მართალია, არმიიდან ჩემი დახსნა სოხუმის „დინამოსაც“ შეეძლო, მაგრამ ხაბაროვსკელების შემოთავაზებამ უფრო საინტერესო მომიჩვენა. მიუხედავად ამისა ამ ქალაქში მხოლოდ ნახევარი წელი დავყავი. მერე თბილისშიც გამიხსენეს და მალე „დინამოში“ ჩავირიცხე. თუმცა ხაბაროვსკის კოლეგები ცხოვრებაში არასოდეს დამა-

ვინყდება. მახსოვს, თბილისური კლუბის პირველ ვარჯიშზე მწვრთნელმა, ვლადიმერ შამბამ მიმიყვანა, რომელთანაც თავის დროზე ფეხბურთის თამაში დავიწყე. სხვათა შორის, მასთან ბევრი ცნობილი ფეხბურთელი აღიზარდა: გოჩა გოგრიჭანი, რომან ხაბა, ჯემალ გუბაზი. 1988 წელს ჩვენ „დინამოს“ შემადგენლობაში მოედანზე ყველა ერთად გამოვედით, რითაც შამბა ფრად გახარებული გახლდათ. მახსოვს, თბილისში ახალი ჩამოსული, ვარჯიშზე ალექსანდრე ჩივაძეს, თენგიზ სულაქვილიძეს, რამაზ შენგელიას ისე ვუყურებდი, როგორც ციურ არსებებს. მოგვიანებით შევეჩვიე იმას, რომ მალაღი დონის ოსტატებთან და პატივსაცემ ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობა მქონდა. ვცდილობდი, მათთან ერთად მევარჯიშა და არ მიმეცია ყურადღება მათი როგორც წარსული, ასევე იმჟამინდელი დამსახურებებისთვის. შემდეგ, კიევის „დინამოში“ რომ ვთამაშობდი, ანდრეი ბალმა მითხრა: უფრო გამოცდილი პარტნიორებისთვის დაყვირების არ მოგერიდოს. შენთვის უფრო ცუდი იქნება, თუ ენას კბილს დააჭერო“.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქართული ფეხბურთი გარკვეული ხნით იზოლაციაში აღმოჩნდა და ზოგიერთმა ჩვენებურმა, ცხადია, კარიერის გაგრძელება ქვეყნის ფარგლებს გარეთ არჩია, მათ შორის ახრიკიც აღმოჩნდა: „1990 წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიმიწვიეს, რომელსაც ვალერი ლობანოვსკი წვრთნიდა. ჩვენი გუნდი ამერიკის კონტინენტზე გაემგზავრა, სადაც რამდენიმე საკონტროლო თამაში ჩაატარა. მე შეხვედრების გამართვა, სხვა ახალწვეულების მსგავსად, მეორე გუნდში


მომიხდა. შემდეგ ლობანოვსკიმ ადგილი ძირითად შემადგენლობაშიც მანდო. ერთი მატჩი ნიკარაგუის ნაკრების წინააღმდეგაც ჩავატარე. ამერიკაში ყოფნისას, პაველ იაკოვენკომ მაცნობა, რომ ქართული კლუბები საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობას აღარ მიიღებდნენ და საქართველოს პირველობაზე ითამაშებდნენ. თავდაპირველად, ეს ინფორმაცია სუმრობად აღვიქვი. შემდეგ, უკვე აეროპორტში, ლობანოვსკიმ ეს ცნობა დაადასტურა და საკუთარი კოორდინატებიც დამიტოვა. დიდხანს არ მიფიქრია, რადგან კიევის „დინამოში“ გადასვლით, ფაქტობრივად, ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში გარანტირებული მქონდა. თბილისში ჩემთვის არავითარი წინააღმდეგობა არ შეუქმნიათ, რადგან ყველას ესმოდა, რომ ლობანოვსკის წინადადებას უნდა დაეთანხმებოდი. ყოფილ პარტნიორებს მეგობრულად და ძალიან თბილად დავშორდი“.

აღსანიშნავია, რომ თბილისის „დინამოს“ ყოფილ ცენტრალურ მცველს, კარიერის მანძილზე, რამდენიმე ქვეყნის ნაკრების ლირსებას დაცვა მოუხდა: „ერთ-გვარი რეკორდსმენი ვარ, რადგან თამაში ოთხ — საბჭოთა კავშირის, დსთ-ის, უკრაინის და რუსეთის ნაკრებში მომიხდა. თუმცა, უკრაინის ეროვნულ გუნდში მხოლოდ ერთი მატჩი გავმართე და ისიც, არაოფიციალური. ძალიან მწყდება გული, რომ 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ვითამაშე. ნაკრების განაცხადში კი ვიყავი, მაგრამ ტურნირი ჩემთვის მაშინ დამთავრდა, როდესაც ჯერ დანყებულ იც არ იყო. ამის მიზეზი ტრავმა აღმოჩნდა. საერთოდ, ტრავმებმა ხელი შემიშალა, რომ სანაკრებო დონეზე საკუთარი თავი უკეთ წარმოემჩინა. მიუხედავად ამისა, ცხოვრებას არ ვემდური, რადგან საფეხბურთო კარიერაში ბევრი რამ მქონდა დასამახსოვრებელი. 1993 წელს ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზში“ თამაშისას, ოლეგ ბლოხინმა, რომელიც საბერძნეთში მუშაობდა, საკუთარ კლუბში მიმიწვია. თუმცა სალონიკში რომ



განაცხადში კი ვიყავი, მაგრამ ტურნირი ჩემთვის მაშინ დამთავრდა, როდესაც ჯერ დანყებულ იც არ იყო. ამის მიზეზი ტრავმა აღმოჩნდა

ჩავედი, მიტხრეს, რომ ბერძნული ვარიანტი ჩაიშალა, სამაგიეროდ, ამომავალი მზის ქვეყანაში კარიერის გაგრძელების შანსი მომეცა. როდესაც შევიტყვე, რომ იაპონურ „გამბაში“ თამაში ოლეგ პროტასოვისა და სერგეი ალენიკოვის გვერდით მომიწევდა, შემოთავაზებას მაშინვე დავთანხმდი. იაპონიაში გატარებული სამი წელი მართლაც, დაუვინყარი გახლდათ, რადგან ეს ქვეყანა გასაოცარია. იქ განსაკუთრებით საინტერესო სამყაროა. მაშინ იაპონიისა და ამერიკის საფეხბურთო ლიგებს ჟურნალისტები „ვარსკვლავთა სასაფლაოს“ უწოდებდნენ, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები. მართალია, იქ გამოცდილი ოსტატები ჩადიოდნენ, როგორებიც იტალიელი სალვატორე სკილაჩი, გერმანელები — გვიდო ბუხვალდი და პიერ ლიტბარსკი, ფრანგი ბაზილი ბოლი, ბრაზილიელი ზიკო იყენენ, მაგრამ იმის თქმა, რომ იაპონიაში ფეხბურთს „დამდგარი“ თამაშობდნენ, არ შეიძლება. უკვე მაშინ, „ჯეი-ლიგაში“ ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელები — დუნგა და ზინო თამაშობდნენ, რომელთაც 1994 წელს აშშ-ში მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლები მოიგეს. კიევის „დინამოსა“ და „კამაზში“ თამაშის შემდეგ, შემიძლია ვთქვა, რომ ოქროს საბადოზე აღმოვჩნდი. საკმაოდ ბევრი ფული გამოვიმუშავე, ხოლო ისეთი დონის ფეხბურთელები, როგორიც სკილაჩია, ნელინადმი სამ მილიონ დოლარს იღებდნენ. სხვათა შორის, ვარსკვლავები არ ცდილობდნენ, მოედანზე რაიმე ექსტრაორდინარული ეჩვენებინათ, გულშემბტივრებზე თამაშს უფრო ადგილობრივი ფეხბურთელები ცდილობდნენ. იაპონელებს მაშინ არ ესმოდათ, თუ სათამაშო დისციპლინა რას ნიშნავდა, ხოლო ქომაგებს მათი შესრულებით სხვადასხვა საცირკო ნომრის შესრულება მოსწონდათ. იაპონიაში ფეხბურთზე იმდენი ხალხი დადიოდა, რამდენიც ჩვენთან — სუმიოზე. თავდაპირველად, ადგილობრივი ჩემპიონატის დონე მაღალი არ გახლდათ, მაგრამ თანდათან პროგრესი შესამჩნევი გახდა. ამას არა მხოლოდ ჩასული ვარსკვლავები უწყობდნენ ხელს, არამედ უცხოელი მწვრთნელებიც, რომლებიც „ჯეი-ლიგის“ კლუბების უმრავლესობას ხელმძღვანელობდნენ. საერთოდ, ეს ერი შრომისუნარიანობით და სწავლის წყურვილით გამოირჩევა. მე, სერგეის და ოლეგს რუსულად ვესაუბრებოდი, სხვა შემთხვევაში ინგლისურზე გადავიდიოდი, მაგრამ ეს ყოველთვის არ გეშველოდა, რადგან ეს ენა იაპონიაში ბევრმა არ იცის. ამიტომ თარჯიმანი მოგვამაგრეს. თავდაპირველად, იაპონური ენის სწავლა დამოუკიდებლად გადაწყვიტე, მაგრამ მივხვდი, რომ ამის საჭიროება არ იყო. ამიტომ, მხოლოდ ის ფრაზები ვისწავლე, რომლებიც ფეხბურთის თამაშისთვის აუცილებელი იყო. მინდა გითხრათ, რომ თანაგუნდელების სახეების დამახსოვრებასთან დაკავშირებით პრობლემები შეგვექმნა და



ნებისმიერ აფხაზურ ოჯახში ფეხბურთი პირველ ადგილზე დგას. მაგალითად, მამაჩემი თბილისის „დინამოს“ გამოჩენილ ფეხბურთელ სლავა მეგრეველთან მეგობრობდა

კლუბში მათი ფერადი ფოტოალბომიც დაგვირიგეს. მოგვიანებით კი, უკვე ერთმანეთისგან იაპონელს, ჩინელსა და კორეელსაც ვარჩევდი. როგორც გაირკვა, კორეელებს უფრო ბრტყელი სახეები აქვთ, იაპონელებს — მრგვალი, ხოლო ჩინელები შედარებით მუქი ფერის კანით გამოირჩევიან. აქვე გეტყვით, რომ იმ პერიოდში იქ არსენ ვენგერი მოღვაწეობდა, რომელიც „იოკოჰამა ფლაგერს“ წვრთნიდა. მისი თავკაცობისას, ეს გუნდი იაპონური ფეხბურთის ერთ-ერთი ფლაგმანი გახდა. ვენგერი ლონდონის „არსენალში“ სწორედ იაპონიიდან გაემგზავრა. იაპონელებს სპეციფიკური სამზარეულო აქვთ, მაგრამ მომწონდა. თუმცა, მუდამ ბრინჯი, რომელსაც დიდებულად ამზადებდნენ და სუში, მოსაწყენია. ჩვენ, როგორც შეგვეძლო, ისე ვპოულობდით გამოსავალს და ვცდილობდით, იმ რესტორნებში გვევლო, სადაც ევროპულ კერძებს ამზადებდნენ, რადგან იაპონურ რესტორანში ასეთს ვერ ნახავდით. ცხადია, მათი ბრინჯის არაყი — საკვც გავისინჯე, მაგრამ არ მომეწონა. მას თბილს სვამენ და ბრინჯის გემო დაჰყვება. უკრაინულ წინაყიან არაყს ნამდვილად ვერ შეედრება. მახსოვს, განსაკუთრებით ბევრი, სხვადასხვა სასმელი დავლიეთ, როდესაც მე ბიჭი შემეძინა, ხოლო პროტასოვს — გოგო. იაპონიაში ხანში შესულ ხალხს დიდი მონივნებით ეპყრობიან. მოგეხსენებათ, ჩვენთან კავკასიაში, როდესაც ოთახში უფროსი შემოდის, ფეხზე დგებიან და ისე ეგებებიან. მსგავსი რამ ხდებოდა იქაც. საინტერესოა, რომ იაპონელები საკუთარ, განსაკუთრებულ სამყაროში ცხოვრობენ, რომელიც თავად შექმნეს. მათ ყველაფერი სხვაგვარად აქვთ მოწყობილი და ევროპელებთან შედარებით, სხვანაირად აზროვნებენ. ძალიან ალბადი ერთა. მაგალითად, ყველამ იცის საკუთარი საქმე და მას ზედმიწევნით კარგად აკეთებს, არც ერთ ნაბიჯს არ გადადგამს არც

მარცხნივ, არც მარჯვნივ.“  
 ახრიკის მუშავე საიდა, ცნობილი ფეხბურთელის გაცნობის დეტალებს ასე იხსენებს:  
 „ისე მოხდა, რომ ჩვენ საერთო მეგობრები გვყავდა და გარკვეულ პერიოდამდე ერთმანეთს არ შევხვედრივართ. მაშინ სოსუმის უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი და ახრიკის გაცნობის დღე აქამდე მახსოვს. ეს აპრილში მოხდა, როდესაც ლექციებს შორის, შესვენებისას, მეგობარ გოგონასთან ერთად, უნივერსიტეტის ეზოში გამოვედი. ამ დროს, ჩვენი საერთო ნაცნობი მომიახლოვდა, ახრიკთან ერთად. მე ძალიან მესიამოვნა, რადგან ცვეიბას მთელი აფხაზეთი იცნობდა. იგი 90-იანი წლების დასაწყისში დიდების მწვერვალზე იყო, რადგან კიევის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახლდათ. ასეთ ადამიანთან შეხვედრა გულგრილს ნამდვილად ვერ დამტოვებდა. მინდა გითხრათ, რომ ნებისმიერ აფხაზურ ოჯახში ფეხბურთი პირველ ადგილზე დგას. მაგალითად, მამაჩემი თბილისის „დინამოს“ გამოჩენილ ფეხბურთელ სლავა მეგრეველთან მეგობრობდა, რომელიც სოსუმში თუ მოხვდებოდა, აუცილებლად შემოვივლიდა ჩვენთან სახლში. მან მამას ბურთიც აჩუქა, „დინამოს“ ფეხბურთელთა ავტოგრაფებით, რომელიც სახლი ერთ-ერთ საპატიო ადგილზე იდო. ცვეიბასთან ნაცნობობის შესახებ, ოჯახის წევრებს მოვუყევი, მაგრამ მაშინ არც ვფიქრობდი, რომ მომავალში მისი ცოლი გავხდებოდი. მეორედ ახრიკს რამდენიმე თვის შემდეგ, ბიჭვინთაში შევხვდი. ის, როგორც ყოველთვის, მეგობრებთან ერთად ჩამოვიდა. ჩვენი ცოტა ვისაუბრეთ და ცვეიბა ისევ გაემგზავრა. მორიგი შეხვედრების დროს კი, მან ცოლობა მთხოვა. პასუხი მაშინვე ვერ ვუთხარი, რადგან ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. ერთი თვე ვფიქრობდი, რის შემდეგაც ცვეიბას თანხმობა მივეცი. ქორწინლი 1992 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში დავნიშნეთ. ისევე, როგორც სხვა ახალგაზრდა გოგონები, ამ დღეს ლამაზი საქორწინო კაბის ჩაცმაზე ვოცნებობდი, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, რადგან ომი დაიწყო. ჩვენი ორივეს გვსურდა, რომ ბიჭი გვყოლოდა და სანდროს დაბადების შესახებ წინასწარ ვიცოდით. თუმცა ახრიკი შვილს სახელს დიდხანს — მთელი თვე ურჩევდა, ვიდრე მისმა ახლო მეგობარმა საკუთარი ვარიანტი არ შესთავაზა. ანა უკვე იაპონიაში ყოფნისას შეგვეძინა. თან ამას საინტერესო ამბავი უძღოდა წინ: იაპონიაში მიღებული არ არის, რომ დაბადებამდე მშობელს ბავშვის სქესი უთხრან, რათა აბორტები თავიდან აიცილონ. ექიმებს ბევრი ვეხვეწე, რომ სქესი გაემყვანებინათ ჩემთვის, მაგრამ ამაოდ. სხვათა შორის, იაპონიაში ცხოვრებისას, სანდრომ საბავშვო ბაღში იაპონური კარგად ისწავლა. ჩვენი თარჯიმანი იმასაც კი გვეუბნებოდა: მას ოსაკური აქცენტი აქვსო.“

# პოლიტიკურ ინტრიგებს შეწირული კათოლიკოს-პატრიარქი

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა. მასთან ერთად გაუქმდა საქართველოს კათოლიკოსის თანამდებობაც. ეს მოხდა 1811 წელს. 1917 წლის 25 მარტს საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ კვლავ მოიპოვა ავტოკეფალია. იმავე წელს აირჩიეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი — კირიონ II.

## შორენა მერაპილაძე



წმინდა მღვდელმონაწივე კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი) დაიბადა 1855 წელს, გორის მაზრის სოფელ ნიქოზში, სასულიერო პირის ოჯახში. ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ ჩვილობიდანვე ღვთის რწმენითა და უსაზღვრო სიყვარულით აღზრდილმა გიორგიმ უფლისკენ სავალი გზა აირჩია. ის ჯერ ანაზურის საერო სკოლაში სწავლობდა, მერე — გორის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგაც, თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო სწავლა. არც ამით დასრულებულა ნიქოზში და გულმოდგინებით გამორჩეული გიორგის განათლების მიღებისკენ სწრაფვა — ის კიევში გაემგზავრა და სასულიერო აკადემიაში ჩააბარა. 1880 წელს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი მიიღო და ოდესის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანამშენებელი დაინიშნა.

1883 წელს, გიორგი საძაგლიშვილი სამშობლოში დაბრუნდა და პედაგოგიურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი — სხვადასხვა პერიოდში ასწავლიდა გორის, თელავის, ქუთაისისა და თბილისის სასულიერო სემინარიებში. 1886 წელს, მას საქართველოს მონასტრების ბლაღოჩინად ნიშნავენ, ამავდროულად, კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ინსპექტორი-

ცაა. ამავე პერიოდში, გიორგი საძაგლიშვილი აქტიურად იკვლევს საქართველოს ეკლესიის ისტორიასა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, აქვეყნებს წერილებს ჟურნალ-გაზეთებში — ივერიელის, ლიხაველისა და საძაგლიშვილის ფსევდონიმებით.

1896 წელს გიორგი საძაგლიშვილს მძიმე განსაცდელი დაატყდა თავს — გარდაეცვალა მეუღლე და შვილები, მაგრამ უბედურებამ სასონარკვეთილებაში არ ჩააგდო და გადაწყვიტა, ღვთის გზას შესდგომოდა. იმავე წელს აღიკვეცა ბერად და სახელად კირიონი უწოდეს. მამა კირიონი ქვათახევის მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს. არც ამ პერიოდში შეუწყვეტია სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა. ხელი მიჰყო ხალხური სიტყვიერების ნიმუშების მოპოვებასა და ხალხური ზეპირსიტყვიერების შესწავლას. სწავლობდა სამონასტრო სიძველეებსაც, მან მართლაც, მრავალი იმპროვიზირებული მოხატული მონაწილეობითა საცავებსა და საოჯახო კოლექციებში.

1898 წელს კირიონ საძაგლიშვილი ალავერდის ეპისკოპოსად აკურთხეს. მან, პირველ რიგში, განადგურების პირას მისულ ალავერდის მონასტერს მიხედა — საკუთარი სახსრებით შეაკეთა დაზიანებული ტაძარი. შემდეგ, კახეთის ეკლესია-მონასტრებში დაცული სიძველეების შესწავლას მიჰყო ხელი. სწორედ ამ პერიოდში მიაკვლია ბაგრატ IV-ის მეფობის დროს გადაწერილ „სახარებას“, რომლის შესახებაც ქართულმა მეცნიერებამ მანამდე არაფერი იცოდნა.

ეს ის პერიოდიცაა, როდესაც ერის საუკეთესო შვილები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად აქტიურად იბრძვიან. მათ კირიონიც უერთდება. მის ირგვლივ ხშირად იყრიდნენ თავს საქართველოს ეკლესიის ბედით შენუხებული სასულიერო პირები თუ რჩეული ერისკაცნი. ეს მალევე შენიშნეს საქართველოს ეგზარქოსმა და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა. გადაწყვეტილებაც სწრაფად მიიღეს — მოძღვარი სამშობლოს მოაშორეს და ხერსონში გადაიყვანეს; ერთი წლის შემდეგ, 1904 წელს — ორიოთხი ეპარქიაში, ხოლო 1906 წელს — სოხუმის ეპარქია ჩააბარეს. სოხუმში მოღვაწეობისას წმინდა კირიონი აქტიურად შეუდგა ქართული ეკლესია-მონასტრების აღდგენასა და გაძლიერებას. ამჯერად, აფხაზების „ქართველების“ მცდელობაში დასდეს ბრალი და კონფოს ეპარქიაში გადაიყვანეს.

მართალია, კირიონი საქართველოს მოაშორეს, მაგრამ მის გულსა და ფიქრებს ხომ ვერაფერს მოუხერხებდნენ — გულს, რომელშიც ღვთისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული ენთო, ფიქრებით კი, დღენიდაც საქართველოს დასტრიალებდა. ამიტომ, სამშობლოდან მოშორებული კირიონი მაინც ახერხებდა საქართველოს ამბების შეტყობას. ისიც კარგად უწყობდა, რომ ქართველი ერის რჩეულ შვილებს წუთითაც კი არ შეუწყვეტიათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის ბრძოლა. როდესაც 1905 წელს ქართული საზოგადოების მონიწივე წინილა, წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) მეთაურობით მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს თხოვნით მიმართა, განეხილათ საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი და რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, პეტერბურგში, რუსეთის წმინდა სინოდში ამ საკითხისადმი მიძღვნილი ფორმალური, საგანგებო სხდომა გაემართა; სხვა მამულიშვილებთან ერთად, სხდომას ეპისკოპოსი კირიონიც ესწრებოდა. მან ორი მოხსენებაც წაიკითხა, რომლებშიც ასაბუთებდა, რომ ეკლესიური მონობა ყოველგვარ მონობაზე ძნელია. ამათ აღმოჩნდა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და სამღვდლო პირთა მცდელობა — რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებასთან აიგივებდა, ამიტომ მათი მოთხოვნა უარყვეს.

რუსეთის სინოდში თამამი გამოსვლის შემდეგ, ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა წმინდა კირიონის დევნა-შევიწროება. 1907 წელს, როდესაც ქართველი ხალხი ილია ჭავჭავაძეს ეთხოვებოდა, მას იმის უფლებაც კი არ მისცეს, რომ სამშობლოში ჩამოსულიყო და უკანასკნელი პატივი მიეგო წმინდა ილია მართლისათვის. კონფოდან მხოლოდ სამძიმრის დეპუტის გამოგზავნა მოახერხა.

1908 წელს მას საწინელი ცილი დასწამეს — თბილისში ეგზარქოსი ნიკონი მოკლეს და მისი მკვლელობა დევნილ მღვდელმთავარს დააბრალეს; ხმები დაუყარეს — ფარულად იყო ჩამოსული საქართველოში. სიმართლის გარკვევა არავის უცდია (მოგვიანებით დადგინდა, რომ მან ამ დღეს ლიტურგია აღასრულა რუსეთში), ისე დააპატიმრეს და ჟანდარმების თანხლებით კურიაჟის მონასტერში (ხარკოვის გუბერნიაში) გაგზავნეს, შემდეგ — სინაქსარის უდაბნოში (ტამბოვის გუბერნიაში) გადაიყვანეს. იანვრის ცივ, სუსხიან ამინდებში, ნესტიან ოთახში გამოკეტეს და თვალყურის სადევნებლად, გადაცემული პოლიციელები მიუჩინეს: „ჩემი აქ ყოფნა ხომ მეტად მძიმეა, მაგრამ მით უფრო დამძიმ-

დება, როდესაც გულსაკლავი და არასანუგემო ამბები მომივა სამშობლოდან... მომავალი ჩვენს ხელშია, კეთილსინდისიერი შრომაა მისი დამავიგრავი ნიშნები... წინ ფიანდაზის მაგივრად, მართალია, ეკლიანი გზა გვიდევს, მაგრამ ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია, სიყვარულით უნდა ავიტანოთ ტანჯვა, ვინაიდან ტანჯვა სიყვარულის ნაყოფია, ძალა ტანჯვაშია“, — სწერდა გადასახლება და პატიმრობაში მყოფი კირიონი თავის მეგობრებს. ეს სიტყვები ხომ იმის დასტურია, რომ ვერც პატიმრობისას, გაუსაძლის პირობებში ყოფნამ გატეხა კირიონის სული და ვერ დაუპარგა რწმენა მომავლისა.

სინაქსარის უდაბნოდან ხერსონესის მონასტერში გადაიყვანეს, სადაც 1915 წლამდე დაყო; შემდეგ, ეპარქიის მმართველობის უფლება დაუბრუნეს: მღვდელმთავრისადმი წაყენებულმა ყალბმა ბრალდებამ თავიდანვე აღაშფოთა საქართველოსა და რუსეთის დემოკრატიულად მოაზროვნე წრეები. შეიქმნა კირიონის დაცვის საზოგადოება და დაიწყეს ხელმწიფრების შეგროვება მისი გათავისუფლების მოთხოვნით. ყოველივე ამას გამოხმაურება ევროპაშიც მოჰყვა, ამიტომ რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა, გაეთავისუფლებინა კირიონი და მისთვის ეპარქიის მართვის უფლება დაერთო. მაგრამ საქართველოში დაბრუნების ნება მაინც არ მისცეს, ამიტომაც ვიტებსკის ეპისკოპოსად დანიშნეს.

მონინავე ქართული საზოგადოება არ ნებდებოდა ხელისუფლებას, დაჟინებით მოითხოვდა, დევნილი ეპისკოპოსისთვის სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ. მაინც კიდევ მიზანს — 1917 წლის ზაფხულში, კირიონი საქართველოსკენ გამოემართა. მაშინ ის 62 წლის იყო. მღვდელმთავარს არაგვის ხეობაში 120 ცხენოსანი შეეგება, გიგო ყარანგოზიშვილის მეთაურობით, და დიდი პატივით მიაცილეს თბილისამდე; იქ კი საზეიმო შესვენდა მოუწყვეს. ყველაზე მეტად გული იმაზე სწყნებოდა, რომ თავისი ცხოვრების უმთავრესი მიზნის განხორციელებას — საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, რომელიც 1917 წლის 25 მარტს მოხდა, სამშობლოში ვერ შესვდა.

1917 წლის სექტემბერში თბილისში ჩატარდა საეკლესიო კრება, რომელზეც ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ პირველი კათოლიკოს-პატრიარქი აირჩიეს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევა 1-ელ ოქტომბერს, სვეტიცხოვლის ტაძარში მოხდა: „სამშობლოვ საყვარელო, ღვთისმშობლის ნილხვედრო, ბრძმედსა შინა ტანჯვა-ვაებასა განწმენდილო! შენთვის დამწვარი, შენგან განშორებული, შენთვის მტირალი, მუდამ შენკენ ღვთოვანი, დღეს განვისვენებ ტკბილსა შინა ნიაღსა შენსა არა ვითარცა შვილი უძლები, არამედ ვითარცა მესაიდუმლე და სინდისი ეკლესიისა შენისა... ვიცი, შენი

**მოკლეს წმინდა მწყემსმთავარი, მაგრამ ესეც არ აკმარეს ცილი დასწამეს — თავი მოიკლაო**



გულისყური ამჟამად ჩემკენაა მოქცეული დამეკითხები: რა მომიტანე, რა მალამოს სცხებ იარებს ჩემსა, რით მანუგეშებ სევდამოსილსა? ყური მომიპყარ: „არა მოველ, რათა გიმსახურო, არამედ მსახურებად შენდა და მიცემად სული სახსრად შენდა“, — წარმოთქვა წმინდა კირიონმა აღსაყდრების დღეს.

აკურთხეს თუ არა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად, კირიონ — მწერილით დაუგზავნა მსოფლიო მართმადიდებლურ ეკლესიათა მეთაურებს, რომელთაც მოკლედ მოუთხრობდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას და მოითხოვდა ავტოკეფალიის ცნობას.

შემდეგ, გაძარცვული და გაპარტახებული საეკლესიო ქონების შეგროვებაზე ზრუნვა დაიწყო. სხვა უამრავი საეკლესიო პრობლემაც იყო მოსაგვარებელი: ეპარქიების აღდგენა-მონესრიგება, სასულიერო პირთა ელემენტარული საარსებო პირობების შექმნა, ქართული სასულიერო ლიტურგურის გამოცემის აუცილებლობა და მრავალი სხვა. უნეტარესი პატრიარქი მისთვის ჩვეული თავდავიწყებითა და სიყვარულით შეუდგა საქმეს, მაგრამ სამწუხაროდ, არ დასცალდა: როდესაც უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II ეკლესიის გაძლიერება-აღორძინებაზე ზრუნავდა, მის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა. მისი მონინაღმდევნი ხომ აღსაყდრების დღიდანვე ცდილობდნენ კირიონის განადგურებას — სვეტიცხოვლის ტაძარში კურთხევის დასრულების შემდეგ, როდესაც კათოლიკოს-პატრიარქი საყდრის კარისაკენ გაემართა, მას გადასცეს წერილი, რომელშიც აცხობინებდნენ, რომ ტაძრიდან გასვლისთანავე, ხალხში მიმალული მკვლელი რევოლუციონერიდან ესროდა. პატრიარქი არ შეჩერებულა, ნელი ნაბიჯით გაემართა გასასვლელისკენ. ამ დროს, მას ყარამან

კიკნაველიძე ათიოდე შეიარაღებული პირის თანხლებით მიუახლოვდა. ქედი მოიხარა მის წინაშე, ხელი გაუწოდა და მიმართა: „ხელი მომეცი თქვენო უწმინდესობავ, აბა ვინმემ გაბედოს სროლა!“ ასე გაიყვანეს სამშვიდობოს თვალანთებულმა ჩოხოსნებმა წმინდა მწყემსმთავარი.

მაშინ კი გადარჩა, მაგრამ ნახევარწელიწადში მისმა მტრებმა მაინც მიიღწეს საწადელს — 1918 წლის 27 ივნისს საშინელმა ცნობამ შეძრა მთელი საქართველო. გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, რომ მარტყოფის მონასტრის საპატრიარქო რეზიდენციაში, საკუთარ საწოლ ოთახში გარდაცვლილი იპოვეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II. არც ერთი გაზეთი არ იტყობინებოდა, რომ პატრიარქი რევოლუციონერის ტყვეობაში იყო მოკლული. მაინც ელვის უსწრაფესად მოედო მთელ საქართველოს ეს ამბავი. მოკლეს წმინდა მწყემსმთავარი, მაგრამ ესეც არ აკმარეს, ცილი დასწამეს — თავი მოიკლაო, არადა, დამბლადაცემულს, პირთან ხელის მიტანაც კი უჭირდა:

„ხმა დაუყარეს, თავი მოიკლაო! 68 წლის მოხუცმა, რომელსაც დამბლის გამო, პირზე ჭიქა ვერ მიჰქონდა დასალევად, ასეთი ხელით მწოლიარემ რევოლუციონერი დაირტყა და თავი მოიკლაო! რევოლუციონერი იქვე ეგდო ცხედართან: რევოლუციონერი დაკვიცილი იყო. როგორ, თავი მოიკლა და რევოლუციონერი დაკუტა?! გვერდზე დააგდო?! ასეთი დასკვნა გამოუტანა გამოძიებამ, როდესაც ანჩისხატის ტაძარში ესვენა მარტყოფის მონასტერში უცნაურად ტყვიით განგმირული კათალიკოსი კირიონი. დიდძალი ხალხის თანდასწრებით გადავიხადე პანაშვიდი, ჯერ წარმოვთქვი მეტად აღგზნებული სიტყვა იმის თაობაზე, რომ მონში ვიყავი იმ არაადამიანური მეფისტოფელური დევნა-შევიწროებისა, რომელიც წილად ხვდა საქართველოს ავტოკეფალურ უფლებებში აღდგენილ მის პირველ კათალიკოსს“, — წერდა წმინდა კირიონის მკვლელობასთან დაკავშირებით დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე.

მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონ —ის მკვლელობასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია გაჩნდა, დანამდვილებით არავინ იცის, ვინ იყვნენ მისი მკვლელობის თაოსნები, ვის ხელიდან გასროლილმა ტყვიამ შეინირა მისი სიცოცხლე. მარტყოფის შემზარავი და სამარცხვინო ტრაგედიის საიდუმლო წმინდა კირიონმა თან წაიღო ზეციურ საუფლოში. ერთი კი ცხადია, ეროვნული მიმართულებისა და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული პატრიარქი იმ ბობოქარი დროის პოლიტიკურ ინტრიგებს შეენირა.

საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე, მონამებრივად აღსრულებული კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II წმინდანთა დასში შერაცხეს. მისი ხსენების დღედ 10 ივნისი (ძველი სტილით — 27 ივნისი) დაადგინეს.



— გაზეთებში, ქსელშიც (ინტერნეტში) მხოლოდ საჭადრაკო რუბრიკას ვეცნობი.

— გაზეთები ყოველკვირა იუნ-ყებთან, რომ შვეიცარიაში კიდეც ერთი ცნობილი ადამიანი დასახლდა. ამ საგადასახადო სამოთხემ თქვენც მოგზიბლათ?

— სამწუხაროდ, ჩემს შემთხვევაში ამას ვერ ვიტყვი. ჩემი და — კიბი ადგილობრივ კლინიკაში მკურნალობს. აქ მის გამო ვარ. მორჩა და გათავდა!

— როგორც ამბობენ, ლოზანის შემოგარენში სახლი უკვე შეგიძენათ...

— სისულელეა. უძრავი ქონების სააგენტოს თხოვნით მივმართე, რომ ამ რეგიონში ჩემთვის იჯარით ბინა აეღო. ისიც კი არ ვიცი, ეს ბინა რამდენი ხნით დამჭირდება.

— შვეიცარიაში თქვენი საკუთარი „სახლი ტბის პირას“ გაქვთ?

— თუ ძალიან გსურთ, ასე იყოს.

— ფილმი — „სახლი ტბის პირას“ მისტიკური მელოდრამაა. ამ სურათის ერთ-ერთ გმირს სელჩანთაში დოსტოევსკის რომანი — „დანაშაული და სასჯელი“ უდევს. აგვისენით, რას უნდა ნიშნავდეს ეს?

— (იციანს) Lake House-ში დოსტოევსკის შესახებ? Love story-ისთვის — ეს მეტისმეტად სერიოზული თემაა. ვფიქრობ, უბრალოდ დამთხვევაა და სხვა არაფერი. შესაძლოა, დოსტოევსკისული რეალობისა და ფანტასტიკის ურთიერთშეხებაც ვივარაუდოთ... ან კლასიკური რომანტიკული მიმონერა, ყოველგვარი e-mail-ისა და sms-ის გარეშე... თავად მეც ჩვეულებრივ მიმონერას ვამჯობინებ. კომპიუტერისგან თავისუფალი ადამიანი ვარ, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ უბრალოდ, ფილმის რეჟისორი დოსტოევსკის რომანების პირველი გამოცემების თავგადაკლული კოლექციონერია.

— კომპიუტერი მართლა არ გაქვთ?

— ნამდვილად არ მაქვს. კომპიუტერში

ბლოკბასტერის — „მატრიცა“ სუპერგმირი შვეიცარიის მონტრეში ორი თვით დასახლდა და „ნაბოკოვისეულ“ სასტუმრო Le Montreux-ში დაბინავდა. მსახიობი ისვენებს, ყოველდღიურად Herald Tribune-ის საჭადრაკო რუბრიკას ეცნობა და ეტყუდების ამოხსნით ერთობა.

# კიანუ რივზი: ქუნუ უჩალოე საქვა, როპელსაქ უჩანოა პასრულა

ზოგჯერ ჭადრაკს ვთამაშობ. სულ ეს არის...

— ამ სასტუმროში, სადაც თქვენ დაბინავდით, მწერალი ნაბოკოვი 16 წლის განმავლობაში ცხოვრობდა...

— 16 წელი სასტუმროში იცხოვრებ? მაგარი! აქ სადმე ხომ არ შეგხვედრიათ? ნაბოკოვის ნაწარმოებებს ვიცნობ. მაგალითად, რომანი მოჭადრაკის შესახებ... დიახ-დიახ, „ლუჟინის დაცვა“. რუსული ლიტერატურიდან ბოლო დროს — აგევი ნავიკითხე. ძალიან მომეწონა (როგორც ჩანს, მსახიობმა „კოკაინის რომანის“ ავტორი იგულისხმა).

— ფილმში — „ემშაკის ადვოკატი“ თქვენი პარტნიორი ალ პაჩინო მრავალ ენას ფლობს. მათ შორის, რუსულ ფრაზებსაც წარმოთქვამს. იცოდა, რას ამბობდა?

— არ ვიცი, მაგრამ ამას მნიშვნელობა არც აქვს. თქვენ ხომ დაიჯერეთ, რომ რუსულ ან ჩინურ ენაზე საუბრობდა? ვფიქრობ, მსახიობის ამოცანა სწორედ ეს არის. მან ისეთი ხასიათი უნდა შექმნას, რომ მყურებელი დააჯეროს. პრინციპში, რომელიმე როლის უტხო ენაზე თამაში კარგი იქნებოდა, ძალზე საინტერესო უნდა იყოს.

— ამ ფილმის სასიყვარულო სცენაში თქვენს მუცელზე ნაიარევი ყველამ იხილა...

— ეს რეალური ნაიარეგია. მოტოციკლეტით მგზავრობის დროს სერიოზულ ავარიაში მოვეყვი, კლდეს შევასკდი.

— როგორც ამბობენ, სისწრაფის მოყვარული მძლოელი ყოფილხართ...

— სისწრაფე ვის არ უყვარს?

— შვეიცარიის საგზაო პოლიციასთან პრობლემები ხომ არ შეგქმნათ?

— ჯერჯერობით პრობლემა არ შემქმნია. მაგრამ ვფიქრობ, რომ აქაურ ავტოტრასებზე დამონტაჟებულმა ვიდეოკამერებმა ავტომობილის მართვის ზოგიერთი ჩემუელი თავისებურება უკვე დააფიქსრეს. საერთოდ კი, აქაურობა ძალიან მომწონს. ულამაზესი ბუნებაა — ტბა, მთები, სასიამოვნო ადამიანები და შესანიშნავი სამზარეულო. მომავალში ამ ქვეყანაში მოტოციკლეტით ვიმოგზაურებ.

— ზოგიერთები ფიქრობენ, რომ კომპიუტერული სპეციფიკებით გადატვირთული ფილმების გამო, კინოში ადამიანური გონების ადგილი აღარ რჩება.

— ეს ფილმები აბა, რის შესახებ მოგვითხრობს? „მატრიცა“ — ადამიანური სიყვარულისა და ეჭვების შესახებ გადაღებული სურათია, რომელიც იმ პრობლემის შესახებ მოგვითხრობს, რაც ყველა ადამიანს ერთნაირად აღელვებს — ეს არჩევანის პრობლემაა. უბრალოდ, ეს ამბავი ძალზე შთამბეჭდავი ფორმით არის გადმოცემული. ჰაი-ტეკი მხოლოდ იმ მიზანს ემსახურება, რომ ეს „ადამიანურობა“ მაყურებელამდე ახლებურად მიიტანოს.

— ამბობენ, თითქოს პირველი „მატრიცის“ წარმატების შემდეგ, ფილმის ავტორებს — ძმებ ვაჩოვსკებს ბლოკბასტერის გაგრძელების გადასაღებად 38 მლნ დოლარი აჩუქეთ...

— მთლად ასეც არ არის. ვერაფრით ვხვდები, ჟურნალისტებს ეს ციფრები საიდან მოაქვთ? როდესაც „მატრიცის“ გაგრძელების გადაღების იდეა გაჩნდა, ძმებმა ვაჩოვსკებმა ერთგვარი „პული“ შემოგვთავაზეს. ფილმის ნებისმიერ მონაწილეს წილში შესვლა შეეძლო. საქმეში ჩემი წილით შევედი. ასე რომ, ეს საჩუქარი კი არა, ნამდვილი



„მატრიცა“

ინვესტიცია იყო. მაგრამ ძუნწი არ ვარ და გადაბლები ჯგუფის წევრებს მაგარი მოტოციკლები მართლაც ვაჩუქე. ისინი ხომ მეხმარებოდნენ!

— კუნფუს სელონებას შესაწინააღმდეგებ ფლობს, რომ დაგჭირდეთ, თქვენს ცოდნას პრაქტიკაში გამოიყენებთ?

— რა თქმა უნდა, არ გამოვიყენებ! მე ევრანული კუნფუს ოსტატი ვარ. ეს უბრალოდ ცეკვაა, რომელსაც ევრანზე ვასრულებ...

— ამერიკული გაზეთები იუწყებიან, რომ თქვენ პოლიფუნდის ყველაზე ძვირად ღირებული ვარსკვლავი ბრძანდებით. თქვენი ამჟამინდელი სტატუსი რეჟისორზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლებს?

— თან მათავისუფლებს თან — არა. როლისთვის მსახიობს, რა თქმა უნდა, რეჟისორი არჩევს, მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ რეჟისორს ვუკავშირდები და ჩემს იდეას ვთავაზობ. ზოგჯერ კი, ჩემს მენეჯერს ვთხოვ, ჩემი შესაფერისი როლი მომიძებნოს. ასე მოხდა ფილმის — „ტუბილი ნოემბერი“ გადაღების დროს, როდესაც რეჟისორს თავად ვთხოვე, მთავარი როლი ჩემთვის მოეცა, რადგან მაშინ თბილი, ადამიანური ურთიერთობებით გაუღწეოთილი როლის თამაში მსურდა.

— არსებობს თეორია იმის შესახებ, რომ პოლიფუნდის ვარსკვლავთა უმეტესობას უბედური ბავშვობა აქონდა, მათი ნიჭი და წარმატება კი რეალობიდან ფანტაზიის სამყაროში



„სახლი გბის პირას“ (სანდრა ბალოკთან ერთად)

გაქცევის მცდელობის შედეგია. თქვენს შემთხვევაშიც ასე იყო?

— ზრდასრული პიროვნების აბსტრაქტული თვალთახედვის არეალიდან ეს გენიალური თეორიაა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ბავშვობაში მსახიობობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა. ეს საქმე ისევე მახალისებდა, როგორც ჰოკეის თამაში. ახლაც ვფიქრობ, რომ სცენაზე და კინოში თამაში ყველაზე საინტერესო და სახალისო პროფესიაა.

— ახლა რა პასუხს გასცემდით იმ შეკითხვაზე, რომელიც დრაკულამ

თქვენს გმირს დაუსვა: — ბედისწერის გნამთ?

— არა, არ მნამს!

— გაქვთ თუ არა იმის საშუალება, რომ ცხოვრებას ნორმალური ადამიანის თვალთ შეხედოთ?

— ეს საკითხი მსახიობისთვის ძალზე მნიშვნელოვანია! მსახიობი ზეციდან მიწაზე უნდა დაეშვას და ცხოვრებას ნორმალური ადამიანის თვალთ შეხედოს. მე ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობ, რამდენადაც ეს შესაძლებელია. მაღალი ჰონორარი — კარგია, მაგრამ ჰონორარი გარკვეულწილად ცხოვრებისეულ პოტენციალს ზრდის. ფულით, თავისუფალი დროც კი შეგიძლია შეიძინო, სხვების დახმარებაც შეგიძლია...

— სასტუმროს კონსიერჟმა მითხრა, რომ ოტელიდან მხოლოდ დღის მოსანახულებლად გადისართ. დანარჩენ დროს კი სრულ მარტოობაში ატარებთ...

— მე ბევრს ვმუშაობ. აქ ოთხი სცენარი ჩამოვიტანე და უამრავი მოსამზადებელი სამუშაო მაქვს — სცენარის ჩასწორება, გადაკეთება და სხვა.

— სცენარები რის შესახებ არის?

— ერთ მათგანში კოსმოსური სიუჟეტია ასახული, მეორეში — ლოს-ანჯელესელ პოლიციელს მორალური პრობლემები აქვს გადასაჭრელი, და ბოლოს, ფილმის — Watchman სცენარზე ვმუშაობ, რომელიც ევრანებზე 2008 წელს გამოვა. რა გამოივა — ჯერ არ ვიცი. და საერთოდ — რა მელის მომავალში? მომავლის შესახებ ვერაფერს გეტყვით...

# „saqorwi no ali aqoTi“ anu Tina kandelaki meored qorwi nebaze ocnebobs

დაქორწინების მსურველი ნებისმიერი წველი იმაზე ოცნებობს, რომ მათი ქორწილი განუმეორებელი იყოს. თინა კანდელაკი და მისი ახალი პროგრამა — „საქორწინო ალიაქოთი“ ახალგაზრდების ზეიმს დაუფინსავრ, მართლაც რომ განუმეორებელ დღესასწაულად გადააქცევს.

მოსკოვში ერთი ჩვეულებრივი კვირადღე გათენდა. ჩვეულებრივი მოსკოვური სახლის ბინადრებმა ჩვეულებრივად გაიღვიძეს, საუზმეს მიუსხდნენ და ამ დროს მათი ფანჯრების ქვეშ არაჩვეულებრივი ამბები დაიწყო. სახლთან რამდენიმე ავტომანქანა გაჩერდა, საიდანაც ტელეკამერებითა და შტატივებით შეიარაღებული ადამიანები გადმოვიდნენ. რამდენიმე წუთში ცნობილი ტელენამყვანი თინა კანდელაკიც გამოჩნდა. ბოლოს კი შენობას ავტომობილი მიადგა, რომელზეც უზარმაზარი ამწე იყო დამონტაჟებული. საბარგო მანქანას საქორწინო ბეჭდებით დამშვენებული ლიმუზინი მიადგა. შემდგომი მოვლენები ერთ კარგ მელიოდრამას ნაგავდა, მაგრამ ყველაფერი რეალურად, სრულიად სერიოზულად ხდებოდა! მართალია, ამ ყველაფერს რეჟისორი ხელმძღვანელობდა, მაგრამ მთავარი როლის შემსრულებლები — სიძე-პატარძალი იური მალინი და არინა ბრიუსოვა კამერის

წინ არ თამაშობდნენ. მათ ჭეშმარიტი გრძობა ამოძრავებდა. ვიდრე პატარძალი თინა კანდელაკის დახმარებით საქორწინო კაბას ირგებდა, ქუჩაში დარჩენილი სასიძო საპასუხისმგებლო მომენტისთვის ემზადებოდა. მისი ამოცანა — პატარძლის ბინაში არატრადიციული გზით შეღწევა. საქმე ის არის, რომ იური საგანგებო სიტუაციათა სამინისტროში მუშაობს, ამიტომ ნებისმიერი გმირობის ჩადენა ხელეწიფება. მრავალრიცხოვანი მეზობლისა და ცნობისმოყვარე გამეფელის თვალწინ, ვარდების თაიგულით ხელდამშვენებული, შავ სმოკინგში გამოწყობილი სასიძო სატრფოს ფანჯარასთან ამნეთი ადის და აკაკუნებს... ასე დაიწყო „ქორწილი „ნების“ სტილში“. როდესაც გასული წლის დეკემბერში



წველიმა დაქორწინება გადაწყვიტა, საპატარძლო ქორწილის საორგანიზაციო მხარეზე დაფიქრდა. არინამ ინტერნეტის ქსელში შესაბამის საიტებს გადახედა და ერთ-ერთ საიტზე ახალი პროგრამის — „საქორწინო ალიაქოთის“ შესახებ ამოი-

კითხა. იანვარ-თებერვალში დაგეგმილ გადაღებებზე მონაწილეობის მსურველებს საიტი განაცხადის შეტანას და საკუთარი კოორდინატების დატოვებას სთავაზობდა. არინამ წერილი გაგზავნა, მაგრამ ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. „ეს იურისტის არც კი მოთქვამს, სამსახურში მეგობრებს წავეჭორავე, გავიცინეთ და ყველაფერი ამით დასრულდა“. ერთი კვირის შემდეგ, არინამ გადაცემის რედაქტორებისგან კასტინგზე მიწვევა მიიღო. გოგონას სხვა გზა აღარ ჰქონდა, საქმროს გამოუტყდა და საბედნიეროდ, ეს წინადადება იურიმაც ერთუზიანობით აიტაცა, რადგან წარმატების შემთხვევაში, მათ ნამდვილი ტელეგადაღებები ელოდათ. ეს კი მართლაც მთელი ცხოვრების მანძილზე დასამახსოვრებელი მოვლენაა.

ახალგაზრდები კასტინგზე გამოცხადდნენ. ორი კვირის შემდეგ კი გაიგეს, რომ მათი კანდიდატურები დამტკიცებულია. ყველაზე საინტერესო ამბები სწორედ ამის შემდეგ დაიწყო... არინამ კასტინგზე მეგობრის მიერ გადაღებული ფოტოსურათები მიიტანა. ერთ-ერთ მათგანზე საპატარძლო 3D-იანი წლების ფილმების გმირს წაგავდა და ამან განაპირობა გადაღებების სცენარიც. პროდიუსერებმა ახალგაზრდებს 3D-იანი წლების გმირებთან მიმსგავსება და „ნების“ (НЭП — „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“) სტილის ქორწილის გადახდა შესთავაზეს. ამ იდეას სიძე-პატარძალი აღფრთოვანებით შეხვდა.

თითოეული პროგრამა, ანუ საკუთრივ ქორწილი ინდივიდუალური სცენარის მიხედვით იქმნება. პროდიუსერები მხოლოდ მექორწილეებთან დაახლოების შემდგომ გადაწყვეტენ, თუ როგორი იქნება ქორწილი. როდესაც გადაცემის ავტორებმა შეიტყვეს, რომ სატრფოს გაცნობის ერთი წლის აღსანიშნავად, საქმრომ აბაზანა ვარდის ფურცლებით აავსო, მათ „ვარდის ქორწილის“ გადახდა ჩაიფიქრეს. „როკ-ენ-როლისებურ ქორწილში“ პატარძალს დეკორატიული ჯაჭვებითა და ტყავის თასებით დამშვენებული მოკლე ქურქი ემოსა, მმაჩის ბიუროში კი, ცნობილი რადიოდიჯეი რაისა ივანოვნა შეეგება. „იტალიურ ქორწილში“ (პატარძალს ბევრი და ჰყავდა) პროდიუსერებმა ნეფე-დედოფლის ნათესავები მთელ ქვეყანაში დაძებნეს და ქორწილში მიიწვიეს, სფურას კი სპეციალური კანფეტები — შოკოლადიანი ნუში ამშვენებდა (მრავალრიცხოვანი ნათესავი და შოკოლადიანი ნუშის კანფეტი — იტალიური ქორწილის ტრადიციული ატრიბუტებია).

ქორწინების რეგისტრაცია გადაცემის ჩანერამდე რამდენიმე დღით ადრე, ოფიციალურ დაწესებულებაში ხდება. ის შენობა კი, სადაც მექორწილეები „საქორწინო ალიაქოთის“ გადასაღებად მიდიან, ნამდვილი მმაჩის ბიურო არ არის. პიატინცკის ქუჩაზე მდებარე სასახლეში, ახალგაზრდების რეგისტრატორის როლის შემსრულებელი, მსახიობი ლუდმილა ვასილიევა ხვდება. პროგრამის ფორმატი ლიცენზირებულია. დიდ ბრიტანეთში ბი-ბი-სის არხზე

უკვე დიდი ხანია, წარმატებით გადის პროექტი Your Wedding in Our Hands („თქვენი ქორწილი — თქვენს ხელში“). ამ პროექტმა იმით მომხიბლა, რომ მისი მეშვეობით შეგვიძლია, რეალურად დავეხმაროთ ადამიანებს, რომლებიც სერიოზულ ცხოვრებას იწყებენ. ახალგაზრდა ოჯახებისთვის ევროპის მრავალ ქვეყანაში სპეციალური პროგრამები არსებობს, რუსეთში კი ჯერჯერობით მსგავსი არაფერია. ამ სიტყვების არ მეშინია, რადგან უკვე 10 წელია, გათხოვილი ვარ და კარგად ვიცი, ახალგაზრდების დასახმარებლად არც ადრე კეთდებოდა რაიმე და არც ახლა აკეთებენ, ჩვენი პროგრამა კი მათ რეალურად ეხმარება — ეს ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ტელეკრანზე საკუთარი თავით ტკბობის ეტაპი, კარგა ხანია, გადავლახე, ახლა კი მინდა, ადამიანებს რეალურად დავეხმარო“, — ამბობს გადაცემის წამყვანი თინა კანდელაკი.

ქორწილის ორგანიზებასთან დაკავშირებული სირთულეების მოგვარებას „საქორწინო ალიაქოთი“ თავად კისრულობს. სიძე-პატარძალი საკუთარი სტუმრების რესტორანში გამასპინძლების ხარჯებს მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს. „ამ პროგრამის დახმარებით, ქორწილის გადახდა ბევრად ადვილია, მაგრამ სანერვიულოც მოგვემატა. მე ყველა წვრილმანის გაკონტროლება მიყვარს და როდესაც ვხვდები, რომ ეს ჩემს ძალებს აღემატება, ვნერვიულობ. სამწუხაროდ, ან იქნებ საბედნიეროდ, ამჯერად მოვლენების გაკონტროლება ვერ შევძელი“, — ამბობს არინა ბრიუსოვა, რომელმაც უკანასკნელ წუთებამდე ისიც კი არ იცოდა, თუ როგორი იქნებოდა მისი საქორწილო კაბა. შემოთავაზებული ორი

ვარიანტიდან პატარძალმა ერთ-ერთი შეარჩია, მაგრამ შევერვისას კაბა იმდენად შეიცვალა, რომ ის კაბა, რომელიც თინა კანდელაკმა არინას ქორწილის დღეს მიუტანა, მისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. იმ დღეს სიძემაც ცხოვრებაში პირველად ჩაცვა სმოკინგი. ასე რომ, როდესაც არინამ სმოკინგში გამოწყობილი საქმრო ფანჯარაში დაინახა, გაოცებისგან ვეღარც კი იცნო.

„თინა, ამ პროგრამაში მონაწილეობა თავად რომ შეგეძლოთ, დათანხმდებოდით?“

„რა თქმა უნდა, ათი წლის წინ ამგვარი შესაძლებლობა რომ მქონოდა, აუცილებლად დავთანხმდებოდი! ჩემს ქორწილში შავი კაბა მეცვა და მხოლოდ ერთი ბეჭედი გვექონდა. მე და ანდრიუშას (თინა კანდელაკის მეუღლე — ანდრეი კონდრახინი) ფული არ გვექონდა — ანდრეი საწყალი სტუდენტი იყო, მე კი — ლარიბი ტელეწამყვანი. ამ გადაცემაში კი ადამიანთა წინაშე უდიდესი შესაძლებლობები იშლება. ახალგაზრდები საკუთარ ქორწილში ბევრს არაფერს აკეთებენ. ამ დღეს ხომ ძირითადად მშობლები და ნათესავები ირჯებიან და ცდილობენ, რომ ახალგაზრდებს მათი ცხოვრების უმშვენიერესი დღე აჩუქონ“, — განაცხადა თინა კანდელაკმა და ინტერვიუს დასასრულს გამოგვიტყდა, რომ თუ „საქორწინო ალიაქოთის“ პროდიუსერები მისი ქორწილის ხელმეორედ გადახდასაც დათანხმდებიან, თინა წყალქვეშა ქორწილის ისურვებდა. ასე რომ, ვინ იცის, რა საოცრებას იხილავს გადაცემის მყურებელი ან რა ელის თინა კანდელაკის კოლეგებს მომავალში?!

## კამერან დიასი და დრიუ ბერიმორმა დატოვეს იქნა და დრიუ ბერიმორმა დატოვეს იქნა და დრიუ ბერიმორმა დატოვეს იქნა



მრავალჯერ ულაპარაკია იმის შესახებ, სიგარეტს და ალკოჰოლს გემო 9 წლის ასაკში გაუსინჯა, ათი წლისამ მარიხუანა მოსწონია, 12 წლისა კი უკვე კოკაინის მომხმარებელი იყო.

### ჯენიფერ ენისტონის ახალი მითტენი

ჯენიფერ ენისტონს ახალი ბოიფრენდი ჰყავს. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მისი ახალი რჩეული არც ცნობილი მსახიობია და არც ესტრადის ვარსკვლავი. ის უბრალო ოპერატორია, რომელიც კორტნი კოქსის ტელეშოუში — Dirt მუშაობს. ჯენიფერ ენისტონმა და მაიკმა ერთმანეთი რამდენიმე კვირის წინ გაიცნეს. „ჯენი ამ შოუზე მივიდა და მაიკს მაშინვე დაუმეგობრდა. უკვე მეორე დღეს, მაიკმა ვახშამზე მიიწვია და მას შემდეგ, ერთმანეთს კიდევ რამდენჯერმე შეხვდნენ. როგორც ჩანს, ყმანვილმა ჯენიფერი მართლაც მოხიბლა“, — განუცხადა Daily Express-ს ამ საკითხში ჩახედულმა კომპეტენტურმა ინფორმატორმა.



### სინდი კრუფორდი საკუთარი მბრუნის შესახებ

ტოპმოდელმა სინდი კროუფორდმა აღიარა, რომ წარმატებას და მისი ბრუნის — საქვეყნოდ ცნობილი ხალის შენარჩუნებას, მოდების ცნობილი ჟურნალის — Vogue — რედაქციას უნდა უმადლოდეს. სინტია ენ კროუფორდი ილინოისის შტატის პატარა ქალაქ დე-კალბში დაიბადა. ოჯახის შუათანა შვილი ყველაზე ჭკვიანი, ენერგიული და სერიოზული ბავშვი იყო. სინტიამ საშუალო სკოლა უმაღლესი შეფასებით დაამთავრა და სწავლა ჩრდილო-დასავლეთის უნივერ-

### Playboy-ს მისი მისი ჰატამხანის ძვრთმის ლამაზმანგე ძებნისღმა

ჟურნალის — Playboy დამაარსებელი და იდეოლოგი, 80 წლის ჰიუ ჰეფერი დღესაც სიცოცხლით ტკბება. მსცოვანი ასაკი ხელს სულაც არ უშლის, რომ სამომავლო გეგმებსა და პირად ბედნიერებაზე იფიქროს. პოლიუდში დაბეჯითებით ჭორაობენ იმის შესახებ, რომ ჰიუ ჰეფერი სულ მალე მესამედ დაქორწინდება. მისი რჩეული Playboy-ს 27 წლის მოდელი — ჰოლი მედისონია. გოგონა უკვე რამდენიმე წელია, რაც კიდევ ორ „პლეიმიტიან“ ერთად, ჰეფერის ცნობილ სახლში ცხოვრობს. უკანასკნელ ხანებში კი, სახლის ყოვლისშემძლე პატრონის მოსიყვარულე გული საბოლოოდ დაიპყრო და მოინადირა. მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ განქორწინებული ჰიუ ჰეფერი მესამედ დაქორწინებას კატეგორიულად არ აპირებდა, ბოლოს და ბოლოს, საყვარლის ნებას დაჰყვა და დაქორწინება გადაწყვიტა.



„ჰეფმა პოლის ცოლად შერთვა გადაწყვიტა. ეს მას შოუსთვის — „მეზობელი გოგონები“ სჭირდება. ჰეფი მუდამ ბიზნესზე ფიქრობს, მაგრამ პოლიც ნამდვილად უყვარს“, — ამბობს ჰეფერთან დაახლოებული ანონიმი ინფორმატორი. ბედნიერი სასიძო არ მალავს, რომ ოჯახის გამრავლების იმედი აქვს: „არ ვიცი, რამდენად შესაძლებელი იქნება ჩემს ასაკში, მაგრამ მე და პოლიმ ბავშვის გაჩენის ერთ-სულ ოვანი გადაწყვეტილება მივიღეთ“. გავრცელებული ცნობის თანხმად, ქორწინილი 2007 წლის დამლევს შედგება. საქორწინო ცერემონიის კადრები ტელეშოუში — The Girls Next Door იქნება წარმოდგენილი. ახლა, როდესაც გადაწყვეტილება მიღებულია და ქორწინამდე სულ ცოტა დრო დარჩა, ბედნიერი წყვილი ძალღონეს არ იშურებს იმისათვის, რომ ჰიუ ჰეფერის მეტუთე შვილი ქვეყნიერებას მოევილიოს.



სიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე განაგრძო. ლექციების შემდეგ, მოკლე შარვალსა და მაისურში გამოწყობილი გოგონა, ველოსიპედით დაქროდა. ამგვარ „ქარაფშუტულ“ სამოსში გამოწყობილ ქალიშვილს ფოტოგრაფმა სურათი გადაუღო და შემდგომ ფოტო სამოდელ სააგენტოში მომუშავე ნაცნობს აჩვენა, მაგრამ სინტიამ მშობლიურ ქალაქში წარმატება ვერ მიაღწია; ამის მიზეზი კი ხალი იყო... სამოდელი ბიზნესის ადგილობრივმა „მაშემა“ ხალი სინდის ნაკლად მიიჩნია. მომავალმა ვარსკვლავმა ხალის მოშორება გადაწყვიტა და ის-ის იყო, ქირურგსაც მიმართა, რომ ჟურნალ Vogue-ის გარეკანისთვის გადაღება შესთავაზეს. რაოდენ დიდი იყო სინდის გაოცება, როდესაც აღმოაჩინა, რომ ჟურნალის რედაქციაში მისი ხალის რეტუშით დაფარვა არც უფიქრიათ! „ეს ჩემი პირველი, უდიდესი აღმოჩენა იყო. მაშინ ვიფიქრე, რომ თუ ჩემი ხალი თავად Vogue-ს აწყობდა, მაშინ სხვებიც არაფერს იტყოდნენ. იცით, მგონია, ჩემი ხალი უფრო პოპულარულია, ვიდრე თავად მე. იქნებ ლირდეს, რომ ეს ხალი 1 მლნ დოლარად დავაზღვიო?!“ — ამბობს სინდი კროუფორდი, რომელიც ფიქრობს, რომ ჟურნალის გარეკანზე გამოსახულ საკუთარ ფოტოებს რეალურად სულაც არ ნააგავს. „ერთხელ ალექ ბოლდუინი გამაცნეს. როდესაც მივესალმე, მის სახეზე იმედაცრუება ამოვიკითხე. იმ წუთებში ჟურნალ Cosmo-ს გარეკანზე გამოსახულ გოგონას არაფრით ვგავდი“. მიუხედავად ამისა, სინდი ფიქრობს, რომ ტოპმოდელთა ცხოვრება მშვენიერია: „ჩვენ ბედნიერი გოგონები ვართ. შესანიშნავი ვარსკვლავები, თვალის მომჭრელი მაკიაჟით დავიარებით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დილაობით ლოგინიდანაც ასეთ-სავე მშვენიერ ფორმაში ვდგებით“.

# ჰენრიკ ლარსონი: საკუთარი სიამოვნებისთვის თამაში მსურს

ცოტა ხნის წინ, თანამედროვეობის ერთ-ერთმა საუკეთესო ფორვარდმა, ვეტერანმა შვედმა, ჰენრიკ ლარსონმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ გააფორმა კონტრაქტი. ალექს ფერგუსონის გუნდში იგი მიმდინარე წლის გაზაფხულამდე დარჩება, რის შემდეგაც, შვედეთის ჩემპიონატში გააგრძელებს ასპარეზობას.

## ალექსი რეხვიავილი

ფეხბურთის თამაში ჰენრიკ ლარსონმა წლის ასაკში დაიწყო. „ჰელსინბორგი“ პატარა შვედური ქალაქი, რომელიც ფეხბურთით ცხოვრობს, — ამბობს „მანჩესტერელთა“ ახალი თავდამსხმელი. — მამაჩემი წარმოშობით კაბო-ვერდედანაა. ეს სახელმწიფო აფრიკის დასავლეთ სანაპიროსთან მდებარე კუნძულებზეა. ბავშვობაში ჩემი კანის ფერის გამო დიდ უხერხულობას ვგრძნობდი. თავდაპირველად არ მესმოდა, რა ჰქონდათ მხედველობაში მათ, ვინც „ზანგს“ მეძახდა, ხოლო როდესაც ნამოვიზარდე და ყველაფერში გავერკვიე, აბეზარებს ყოველთვის „ხურდას“ ვუბრუნებდი. მამაჩემი ფეხბურთის დიდი მოყვარულია. კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც მან ნამდვილი ფეხბურთის ბურთი მაჩუქა. მაშინ მხოლოდ 16 თვის ვიყავი. მერე, ჩვენი სახლის უკან მეზობელ ბავშვებთან ერთად, მთელ დღეებს ფეხბურთის თამაშში ვატარებდი. გრანდიოზულ ბატალიებს ვაწყობდით. მაშინ ძმებთან, კომთან და რობერტთან ერთად ვბურთობდით. კიმი ჩემზე ერთი წლით უფროსია, ხოლო რობერტი — ოთხი წლით უმცროსი. ძალიან მიყვარდა ცურვა, ზამთარში



ლილი ბენტ პერსონი, ის მარნმუნებდა, რომ თანატოლებს კიდევ დავეწეოდი სიმალეში, თან მუდმივად მიმეორებდა — მხოლოდ ნიჭი არაფრის მომცემია და დიდი წარმატებების მისაღწევად დაუღალავად უნდა ივარჯიშო. დღესაც ამ სიტყვებით ვხელმძღვანელობ.

15 წლის ასაკში ლარსონი უკვე უფროსთა გუნდთან ერთად ვარჯიშობდა, ხოლო მალე, ძირითად შემადგენლობაშიც შეიყვანეს. ლარსონის პირველ, ნახევრად პროფესიონალურ კლუბად „ჰელსინბორგი“ იქცა, რომელშიც ის 1992 წელს გადავიდა. „ჰელსინბორგი“ პირველ დივიზიონში ასპარეზობდა. „გუნდში ჩარიცხვამდე უკვე იმაზე ვფიქრობდი, რომ პროფესიონალურ ფეხბურთელობაზე ოცნება არასოდეს ამისრულდებოდა, თუმცა პესიმისტურ განწყობილებაზე ყოფნისას, უმაღლეს მასხენდებოდა ბენტ პერსონის რჩევები, რაც თავდაუზოგავად ვარჯიშის სასიათზე მყენებდა. ჩემს ძალისხმევას უკვალოდ არ ჩაუვლია. მახსოვს, როდესაც კლუბიდან მიწვევა მივიღე, ოფისამდე მეგობარმა მანქანით წამიყვანა. იქ ჩემსა და „ჰელსინბორგის“ ხელმძღვანელობას შორის საუქმიანი საუბარი გაიმართა, რის შემდეგაც ჩემი პირველი ნამდვილი კონტრაქტი გავაფორმე. თვეში დაახლოებით 300 გირვანქა სტერლინგი უნდა ამეღო, რასაც პრემიალური თანხაც დაემატებოდა. კიდევ უფრო თავდაუზოგავად დავიწყე ვარჯიში, რამაც ნაყოფი გამოიღო. ახალ გუნდთან ჩატარებულ პირველსავე სეზონში გამართულ 31 მატჩში, 34 გოლი გავიტანე“, — ისვენებს შვედი ფორვარდი, რომელიც გუნდს პირველ დივიზიონში გადასვლაში დაეხმარა. მომავალ წელს კი, 16 გოლი გაიტანა და შვედეთის ჩემპიონატის მესამე ბომბარდირად იქცა. ეს მაჩვენებელი შეუმჩნეველი არ დარჩენილა ქვეყნის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობისთვის, რომელშიც მისი დებიუტი 1993 წლის ოქტომბერში, ფინელების წინააღმდეგ გამართულ მატჩში შედგა. დებიუტი თავდასხმელმა გოლით აღნიშნა. „ფინეთის გუნდთან 1994 წლის მუნდიალის შესარჩევი ციკლის მნიშვნელოვან მატჩს ვატარებდით, რომელიც ჰელსინკში შედგა. ძალიან ველავადი, მაგრამ გოლი მაინც გავიტანე და ჩვენს სასარგებლოდ ანგარიში 2:1 გახდა. საფეხბურთო მოედანზე ჩემი ქვეყნის ღირსების დაცვაზე ყოველთვის ვოცნებობდი, ხოლო პირველსავე შეხვედრაში გოლის გატანა საერთოდ წარმოუდგენლად მიმაჩნდა! შემდეგ ჩემმა პარტნიორებმა კიდევ ერთი გოლი გაიტანეს და მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებე-

კი, ჰოკეისაც სიამოვნებით ვთამაშობდი. საერთოდ, ჩემს ქვეყანაში ჰოკეი უფრო პოპულარულია, ვიდრე ფეხბურთი, თუმცა უპირატესობას ბურთით თამაშს ვანიჭებდი. მახსოვს, როდესაც სკოლაში მასწავლებელი გვეკითხებოდა — რა პროფესიის დაუფლება გსურთო? — თანაკლასელები ყოველთვის ტრივიალურ პასუხებს აძლევდნენ: ზოგს მძღოლობა სურდა, ზოგს მეხანძრეობა... მე კი ყოველთვის ამაყად ვაცხადებდი, რომ პროფესიონალი ფეხბურთელობა მინდოდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ჩვეულებრივი მეოცნებე ბავშვი ვიყავი. შეიძლება, ასეც იყო...

პატარა ჰენრიკს ნამდვილად არ იზიდავდა „გრძელ, მოსაწყენ“ გაკვეთილებზე ჯდომა, მას მუდამ ფეხბურთის თამაში სურდა. მაშინ ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებდა, თუ რამდენი ოფლის ღერა იყო საჭირო იმისთვის, რომ ოცნება აესრულებინა და ფეხბურთელი გამხდარიყო. „ჩემს პირველ გუნდად ადგილობრივი „ჰიოგანორგ“ იქცა, მაშინ მხოლოდ 6 წლის ვიყავი. არ მახსოვს ჩვენი მეტოქე ვინ იყო, მაგრამ სწორედ იმ პერიოდში ჩემი პირველი გოლიც გავიტანე, რომელმაც გამარჯვება მოგვიტანა. არც ის მახსოვს, ძალიან გავიხარე თუ არა, ან როგორ გამოვხატე წარმატებული თამაში. გოლის გატანის შემდეგ ენის გამოყოფას კი, მოგვიანებით დავეჩუქე. ოჰ, როგორ ბრაზობდნენ ამის გამო მშობლები“, — ისვენებს „იუნაიტედის“ ახალწვეული, რომელიც თანდათან აუმჯობესებდა თამაშს და არც იმის იმედს კარგავდა, რომ ოდესმე პროფესიონალი გახდებოდა. მოულოდნელად, 12 წლის ასაკში მას ზრდა შეუჩერდა. მართალია, ჰენრიკი სწრაფი იყო, მაგრამ ძალისმიერ ორთაბრძოლებში თანატოლები მაინც სჯაბნიდნენ. ამის გამო, ის ძირითადი შემადგენლობის მიღმა აღმოჩნდა. ლარსონს თითქმის მთელი სეზონი გაუტყდა. თანდათან, იგი ენთუზიაზმსაც კარგავდა. მაგრამ საბედნიეროდ, გამოჩნდა მწვრთნელი, რომელმაც მის ფსიქოლოგიაზე დადებითი ზემოქმედების მოხდენა შეძლო. „შენ ხომ მხოლოდ 13 წლის ხარ, — მეუბნებოდა ან გარდაცვ-



ლი საგზურიც მოვიპოვეთ. ფინალური ტურნირის დაწყებამდე ვფიქრობდი, რომ ძირითად შემადგენლობაში აუცილებლად მოვხვდებოდი, მაგრამ სანვრთელ ბანაკში მისვლის შემდეგ, გადალღობა შემეტყო. ვარჯიშებმა ცერაფერი შეცვალა. ამიტომ ჩვენი პირველი მატჩი კამერუნის ნაკრებთან, სათადარიგოთა სკაშზე დავინყე. 1:0 ვიგებდით, შემდეგ აფრიკელები წინ გავიდნენ და საფინალო სასტვენამდე 25 წუთით ადრე, ჩვენმა მწვრთნელმა, ტომი სვენსონმა მინდორზე იესპერ ბლომკვისტის ნაცვლად გამომიყვანა. ჩემი ამოცანა მარცხენა ფლანგზე თამაში იყო. ერთ-ერთ მომენტში, საპირისპირო მხარეს აღმოვჩნდი, რონალდ ნილსონისაგან პასი მოედნის ცენტრში მივიღე და შეშლილივით პირდაპირ კარის მიმართულებით დავარტყი. დარტყმა ძლიერი გამოვიდა, გოლკიპერ ბელის მიერ მოგერიებული ბურთი ძელს მოხვდა, მაგრამ მარტინ დალინი იქვე აღმოჩნდა და გაიტანა. შემდეგი მატჩი რუსეთის ნაკრებთან გვექონდა. ძირითად შემადგენლობაში კვლავაც ვერ მოვხვდი, მაგრამ პაექრობის გარედან ყურება კარგიც იყო, იმიტომ, რომ იმ დღეს აუტანელი სიციხე იდგა, ხოლო სათადარიგოთა სკაშთან ახლოს კონდიციონერი გახლდათ დამონტაჟებული. ერთი სიტყვით, სასიამოვნო სიგრილის დატოვების არავითარი სურვილი არ გამაჩნდა, მაგრამ მომინია. მოედანზე მატჩის მიწურულს კენეტ ანდერსონის ნაცვლად შევედი. იმ მომენტისათვის შესვენდრის ბედი უკვე გადანყვტილი იყო (3:1). ბრაზილიის წინააღმდეგ მარცხენა ფლანგზე ვთამაშობდი. უნდა გამოვტყედე, რომ ეს ჩემს კარიერაში ყველაზე ცუდი თამაში იყო. 64-ე წუთზე ბლომკვისტმა შეცვალა. მართალია, ეს შედეგით ნაკრებისათვის ყველაზე ცუდი მატჩი არ გახლდათ, მაგრამ მოთამაშე ჰენრიკ ლარსონისათვის უარესს ვერც მოიფიქრებდით. ამის შემდეგ გასაკვირი აღარ უნდა ყოფილიყო ის, რომ საუდის არაბეთის წინააღმდეგ გამართულ მერვედფინალურ მატჩს სათადარიგოთა სკაშიდან ვადევნებდი თვალს. მეოთხედფინალში რუმინელებს ვხვდებოდით. პაექრობა თერთმეტმეტრიან დარტყმებამდე მივიდა. ისე მახსოვს ყველაფერი, თითქოს გუშინ მომხდარიყოს. მოედნის ცენტრალურ წრეში ვიჯექი და ყველა იმ მომენტს ვისხენებდი, როდესაც კი თერთმეტმეტრიან ნიშნულთან მივსულვარ. თვითდამშვიდებაც ვცდილობდი: „ყველაფერი რიგზე იქნება, შენ ხომ არაერთხელ გაგიტანია პენალტი. ეს შემთხვევა კი მათგან არაფრით განსხვავდება“. ბურთთან მივედი და მარცხენა კუთხეში დავარტყი. მეკარე მარჯვნივ გადახტა, ხოლო ბურთი ძელს მოხვდა და კარში შევიარდა. ახლაც კი, როდესაც ამ ფრაგმენტებს ვუყურებ, გული მიჩერდება! ჩემი დარტყმის შემდეგ, ჩვენმა შესანიშნავმა ტომასმა გამოცდილი ბელოდენიის დარტყმული აილო და ნახევარფინალში გაგვიყვანა. ნახევარფინალურ მატჩში, რომელშიც ბრაზილიელებთან წავაგეთ (0:1), არ მითამაშია, ხოლო მესამე ადგილისათვის გამართულ პაექრობაში 4:0 მოვიგეთ. მე მესამე გოლი გავიტანე, რომელიც მართლაც,

შესანიშნავი აღმოჩნდა. სიტყვებით შეუძლებელია იმ ემოციის გამოხატვა, რომელიც ვერცხლის მედლის მიღებამ განმაცდევინა. იმავე წელს ჰენრიკ ლარსონი ჰოლანდიურ „ფინიორდში“ გადავიდა, სადაც ოთხი სეზონის განმავლობაში გამართულ 101 მატჩში, 26 გოლი გაიტანა. გარდა ამისა, კლუბთან ერთად, ლარსონმა ორჯერ ქვეყნის თასი მოიგო. 1997 წელს, ჰენრიკი უკვე შოტლანდიაში გადაბარგდა და სახელოვან „სელტიკში“ გააგრძელა ასპარეზობა. სწორედ ამ გუნდში თამაში იქცა მისი კარიერის მწვერვალად. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში, მას ადამიანი-გოლი უწოდეს. შვიდწლიანი კარიერის განმავლობაში, შვედმა ფორვარდმა „სელტიკში“ 315 შესვენდრა ჩაატარა და 242 გოლი გაიტანა. ამ მაჩვენებლებით ის კლუბის ისტორიაში, რიგით მესამე გოლადორად იქცა. მასზე უფრო მეტი გოლი მხოლოდ ლეგენდარულ ჯიმი მაკგრორისა (470) და ბობი ლენოქსს (273) აქვთ გატანილი. ამასთან, კლუბთან ერთად, ლარსონმა ოთხჯერ შოტლანდიის ჩემპიონატში გაიმარჯვა. გარდა ამისა, ერთხელ მოიგო შოტლანდიის თასი, ერთხელაც ქვეყნის — ლიგის თასი.



2003-2004 წლების სეზონის დასრულების შემდეგ, ლარსონმა კლუბის გამოცვლა გადაწყვიტა და „ბარსელონაში“ გადავიდა. კატალონიური კლუბის მისიურით 33 მატჩი გამართა და 12 გოლის გატანა მოახერხა. გასული წლის მისიში კი, „ბარსასთან“ ერთად, პარიზის „სტად დე ფრანსზე“ ლონდონის „არსენალთან“ გამართულ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში გაიმარჯვა (2:1) და ყველაზე პრესტიჟულ ევროპულ საფეხბურთო-საკლუბო ტიტულს დაეუფლა. მანამდე ჰენრიკი ორჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი.

ამის შემდეგ, „ბარსელონის“ პრეზიდენტს, ხუან ლაპორტას დიდი სურვილი ჰქონდა, რომ შვედ თავდამსხმელს კლუბთან კონტრაქტი გაეგრძელებინა. მიუხედავად ამისა, ფეხბურთელმა სამშობლოში დაბრუნება და კარიერის „ჰელსინბორგში“ გაგრძელება გადაწყვიტა. „საკუთარი სიამოვნებისთვის თამაში მსურს“, — ასეთი კომენტარი გაუკეთა თავის გადაწყვეტილებას ვეტერანმა ფორვარდმა.

ლარსონის განზრახვის შეტყობის შემდეგ კი, რონალდინიოს ასეთი განცხადება გაუკეთებია: „ჰენრიკის წასვლით „ბარსელონა“ უდიდეს ფორვარდს კარგავს, ეს ეჭვგარეშეა. გარდა ამისა, საუკეთესო მეგობარს უნდა გამოვემშვიდობო. ლარსონი ჩემი კერპია და მასთან ერთად ერთ გუნდში თამაში ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. ჰენრიკთან ერთად თამაშის გაგრძელება კვლავაც მსურს, მაგრამ მის გადაწყვეტილებას ვფასებ და თავს უფლებას ვერ მივცემ, რომ მასზე ზენოლა მოვახდინო. ვიცი, ამ ნაბიჯის გადასადგმელად დიდი ხანი ეზბადებოდა. არც ერთ ფეხბურთელს არ ვიცნობ, რომელიც მის ასაკში ასეთ შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაში იმყოფებოდა. ლარსონს საერთაშორისო დონეზე ასპარეზობა კიდევ დიდი ხნის განმავლობაში შეუძლია“.

2004 წელს შვედეთის ფეხბურთის ასოციაციამ ლარსონი (მან ეროვნულ ნაკრებში 93 მატჩი ჩაატარა და 36 გოლი გაიტანა) „ბოლო 50 წლის განმავლობაში, ქვეყნის უდიდეს ფეხბურთელად“ აღიარა. 2006 წლის მისიში კი, ფორვარდს ბრიტანეთის იმპერიის ორდენი გადაეცა. ასე აღნიშნეს „სელტიკში“ ლარსონის დიდებული კარიერა.

ფეხბურთის გარდა, ჰენრიკ ლარსონისთვის უმნიშვნელოვანესია მისი ოჯახი. „19 წლის ასაკში გავიცანი გოგონა, რომელსაც მაგდალენა ერქვა. შემდგომში ის ჩემი ცოლი გახდა. პირველად მას რესტორანში შევხვდი. რაზე ვსაუბრობდით? რა მნიშვნელობა აქვს?... ბოლოს და ბოლოს, ეს პირადული საქმეა. ცხოვრება ამის შემდეგ კიდევ უფრო ბრწყინვალე გახდა! თამაშისგან კვლავაც ვიღებდი სიამოვნებას, მაგრამ იმ პერიოდიდან ფეხბურთი ჩემი ცხოვრების ერთადერთი აზრი აღარ იყო“, — ამბობს ლარსონი, რომელიც ვეგეტარიანული ყოფილა. „სელტიკში“ ასპარეზობდა, კლუბის ხელმძღვანელობამ მის თანაგუნდელებს ხორცეულისა და ცხიმის კერძების ჭამა აუკრძალა. კარგი მაგალითისთვის კი, ჰენრიკი გამოდგებოდა, რომელსაც ბევრი გოლი გაჰქონდა.

„სელტიკში“ გადასვლამდე, ჰენრიკს ვაჟიშვილი შექმნია, რომელსაც მაიკლ ჯორდანის პატივსაცემად, ჯორდანი დაარქვა. „ამ პიროვნებით უსაზღვროდ აღფრთოვანებული ვარ. შვილის დაბადება კი, ჩემს ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იყო“, — დასძინს „მანჩესტერის“ ფორვარდი, რომელიც მძიმე მუსიკის დიდი თაყვანისმცემელია. უფრო მეტიც, ის შვედური მეტალ-ჯგუფის, Vomitory-ის ორი ალბომის პროდუსერიც კი იყო.



### ლიპა ქაჩია

— ამ ასაკში თქვენ როგორ იყავით?

— საკმაოდ დამჯერი, ლოიალური, განონასწორებული. სხვათა შორის, დიდხანს ვიყავი თინეიჯერი, გვიან „დავეღინდი“. ხომ გაგიგონია: გული არ ბერდებაო — ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო. როცა რაიმე პრობლემის წინაშე აღმოჩნდები, ყოველთვის ჩემს ბავშვობას ვისხენებ (მართლაც კარგი ბავშვობა მქონდა) და სულიერი სიმშვიდე მეუფლება. იცი, რატომ? იმიტომ, რომ მაშინ არანაირი პრობლემა არ მქონდა. მხოლოდ გართობაზე ვფიქრობდი ანუ ისეთ რამეზე, რაც სიამოვნებას (თუნდაც წუთიერს, მაგრამ მაინც) მომანიჭებდა და ა.შ.

— როგორ ფიქრობთ, ამ ასაკში გოგონებს ძირითადად, რა პრობლემები აქვთ?

— ძალიან ბევრი და სხვადასხვანაირი პრობლემა აქვთ, ამიტომ მათ ვერ ჩამოვთვლი. საერთოდ, სწორედ ამ ასაკში მშობლებმა შეიღებო დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ, რადგან ერთმა არასწორად გადადგმულმა ნაბიჯმა, შეიძლება მათ ცხოვრება დაუზღვროს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ გარემოში, წრეში მოხვდება მოზარდი.

— ე.ი. მშობლების მხრიდან რაღაც აკრძალვები საჭიროა?

— ეს ზოგჯერ მართლაც აუცილებელია, მაგრამ გააჩნია, რას უკრძალავ მას. შვილს კინოში ან მეგობართან წასვლა კი არა, ის უნდა დაუშალო, რაც ზიანს მოუტანს, ცხოვრებას დაუზღვრავს... აი, მაგალითად, ახალგაზრდები ენევიან სიგარეტს, ნარკოტიკს და ათასგვარ სისაძაგლეს ეტანებიან, ორგანიზმს ინაშლავენ. მეც შემდეგ სიგარეტი მომენია, მაგრამ ისე ვუფრთხილდები ჩემს ჯანმრთელობას, რომ ამის სურვილიც კი არასდროს გამჩენია. საკუთარ თავს ზიანი რომ არ მიაყენო, ამაში გვერდით მყოფებიც უნდა გინცობდე-

„თინეიჯერობა ეს ის ულამაზესი პერიოდია, როცა სამყაროს რაღაც სხვანაირი თვალთ უყურებ, ხარ უზომოდ ხალისიანი და უდარდელი. ამ წლების გახსენება ყოველთვის სიამოვნებას უნდა ანიჭებდეს ადამიანს“, — ამბობს მომღერალი თამუნა ამონაშვილი, რომელსაც ვირტუალური სოციალურების არ სჯერა და მხოლოდ რეალური ურთიერთობები სიბლავს...

## ჩოდის უგზავნიდნენ თამუნა ამონაშვილს სიხილს ზაქათას ანუ პოპულარული ჯენიტი და ქაჩევი მთავარხელის დიდი პაჩევი

ნენ ხელს. როცა პატარა ხარ და ვილაც ჩაგჩიჩინებს, ეს მაგარი რამეა და შენც გააკეთეო, მისი გასინჯვის სურვილი გიჩნდება, მერე კი, როგორც ამბობენ, მასზე მყარად „შეჯდები“...

— თქვენთვის არავის უთქვამს, სიგარეტი ნერვებს ამშვიდებს და შენც მოსწონი?

— კი, როგორ არა, მაგრამ მათი „კეთილი“ რჩევებისთვის ყურადღება არ მიმიცევია, რადგან ვიცოდი, რომ მავნებდა...

— სწორად მოზარდები მშობლებთან საერთო ენას ვერ პოულობენ...

— როცა ცოლ-ქმარი შვილის ყოლას გადაწყვეტს, მისი აღზრდისთვის ორივე მზად უნდა იყოს. აუცილებელია, რომ ისინი არა მარტო მშობლები, არამედ მისი მეგობრები, მესაიდუმლებიც იყვნენ და დაზღვეულნი იქნებიან, რომ მათი შვილი ცუდ გზას არ დაადგება...

— როგორები იყვნენ თქვენი თათბის თინეიჯერები?

— თავმჯავებულები... ახლანდელმა თინეიჯერებმა თავისუფლება ცუდად აღიქვეს, მათი უკომპლექსობა ზოგჯერ უზრდელობაში გადადის. შეიძლება, ეს მათთვის კარგიცაა, რადგან ისეთი დრო დადგა, როცა თავმჯავებულები ბავშვი დაჩაგრულია, აქტიურები, ამაყები, უკომპლექსოები კი, ყველაფერს იოლად აღწევენ...

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?

— საკმაოდ აქტიური მოსწავლე ვიყავი. მართალია, ყველა საგანში ფრიადი არ მყავდა, მაგრამ იმაში, რაც მაინტერესებდა, ბევრით გახლდით. მათემატიკა ბავშვობაშიც არ მიყვარდა და ამ საგანში დღესაც ვერ ვერკვევი, არ მაინტერესებს... სადაც კი კონცერტი ან რაიმე საღამო იმართებოდა, ყველგან გამოვდიოდი — ვცეკვავდი (როგორც ქართულ, ისე უცხოურ ცეკვებს), ვმღეროდი, ვიოლინოზე ვუკრავდი. ამიტომაც, მასწავლებლებს ძალიან ვუყვარდი. კლასში ვინმე რამეს თუ დააშავებდა, მეკითხებოდნენ: რა მოხდაო? მეგობრის დასაცავად ისინი რომც მომეტყუებინა, მაინც მიჯერებდნენ.

— ერთ ასეთ ტყუილს თუ გაისხენებდით?

— (ფიქრობს) ვერ ვისხენებ, მაგრამ მსგავსი რამ ძირითადად, „მატალოების“ გამო ხდებოდა.

— მასწავლებელს რომ ატყუებდით, რას განიცდიდით?

— სინანულის გრძნობა მეუფლებოდა.

მერე, რაღაც პერიოდის გასვლის შემდეგ, ვერ ვითმენდი და მათ სიმართლეს ვუბნებოდით, რაზედაც ბევრს იცინოდნენ... არ არსებობს, ბავშვმა გაკვეთილი არ გააცდინოს ან ცუდი ნიშანი არ მიიღოს.

— თქვენ თუ მიგილიათ ორიანი?

— ორიანიც მიმილია, სამიანიც, ოთხიანიც და ხუთიანიც (იცინის)... სკოლის დამთავრების შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში, სამსახიბო ფაკულტეტზე ჩავაბარე. ჯგუფში სულ ხუთნი ვიყავით და დილიდან საღამომდე თეატრალურში გახლდით, სახლში არ მივიდიოდი. ხშირად შევდიოდი კაფეში — „ჩირები“, რომელიც მაშინ ძალზე პოპულარული იყო და ყველაზე კარგი ტიპები იქ იკრიბებოდნენ... „ივერიაში“ რომ მიმიღეს, უბედნიერესი ვიყავი, მეგობრა, ახალ ცხოვრებას დავინწყებდი.

— ე.ი. თინეიჯერობაში საკმაოდ პოპულარული იყავით...

— მართალი ხარ, პოპულარული ვიყავი. თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას, როცა რაღაც სპექტაკლებს ვდგამდით, მთავარ როლს ყოველთვის მე მძალევენდნენ, რადგან კარგ სტუდენტად მიმიჩნევდნენ. მერე, „ივერიაში“ უფრო პოპულარული გამხადა — რამეს რომ ჩავიცვამდი, მეორე დღეს, ყველა მსგავსს სამოსს იცვამდა.

— ეს მომბეზრებელი არ იყო?

— პირიქით, ძალიან მომწონდა, მსიამოვნებდა კიდეც, რადგან როცა ვილაც გბაძავს, ე.ი. გემოვნებიანი ადამიანი ხარ. თან, მაშინ ეს ჩემთვის რაღაც ახალი იყო... უკვე მომბეზრდა კონცერტებზე რაიონებში სარული, მაშინ კი სულ სხვა იყო, მაგონ, 10000-ჯერ მაქვს შემოვიღილი მთელი საქართველო. 16 წლის ასაკიდან ვმუშაობ და შესაბამისად, მაქვს ჩემი ჯიბის ფული.

— ყველაზე მეტად რომელი კუთხე მოგეწონათ?

— ყველას თავისებური ხიბლი აქვს და თითოეული მათგანი ერთმანეთისგან ისე განსხვავდება, გეგონება, საქართველოში კი არა, სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობ...

— გოგონებს თქვენი არ შურდათ?

— იცი, რა, შური ქართველი ადამიანის გენეტიკაში დევს და ეს ჩვენი ყველაზე დიდი ნაკლია. შურიანები იმას ვერ აცნობიერებენ, რომ ბოლქიანი ადამიანი საკუთარ თავსვე აყენებს ზიანს. ამას სჯობია, კაცთმოყვარე, შრომისმოყვარე იყო და ცხოვრებაში ყველაფერს მიადნე.

— როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს თეთრი შური?

— შური შურია და მის ფერს (თეთრი იქნება თუ შავი) არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. კიდევ ვიმეორებ, თუ ბოლმიანი ხარ, ბოლმა დაგხარჩობს, დაგროგუნავს...

**— თინიჯერობის ასაკში ვისი ფანი იყავით?**

— ჩემს ახალგაზრდობაში არც რეზი არსებობდა და არც როკი, თანამედროვე ესტრადა საქართველოში შემოჭრილი არ იყო. ტელევიზიით მხოლოდ ქართულ ფილმებს უჩვენებდნენ... 20 წლის ვიყავი, როცა ჩვენთან ნელ-ნელა გაუღერდა უცხოური მუსიკა და მასსოვს, „ივერიის“ ახალგაზრდა თაობა დიდი ამბით ვუსმენდით ჯიბო ვანელის სიმღერებს (მასზე დღესაც ვიყავი). მაშინ ასევე პოპულარული გახდნენ სტინგი, ფრენკ სინატრა და ა.შ.

**— რაში გამოიხატებოდა თქვენი ფანობა?**

— ფანობა ფანობაა, მას ერთნაირი გამოსახულება აქვს ყველა თაობაში.

**— ახლა მომღერლის გამო შეიძლება იტირონ, იკვილონ, თმა დაიპუტონ, მათი პლაკატებით სახლის კედლები ააჭრელონ და ა.შ...**

— ასეთი რამ ჩვენთან არა, მაგრამ უცხოეთში ნამდვილად ხდებოდა... საქართველოში პლაკატები კი არა, ჟურნალებიც არ იყიდებოდა. ერთადერთი, სახელმწიფო რადიო არსებობდა, რომელიც ყველა სახლში, კედელზე „ეკიდა“. მისი მემკვიბით შეგედლო მოგესმინა „ივერიის“, ნანი ბრეგვაძის და სხვა შემსრულებლების ქალაქური სიმღერები... ხომ ძალიან პოპულარული ვიყავი, მაგრამ არ მასსოვს, ჟურნალისტები ასე დამხელოდნენ. მოკლედ, ჩვეულებრივ ქართულ სიტუაციაში ვცხოვრობდით.

**— თუ ცდილობდით, სხვებისგან რაიმეთი გამოჩეული ყოფილიყავით?**

— ისედაც გამორჩეული ვიყავი, მეგობრებს შორის მხოლოდ მე ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში.

**— ალბათ, მართალი ხართ და ეს მართლაც რჩეულების სვედრი იყო, რადგან მაშინ, რატომღაც მშობლები ახალგაზრდებს სამსახიობო ფაკულტეტზე ჩაბარების უფლებას არ აძლევდნენ, ამ პროფესიას სხვანიარად უყურებდნენ...**

— გეთანხმები... მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გართულება ჩემებს არ ჰქონდათ, მაინც ყველას უნდოდა, ექიმის პროფესიას დაუფლებოდი, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან დღემდე სისხლს ან ნემსს რომ დავინახავ, ცუდად ვხდები.

**— ისე, გამორჩეულობაში ტანსამოსი, ვარცხნილობა და ა.შ. ვიგულისხმებ...**

— კი, ბავშვობიდანვე ვკერავ, ვქსოვ და აქედან გამომდინარე, ვცდილობდი, ყოველდღე რაღაც ახალი ჩამეცვა. ეს ყველას უკვირდა და მეკითხებოდნენ: ადენ რამეს როგორ ასწრებო? მოკლედ, ყველასგან გამორჩეული და ორიგინალური ვიყავი.

**— ამ ორიგინალურობამ და გამორჩეულობამ განაპირობა ის, რომ „ივერიაში“ მიგიღეს?**

— ამ გუნდიდან მანანა თოდაძე რომ წავიდა, ახალი გოგონები მიიღეს და მასსოვს, მათ შორის ლიკა შურუშაძეც იყო, რომელსაც პატარა მანანა თოდაძეს ეძახდნენ, რადგან მას ძალიან ჰგავდა როგორც გარეგნობით, ასევე — სიმღერის სტილით... მერე, ჩემმა პედაგოგმა, ემა გურალიძემ დარეკა „ივერიაში“ და მის წევრებს უთხრა: ძალიან კარგი სტუდენტი მყავს, უკრავს, მღერის, ცეკვავს, თან, კერავც ესრეხება და ქსოვაცო. უპასუხეს: მოვიდეს და ვნახავით... მივედი და ჩემდა გასაოცრად, მათ იმდენად მოვეწონე, რომ ეგრევე მიმიღეს, მე კი მოულოდნელობისგან პირი დავადე. „ივერიის“ წევრები კარგა ხანს „შემთხვევით მოხვედრილს“ მეძახდნენ.

**— როგორ ფიქრობთ, გოგოებს უკეთესი მეგობრობა შეუძლიათ თუ ბიჭებს?**

— სხვათა შორის, ძალიან ბევრი მეგობარი ბიჭი მყავდა (რა თქმა უნდა, გოგონებიც) და ეს მიხაროდა. მათგან ბევრს მოვწონდი, მაგრამ იმდენს ვახერხებდი, სიტუაცია ისე მიმყავდა, რომ საბოლოოდ, ჩემთან მეგობრობაზე თანახმანი იყვნენ და მართლაც, ნამდვილ ძმობას მიწვედნენ.

**— ამას როგორ ახერხებდით?**

— არ ვიცი, ამის რაიმე განსაკუთრებული რეცეპტი ნამდვილად არ მაქვს. ძალიან ბევრი ფსიქოლოგი მეგობარი მყავს და ისინი მეუბნებიან: შენ ჩვენს პროფესიასაც მშვენივრად გაითავისებდიო.

**— ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელი გყავდათ, არა?**

— იმდენს ვუყვარდი, რომ მათ ველარ ვიგერიებდი. მათგან უმეტესობა ისეთი კარგი ადამიანი გახლდათ, რომ მათი დაკარგვა არ მინდოდა და მერე, ვმეგობრობდით.

**— ისეთი თაყვანისმცემელი არ გყოლიათ, რომელიც ამ მეგობრობას უარყოფდა?**

— კი, რამდენიც გინდა. ისინი მეუბნებოდნენ: ისე მიყვარხარ, რომ შენი მეგობარი ვერ გაგხდები, ეს არც არაფერში მჭირდებაო.

**— ვინც დაკარგეთ, მათზე გული არ გწყდება?**

— პრინციპში, დაკარგული „პაკლონიკების“ ნახევარზე მეტი აღარც კი მასსოვს. ცხოვრებაში ერთკვირიანი, ერთთვიანი გატაცებები ხშირად მოდის. არსებობს სამდღიანი ურთიერთობაც, როცა ვთქვით, „პაუზაში“ ხარ და ვილაცს ეპრანჭები. ეს ის სასიყვარულო თავგადასავლებია, რომლებიც ყოველგვარი გართულების გარეშე თავისთავად ჩაივლის.

**— თაყვანისმცემლები სიურპრიზებით არ განებივრებდნენ?**

— აბა, რა. სიურპრიზების გარეშე არანაირი ურთიერთობა არ არსებობს. მეექვსე სართულზე ვცხოვრობდი და პირველი სართულიდან მოყოლილხული, ჩემი ბინის კარამდე ვარდის ფურცლებს ყრიდნენ, კარზე დიდ ვარდებს ამაგრებდნენ.

**— თქვენთვის სერენადა არავის უმღერია?**

— სერენადა არა, მაგრამ მართლა იმდენი წერილი და ბანდეროლი მომდიოდა ციხეებიდან, რომ მათ გახსნას ვერ ავუდიოდი. ჩემზე და საერთოდ, „ივერიელ“ ახალგაზრდებზე ბუმი იყო.

**— თქვენთვის რომელიმე პატიმარს არ უთხოვია, მნახო?**

— რატომ უნდა ეთხოვა?..

**— ციხიდან გოგონებს (მიუხედავად იმისა, პოპულარული არიან თუ არა) დღესაც ხშირად ურეკავენ, სიყვარულს უსწიან და ისინიც მათ აკითხავენ ხოლმე, როგორ ფიქრობთ, სწორად იქცევიან?**

— რა სისულელეა?! როგორ შეიძლება, ვილაცამ ციხიდან დაგირეკოს და შენც მის სანახავად გაიქცე. რა იყო, „პაკლონიკები“ შემოეღიათ?... როცა ადამიანს კარგად გაიცნობ და მიხვდები, რომ ის შენი ცხოვრების თანამგზავრია, მისი სული შენთვის ახლობელია, მაშინ ინყება ნამდვილი სიყვარული. ერთი ნახვით შეყვარება გამიგია, მაგრამ ეს არის ილუზიური რამ.

**— ამბობენ, დღეს ვირტუალურ სამყაროში ვცხოვრობთ...**

— რატომ ვცხოვრობთ ვირტუალურ სამყაროში? ცოცხალი ადამიანები ვართ, უფალმა დაგვასაჩუქრა — სიცოცხლის უფლება მოგვცა, ჩვენში სისხლს მოძრაობს და ვირტუალურები რატომ უნდა ვიყოთ?

**— როცა თინიჯერულ ასაკში შეყვარებული არ გყავს, ეს ტრაგედიაა?**

— მე თუ მკითხავთ, მთელი ცხოვრება შეყვარებული უნდა იყო, რათა ხალხისთავეთო ყველაფერი. მაგრამ, იმისთვის ვიბადებით, რომ გვიყვარდეს საკუთარი თავი და ადამიანები. შეყვარებული ადამიანი კი ლოიალურია, დამთმობი, მას შური არ ამოძრავებს, ბოლმა არ ახრჩობს...


**— დაბოლოს, რას ურჩევდით თინიჯერებს?**

— მეც ვიყავი თინიჯერი და მაშინ ბევრი შეცდომა დაუშვი, მაგრამ ამის გარეშე ვერაფერს ვისწავლიდი. ყველა თინიჯერს თავი ჭკვიანი ჰგონია, მშობელს არ უყვარებს, არავის რჩევას არ ითვალისწინებს, სჯერა, რომ უკვე დიდია და ყველაფერი იცის. მათ ვურჩევდი, შეეცადონ, მიიღონ სწორი განათლება, გარშემო ღირსეული ადამიანები შემოიკრიბონ და უყვარდეთ ერთმანეთი.



ისედაც გამორჩეული ვიყავი, მეგობრებს შორის მხოლოდ მე ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში

# პატარა შინა



## ლენა, 50 წლის:

„ბატონო იმედა, თქვენი დიდი თაყვანისმცემელი ვარ. „საბუდარელ ქაბუკს“ პირველად რომ ვუყურე, ძალიან მომინდა, თქვენი მეგობარი ვყოფილიყავი, მაგრამ ისიც კი ვერ მოვახერხე, რომ სადმე შეგხვედროდით და თქვენი გაცნობის ბედნიერება მქონოდა. ახლა ოჯახი მაქვს, 3 შვილის დედა გახლავართ და იმაზე ვოცნებობ, რომ მათ მაინც გაიცნონ თქვენი ახლობლები. იმედი მაქვს, ეს ოდესმე მოხდება. მანამდე კი, კოცნას შორიდან გიგზავნით“.

ჩემო ლენა, დიდი მადლობა იმისთვის, რომ მაფასებ, მაგრამ „საბუდარელი ქაბუკი“ გამოსვლამდეც კი, შეყვარებული ვიყავი ქალზე, რომელიც დღესაც ჩემი ცოლია. ასე რომ, ჩემო კარგო, შენთან სხვანაირად ვერ ვიმეგობრებდი, მაგრამ გაცნობას ხელს რა უშლიდა? მით უმეტეს, რომ ადამიანებთან დაახლოების წინააღმდეგი არასდროს ვყოფილვარ. თუმცა, ამ ქალმა (მეუღლეს გულისხმობს — ავტ.) რომ ჩამიგდო ხელში, სხვისკენ აღარ გამახედა. ახლა კიდევ რაღა დროსა...

## პბნა, 18 წლის:

„გამარჯობათ. დაწუნებული სასიძო გახლავართ იმიტომ, რომ სოფლელი ვარ და საცოლეს ყველა პირობას ვერ შევუქმნი იმისთვის, რომ ფუფუნებამი იცხოვროს. თქვენგან განსხვავებით, ჩემი სახიდანდრო თუ სახი-მამრო ვერ მოვარჯულე. იქნებ, მირჩიოთ, როგორ მოვაწონო მათ თავი?“

— გული არ გაიტყვო, მთავარა, გოგოს მოსწონდე იმანაც არ შეგაშინოს, თუ შენმა რჩეულმა თავიდან სიყვარულზე უარი გითხრას, ქალია და ასეც უნდა მოიქცეს, თავი უნდა დაიფასოს. სიყვარულს დამსახურება სჭირდება. შეცვადე, თავი მოაწონო შენი ყურადღებით, საქციელით და მერე მისი მშობლების გულსაც აუცილებლად მოიგებ. დამიჯერე, იმაში, რომ სოფლელი ხარ, ცუდი არაფერია. მეც სოფლელი კაცი გახლავარ და ვფიქრობ, იქ გატარებული წლები ჩემს ცხოვრებაში საუკეთესოა. კახაბერ, სიყვარულისთვის იბრძოლე!

## შენი, 15 წლის:

„გამარჯობათ. ბატონო იმედა, დიდ პა-

ტივს გცემთ, თქვენი შვილიც მომწონს, მაგრამ მაინც უნდა დაგისვით ერთი კითხვა და იმედა, გულწრფელად მიპასუხებთ. მაინტერესებს, ნინი ცხოვრებაშიც ისეთი უხეშია თუ არა, როგორც „ტუსოვერზე“ იჩითება ხოლმე? ხანდახან მგონია, რომ თავში აქვს რაღაც ავარდნილი“.

— სამწუხაროა, თუ ნინი მართლა ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ შენ ცდები, რადგან ჩემს შვილიშვილს ძალიან რბილი ხასიათი აქვს, თბილი ადამიანია. შეიძლება, საზოგადოების წინაშე ისეთი თავისუფალი და თამაზი არ არის, მაგრამ თუ მას გაიცნობ, მჯერა, მასზე წარმოდგენა შეგეცვლება, მიხვდები, რომ ის თავმდაბალი ადამიანია.

## ლიპა, 17 წლის:

„ლიკა, ძალიან მიყვარს შენი რუბრიკა და იმედა, ჩემს კითხვას (რაც არ უნდა უხერხულად იგონო თავი) დაუსვამ ბატონ იმედას. მაინტერესებს, რას ფიქრობს „ცისფერებზე“ და ლესბოსელებზე? ასეთი გადახრის მქონე ადამიანებთან თუ იმეგობრებდა? ან უეცრად, ნინიმ ასეთი მეგობარი ბიჭი სახლში რომ მიიყვანოს, როგორი რეაქცია ექნება? წინასწარ გიხდით მადლობას“.

— თუ ნინი სტუმრად ასეთ მეგობარს მოიყვანს, გპირდებით, რომ არანაირი რეაქცია არ მექნება. ისინი ღმერთმა ასეთებად შექმნა და პიტლური ხომ ის ვარ, მათ ტყვეა რომ ვეწოლო. ისე, ძველი ყაიდის კაცი გახლავარ და ვერ ვეგუები იმ ფაქტს, როცა ერთი სქესის ადამიანები ქორწინდებიან. ბევრი ისეთი გენოსი ვიცი, რომელიცაც ასეთი გადახრები ჰქონდა, მაგრამ მათ დავგიტოვებს დიდი კულტურა, მეცნიერული ნაშრომები და ა.შ. ამ ადამიანების გაროცვა არ შეიძლება, მათ თავიანთი სამყარო აქვთ და დაცვივებენ, ატარებენ ის ტერითი, რომელიც ბედმა არგუნა. ჩვენ კი შევცვადით, ისინი უფრო მეტად არ გავაწმაროთ.

## გიო, 18 წლის:

„გამარჯობათ. ლიკა, შენს სტუმარს მინდა ვკითხო, რა სიახლეებია მის შემოქმედებაში და რა სიურპრიზებს შემოგვთავაზებს. რომელიმე ფილმში ან სერიალში ხომ არ მიინვიეს?“

— არა, ჩემო კარგო, ვერჯერობით არანაირი სიახლე არ არის. ასეთია ჩვენი პროფესია: ყოველთვის იმის მოლოდინში ვართ, რომ ვიღაცას დაეჭირდებით და დაგვიძახებს. ვინმე რამეს თუ შემოთავაზებს, ეს ჩემთვისაც სიურპრიზი იქნება და მას თქვენც აუცილებლად შეგატყობინებთ.

## ნინა, 16 წლის:

„ბატონო იმედა, პრეზიდენტი რომ იყო, რას მოილოქმედებდით? პირველ რიგში პენსიებს გაზრდიდით თუ ხალხის დასაქმებაზე იზრუნებდით?“

— დავინყით იმით, რომ ჩემგან პრეზიდენტი ვერ დადგება, მაგრამ თუ მაინც ნამეტნავად შემეხვეწებოდნენ, ჯანდაბანს ჩემი თავი, გაჭვდებოდი პრეზიდენტი. პირველ რიგში, გეცხვიდით იმას, რომ ფულს სახლში ნამდვილად არ წავიღებდი და მათ ბალოებში არ

ჩავანყობდი; ადამიანს აუცილებლად შევუქმნიდი ისეთ პირობებს, რომ სამუშაო ჰქონოდა (რა თქმა უნდა, მისთვის შესაფერისი). რაც შეეხება პენსიებს, ძალიან მომწონდა მეფის რუსეთის დროს არსებული წესი: თუ ადამიანს 25 წლის მუშაობის სტაფი ჰქონდა, მას შეეძლო პენსიაში გასულიყო, მოუხედავად თავისი ასაკისა. პენსიას კი იმდენს იღებდა, რამდენიც ხელფასი ჰქონდა თავის დროზე და კიდევ პრეზიდენტი რომ ვიყო, კანონი ნამდვილად იკანონებდა არა მარტო ხალხისთვის, არამედ ჩემთვისაც.

## პანია, 17 წლის:

„გამარჯობათ. როგორ ფიქრობთ, ვინ არის მსახიობი? მას რამდენი ცხოვრება აქვს და როგორ ერკვევა, ვინ არის სინამდვილეში? იქნებ, დაასახელოთ როლი, რომელშიც თავს ნამდვილ იმედა კახინად გრძობდით? წინასწარ გიხდით მადლობას“.

— მსახიობი ის ადამიანია, რომელმაც საკმაოდ რთული პროფესია აირჩია. თუმცა, ბევრს ჰგონია, რომ ეს ძალიან ადვილი საქმეა. ჩემთვის ბევრჯერ უთქვამთ: მოდი, ვიქვივით და შეზარხოშებული უკეთ ითამაშებო. არა, როცა მუშაობ, ძალიან ფტიზული და ყურადღებიანი უნდა იყო, თორემ არაფერი გამოგივა. ჩემს ცხოვრებას რაღაცით გოგიტას („საბუდარელი ქაბუკიდან“) ცხოვრება ჰგავდა და კიდევ, მინდა გითხრათ, რომ მსახიობს იმდენი ცხოვრება აქვს, რამდენიც როლი.

## მერაბელი II, 16 წლის:

„ნელს სკოლას ვამთავრებ და გადაწყვეტილი არ მქონდა, სად ჩამბარებინა. თქვენი ინტერვიუ წავიკითხე და ვიფიქრე, ეტყობა, მსახიობობა ადვილი საქმეა და თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარებ-მეთქი. ეს მართლაც ასეა, თუ მე გავიგე რაღაც არასწორად? იქნებ, რჩევაც გაიმეტოთ დამწყები მსახიობისთვის. მადლობა და წარმატებებს გისურვებთ“.

— კარგი მსახიობი რომ გახდეს, ამისთვის ბევრი უნდა ისწავლო, ყოველმხრივ განათლებული უნდა იყო. აუცილებელია, ცეკვა და სიმღერა გეხერხებოდეს. თუ ჩემს დროს განსაზღვრული იყო, რომელ მსახიობს რომელ ფანრში უნდა ეთამაშა, ახლა ყველაფერი სხვანაირადაა, შენ ნებისმიერი პერსონაჟის განსახიერება უნდა შეგეძლოს. ის, რომ ინსტიტუტში არ დამიმთავრებია, ჩემს დიდ ნაკლად მიმაჩნია, მაგრამ ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ სწავლა არ მინდოდა, უბრალოდ, მაშინ ძალიან დაკავებული ვიყავი, კინოში მიღებდნენ, მერე კი დრო გავიდა და სწავლაზე აღარ მიფიქრია. კიდევ ვიმეორებ, ეს ჩემი დიდი ნაკლია და გული მწყდება, რომ თეატრალურ ინსტიტუტში თავი ვერ აღვიდგინე.

P.S. ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულსტუკილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8.99.17.35.27.



შალვა ჯუღრაძე

# ელ დიხი მემუარების მელოდია

ალფრედ ჰიჩკოკი (1899-1986) ცნობილია, როგორც „სამინელებათა ფილმების“ შემქმნელი პოლიფუნქციური რეჟისორი. მან კინოში შემოიღო საკუთარი სტილი, რომელსაც „სასპენსი“ (სიტყვასიტყვით — „დაკიდებული“ მდგომარეობა, ყოყმანი, დაძაბული მოლოდინი ეწოდება). მშვენივრად დობიერებული ინფორმაციის მინოდების წყალობით, ჰიჩკოკს შეეძლო, მუდმივ დაძაბულობაში მყოფი აუდიტორია. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფილმის ფინალს, რადგან მიიჩნევდა, რომ სწორედ დასასრულს უნდა მომხდარიყო ამბის მოულოდნელი შემობრუნება, რომელსაც მაყურებელში ემოციათა ამოფრქვევა უნდა გამოიწვიოს. სწორედ ის ახერხებდა კიდევ ამას, რითიც მაყურებლის განცვიფრებას იწვევდა.

მართალია, ალფრედ ჰიჩკოკი დაიბადა, გაიზარდა და საქმიანობაც ინგლისში დაიწყო, მაგრამ ნამდვილი აღიარება, როგორც განსაკუთრებული სტილის ოსტატმა, მან ამერიკის შეერთებულ შტატებში, პოლიფუნქციური მუშაობისას მოიპოვა, სადაც ის 1938 წელს გადავიდა საცხოვრებლად. „სასპენსის“ ოსტატი 60-ზე მეტი ფილმის ავტორია. გარდა ამისა, 400-ზე მეტი უპოპულარესი სატელევიზიო ფილმისა და პროგრამის კონსულტანტიც გახლდათ.

ალფრედ ჰიჩკოკმა სახელი არა მარტო კინოსა და ტელევიზიაში მუშაობით გაითქვა, არამედ ის გახლდა მოთხრობათა ათეულობით ნიგნის რედაქტორ-შემდგენელიც, რომელთა ავტორებიც ინგლისელი და ამერიკელი მწერლები არიან. მათი შერჩევასა, ჰიჩკოკი „სასპენსის“ სტილს აწვდის, რის გამოც მის მიერ შედგენილი ნიგნები მთელ მსოფლიოში არნახული წარმატებით სარგებლობდა.

გადავწყვიტეთ, ჩვენი მკითხველისთვის მიგვეცა შესაძლებლობა, გასცნობოდა ზოგიერთ ნოველას, რომელიც ალფრედ ჰიჩკოკის რედაქტორობით შედგენილ კრებულებში შევიდა. დეტექტიური და მძაფრსიუჟეტური ამბების ამსახველ ამ თხზულებებში თქვენ წინაშე წარდგებიან საზოგადოების განსაზღვრული ფენისა თუ ჯგუფის ადამიანები, რომლებიც თავიანთი სპეციფიკური „ტილანტის“ გამო, უპირატესად, ჩრდილში ყოფნას ამჯობნიებენ...

ჩემს ფირმაში მოსული სტუმარი, ორმოცდახუთიოდე წლის ლამაზი, თუმცა ოდნავ მომრგვალებული სახის მამაკაცი, გამეცნო:

— უილიამ სანფორდი. ოდესღაც ფირმა „ლეოპარკ აპლაინსში“ იურისტად ვმსახურობდი. თქვენი დახმარება მჭირდება.

მე ის გავისვენე, თუმცა — ერთი უილბლო საქმის გამო, რომელიც სამრეწველო ჯამუშოებას ეხებოდა, — რის გამოც, მისმა სტუმრობამ ძალზე გამაკვირვა.

— შეგეძლოთ, პოლიციისთვის მიგემართათ, — შევნიშნე მე.

— ეს სისხლის სამართლის საქმე არ გახლავთ. თქვენ რა, სამუშაო არ გაინტერესებთ? — მკითხა მან.

მართალია, შევთავაზე, რომ ყოფილი პოლიციელი, ახლა კი კერძო დეტექტივი, ელ პიტერე უფრო იაფი დაუჯდებოდა, მან მაინც მე შემომთავაზა დღე-ღამეში 150 დოლარი იმ შემთხვევაში, თუკი ვაპოვებდი სტივენს მასინის — ერთ-ერთ მემკვიდრეს ჯონ მასინისა, რომელიც 15 თვის წინ გარდაიცვალა. ამ უკანასკნელმა თავის ძმისწულს, სტივენს 18 ათასი დოლარი დაუტოვა.

— როგორც მისი ანდერძის აღმსრულებელი, მოვალე ვარ, მოვძებნო სტივენსი. ის პროფესიონალი მხატვარია, ცხოვრობს ნიცაში, საფრანგეთში. ჩემი წერილის პასუხად შემატყობინა, რომ ნიუ-იორკში მიფრინავდა. გუშინ კი, კენედის აეროპორტში დაშვებისას თვითმფრინავი ჩამოვარდა. თუმცა, დღევანდელმა გაზეთებმა ის ცოცხლად გადარჩენილებში დაასახელეს. ბრუკის ჰოსპიტალში დავრევე და გავარკვიე, რომ ის თითქმის არ დაშავებულა და რატომღაც, სასწრაფოდ გაწერა საავადმყოფოდან. შემდეგ კი, უკვალოდ გაქრა... მორიგეს თქმით, ის ვიღაც ახალგაზრდა ქალმა წაიყვანა.

— სხვა მემკვიდრეებთან ჰქონდა სტივენსს კავშირი?

— არა, ის ბავშვობაში აყვანილი იყო და ამიტომ, ოჯახის სხვა წევრებთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. მისი არყოფნის გამო, მემკვიდრეობას ვერც სხვები იღებენ.

— დაოჯახებულა?

— ჯერ არა. მე ის არასოდეს მინახავს და არც მისი ფოტო მაქვს. მის ნათესავებს

კი ის ძალზე დიდი ხანია, რაც არ უნახავთ. საქმის დასაწყებად, წინასწარ 300 დოლარი ვთხოვე. კუბიურები ძვირად ღირებულ საფულისადას ამოიღო და მთხოვა, ფრთხილად, უხმაურად მემოქმედა.

როგორც კი ჩემი ფირმიდან გავიდა (ეს კი დღის ორ საათსა და ოც წუთზე იყო), ნაცნობთან დავრევე, რომელიც სოლიდურ საკრედიტო დაწესებულებაში მუშაობდა და ვთხოვე, შეეგროვებინა ცნობები უილიამ სანფორდსა და სტივენს მასინიზე.

შემდეგ, ყოველდღიური გაზეთის ჩემთვის ნაცნობი რეპორტიორის ნომერი ავკრიბე და გავარკვიე, რომ კენედის აეროპორტში თვითმფრინავმა კატასტროფა საღამოს ექვს საათსა და ათ წუთზე განიცადა.

ზუსტად შვიდზე უკვე ბრუკის ჰოსპიტალში ვიყავი. ვუჩვენე ჩემი ემბლემა და ავუსხენი მორიგეს, რომ ვეძებდი ვინმე სტივენს მასინის, მისთვის მემკვიდრეობის გადასაცემად, და ვთხოვე, მოეცა უფლება, გავსაუბრებოდი სამედიცინო პერსონალსა და ექიმებს, რომლებმაც ის გასინჯეს.

მათ სტივენსი ასე აღმინერეს: სიმაღლე — 183 სანტიმეტრი, წონა — 80 კილოგრამი. მუქი თმა. სახე — ჩვეულებრივი, ასაკი — დაახლოებით 30 წელი. თუმცა კოსტიუმი ნაწილობრივ დასწვოდა, სტივენსი თითქმის არ დაშავებულა. საავადმყოფოს სატელეფონო ქსელის თანამშრომელთან გასაუბრებისას, დავადგინე იმ ტელეფონის ნომერი, რომელიც მას სტივენსის თხოვნით აუკრიბა. აბონენტი ვინმე მისტერ ფილ უელსი აღმოჩნდა. სატელეფონო ქსელმა მისი მისამართი მომცა. ადგილზე მისვლისას დავადგინე, რომ ეს იყო პატარა სახლი, ერთადგილიანი ავტოფარეხით.

ათის ნახევარზე ელ პიტერეს დავუკავშირდი და ვთხოვე, დილის ხუთი საათიდან პირადად მას აეყვანა კონტროლზე აღნიშნული სახლი.

დილის რვაზე სამსახურში მივედი, რომ ნამეშუშავა. ათზე ჩემმა ნაცნობმა საკრედიტო დაწესებულებიდან, შემატყობინა, რომ სტივენს მასინის მონაცემები მათ არ გააჩნდათ, ხოლო უილიამ სანფორდს გაკოტრებული იყო — შარშან მას დიდი თანხა დაეკარგა, ფირმა „მოოპარკ აპ-ლაინსის“ აქციების კურსის დაცემის გამო. მისი წლიური შემოსავალი, როგორც იურის-

ტის, დაახლოებით 20 ათასი დოლარი აღმოჩნდა. მაგრამ ის ბევრად მეტს ხარჯავდა, რადგან ქალაქგარეთ სახლს, ორ ავტომობილს და მეტისმეტად ძვირად ღირებულ, მესამე ცოლს ინახავდა.

მასპინძელს მადლობა გადაუხადე და ვთხოვე, ფილ უელსზეც შეეგროვებინა მონაცემები.

სატელეფონო კომპანიის უნიფორმაში გამოწყობილი, შევიარაღლი მიკროგადამცემითა და მაგნიტოფონით, რომელიც რადიომიმღებში იყო ჩამონტაჟებული და ფილ უელსის სახლს მივუახლოვდი. ელ პიტერე უკვე იქ მიცდიდა, თავის ავტომობილში. მან მომასხენა:

— ფრედ, ჯერჯერობით არაფერი საინტერესო არ მომხდარა. ოღონდ, ლამაზმა ქერათმიანმა ქალმა რვის ნახევარზე რძე აიღო, რომელიც დამტარებელს კართან ჯერ კიდევ ჩემს მოსვლამდე დაეჭოვებინა.

— თვითონ მისტერ უელსი სამსახურში არ წასულა?

— ჩემს აქ ყოფნაში, არც არავინ მოსულა, არც გასულა. მთელი დღე აქ უნდა ვიყო — შემეკითხა იგი.

ტელეფონში გადასცემის ჩამონტაჟება კანონით ისჯებოდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა.

კარზე დავრეკე და ნელი ნაბიჯების ხმა მომესმა. ზღურბლთან სასაიამოვნო გარეგნობის ქერათმიანი ქალი იდგა. ბლოკნოტში ჩავიხიე და ვკითხე:

- მისის ფილ უელსი ბრძანდები?
- დიახ.

— თქვენი რაიონის სატელეფონო საზოგადოებაშია? შეიძლება, თქვენი აპარატი შევამოწმო?

— ჩვენი ტელეფონი წესრიგშია.

— მესმის. მაგრამ თუ სადმე მოკლე ჩართვაა, ეს სხვა ტელეფონების ხარისხზე მოქმედებს... სულ რაღაც ორიოდე წუთს მოგაცდენთ, მისის უელს.

— შემობრძანდით.

ვითომ მორიგესთან დავრეკე. შემდეგ, მის უელსის თანდასწრებით, ყურმილი დავაშლე და შიგ შეუშინებულად მოვათავსე მიკროგადამცემი, ისე, რომ მის უელსმა ვერაფერი შენიშნა.

— გმადლობ, მის უელს, თქვენი აპარატი მართლაც, კარგ მდგომარეობაშია, მაგრამ თავის დაზღვევის მიზნით, მე ერთი-ორი უმნიშვნელო დეტალი მაინც გამოვცვალე.

თსუთმეტიოდე წუთის შემდეგ, ბარში, სადაც წასახეშებლად შევიარე, ტელეფონით მისი ნომერი ავკრიბე.

— მისის უელს, მე სტივენს მასინის ახლობელი ვარ, ხომ ვერ...

— სხვაგან მოხვდით! — და ყურმილი დამიკვიდა.

ისევ დავრეკე. მან ყურმილი მხოლოდ მეხუთე ზარის შემდეგ აიღო.

— მისის უელს, გთხოვთ, ყურმილი არ დამიკვიდოთ, ვიდრე ბოლომდე არ მომისმენთ. მე ვიცი, რომ კატასტროფის შემდეგ, სტივენს მასინი სწორედ თქვენ გაიყვანეთ საავადმყოფოდან. მას შემკვიდრებით მნიშვნელოვანი თანხა ერგო, რომელიც უნდა

გადავცე. თუ თქვენ...

— ხომ გითხარით, რომ თქვენ ნომერი შეგეშალათ! მე მას არ ვიცნობ და არც არასოდეს მსმენია რაიმე მის შესახებ...

მან ყურმილი ისევ დამიკვიდა. მანამდე კი, მის ხმაში ისტერიკული ნოტები ამკარად იგრძნობოდა.

ისევ ელ პიტერესთან დავბრუნდი, რომელიც ფილ უელსის სახლის წინ დამხვდა. კუთხესთან მოვუხვიე და მის მანქანაში გადავჯექი.

— შენი მეორე ზარის შემდეგ, ქალმა მისტერ სტივენსთან დარეკა, რომელიც სასტუმრო „დევენპორტის“ 121-ე ნომერშია გაჩერებული.

— მისტერ სტივენს? თუ მისტერ სტივენს მასინის?

— არა, სწორედ მისტერ სტივენს. მას შენთან საუბრის შინაარსი გადასცა და როგორც ჩანს, საშინლად იყო აღელვებული. კაცმა კი უთხრა: „მაგაზე ნუ ინერვიულებ, როუზ, თუ კიდევ დარეკავს, უთხარი, რომ წარმოდგენა არ გაქვს, რაზეა საუბარი. შენ ხომ დედაშენის ზარს ელოდები ნიუ-არკიდან. უთხარი, რომ რამდენიმე დღით მიემგზავრები და ჩემთან ჩამოდი. გელოდები. ნურაფერზე ინერვიულებ“.

— გამოგვივიდა, ელ! — შევაქე და მაგნიტოფონი ავტომატურ რეჟიმზე გადავრთე. — მანქანა მათგან ას მეტრში გააჩერე და ჩემთან გადმოვჯექი.

ელი მეტროს სადგურთან ჩამოვსვი და სასტუმრო „დევენპორტში“ წავიდი, რომელიც აეროპორტის მახლობლად მდებარეობდა. ხნიერ ადმინისტრატორს დახვალე ათდოლარიანი დავუგდე და ვუთხარი:

— მინდა, 121-ე ნომერში მცხოვრებ მისტერ სტივენს გავეხუმრო. ნურაფერს აცნობებთ ჩემ შესახებ.

...ნომრის კარი გამიღო მამაკაცმა, რომლის გარეგნობა, საავადმყოფოში მიღებულ აღწერილობას ემთხვეოდა. ჩანდა, რომ ვისკის რამდენიმე პორცია უკვე გადაეკრა. ჩემი ემბლემა ვუჩვენე და ვუთხარი:

— მე თქვენ მჭირდებით, მისტერ მასინი. მან ყურადღებით შეათვალიერა ჩემი ემბლემა და მომიგო:

— დამეკარგეთ აქედან, თორემ იძულებული ვიქნები, ნამდვილი პოლიციელი გამოვიძახო!

— რატომ მაყენებთ შურაცხყოფას? მე თქვენ იმისთვის მოგძებნეთ, რომ 18 ათასი დოლარი გადმოგცემთ, რომელიც შემკვიდრებით გერგოთ, ან განსვენებული თქვენი ბიძისგან.

ამ დროს, კარის ღრიალში ფეხი ჩაუდგო და შევეცადე, როგორმე გამეღიმა.

— ჩვენი საუბარი არავის ავნებს.

— თქვენ იურისტმა უილიამ სანფორდმა მოგაგზავნათ?.. გადაეცით მას, თავი დამანებოს. როცა დამჭირდება, მე თვითონ მოვძებნი.

— როგორ, არ გნებავთ მიიღოთ თქვენი შემკვიდრება? 18 ათასი დოლარი! — გავიკვირე მე.

— უკვე მოგახსენეთ — კარს გაცვალეთ და კარგად ბრძანდებოდეთ! ფეხი ავიღე და მან კარი მომიჯახუნა.

სასტუმროს ჰოლიდან მაშინვე დავრეკე სანფორდთან, შევატყობინე, თუ სადაც იმყოფებოდა მასინი და ჩვენი საუბრის შინაარსიც გადავცე.

— ჯობს, თქვენ თვითონ გაერკვეთ მის ამბებში და რაც შეიძლება სწრაფად, არ გარისკოთ და ხელიდან არ დაგისხლტეთ.

— დიდი მადლობა, მისტერ კოლამბია. თქვენ ჩემს მოლოდინს გადააჭარბებთ, ყველაფერი ეს — ერთ დღე-ღამეში!.. როდის დამიბრუნებთ 150 დოლარს?

— როგორც კი ხარჯს დავიანგარიშებ. თუ გსურს, რომ მასინი დაგხვდეთ, რაც შეიძლება მალე უნდა ჩამოხვიდეთ.

— კიდევ ერთხელ — დიდი მადლობა! — მითხრა უილიამ სანფორდმა და ყურმილი დაკვიდა.

ახლა საჭირო იყო, აუცილებლად, უელსების აპარატის ყურმილიდან მიკროგადამცემის ამოღება, რადგან მის იქ აღმოჩენას, შესაძლოა, დიდი უსიამოვნება მოჰყოლოდა. და რადგან შეკეთების მომიზნებით, იქ მეორედ მოხვედრა შესაძლოა, ჩამშლოდა, გადავწყვიტე, ბინაში ლამით შევეღწია.

ისევ საკრედიტო დაწესებულების თანამშრომელ ჩემს ნაცნობს დავეუკავშირდი და მოვთხოვე ცნობები ფილ უელსის შესახებ. მან გამოარკვია, რომ უელსების წლიური შემოსავალი 9 ათას 400 დოლარს შეადგენდა. მათი სახლი 20 ათასი ლირად, ხოლო ვალი 15 ათასამდე აღწევდა. ისინი ფულს ნესიერად იხდებდნენ. როუზ უელსი მბეჭდავ-მემენქანედ მუშაობდა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ადგილობრივ ფირმაში, ფილი კი — ავიაკომპანია „ტრანს-ევროპული ხაზის“ მოლარე იყო.

ფილ უელსი სწორედ ამ კომპანიის კუთვნილი თვითმფრინავით მგზავრობისას მომხდარ ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ ფილ უელსი იმ მსხვერპლთა რიგში იყო, რომლებიც მთლიანად დაინგნენ. მისი სხეული მისი სანთელით ამოიცივნეს, რომელზეც ფილის სახელი და გვარი ეწერა. ეს სანთელი მან შობაზე ავიაკომპანიისგან მიიღო საჩუქრად.

რომ დავრწმუნებულიყავი — სახლში არავინ იმყოფებოდა, უელსებთან დავრეკე. ყურმილს არავინ იღებდა. მათ სახლს რომ მივუახლოვდი, პოლიციის ოთხი მანქანა და ცნობისმოყვარეთა მთელი ბრბო დავინახე. ვილაც ამბობდა:

— ამ ქერათმიანმა უელსმა ეტყობა, ვილაც მასინი გამოასალმა სიცოცხლეს. ის რომელიღაც მიგდებულ სასტუმროში გვამის გვერდით მჯდარა და იქვე სდებია რევოლვერიც.

— და გამოტყდა მკვლელობაში?

— ჯერჯერობით არ ლაპარაკობს და არც ადვოკატი მოუთხოვია.

ფირმაში მივბრუნდი, რათა სატელეფონო საუბრები მომესმინა. დაფიქსირებული იყო ზარი მისის უელსის დედისგან. ქალი ცდილობდა, მორალური მხარდაჭერა აღმოეჩინა შვილისთვის, მძიმე განსაცდელის ფაშს... შემდეგ დაურეკავს სტივენს მასინის. ის გაღიზინებული ეკითხებო-

და, თუ ვის ესაუბრებოდა მთელი 10 წუთი?!

— დედას, — უბასუხა ქალმა. — დედა მარწმუნებდა, რომ მოთმინება გამოემჩინა ამ უბედურების ყუამს.

— შეაგროვე, რაც გჭირდება და ჩემს ზარს დაელოდე. ჩემთან, უილიამ სანფორდის მოგზავნილი, კერძო დეტექტივი იმყოფებოდა. სასწრაფოდ უნდა გამოვიცვალო სასტუმრო.

— რატომ გავეხვეით ამ ხათაბალაში? — ნუ წერვიულობ. ვუთხარი, რომ მემკვიდრეობა არ მჭირდებოდა და გავაგდე. როგორც კი სხვაგან გადავალ, დაგიჩვენებ. დამშვიდდი, პატარავ, ჩვენ გავმდიდრდებით!

ჩემმა მანტიტოფონმა, რომელიც ავტომატურ რეჟიმში მუშაობდა, კიდევ ერთი დიალოგი ჩაინერა. მამაკაცის იგივე ხმა ამბობდა:

— პატარა, სუფთა სასტუმროში ვიმყოფები, რომელსაც „მონრო“ ჰქვია. ლონგაილენდ სიტიში. იქირავე ტაქსი და ჩამოდი. ახლა ორი საათი და ორმოცი...

ამ მომენტში გასროლის ხმა გაისმა და როუზ უელსმა დაიკვირა: ფილ! ფილ! ვიღაცამ ხაზის მეორე ბოლოში ტელეფონი გათიშა.

ჩანანერი კიდევ ერთხელ მოვისმინე და ელს დაუფრეკე ვთხოვე:

— შესაძლებელი თუა, დადგინდეს სტივენს მასინის მკვლელობის ზუსტი დრო?

— ფრედ, ახლა ძალიან გვიანია. შენ მე ბინძურ საქმეში გინდა გამხვიო... აი, ხვალ...

— ელ, მე სიკვდილის ზუსტი დრო მჭირდება, ახლავ! საქმე ისაა, რომ მისის უელსს არავინ მოუკლავს. მაგრამ პოლიცია ჩვენს მასალებს სასამართლოში ვერ წარადგენს, რადგან ისინი უკანონო გზითაა მოპოვებული. მიინდა, პოლიციისთვის საჭირო მასალები სხვაგვარად მოვიპოვო.

— ცუდ ამბავში გაეხვევი.

— ელ, დამეხმარე, რომ მისის უელსი გადავარჩინო. გამიგე მსხვერპლის სიკვდილის ზუსტი დრო და ჩემთან მოდი.

უილიამ სანფორდს ღამის ორზე დაუფრეკე, ის ძალიან გაბრაზდა, რომ ასეთ დროს შევანუსხე.

— თქვენ ალბათ იცით, რომ სტივენს მასინი მოკლეს. ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა შევხვდეთ.

— კი, პოლიციამ ამის შესახებ უკვე შემატყობინა. მას აღმოუჩინეს ჩემი წერილი. მაგრამ...

— ნახევარ საათში თქვენი სადარბაზოს წინ ვიქნები, დამელოდეთ! — და ყურმილი გაუთიშე.

სინამდვილეში, მე მას სატელეფონო ჯიხურიდან ველაპარაკებოდი, რომელიც მის სახლთან ახლოს იდგა. ასე რომ, კიდევ რამდენიმე წუთი მქონდა. როცა მანქანით სანფორდის სახლს მივუახლოვდი, ის უკვე მიცდიდა. რადგანაც ხელთათმანები ჩაეცვა, ამან დამამშვიდა.

როცა ჩემ გვერდით მოთავსდა, შემეკითხა:

— ვინმეს აცნობეთ ჩვენი შესვედრის შესახებ, მისტერ კოლამბია?

— არა.

მანქანა დავძარი. მანტიტრესებდა, როგორ დააძრობდა რევოლვერს ჩემს მოსაკლავად.

ქალაქის ფარგლებს რომ გავცდი, მანქანა გვერდზე გადავყენე და გავჩერდი.

სანფორდი აბსოლუტურად მშვიდად გამოიყურებოდა. საჭირო იყო, როგორმე შემემჩინებინა, წონასწორობიდან გამომეყვანა, რისთვისაც ვუთხარი:

— თქვენ დამიქირავეთ, რათა დაკარგუ-



ლი მემკვიდრე მომეძებნა. ახლა ის მკვდარია და მე ამ მკვლელობის მონაწილე ვარ.

— ის მისმა საყვარელმა მისის უელსმა მოკლა. მე ამ ამბავთან არაფერი მესაქმება და ეს არც თქვენ გეხებათ.

— თქვენ ეს საქმე ძალიანაც გეხებათ, სანფორდი! მე არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდებოდი თქვენთან თანამშრომლობას, რომ მცოდნოდა, მკვლელობის საქმეში გამხვევდით.

— ის, რომ ამ ქალმა სტივენსი მოკლა, მე რატომ უნდა მეხებოდეს?

— სანფორდი, სტივენსი ამ ქალს არ მოუკლავს. საქმე ისაა, რომ მე მის სატელეფონო აპარატში მიკროგადამცემი მოვთავსე. და ხელთა მქვს კასეტა, რომელზეც მისი ყველა სატელეფონო საუბარია ჩანერილი. თუ გნებავთ, მოგასმენინებთ. პათოლოგანატომმა დაადგინა, რომ მასინი მოკლულია დღის 3 საათზე. ხოლო 3-ის 20 წუთზე ის ქალი მასთან ტელეფონით საუბრობდა. მაგნიტოფონმა გასროლის ხმაც ჩაინერა. ასე რომ, როუზ უელსს ასპროცენტური ალი-

ბი აქვს... თქვენ მას სასტუმრო „მონროსთან“ დაელოდეთ. იქამდე კი, ადმინისტრატორი და მასინი მიასიკვდილეთ. როცა ის ნომერში შემოვიდა, მძიმე საგნის თავში ჩარტყმით გათიშეთ და მისტერ უელსის გვამის გვერდით დაანვიგეთ, რომელიც თავს მასინად ასალებდა.

სანფორდს თავი ისევ მშვიდად ეჭირა. შემომხედა და მითხრა:

— ფანტასტიკურია. ეს ალბათ, მანტა-ჟია, არა, კოლამბია?!

— მანტაჟი? მე თქვენი ფული არ მჭირდება. უბრალოდ, არ შემიძლია, გულგრილად ვუცქირო, თუ აბსოლუტურად უდანაშაულო მისის უელსს როგორ დასდებენ ბრალს მკვლელობაში... საქმე ის გახლავთ, რომ თქვენ გაკოტრებული ხართ და ყველანაირად ცდილობთ, განელოთ მემკვიდრეობის გადაცემის პროცესი. მემკვიდრეები უფლები არიან სტივენსის გარეშე. და თქვენც მისი თავიდან მოცილება გადანყვიტეთ, რომ დრო მოგეგოთ.

— კოლამბია, თქვენ რაღაცას ბოდავთ. სტივენს მასინის მკვლელობასთან მე არაფერი მესაქმება.

ვერაფრით ვაიძულე, რომ თავს დამსხმოდა...

— წამიყვანეთ შინ, კოლამბია, თავი მომაბეგრეთ.

— საქმე ისაა, რომ სტივენს მასინი მართლაც, ავიაკატასტროფისას დაიღუპა, ხოლო ფილ უელსმა, რომელიც იმავე თვითმფრინავში იჯდა, მისი საფულე აიღო, ხოლო თავისი სანთებელი დამწვარ მასინის გვამთან მიაგდო. მან გადანყვიტა, თავი მასინად გაესალებინა, რათა მის ცოლს როუზს დაზღვევის 10 ათასი დოლარი და კომპენსაციის სახით, ავიაკომპანიისგან ბევრად დიდი თანხაც მიეღო... თქვენ გაებით, სანფორდი. არავინ, გარდა მისის უელსისა, მასინის ადგილსამყოფლის შესახებ არაფერი იცოდა.

სანფორდს სახე ოფლის წვეთებით დაეცვარა. მან კბილებში გამოცრა:

— ახლა კი იძულებული ვარ, თქვენც მოგვლათ, კოლამბია...

ბოლოს და ბოლოს, მან ფერდში რევოლვერის ლულა მომაბჯინა, რის გამოც, დიდი შვება ვიგრძენი. ეს უკვე მკვლელობის მცდელობა იყო.

— ნუ აჩქარდებით, — ვუთხარი მე. — მთელი ჩვენი საუბარი პილიციამ ჩაინერა. გამოაღეთ პატარა საბარგული თქვენ წინ და იქ გადამცემს აღმოაჩენთ.

ის ასეც მოიქცა.

სწორედ ამ დროს, პოლიციელთა მანქანების ფარების შუქმა ჩემი მანქანის ფანჯრებში შემოანათა. სანფორდმა ლულა ფერდში მომაბჯინა და მიღრიალა:

— გადმოდი, კოლამბია, შენ ჩემი მძევალი ხარ!

როგორც კი მკლავში ვწვდი, მან იმწამსვე გაისროლა. პოლიციელმა ჩვენსკენ ისკუპა, კარი გამოაღო და ორივე ხელი ზურგს უკან ამოუგრიხა. მე კი ჩემმა ჯავშანჭილეტმა მისხნა.

# სემინარი, რომელმაც ცნობილი ქალბატონები დაადიქრა...



ესთეტიკური მედიცინის ერთერთი ცენტრი დილიდნვე მზად იყო სარვატორად, სტუმრად ცნობილი ქალბატონები მიელო, რომელთა შორის იყვნენ: ია ფარულაგა, ლელა წურწუშია, მია დარსმელიძე, თამუნა ამონაშვილი, ევა კახიანი, ნინკა გელაშვილი, ნინო არაზაშვილი, ინგა გრიგოლია, ნანიკო ხაზარაძე, ცისანა სეფიაშვილი და კიდევ ჩვენ, ქართველი ჟურნალისტებიც. ღონისძიების დაგეგ-

მვსა და ორგანიზებაში ესთეტიკური მედიცინის ცენტრს კომპანია „არტფორუმი“ და მისი თავკაცები — კახა ცისკარიძე და სტეფანე დაქმარნენ. სტუმარს ღიმილითა და წითელი ვარდით სვედებოდნენ... ნელ-ნელა შეიკრება ქართული ბომონდი. კლინიკის სპეციალისტებმა გულდასმით დაგვათვალთვალეს კაბინეტები, სადაც კეთდება პლასტიკური ქირურგიული ოპერაციები, ლაზერული ეპილატა,

შევიტყვე, რომ თურმე, აკვავარობიკა ამ ცენტრშიც იხსნება, თან აქ მას ის სიახლე ახლავს, რომ მასში ტრენაჟორებიც იქნება ჩართული. — პლასტიკურ ქირურგიაზე რას გვეტყვი, ხომ არ გინდა, სხეულის რომელიმე ნაწილის კორექციის ჩატარება? — ეს სფერო მაინტერესებს, რადგან ქალი ვარ და სირცხვილია, რომ ამ მხრივ ინფორმირებული არ ვიყო. ოპერაციას ვერ



ტარდება სტომატოლოგიური, კოსმეტოლოგიური და გინეკოლოგიური პროცედურები. სტუმრებიდან — ნანიკო ხაზარაძემ სტომატოლოგის კაბინეტში ყოფნისას, გამოთქვა სურვილი, ექიმთან დამჯდარყო და საკუთარი კბილების გათეთრება ეცადა. კახა ცისკარიძემ კი, სახის დასაჭიში ნიღაბი გაიკეთა, რითიც დადად დასთამოვინებინა. კაბინეტების დათვალიერების შემდეგ, სტუმრებისთვის სემინარიც გაიმართა თემაზე: „ესთეტიკური მედიცინის შესაძლებლობები საქართველოში და მისი მეთოდები“...

ნამდვილად არ ვაპირებ, რადგან ამის საჭიროებას საკუთარ თავს ვერ ვატყობ. **ცისანა სავიანაშვილი:** — მე სოლარიუმის ხშირი სტუმარი ვარ, ძალიან მინდა, ესთეტიკურ სილამაზის ცენტრშიც მოვიდე ხოლმე. მინდა, ტუჩების კორექცია, არის კიდევ რაღაც დეტალები, რომლის გაკეთების სურვილიც გამიჩნდა. არ მივკუთვნები იმ ქალბატონების რიგს, რომლებიც პლასტიკური ქირურგიის შემდეგ მაღავენ, რა კორექცია შეიტანეს საკუთარ გარეგნობაში. პლასტიკური ოპერაცია თუ გავიკეთებ, ამის შესახებ აუცილებლად ვიტყვი ხმაშლით, რადგან ამით ჩანს, რომ ქალი თავს უვლის, ყურადღებას აქცევს და სამარცხვინო არაფერია. **თამუნა ამონაშვილი:**

— აქაურობა ძალიან მომეწონა. ასეთ ცენტრებში მოსკოვში ცხვირსაც ვერ შეყვოფ, აქ კი, როგორც გავიგე, შესაძლებელია ხელმისაწვდომ ფასებში გაიკეთო ოპერაცია. ვნახოთ, თუ ჩემი განწყობილები-სა და აქ არსებული ატმოსფეროს მიხედვით ვიმსჯელებთ, მგონი, კარგი უნდა იყო. ჯერჯერობით პლასტიკური ოპერაცია არ მჭირდება, მაგრამ ოდესღაც ხომ დამჭირდება?! ახლა ვიცი, რომ არის ასეთი ცენტრი, სადაც შემიძლია მოვიდე.

## ინტიმური ბალეოონი

822-006-008  
822-006-088  
822-006-108

(ზარი ფანანია)  
18 წლიდან



W r e l i k i T x v e b i

# კობა სუბელიანი: „მე ჩემს ძალღს მამსგავსებენ...“

ყველაზე აქტიური, მშრომელი და გამრჯე კაცი ქალაქის კეთილმონყობის სამსახურში, რა თქმა უნდა, ამ სამსახურის შეფი — კობა სუბელიანი, რომელიც თბილის-ქალაქში გზების დაგებას, შენობების „გაფრადებას“, შადრევენების დამონტაჟებას, სკვერებისა და პარკების გასწანას, ქალაქის განათებასა და კიდევ უამრავი ღონისძიების მონყობას უშუალოდ ხელმძღვანელობს. ამის გამო ის პოლიტყოებისა თუ პოლიტბომონდის გამოკვეთილი სახეა.

— ბატონო კობა, თქვენს აღზრდაში ბებიაა და ბაბუას რა როლი მიუძღვით?

— ისინი აქტიურად იყვნენ ჩემი აღზრდით დაკავებული. მუდმივად ვერძობდი მათ ყურადღებასა და სიტბოს. გარკვეული პერიოდის მანძილზე, სოფელში, მათთან ვიზრდებოდი. პირველ კლასამდე დედაჩემის დედას — დედას ვეძახდი. სულ კალთაში ვეჯექი და ბებია კი არა, დედა მეგონა. ბებიისა და ბაბუის აღზრდილი ადამიანები კარგები გამოდინ (იციან). თუმცა, ძალიან „სვეტსკი“ ბებია-ბაბუები შვილიშვილებს კარგად ვერ ზრდიან — სამინლად ანებვირებენ და ბევრ რამეს უთბობენ, რითაც ბავშვებს აუუჭებენ.

— ბებია და ბაბუამ პირადად თქვენ, რა გასწავლათ?

— ბაბუამ, ჯერ კიდევ სრულიად პატარა, შრომას შემაჩვია. ყწაში მის მიერ სპეციალურად ჩემთვის გაკეთებული თბხით ვმუშაობდი, კვალს მიყვებოდი, ის კი შორიდან მაკვირდებოდა და უსაროდა. ფეხშიშველსაც სწირად მივლია.

— დედაც სვანი გყავთ?

— არა, იმერელი. სწორედ ეგ მშველის და ანეიტრალებს სიტუაციას. აბა, ორივე მხრიდან სვანი რომ ვიყო, რა მშველებო-

და? ხანდახან, ისედაც „ეჭვდავ“ ხოლმე (იციან).

— რას გულისხმობთ?

— რამდენიმე დღის წინ, მაგარი ამბავი შემემთხვა: სანაპიროზე მანქანით მოვდიოდი, ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა. ვილაცამ „დამიაბგონა“ და „მაგლად“



გამისვა გვერდი, მანქანის კარი დამიზინა და უკანახედის სარკვეც მოაგლიჯა. ვიფიქრე, გააჩერებს და რალაცას მეტყვისმეთქი. ასე არ მოხდა, გაიქცა. ეს როგორ შემერჩინა მისთვის (სწორედ ამ დროს, ჩემში სვანმა გაიღვიძა)?!. გავვიდე, 4 წუთი ვდიე, როგორც იქნა, „პლენანოვზე“ დავენიე. ჩიხში შევარდა, შევყვი და მოვიმწყვიდე. ტიპი მანქანიდან გადმოვიდა, გალესილი მთვრალი იყო, გვერდით კი მსუბუქად ნასვამი მეგობარი ეჯდა. მე მძლოლისკენ

გავინიე. იქვე ვილაც ქალები იდგნენ და ერთი ამბავი ატებეს, შუაში ჩაგვიდგნენ, მესვენებოდნენ — ხელი არ ახლოთო.

— ალბათ, გიცნეს, არა?

— კი და მთხოვდნენ, ბატონო კობა, აპატიეთო. დავინდევე. თუმცა, სიამოვნებით ვცემდი. ყველაზე მეტად ის მენყინა, რომ გაიქცა და არაკაცურად მოიქცა. ის რომ ვერ დამეჭირა, ამას თავს არ ვაპატიებდი.

— ისე, მანც, როგორ დაენიეთ?

— სამჯერ მაქვს ავტორალიში მონანილეობა მიღებული და არცთუ ისე ურიგო მძლოლი ვარ. ერთხელ ისე მოხდა, რომ შალვა ოგბაიძესაც მოვუგე.

— როგორ?

— მას მანქანა მოულოდნელად მოუცურდა, რითაც ვისარგებლე და ფარა რომ შემობრუნდება და კოჭლი ცხვარი წინ მოექცევა, ისეთი რამ დამემართა. გამიმართლა და გავიმარჯვე.

— მამაკაცური გატაცებები გაქვთ

— ძალები გიყვართ, მანქანაც გყვარებით...

— კი, მიყვარს (იციან). იცით, მე ჩემს ძაღლს მამსგავსებენ.

— ამბობენ, პატრონი და ძაღლი ერთმანეთს ემსგავსებიანო, ეს მეც გამოგონია. თქვენთვის ეს კომპლიმენტი თუ პირიქით?

— ისე, ნებისმიერი ადამიანი რალაც ცხოველს ჰგავს. ის, რომ ჩემს ძაღლს მამსგავსებენ, ჩემთვის ნამდვილად კომპლიმენტია.

— დატყირთული გრაფიკით რომ მუშაობთ, არ ილლებით?

— ვილლები, მაგრამ ეს ჩემი სამსახურია.

— ახალმოყვანილ მეუღლეს თქვენ მიმართ პრეტენზიები არ უჩნდება.

— ამას შეგუებულია. იცოდა, ვისაც მიჰყვებოდა (იციან).

## ეთეხ ჭედიის ღიხსეყი მემცკიედი — ანი სიხაძე

ნორჩი მომღერალი, ანი სირაძე თავისი ბებიის, ეთერ ჭელიძის სიმღერაზე მუშაობს, რომელსაც კაპელსთან ერთად ჩანერს. მასზე კლიბსაც გადაიღებენ. მანამდე კი, ანი ერევანში, საერთაშორისო



მუსიკალურ ფესტივალზე მიემგზავრება. ამ ფესტივალზე არაერთი ქართველი მომღერალი ბავშვი გამოსულა, მათ შორის, მარიამ როინიშვილიც გახლდათ. უკვე მესამე წელია, ფესტივალზე ჟიურის წევრად კომპოზიტორ ნუნუ გაბუნისა იწვევენ. ასე რომ, სომხეთში წელს საერთაშორისო ფესტივალში ორი ქართველი მიიღებს მონანილეობას. ანი ორ სიმღერას ამზადებს. ერთი სომხურენოვანია, მეორე — ნუნუ გაბუნისა ნამუშევარი — „მაღალო ცაო“. ანის მუსიკაში სერიოზიული მუშაობა აქვს გადაწყვეტილი. ერევნიდან რომ დაბრუნდება, სტუდია „ორფეოსში“ ანრი ჯოხაძის ახალ სიმღერას ჩანერს, რომელიც დისკოს სტილშია გადაწყვეტილი. ასე რომ, ბებიას — ეთერ ჭელიძეს ღირსეული შემცვლელი ეზრდება.



# Pagani-ს სხობლო ავტომობილი



სუპერმანქანების მწარმოებელმა კომპანიამ — Pagani — სარბოლო ავტომობილის — Zonda R — ანონსირება მოახდინა. ეს მანქანა სპეციალური ტრასებისთვისაა განკუთვნილი. გარეგნულად სიახლე Zonda F-ს ჰგავს, მაგრამ მისი შემქმნელები აცხადებენ, რომ ამ მანქანების საერთო დეტალების რაოდენობა მხოლოდ 10%-ს შეადგენს. Zonda R-ის საფუძველს მსუბუქი ნახშირობლას-ტიკური მონოკოკი წარმოადგენს. Zonda F-თან შედარებით, ახალი მოდელის საბორბლე ბაზა 47 მმ-ით, ხოლო ძარას საერთო სიგრძე 394 მმ-ით გაიზარდება. მას ექვსსაფეხურიანი ე.წ. სევენტური გადაცემათა კოლოფი და სანავის 4 ავზი აქვს, რათა სიმძიმე თანაბრად იყოს განაწილებული. სუპერავტო კომპანია AMG-ში შემუშავებული, 750 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის ძრავით იქნება აღჭურვილი, რომლის საფუძველსაც სარბოლო Mercedes CLK GTR-ის V12 ტიპის აგრეგატი წარმოადგენს. მანქანის დინამიკური მახასიათებლების შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. Zonda R-ის შექმნა კლიენტებს დაახლოებით 1,2 მილიონი დოლარი დაუჯდებათ (გადასახადების გათვალისწინების გარეშე).



## Koenigsegg-ის სუპერავტო

შვედურმა კომპანიამ — Koenigsegg — სუპერავტო — CCX-ის ყველაზე მძლავრი ვერსია გამოუშვა, რომელსაც CCXR ჰქვია. ამ ავტომობილის ძრავას სიმძლავრე ბიოეთანოლის — ე.წ. „ეკოლოგიური“ სანავის გამოყენებით, 1018 ცხ.ძ-მდე გაზრდილი. ეს სანავი ბენზინისა და სპირტის ნარევის წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია, CCX-ის ყველა მფლობელს სთავაზობს ძრავებს, რომლებიც „ბიოსანავზე“ მუშაობს. ასეთი მოდერნიზაციის შედეგად, აგრეგატის სიმძლავრის გაზრდა და აგრეთვე, ეკოლოგიური მაჩვენებლების მკვეთრი გაუმჯობესება იქნება შესაძლებელი. გარდა ამისა, 2007 წლიდან, Koenigsegg-ის მარკის მანქანები ახალი ხელსაწყოების კომპლექტით აღიჭურვება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება, რომ მძღოლმა გაცილებით ნაკლები დრო დახარჯოს ამა თუ იმ მაჩვენებლის მიღება-გასაკონტროლებლად. ხელსაწყოთა პანელის დიდი ნაწილი მრგვალ დისპლეის უკავია, რომელზეც ტაქსომეტრი, სპიდომეტრი, ზეთის წნევისა და სხვა მაჩვენებლებია მოთავსებული.



## Opel-ის უნიკალური ავტომობილი



უნიკალური საერთაშორისო ავტოსალონზე კომპანია Opel კონცეპტუალურ ავტომობილს წარმოადგენს, რომელსაც Opel GTC Concept ჰქვია. ეს ოთხადგილიანი კუპე გახლავთ, რომელიც გერმანული მარკის ახალ საფირმო სტილშია შესრულებული. ამასთან, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ GTC Concept ანალოგიური სერიული მოდელის პროტოტიპია, ხოლო სხვების აზრით, Opel Vectra-ს მომავალი თაობის ყველა ოჯახი დაახლოებით ასეთი სახის იქნება. შიგნიდან Opel GTC Concept ძალზე ჰგავს სერიულ ავტომობილს. როგორც ვარაუდობენ, ახალი Opel Vectra თითქმის ასეთივე ინტერიერით გამოვა. Opel GTC Concept ექვსსაფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფითა და 2,8 ლ სამუშაო მოცულობის, V8 ტიპის მოტორითაა აღჭურვილი, რომლის სიმძლავრე 300 ცხ.ძ-ს აღწევს.

**გამოიწერეთ!**

- მომსახურების მაღალი ხარისხი
- ეურნალ-გაზეთებს ფართო ინტეგრაცია
- ყველაზე დაბალი ფასები

**და ეს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად!**

გამოცემის დასახელება	1 ვ.ჯ. ფასი	6 თვე
1. Авторево	3,50	42,00
2. Автореп	2,50	65,00
3. Класком	3,50	42,00
4. Автомобильный транспорт	37,00	222,00
5. Автошоп (коммерсант)	10,00	60,00
6. Автоспорт	3,50	21,00
7. За рулем	7,00	42,00

პრესის გადარიცხვის სააგენტო

ქ. თბილისი, თბილისის ქ. № 49  
 ტელ: 42-43-40;  
 38-26-73; 38-26-74.  
 ფაქსი: 38-26-74  
 E-mail: elvaservice@mail.ru.

ავტოტექნიკის ნებისმიერი სხვა დასახელების ეურნალ-გაზეთები

# კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(22 - 28 თებერვალი)

### პირი 21.03-20.04

ამ კვირას მთელი თქვენი ყურადღება ინტიმური ურთიერთობებისკენ იქნება მიმართული, ძალზე მგრძობიარე გახდებით. თანაგრძობის უნარი, კეთილგანწყობილება და მიმზიდველობა ახალი სასიყვარულო და საქმიანი კავშირების დამყარებაში დაგეხმარებათ.

### პური 21.04-20.05

ერთნაირად კეთილგანწყობილი იქნებით ყველა ადამიანის მიმართ, მისი ხასიათისა თუ მონაცემების მიუხედავად, გაგიჩნდებათ სურვილი, გაჭირვებულებს დაეხმაროთ. ამ დღეებში ახალი საქმეების წამოწყება არ ღირს. უმჯობესია, ბუნების ნიაღში დაისვენოთ.

### ტყუი 21.05-21.06

ამ დღეებში თქვენ გარშემო უამრავი თაყვანისმცემელი მოიყრის თავს. შეიძლება, ზოგიერთი ძველი მეგობარი სასიყვარულო პარტნიორადაც იქცეს. უქმე დღეები აქტიურ დასვენებას დაუთმეთ, მაგრამ თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელს.

### პირი 22.06-22.07

თქვენ დაინტერესდებით რელიგიითა და ფილოსოფიით, შორეული ქვეყნებითა და მივიწყებული ცივილიზაციებით. დიდ სიხარულს მოგგვრით ყველა ის ჯილდო თუ საჩუქარი, რომელსაც საჯაროდ გადმოგცემენ. ეს კვირა უდავოდ წარმატებული იქნება.

### ლუი 23.07-23.08

მართალია, საფრთხე მაგნიტივით მიგიზიდავთ, მაგრამ შეეცადეთ, გვერდი აუაროთ სახიფათო ადგილებს. თავი შეიკავეთ მგზავრობისგან, განსაკუთრებით არასასურველია თვითმფრინავით მგზავრობა. აგრეთვე, ნუ გამოიტანთ ბანკიდან კრედიტს და ნუ ჩაებმებით თინანსურ ოპერაციებში.

### ბლუი 24.08-23.09

შეეცდებით, კავშირი დაამყაროთ საინტერესო და უჩვეულო ადამიანებთან. შეიძლება, მონანილება მიიღოთ პრეზენტაციებში, სარეკლამო აქციებსა და საქმიან შეხვედრებში. თქვენი ერთუზიანობით ადვილად შეძლებთ ადამიანების შთაგონებას და მათ ჩართვას საერთო საქმეში.

### სასი 24.09-23.10

მოულოდნელ დაბრკოლებებს წაანყდებით, რის გამოც, საჭიროა დიდი ყურადღებით მოვეიდოთ თქვენს ჯანმრთელობას, აგრეთვე პირნათლად შეასრულოთ თქვენი სამსახურებრივი ვალდებულება. ამ კვირას იყავით დამფლობელი, ნუ ჩაერევიტ სხვის საქმეებში.

### პირი 24.10-22.11

ბევრ დროს დაუთმობთ თქვენს გარეგნობასა და ჩაცმულობას, შეეცდებით არც ერთი წვრილმანი არ გამოგეპაროთ, მაგრამ გირჩევთ, მნიშვნელოვანი ნივთების შეძენა მომავლისთვის გადადოთ, რადგან მათ შეიძლება, ხარვეზები აღმოაჩნდეთ.

### მზილდოსანი 23.11-21.12

ამ კვირას მეტწილად საოჯახო საქმეებითა და ოჯახის წევრებთან ურთიერთობების გარკვევით დაკავდებით, რაც თქვენი ემოციურობით იქნება გამოწვეული. შეეცადეთ, დიდსულოვნება გამოიჩინოთ და ახლობლებს პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროთ.

### მინი რაი 22.12-20.01

ამ დღეებში ძალზე აქტიური და კომუნიკაბელური იქნებით. ამიტომაც, თქვენ ირგვლივ მყოფებს მონყენის საშუალებას არ მისცემთ. დაიმასოვრეთ, ბოლომდე ნუ დაიხარჯებით, თორემ მომავალ კვირას, „გამოწურულ ლიმონს“ დაემსგავსებით.

### მარტვი 21.01-19.02

თქვენი ქვევა ახლობლებს ძალზე წინააღმდეგობრივი და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული მოეჩვენებათ. თუ რაიმე შემოქმედებითი საქმიანობით ხართ დაკავებული, ეს პერიოდი ძალზე ნაყოფიერი იქნება. პრობლემებს შეგიქმნით მხოლოდ თქვენი არამოდერადი ემოციური ხასიათი.

### მისი 20.02-20.03

ამ დღეებში თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამოკიდებული იქნება თქვენს განწყობილებაზე. მრავალი ახალი იდეა გაგიჩნდებათ, თუმცა, მათი განხორციელება სასურველია რამდენიმე კვირით გადადოთ. დალილობას ყველაზე უკეთ მუხისკისა და მხატვრული ნაწარმოებების დახმარებით გაუმკლავდებით.

# გაღე! მარტის ნომერი

**ლიტონიუსული პალიბრა**

პროზა

- ნაზი ქაშვილი
- ანა ზელონი
- ჯეკო კახა
- მარინა ნანობაძე
- ნუკი ქვიციანი

პოეზია

- მამია ჯავახიანი
- ლია ზელონი
- თამარ კანობაძე

მონატრება

- ლია ქვიციანი

თარგმანი

- ჯეკო ჯავახიანი
- მარინა ჯავახიანი

ესე

- ჯეკო ჯავახიანი

№3 (30) მარტი, 2007

**თქვენ სოც გაგოვნებანი  
აკითხვალნი გრკანდაბით...**



**თავდაპირველად, ტრადიციისამებრ, შეგახსენებთ: იმისათვის, რომ „მესიჯომაინაში“ თქვენი მესიჯი მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.**

**qalebi**

- ვარ 30 წლის, სიმპათიური გოგო. გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, სიმპათიურ მამაკაცს. დანარჩენს პირადად გეტყვით.
- ვეხმარები „გზა“ №7, 38-ე მესიჯის ავტორს, 46 წლის მამაკაცს. მარი, გთხოვ მომცე მისი ნომერი.
- „პრივეტ“, მარი, ვარ 24 წლის, 180 სმ სიმაღლის, საკმაოდ სიმპათიური გოგო. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ ჩემზე მალაღ, სიმპათიურ და სერიოზულ ბიჭს. თეთრი ვარდა.
- ვარ გასათხოვარი, 34/176 მწვანეთვალეა, პატიოსანი ქალიშვილი. ცოლად გავყვები ეკონომიურად ძლიერ, განათლებულ, დახვეწილი მანერების მქონე, სიმპათიურ, მოწესრიგებულ კაცს.
- ჩემი დაქალი მალაღია, ლამაზი, 26/175, მისთვის ვეძებ მალაღ, სიმპათიურ, რომანტიკული ბუნების, სერიოზულ, 29-33 წლის მამაკაცს.
- ვარ 34 წლის, მყავს 2 შვილი. გარეგნულად სიმპათიური გახლავართ. ვცხოვრობ ქუთაისში, მაქვს სამსახური. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ჩამოყალიბებულ მამაკაცს.
- გამარჯობა, მარი, ვეხმარები „გზა“ №8, მე-14 მესიჯის ავტორს. ეშხარი-36-ს. ტატა.
- ვეხმარები 40 წლის „ურაგანს“. ვარ 28 წლის, ქმარს გაცილებული, მყავს ერთი შვილი. მინდა შევექმნა ლამაზი ოჯახი. ნომერს მარი მოგცემს.
- მე კატო ვარ. გავიცნობდი 35-40 წლის, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცს. მარი, ჩემი ნომერი არ გამოაქვეყნო.
- 28-ე მესიჯის ავტორს, რომელიც მეხმარება. ვარ 26 წლის, სამსახურით უზრუნველყოფილი. ჩემი ნომერი მარისთან იკითხეთ. ერთგული გოგო.
- მე სიყვარულის ხატზე დავიფიცებ, სანთლის მაგივრად თვითონ დავინწები, შენი გულისთვის სიცოცხლეს გავწირავ, ოღონდ ნურასდროს ნუ დაგავიწყდები! ძებნა — საზედრო პირი, 29 წლამდე, სერიოზული ურთიერთობისთვის! „კახელუშკა“.
- ვარ 17/95/170, კარგი ხასიათის, მეგობრული გოგო. გავიცნობ 20-26 წლის, სერიოზულ ბიჭს.
- ვარ 35 წლის, ქმარს გაცილებული ქალი. ჩემი სტილია: „ჯინსები“, მანქანა, საქმე და სანტიმენტო ცხოვრება. ვისაც გყავთ კარგი მანქანა და გინდათ „გონკაობა“, გამოემხმარეთ.
- ვარ 27 წლის, უმაღლესი განათლებით, ქმართან გაყრილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე მამაკაცს.
- გამარჯობა, მარი. ვარ 27 წლის, მსურს

- გავიცნო 35 წლამდე ასაკის, ღირსეული, ნამდვილი მამაკაცი.
- ვარ 33 წლის, სასიამოვნო გარეგნობის გოგონა. გავიცნობდი მხიარულ, საქმიან, ინტელექტუალურ, სიმპათიურ, 30-40 წლის მამაკაცს, სერიოზული ურთიერთობისთვის 8.93.19.32.49. ლაკი.
- გამარჯობა, მარი, ვარ 19 წლის, საკმაოდ განათლებული, ლამაზი (როგორც მეუბნებიან), მაგრამ შეყვარებული არ მყავს. ვიცი, რომ ბევრს მოვწონვარ, ბევრისგან მიგრძნია.
- ვარ 29 წლის გოგო. არც ბევრი ფული მაქვს და არც ბინა თბილისში. სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე მამაკაცს. თუ სურვილი გექნებათ, დამიმესიჯეთ. „პუტკუნა“.
- ვეხმარები 46-ე მესიჯის ავტორს, „ურაგანს“. მარი, გთხოვ, დამაკავშირო.
- მარი, პირველად გნერ და გთხოვ, ეს მესიჯი გამოიქვეყნე. მყავს 37 წლის დეიდა. ის საკმაოდ ლამაზი ქალია და ხასიათითაც კარგი ადამიანი. უზომოდ მიყვარს და გული მტკივა, რომ დაოჯახებული არ არის. მინდა, ჰქონდეს საკუთარი ოჯახი და გვერდით ისეთი ადამიანი ჰყავდეს, რომელიც დააფასებს. ის მართლა იმსახურებს ამას. ჩემი ნომერი მარისთან იქნება. მე გვლით არასერიოზული მამაკაცი ნუ შენუხდება. მარი, ჩემი ნომერი არ გამოაქვეყნო. ამის შესახებ დეიდამ არაფერი იცის და იმედაა, რაღაც გამოვა.
- ვარ ეშხანი, მომზიბველი, 37 წლის ქალბატონი. მინდა გავიცნო სიმპათიური, განათლებული, კულტურული მამაკაცი. დადუ-38.
- ვარ 19 წლის, სერიოზული და ერთგული ადამიანი. ვისაც სურვილი გექნებათ, დამიმესიჯეთ. გთხოვ, მარი, დამიბეჭდე, პირველად გნერ. სალომე.
- ვეხმარები „გზა“ №8-ში, 42-ე მესიჯის ავტორს. ერთგული გოგონები კიდევ არსებობენ და კარგად თუ მოძებნი, აუცილებლად იპოვი კიდევ. კიბო-26.
- მარი, ვეხმარები უცოლო გიას, რიგითი ნომერი — 20, მე თამრიკო ვარ, 35 წლის. ვიმეგობროთ, გია, თუ გსურს.
- „პრივეტ“, მარი. ცხოვრებაში ტანჯვის მეტი არაფერი მიწახავს. ჩემი არავის ესმის. ვარ 22 წლის, სიმპათიური გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე ასაკის მამაკაცს.
- ვარ სექსუალური გოგო. ვისაც სურვილი გაქვთ, დამიმესიჯეთ.
- მარი, პირველად გნერ, დამეხმარე. მინდა გავიცნო სალონიკი მცხოვრები ბიჭი. მესიჯი №39, „გზა“ №9. არ ვიცი, შეძლებ თუ არა, მაგრამ იმედო მაქვს. ლიკა.
- მარი, პირველად გნერ და ვეხმარები 46 ნომერს. თუ სურვილი ექნება, გამოემხ-

- მაროს. მეტსახელი „ურაგანი“.
- გავიცნობ 40 წლამდე ასაკის სიმპათიურ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. მე ვარ 31 წლის და მყავს ბავშვი. გასართობად არ მცალია. მეტსახელი, კიმი.
  - ვარ 36 წლის, შეგვეგრემანი, მალაღი, სამსახურით უზრუნველყოფილი, გავიცნობ შესაფერისი ასაკის, თბილისელ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. შავთვალა.
  - ვეხმარები უცოლო გიას. ვარ 36 წლის. თუ დაგაინტერესებ, ჩემი ნომერი მარისთან იკითხე.
  - ვეხმარები „ურაგანს“. მართალია, არც ქვრივი ვარ და არც განათხოვარი, მაგრამ სიმოვნებით გავიცნობდი. თუ დაგაინტერესებ, ნომერი მარისთან იკითხე.
  - ვეხმარები „გზა“ №9-ში, მე-16 მესიჯის ავტორს, „9“-ს. მსურს გავიცნო და დაგიახლოვდე. მარი, ნომერი მომეცი ან ჩემი ნომერი მიეცი. ლიზიკო.
  - გავიცნობდი SMS-მეგობარს. ძალიან მოსაწყენი ცხოვრება მაქვს და დამეხმარეთ. ნინა.
  - ვეხმარები „გზა“ №9-ში, მე-5 მესიჯის ავტორს. ვარ ნორმალური გარეგნობის მანდილოსანი. თუ სურვილი მაქვს, დამირეკე. იქნებ ვიმეგობროთ. ნომერი მარისთან იქნება. მარი, გთხოვ, მე-5 მესიჯის ავტორის გარდა, ჩემი ნომერი არავის მისცე. გმადლობთ.
  - მარი, აქ პირველად ვამესიჯებ. რონალდინიო, შენთან მეგობრობა მინდა. დამიმესიჯე, ნომერი მარისთანაა. ბარსა.
  - გამარჯობა, მარი. ვეხმარები „გზა“ №9, მე-15 მესიჯის ავტორს. სოფო, 24 წლის.
  - მე მქვია ანა. სერიოზული ურთიერთობისთვის ვეძებ 30-35 წლის მამაკაცს. სასურველია, იყოს საშუალო სიმაღლის.
  - მყავს 2 დედა, ერთი 44 წლის, ფიზიკა-მათემატიკოსი, ქვრივი, სასიამოვნო გარეგნობის, მეორე, 40 წლის, პედაგოგი, ბედნიერი. ვათხოვებ ორივე დედას მატერიალურად უზრუნველყოფილ მამაკაცებზე. მსურველები გამოემხმარეთ. პლატონი კაბაში.

**mamakacebi**

- მარი, ძალიან გთხოვ, გამოაქვეყნე ეს მესიჯი. პირველად გნერ და ძალიან მინდა გავიცნო 17-25 წლის, თავისუფალი აზროვნების გოგო. მაქვს ჩემი ბიზნესი.
- მარი, „გზა“ №7-ში გამოაქვეყნებულია თხოვნა. მაინტერესებს გაცნობა და გთხოვთ, მომცეთ ნომერი. მე-9 ნომრითაა, ტატა-32. გმადლობთ, გაბო.
- ვარ 38 წლის ლამაზი კაცი. ვეძებ მეგობარ ქალს, 40 წლამდე, ბინით უზრუნველყოფილ, რომელსაც აკლია მეგობარი და სიყვარული. ნარსულს მინიშნელობა არ აქვს. ლომი.
- მოგესხებათ, დღეს საქართველოში ქალი პრობლემა არაა, ცოტა ფული თუ გაქვს. მე კი სიმოვნებით გავიცნობდი 40 წლამდე ქალბატონს, რომელსაც ფული კი არა, მოფერება უნდა.
- ვარ 42 წლის მამაკაცი, 176/70, ქუთაისიდან. ამჟამად ვარ მარტო. მინდა გავიცნო 40 წლამდე ასაკის ქალბატონი, რომელიც მოკლებულია მამაკაცურ სითბოსა და ალერსს.
- მარი, გამაყვანი გოგონა სამეგობროდ, თუნდაც ბავშვიანი ან განათხოვარი.
- ვარ 26 წლის, დედისერთა, უმაღლესი განათლებით. ვეშუაობ სპეციალობით და ა.შ. ვეხმარები ვილის. მიეცით ჩემი ნომერი. მარლენი. გმადლობთ.
- გთხოვთ, დამაკავშირეთ ზიკის. მისი ნომერი მარისთანაა. „გზა“, №8, მესიჯი №10.
- მარი, გთხოვ, მომეცი 46-ე მესიჯის ავტორის ნომერი. რამაზა.
- ვარ შეგვეგრემანი ბიჭი, 21/180/85. ვარ სექსუალური ქალების მოყვარული. ვაფასებ სიყვარულს, სილაბაზუს... თევზები-21.



11. გამარჯობა, მარი. გამომიქვეყნე ნომერი. ვეხმარები „გზა“ №8, 45-ე მესიჯის ავტორს. თუ გინდა ჩემთან შეგობრობა, დაამესიჯე ნომერზე: 8.55.53.16.58. დათო-26.

12. ვარ 21 წლის. კანი — თეთრი, თმა — ნაბლისფერი, საშუალო სიმაღლის და ტანის... გავიცნობდი ვინმე გოგონას და ყველანიარად ვიმეგობრებდი მასთან.

13. ვარ 24 წლის, მაღალი, სიმპათიური ბიჭი. სამეგობროდ გავიცნობდი 20-25 წლის გოგონას. აბა, გოგონებო, გელით. პო, იმედია „ბარსა“ „ლივერპულს“ „ენფილდზე“ მინც ჩაიგდება. რონი.

14. ვეხმარები 22-ე მესიჯის ავტორს, რომელიც არის 33 წლის და ჰყავს ქმარ-შვილი. მე ვარ კახა. თუ სურვილი გაქვთ ჩემი გაცნობის, ნომერი მარის გამოართვით და დამიმესიჯეთ. კახა.

15. ვეხმარები ინტელექტუალურ გოგოს. მე-40 ნომრის ავტორს.

16. ლამაზ თვალებს მოფერება უნდა! ლამაზ ტუჩებს — კოცნა! სევდიან ქალს დიდი სითბო უნდა, სიყვარულს კი პოვნა! ანგელოზებო, შემხმინეთ, მოუთმევლად გელით. „გროზნი“.

17. გამარჯობა, მოგესალმებით ყველას, ვარ 18 წლის, ახლახან ჩამოვედი ავსტრიიდან და აქ მეგობრები არ მყავს. გამოემხმარეთ. მარი, დამიბეჭდე. დათო.

18. ჟურნალი №9, მესიჯი №10. გთხოვთ, მომცეთ ზიკის ტელეფონის ნომერი.

19. ვცდი და ვწერ პირველად. ვარ 30 წლის, ვცხოვრობ მარტო. ვმუშაობ. გავიცნობ სამეგობროდ, გამხმარ გოგოს. ვისიყვარულით დღე და ღამე.

20. გავიცნობ სამეგობროდ ცოტა პუტკუნა, ლამაზი სისხის და „ზადნიცანი“ ქალბატონს. დიდი სიყვარული გარანტირებულია. გიორგი. ნომერი მარისთანაა.

21. ვარ 45 წლის, სანდო მამაკაცი. ვმუშაობ თბილისში. გავიცნობდი 40 წლამდე ასაკის, თბილისელ, მარტო მცხოვრებ, ვნებიან, სანდო მანდილოსანს.

22. ვარ 16 წლის, 167 სმ სიმაღლის. ვარ მოკრივე. გავიცნობ გოგოს, სამეგობროდ და მას, ვინც სექსის მოყვარულია. ქუთაისი.

23. ვარ 15 წლის, 168 სმ სიმაღლის. სამეგობროდ გავიცნობ 14-15 წლის გოგონას, ვინც გამიგებს. აბა, თქვენ იცით. გაცონით ბევრს. ნიკა.

24. მარი, „გზა“ №9, 32-ე მესიჯის ავტორის ნომერი მომეცი, რა, ან ჩემი მიეცი. გთხოვ. პატიმარი.

25. ვეხმარები „გზა“ №9-ში, მეხუთე მესიჯის ავტორს. ცოლს არ ვეძებ, მეგობარი კი მართლა მჭირდება. ნომერი მარისთანაა.

26. მიხდა გიპასუხოთ ამომწურავად. თუ რეალურ ცხოვრებაში შემხვდა ადამიანი, რომლის ერთგულეზამიცი დავრწმუნდები, მაშინ კუთხეს და წარმომავლობას მნიშვნელობა არ აქვს. რადგან გაცნობის ეს მეთოდი ავირჩიე, მირჩევენია, გამოემხმარონ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი რაიონიდან, რადგან მაქვს იქაურობასთან კავშირი. ვიცნობ და აქედან გამოდინარე, ვწნდობი. ვარ თბილისელი, 31 წლის. თუ შემხმინანეთ, 8.98.14.47.90. მომწერეთ, რომელი რაიონიდან ხართ, სად ცხოვრობთ და ასაკი. მადლობა ყველას. გოჩა.

27. გამოემხმარები მხოლოდ გაცნობის მიზნით, 26 წლამდე ასაკის, სერიოზული, არამწველი გოგონა, მხოლოდ მთიანეთიდან.

28. ვარ 37 წლის, დაოჯახებული, მაგრამ ვერ ვიღებ იმას, რასაც ორგანიზმი ითხოვს. ვეძებ თავისუფალი აზროვნების, სასურველია, გათხოვილ ქალბატონს...

29. ვარ 41 წლის. გავიცნობ გემრიელ გოგოს. თქვენ გენაცვალეთ...

30. ვარ 44 წლის მამაკაცი. გავიცნობდი მანდილოსანს, ცოლად შერთვის მიზნით. რუსთავი.

31. საღამო მშვიდობის, მარი. სიამოვნებით გავიცნობ „გზა“ №9, მე-10 მესიჯის ავტორს. წინარწარ ვულოცავ 8 მარტს.

32. ვარ 23 წლის, მაღალი ბიჭი. ვეძებ სამეგობროდ 18-23 წლის გოგონას. მსურველებმა დარეკეთ ნომერზე: 8.95.28.34.95. ვახო.

33. მე ვარ კახა, 15 წლის. ვისაც გინდათ ჩემი გაცნობა, დამიმესიჯეთ: 8.93.71.27.72.

34. გავიცნობ 25-40 წლის, თბილისში მცხოვრებ, ეკ. უზრუნველყოფილ, მარტო მცხოვრებ ქალბატონს, ინტიმშეხვედრებისთვის. დამირეკეთ 8.93.48.47.46. ოთო.

35. ძალიან გთხოვთ, ეს მესიჯი გამომიქვეყნეთ. ვარ 20 წლის, გავიცნობ 15-20 წლის გოგონებს. გამოემხმარეთ, მარტო ვგრძნობ თავს. ხევსური.

36. ძალიან გთხოვთ, „თოჯინას“ ტელეფონის ნომერი მომეცი.

37. გამარჯობა, მარი. ვარ 20 წლის ბიჭი. ვცხოვრობ რუსთავში. ჯერ სამეგობროდ და მერე დრო გვიჩვენებს... გავიცნობდი საყვარელ გოგონას. ზურა.

38. „თოჯინა“, დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი. გაინტერესებს, არსებობენ თუ არა ნამდვილი ვაჟკაცები? გავიცნობ ერთმანეთი და მიხვდები ამას. ზურა.

39. მე მქვია ჯანო. ვარ 30 წლის. სერიოზული ურთიერთობისთვის სიამოვნებით გავიცნობდი სიმპათიურ, თბილისელ გოგოს. თუმცა, ასაკს მნიშვნელობა არ აქვს. 8.99.36.33.82.

40. ვარ 33 წლის, თბილისელი კაცი. დასაქმებული პრესტიჟულ სამსახურში. ვეძებ მარტოსულ, დამოუკიდებელ მანდილოსანს, რომელიც მარტო ცხოვრობს. ვეცდები გაუზღალისო ცხოვრება.

41. სამეგობროდ მსურს გავიცნო 38 წლამდე ასაკის მანდილოსანი, რომელთანაც სრული ურთიერთგაგების შემთხვევაში შეეძქმნი ოჯახს. დამიმესიჯეთ მხოლოდ სერიოზულმა და პატიოსანმა ქალბებმა.

42. ვეხმარები მე-8 ნომრის 25-ე მესიჯის ავტორს. მეც ვარ მაღალი, შავგვრემანი და თავისფერთვალე პრინცი. მოსარული ვიქნები, თუ გავიცნობთ ერთმანეთს. პრინცი-014.

43. გამარჯობა, მარი. მიხდა გავიცნო მეგობარი გოგო, 18-22 წლის. ვარ სულ მარტო და მეგობარი მჭირდება. ვისაც სურვილი გაუჩნდება, ჩემი ნომერი მიეცი.

44. ვარ 44 წლის, დასაქმებული მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ მარტოხელა ქალბატონს.

45. ვეხმარები კვტრინ ზეტა-ჯონსს. ძალიან მიხდა მისი გაცნობა და იქნებ ჩემი მეუღლეც კი გახდეს. „პრინცი“, შენ კი „დავია“ არჩევნებზე ფეხი არ ჩავივამ პრინცი-2.

46. გავიცნობ ნორმალურ ქართველ გოგოს, მყარი ურთიერთობისთვის. ვარ 22 წლის. უზრდელებმა თავი შეიკავეთ.

**„usqeso“**

• ვეხმარები „გზა“ №9, მე-14 მესიჯის ავტორს. ლომი-31. თუ დაინტერესდებით, დამიმესიჯეთ ხუთშაბათ დღეს, საღამოს 9-დან 10 საათამდე ან ნომერი მომეცი, თუ შეიძლება.

• ყველა პლანის დამთესავი არის ჩვენი ნათესავი :) ხალხო, რავა ხართ? აუ, რა მაგრად მიყვარხართ, იცით? ყველაზე ვტივდები და ვაბოჯობ. ვის უნდა ჩემი გაცნობა?

• გამარჯობა, მარი, დაკარგული სულების ქალღმერთო! ვეხმარები 36-ე მესიჯის ავტორს.

• ვეხმარები 34-36 მესიჯის ავტორს. მგონი, ერთი და იგივე პიროვნებაა. ვარ 22 წლის, დასაქმებული და სერიოზული. თუ სურვილი გქვია, გავიცნობ ერთმანეთი. „ჭრიჭინა“.

• ვარ 31 წლის, მაღალი (182 სმ), მწვანეთვალე და შავგვრემანი. მაინტერესებს მე-5 მესიჯის ავტორის ნომერი. წინასწარ მადლობა მარის.

• გამარჯობა, მარი, ჟურნალ „გზის“ №8-ში, 43-ე მესიჯის ავტორს, „აბიბუნას“ ვეხმარები. შეგიძლია, მხოლოდ მას მისცე ჩემი ნომერი, თუ, რა თქმა უნდა, მასაც სურს.

• მარი, ვეხმარები „გზა“ №7-დან, 27-ე მესიჯის ავტორს. გთხოვ, მომწერო ნომერი.

• გადაიღალეთ საყვარლებით და სამსახური? თბილ ოჯახს ეძებთ? მიპოვეთ მამინ.

• მარი, გთხოვ, მომცე „გზა“ №7, 38-ე მესიჯის ავტორის ნომერი. წინასწარ უღრმესი მადლობა.

• ვარ 25 წლის, 176 სმ სიმაღლის, მწვანე თვალებით, ქერა თითი. გაცნობის მსურველს, მარი მოგცემს ნომერს. „თევაზი“.

• ვეხმარები „გზა“ №9-ში გამოქვეყნებული 46-ე მესიჯის ავტორს. ჩემი ნომერი მარისთან იქნება.

**sxvadasxva**

• რა რთული და სასტიკია ცხოვრება. გიორგის მესიჯი რომ წავიკითხე, მოგვკვდი ტირილით. არ მჯეროდა, რომ ბიჭს ასეთი სიყვარული შეეძლო. ველური ანგელოზი.

• ყველა ლამაზს დაიქვებს. სხეული ხომ ნიღაბია, მხოლოდ სული გვალამაზებს. მთავარი ადამიანში სულიერი სილამაზება. ველური ანგელოზი.

• იმედი მაქვს, ჩემს მესიჯს გამოაქვეყნებთ. არ მოგებზრდათ, ხალხო, ერთმანეთის კრიტიკა და დამცირება? ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს. ველური ანგელოზი.

• მარი, მიხდა, ჯადოსნური ჯოხი მქონდეს და ყველა მგზავნელს სურვილები აუღსრულო. არავის გულს არ დაწყევდი. ვარ გიჟი-კეთილი, რომანტიკული ჯადოქარი. კუჩა.

• „ცელსიუმი“, დიდი მადლობა, გაიხარე! შენმა მესიჯმა გამახარა. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა! კაკუ.

• თემურიმე? ზოგჯერ გაგიჟებული, ზღვის ტალღებში შესული, თემურიიიი... უყვარხარ, ბიჭო, კაკუს, ერთ ვერ გაიგე? რას დატანჯე ეს ბავშვი? ეჰ, სადაა სამართალი, თორემ პატარა ლელას შემყურე, სიკვდილი არ უნდა მიუსაჯო, ვინც ქოსოვიჩი ციხეში გამოკეტა? თქვენთან ვარ, გოგონებო, არ იდარდოთ! „ანარქია“.

• ტალღები ებრძვის სიცარიელეს/ და გულის ჯავრი ქვიშაზე მიაქვს/ გადამსხვრეული თეთრი სურვილი/ გამშავებული აწყდება წყვედიან/ სიცილი მივსებს სევდიან თვალებს/ შურით შევევრებ გამრავლებულებს/ ნეტავ შენც ჰგავდე ამ ზვიად ტალღებს/ ჩემს დასაწყრობად გაავევლებს/ მენატრები, ზვიო.

• ტაძარი მინგრევევ, ლოცვით ანაგებს/ პნელით მოსავენ ზეცის ნათელ ფერს/ ღმერთო! მითხარი, როგორ ვიცოცხლო/ ამ ცოდვით სასვე დედამინაზე/ ზვიოს, დიდი მონატრებით.

• ხალხო, დღეს ჩემი დებიუტია. ყველანი, ვინც აქ ამესიჯებთ, კარგები ხართ და მიყვარხართ. სიყვარულით, წინვეი გოგო.

• მიხდა, ჩემი გასაჭირი გაგანდოთ: მყავს კარგი ქმარ-შვილი, მაქვს კარგი პროფესია და სამსახური, ავტორიტეტი... ერთი სიტყვით, სან-იმუშო, 32 წლის, ლამაზი ქალი ვარ, მაგრამ ზოგჯერ მებზრდება ამდენი სანიმუშოობა და სურვილი მიჩნდება, რაიმე სისულელე ჩავიდინო ან ისეთი რამ ვთქვა, რასაც ჩემგან არავინ მოეღის. მეც ხომ მაქვს უფლება, ვიყო ჩვეულებრივი ადამიანი, მაგრამ ამის გაკეთება ვერ ვებდავ. მემინია ხალხის რეაქციის. არადა, დავიღალე ამდენი თამაშით. თითქოს სხვისი ცხოვრებით ვცხოვრობ.

• მთავრე არღუნში მოიკვდა თავი/ მწუხარე მინა ნაღვერდალია/ არდოტის მიღებში ჩაიქცა ღამე/ დავალე ხარკით სული და-ლია/ აბა, თუ გამოიცნობთ, ვის ეკუთვნის ეს ლექსი? აკვა.

• ქარიკით გდევდი ფხვადფხვ/ ბევრგან აყვარე ნისლები/ აი, ხლაც მტკიცეა შენ თვალ-



თა/ გულზე ჩაყრილი ისრები/ მთა ფიქრობს.../ დღის ნისლეტმა, იწვიმს, მერე დაგვეტოვებს.

- გამარჯობა, მესიჯომანებო! მეც შემოვიხედე თქვენს საბყროსში და აბა, თქვენ იცით, იმედი არ გამიცრუოთ. მე ვვა ვარ, 27 წლის, მაგრამ არა ისეთი, ადამი რომ აცდუნა :-)

- ვერაფერ წაუვა ბედისგან დაწერილ კანონს, ადამიანო, თუკი ავეთებ, რატომღა ნანობ? კვლა.

- ყველა ბიჭის გასაგონად, „ჩორტიონან-ეტს“ მინდა ვუთხრა, რომ თქვენ, გოგონებს ვერასდროს ვერაფერს გაგიგებთ. ასე რომ... ჩჩჩჩჩჩ! :) „ნემბოლევი“.

- მანავლო, როდის ჩამოვიდე, ჰა? შენ მართო დრო და ადგილი თქვი, დანარჩენი ჩემზე იყოს :) ქეიფის კლასი უნდა გაჩვენო... კლასი :) „ნემბოლევი“.

- იქნებ მირჩიო, რა გავაკეთო, როცა ძალიან მომენატრები... სიყვარულზე შეყვარებული თიკა.

- მოხილი დამიჯდა, პრობლემა გამიჩნდა, მანქანა აჩეხა, „ზანები“ დამეხა, დამედო ვალები, ყველას ვემალები, „კოლოტკაც“ გამეხა და ლიფი გამეხსნა, „იტოგში“, დამერხა.

- შორს, იდუმალი გზაზე/ ვიღაც ჩუმად ტირის/ და სიცოცხლის ზღვარზე/ პანკი გოგო მიდის/ თოვს, მოყინულ ზღვარზე/ ვიღაც უზის ტირის/ და ქაოსით სასვე/ პანკი გოგო ტირის/ დრო მოითვლის ნაშებს/ გათენდება დილჩა და ის პანკი გოგო, მე ვიყავი — მიკა/ ვის მოეწონა ჩემი ლექსი? მიკა.

- ხალხო, მართალია, ცხოვრება ომიად, ამბობენ, მაგრამ ამ ომშიც არის ბედნიერებისა და უსაზღვრო სიყვარულის ნუთები. წინკვი გოგო.

- კაპელომ ლიგა რომ მოაგებინა „რეალს“, მამინ ხომ კარგი მწერტენელი იყო? :-)) სწუში, ჯიგარი ხარ, „სელტისკ“ კი მოეუგებთ, იასნია :-)) მაგრამ წელს მგონია, რომ „ლიონისაა“ თასი. ნინო-მილანი.

- წინა ნომერში, ვიღაც, ყველას ცირკთან გვეპატრონებოდა. ერთს ვეტყვი: ძვირფასო, მაგ ადგილში არ შეგეცოცხლებოთ, ისევ შენ იარე მანდა, არც გეზარება და არც არაფერი. ჩვენ აქ გვაცალე, რა!

- მეგონა, დაგივიწყე, მეგონა მხოლოდ. თურმე ისევ ისე მენატრები. თურმე ისევ მახსოვხარ. დაგელოდები, ნუთუ არ მოხვალ? ექვნი-ბა „ესემესას“.

- რა არის, ალექს, საერთოდ აღარ ამოდიხარ მარტყოფში. განა შენს სამშობლოს სჯობია რამე? შენ განუთქოვებელი ხარ! ლიკუნებო-20. მარი, ნომერი არავის მისცე, გთხოვ. გამალობოთ.

- მე შენს თვალებზე, როგორც ხატზე ვლოც-ულობ. და როგორც ხატს, შენს ტუჩებს ვეამბორები. მია.

- არა, ასე არ გამოვა, ტო! მე ნიკს ვიცვლი დღეიდან და „ციცქნა“ ვხდები. სახელს ვერ დაწერე, თორემ დიდი ამბავი მოხდება :) სხია, ნომერი არავის არ მისცე, ოკ? „ციცქნა“.

- ხატულია, ჩუ, რა! შენს თავს მიხედე, შენ ხომ არ დაგხარ ცირკთან შემთხვევით? ამდენ ხალხს ნუ შეურაცხყოფ! „ბოხო“, სადაური ხარ? „ციცქნა“.

- მოდი, გავიყოთ საბყრო: ცა — შენ, ღრუბლები — მე, მთვარე შენ, მზე კი მე, მოდი, ყველაფერი შენ, შენ კი — მე. ირაკლი, გახსოვს? „ციცქნა“.

- სულ ახალი ვარ მე „გზაში“ ბევრი არც ვინმე ვიცით/ სულ ერთი ციდა ყოფილხარ/ და საოცარი, „მის სიო“. მე გავლექსე შენი ნიცი. ცუდი? ორიგინალური ხარ. „ციცქნა“.

- თუ ცხოვრებაში არასოდეს არ არის გვიან, მაშ, მასატიე, თუკი აქამდე ვერ შევამჩნიე, რომ ჩემს ბილიკზე დაცოცავდა აჩრდილი შენი.

- მე მინდა გისურვო ოცნების ახდენა, რასაც გისურვებ, უთუოდ ახდება.

- მარი და თამარი, ეს თქვენი კვკლოა, რომელსაც ძალიან ენატრებით, ძალიან... მა-

გრამ რა ქნას? გეფერებით და გკონით ყვარლიდან. აიენში ყველა საყვარელ ხალხს მოვიკითხავ.

- „ცელუიო“, დიიიდი მადლობაააა! გაიხარე! კაკუ.

- აუ, ნეტავ მალე მოვიდეს ჩემი დაბადების დღე. მაგრამ მინდა, კაკუ.

- რა იქნება, უფრო ხშირად გამოდიოდეს ჩემი საყვარელი ჟურნალი „გზა“? კაკუ.

- თურმე სიყვარულს საოცარი ძალა ჰქონია, თუ ვინმე გიყვარს, ეს ქვეყანა შენი გგონია!!! კაკუ.

- „მესიჯომანია“ „პაემანს“ დემსგავსა. რა დემსგავსა ამ ხალხს? მიკვირს, ყველა ლამაზი და მწვანეთვალა მარიმ ერთად როგორ შეგკრიბათ? :) ჩემი აზრით, ლამაზებს არ სჭირდება თავის ქება ჟურნალში. და კიდევ, რომ წერო, ლამაზ, გამხდარ, ხუჭუჭა გოგოს ვეებ სამეგობროდო, ვერ გამოვიდა, თუ მართლა სულიერ მეგობარს ექებთ, გარეგნობას რა მნიშვნელობა აქვს? ზაზუნა-22.

- მარი, იქნებ შენ მიშვილო? გევედრები, გეშუდრები, დაქმნარე, რა იქნება? რაღაცას მოგიყვები და გევედრები, რამე მითხარი, ამის სენი, როგორ მოვიქცე, გთხოვ, მარი.

- მარი, აუუ... დღეს მეტროში ძაან „ტიპ-შა“ გოგო ვნახე. თმა ძაან მაგრად ჰქონდა, მაგრად „დამეფასა“. გრძელი, შავი, „ზანგური“ ნაწნავები... თან მაგარი „საკალელი“ იყო. შევეკითხე რაღაცები და საყვარლად მპასუხოვდა... აუ, არ ვიცი, მაგრად მინდა გავიცნო, მაგრამ როგორ? თეთრკანიანო ზანგო, მომეწონე!

- მოგატყუე და ამით დანიყო დასასრული, ახლა არადფერი აღარ შემოიღია. 3 თვეში სამდემოდამ ნახვალ! ვერ გაჩერებ, გთხოვ, რადგან ვიცი, არ დაბრუნდები. მამატიე, ირაკლი. „ციცქნა“.

- მინდა მომვარდე, ტანზე გამხადო/ ენა ამისვა და რომ მორჩები/ ისევ მოგიხდეს... შენი „სანტეს“ ნაყინი ;) ისა, იკა, არ დაიჯერო, რომ მიყვარხარ, გეკვიფები. ( „ციცქნა“.

- მარტომოინ, დაბადების დღე როდის გაქვს? არ მინდა, გამომჩქეს. თუ ვერ მოვიდე, მოგილოცავ მაინც :) თოჯინას კი ვეტყვი, რომ სამეგრელოდან ვარ. არა მგონია, მიცნობდეს. ბოხო.

- ერთი, ორი, სამეტი, შორიდან გესალმებით! აუ, ვგიჟდები აქაურობაზე. კაკუ, ძალიან კარგი ხარ. შენი არ იყოს, მეც მინდა „სტიქიას“ გაცნობა. გკონი, მარიკუნი. „მის სიო“.

- არ დაბეჭდათ. მაინტერესებს ნაზი გოგოს ტელეფონის ნომერი. არ ვიცი, საჭიროა თუ არა ჩემი: ვინ გამარჯობს?

- „სეკო რატიანოო... ახლა ლამის 2 საათია და მე მარის არ ვაძინებ მარტო იმიტომ, რომ გითხრა: ძალიან მენატრები... ჩემი ლურჯა ვირუკა ხარ შენ და მე კი შენი მაგდანა :)

- ვარ 38 წლის. პირად ცხოვრებაში არ გამიბართლა და მაინც მჯერა წრფელი სიყვარულის, მეგობრობის, სიკეთის და ადამიანების, იმიტომ, რომ მაგარი ვარ! გაიხარეთ. თბილისელი ნინო.

- მაგარი ხარ, „სტიქია“, მაგრად მომწონს შენი ლექსები, მაგრად რითმავე. შენი ფანი გვანს, 17 წლის.

- ჰა ჰა ჰა :) გაიხარე „ჩორტიონანეტი“, ერთ მესიჯოში ჩამოგვიყალიბე ქართული გოგოს (უმრავლესობის) სტერეოტიპი. რას იზამ, ვწავლობთ, როგორც შეგვიძლია :) ნინო-მილანი.

- მარი, მიყვარხარ! უმაგრესი ჟურნალისტი ხარ! კაკუ.

- ხუმრებათი მალე მოვა? უკვე აღარ შემოძლიააააააააა... კაკუ.

- „სტიქია“, შენ ხარ ვაჟთა მზე... მე..... მაგ თავზე :) კესოსაგან.

- პრივეტ, მარი, მიკვირს ამდენი გულგატეხილი როგორ შეყარე? ისე, მეც მათ სიაში ვარ! 25 წლის ბიჭი ვარ, შეყვარებული ორჯერ ვიყავი და ორივე გათხოვდა!

- ხუმრობად მივიღე შენი სიტყვები, „სტიქია“, შენგან არა მწყენია, შენი არ იყოს, ვირისგან ტლიხე, აბა, მითხარი, რა ხარყენია? ნენე.

- მარი პრივეტ. გთხოვ, დამიბეჭდე. ქუთაისში, ზუგდიდში და მთელ საქართველოში, ჩემო სიცოცხლე ხალხო, მიყვარხარო. ვინც მიცანიო, გამომეხსაურეთ „გზაში“. მარი სურმივა. გამალობოთ, მარი.

- ლამაზი. მჭირდება. 25 წლის. გეძახი. ხვალ. იმედი. ჭკვიანი. შენ. მე. ლიმილი. გრძობა. მოდი. ცხოვრება. თამუნა. სად? ლოდინი. ჩვენ. ვარ. ხარ. მიყვარ-ხარ! დუმილი. გიპოვ! თამარი.

- ნეტავ რას ან ვის ექებთ? აქ წესიერი არავინ იქნება. უბრალოდ, აქ ასე ერთობა ქართველი ახალგაზრდობა. ისე, პირველი მესიჯოს ავტორმა, „თოჯინამ“ დამაინტერესა. თუ გინდა, შემეხმინე. ალბათ გავუგებთ ერთმანეთს. დათო.

- გამარჯობა, მესიჯომანებო! კაკუ.

- მინდა გისურვო ოცნების ახდენა/ რასაც გისურვებ, უთუოდ ახდება/ არ გაიკვიროვო, საიდან რა სხება/ ლამაზი ოცნება უთუოდ ახდება. კაკუ.

- არ მინდა სკოლაში წასვლააააააა. მიყვარს ყვა, მიყვარს რძე, მიყვარს „გზა“ და ვეღარ დავამთავრე. „მის სიო“. გაკოცევეთ.

- მარი, უამრავმა მანდილოსანმა დამირეკა და ყველა მთხოვს ოჯახის შექმნას. მე კი სამეგობროდ მინდა გავიცნო ქალბატონი და ანსოლუტური ურთიერთგაგების შემთხვევაში დავეკონინდები.

- იმისათვის, რომ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობა ავირდიოთ, ყველაფერს ბედს ვაბრალდებთ.

- „დეეპ პურპლ“, „ლედ ზეპელინი“, „პინკ ფლოიდ“, „ბლეი საბბათი“, „დოროს“, „ჯანის ჯოპლინი“, „ჯემი ჰენდრიკსი... ყველა, ვინც კარგ მუსიკას უსმენს, გაიხარევეთ!“ კვინტილა-19.

- ერთი საწყალი ბიჭი ვარ, კვირიასავით ობოლა, არც დედა მყავდა პრინცესა, არც მამის მამა, ბობობა. ფშაველი.

- უსიყვარულოდ რაა ქვეყანა? და რანი ვართ ჩვენ? კაკუ.

- მე მინდა ვიყო პატარა ცრემლი/ რომ შენს თვალებზე ნაზად ვიარო/ და რაც დარდი გაქვს და მწუხარება/ მეც შენთან ერთად გავიზიარო/

- ახმეველო გიო, შენ ძალიან კარგი პიროვნება ხარ. ნამდვილად იმსახურებ დიდ სიყვარულს და ბედნიერებას. გული არ გაიტეხო, ცხოვრება წინ გაქვს. ღმერთი გფარავდეს. ნანაკო.

- ლექსს მეც ამოუთქვამ, ოხერსა, თორემ დავრჩი რა ცალადა/ ნებით არავინ მომიყვება, იქნებ მომგვართო ძალადა/ ფშაველი.

- არც ყურბანი ვარ, ვერ შემწვდე/ არც დაუპყრობი მწვერვალი/ მე კაკუ, ერთი ბიჭი ვარ/ უბრალო, ქუჩის მწერალი/ „სტიქია“.

- ის 2 ლექსი ნენეზე, ჩემი სახელით წერია/ ასეთი ლექსი, უნიჭო, არასდროს დამინერია/ სად ინტელექტი, სად — ცქერა, ჩემს ნიკს კი ვიღაც ეძგერა/ „სტიქია“.

- გოგო ზრდილი, ტაქტიანი, მომიკითხა, დამაფასა/ მინდა ყველამ გაიგოს, რომ ჯიგარია „მის კაპასა“/ „სტიქია“.

- განა ასე მახინჯია, გვირილები ამ მდელოსი/ მთავარია, მის არსს ჩასწვდეს, ჩვენი ტურფა ანგელოზი/ „სტიქია“.

- მინდა მივმართო, რი-ს, ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწე, თუ შენი საკუთარი თავის არ გჯერა. პატარა გოგო.

- ცხოვრებაში ალბათ რაღაც შემეშალა. შენთვის ჩემი არსებობა დამენანა/ გამასხენდა უჩემობა როგორ გიჭიხრს და თამაშობ ამ სიყალბეს დიდი ნიჭით/

- შენ უჩემობა გაგიჭირდება, ფიქრს გადაუჭრი გზას უეჭველად/ დაგესიზმრება ზმანება, ვნება და ბედნიერი იქნები ჩუმად/ შენ ეს სიჩუმე უფრო განაძეგს. მალე. აჭარა.

- მარი, „პრივეტ“, აუ, საგარეგოში რა ამ-



ბავია? ხი... ხი... ნეტავ, ირაკლისთან რა ხდე-  
ბა? ანგელოზო, საგარეჯოში მესამე სკოლა-  
ცა. გაკოცე ლამაზ ტუჩებზე. თოჯინა-ციცქ-  
ნა.

• მე ვარ მალუ. ძალიან მინდა, ისევ მოგი-  
პოვო. შორს იყავი ჩემგან და მაინც ჩემად  
გთვლიდი, როდესაც გიხილე ჩემგან შორს ხარ  
და რატომ? მიზეზი არ არსებობს. აჭარა. ხალა.  
მალუ.

• ნუთუ დამთავრდა, ნუთუ დასრულდა,  
ქვეყნიერების ვარდობის ჟამი/ ნუთუ იმდენი  
დაგროვდა შხამი, რომ სიყვარული იქცა აბ-  
სურდად?

• ერთ კაცზე 5 ქალი მოდისო, ამბობენ.  
ჰოდა, გოგონების შესახებ რა გვაქვს? ბიჭ-  
ბო, თავი დავიფასოთ! სტრონგმენი.

• მარი, მსოფლიოში უმაგრესი და უჯი-  
გრესი მეორე სვანი ხარ. აბა, პირველი მე ვარ  
და... არააა, განდიდების მანია კი არ მჭირს,  
უბრალოდ, ისეთი საყვარელი ვააარ!

• რას შექამეთ, ეს „სტიქია“? რას ცდილობთ,  
ვერ ვხვდებით. თქვენ უბრალოდ, შური და ბოლმა  
გამომრავებთ, რადგან ის იოლად შეამჩნია  
ხალხმა. სარკე თუ არ გაქვთ, უნიტაზში მაინც  
ჩაიხედეთ. ვააა... თუ სიმართლე გინდათ,  
სწორედ ლექსების გამო ვკითხვობ ამ რუ-  
ბრიკას, თორემ ვინ რამდენი სანტიმეტრისაა  
და ვის როგორი ქორორი აქვს, სულ არ მაინ-  
ტერესებს. „ანარქია“.

• მარი, ახლა გზის საყიდლად მივდივარ  
და ჩემი მესიჯი თუ ვერ აღმოვაჩინებ... გოცინი.  
• ქალუ, ჩემს მესიჯებს „გზავნილებში“ მი-  
უჩინე ადგილი, თორემ, თუ დაგიბადებდევ...  
შეყვარებული მინდა, მაგრამ ყველას ეშინია  
ჩემი. ნეტავ, რატომ? ალბათ სახელი აშინებთ.  
ონავარი გოგო.

• ჩემო უსყვარლესო ჟურნალისტო, მარი  
ჯაფარიძე, დიდი მადლობა ჩემი გახარები-  
სთვის, რომ ასე სწრაფად დამაკავშირე დაკარ-  
გულ მეგობარს. მოუთმენლად ველოდი ახალი  
ჟურნალის გამოსვლას. მანამდე კი ნინო ნიქა-  
ბაძე დამიკავშირდა. ვერ წარმოიდგენთ, რა  
ბედნიერი ვარ. მადონა.

• მინდა ჩემს დაქალს, ნინოს ბოდში მო-  
ვუსხადო, რადგან მისი რვეული დაუკითხავად  
წავიკითხე და მოვატყუე, არ წამიკითხავს-მეთ-  
ქი. ნინო ამირიძე, შაბატი.

• „ქანთარე“, გახსოვს, პირველად რომ  
დამირეკე? რაღაც სისულელეებს მეჩურჩულე-  
ბოდი და მეც გისმენდი. სწორედ ამ სისულე-  
ლეების ჩურჩულს ჰქვია სასწაული. კარგად  
მახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა. ვანობ, რომ  
იმ დღემ ჩვეულებრივად ჩაიარა და მერე გავ-  
იგე, რომ თურმე გინდოდა, ლამაზად ჩაველო.

• გოგონებო, ფრთხილად იყავით. თუ ვინ-  
მემ დაგიმესიჯათ, გიორგი მკვირა, 36 წლის  
ვარ, თბილისელი, ჭაღარა, მოკლედ შეჭრილი  
თმით, ბიზნესმენი, არ დაუჯეროთ. დიდი  
მატყუარაა და დემოზიტზე ნადირობს.  
ექსტრემი.

• მარი, ახლა გზის საყიდლად მივდივარ  
და ჩემი მესიჯი თუ ვერ აღმოვაჩინებ... გოცინი.  
• ქალუ, ჩემს მესიჯებს „გზავნილებში“ მი-  
უჩინე ადგილი, თორემ, თუ დაგიბადებდევ...  
შეყვარებული მინდა, მაგრამ ყველას ეშინია  
ჩემი. ნეტავ, რატომ? ალბათ სახელი აშინებთ.  
ონავარი გოგო.

• ჩემო უსყვარლესო ჟურნალისტო, მარი  
ჯაფარიძე, დიდი მადლობა ჩემი გახარები-  
სთვის, რომ ასე სწრაფად დამაკავშირე დაკარ-  
გულ მეგობარს. მოუთმენლად ველოდი ახალი  
ჟურნალის გამოსვლას. მანამდე კი ნინო ნიქა-  
ბაძე დამიკავშირდა. ვერ წარმოიდგენთ, რა  
ბედნიერი ვარ. მადონა.

• მინდა ჩემს დაქალს, ნინოს ბოდში მო-  
ვუსხადო, რადგან მისი რვეული დაუკითხავად  
წავიკითხე და მოვატყუე, არ წამიკითხავს-მეთ-  
ქი. ნინო ამირიძე, შაბატი.

• „ქანთარე“, გახსოვს, პირველად რომ  
დამირეკე? რაღაც სისულელეებს მეჩურჩულე-  
ბოდი და მეც გისმენდი. სწორედ ამ სისულე-  
ლეების ჩურჩულს ჰქვია სასწაული. კარგად  
მახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა. ვანობ, რომ  
იმ დღემ ჩვეულებრივად ჩაიარა და მერე გავ-  
იგე, რომ თურმე გინდოდა, ლამაზად ჩაველო.

• გოგონებო, ფრთხილად იყავით. თუ ვინ-  
მემ დაგიმესიჯათ, გიორგი მკვირა, 36 წლის  
ვარ, თბილისელი, ჭაღარა, მოკლედ შეჭრილი  
თმით, ბიზნესმენი, არ დაუჯეროთ. დიდი  
მატყუარაა და დემოზიტზე ნადირობს.  
ექსტრემი.

• მარი, ახლა გზის საყიდლად მივდივარ  
და ჩემი მესიჯი თუ ვერ აღმოვაჩინებ... გოცინი.  
• ქალუ, ჩემს მესიჯებს „გზავნილებში“ მი-  
უჩინე ადგილი, თორემ, თუ დაგიბადებდევ...  
შეყვარებული მინდა, მაგრამ ყველას ეშინია  
ჩემი. ნეტავ, რატომ? ალბათ სახელი აშინებთ.  
ონავარი გოგო.

• ჩემო უსყვარლესო ჟურნალისტო, მარი  
ჯაფარიძე, დიდი მადლობა ჩემი გახარები-  
სთვის, რომ ასე სწრაფად დამაკავშირე დაკარ-  
გულ მეგობარს. მოუთმენლად ველოდი ახალი  
ჟურნალის გამოსვლას. მანამდე კი ნინო ნიქა-  
ბაძე დამიკავშირდა. ვერ წარმოიდგენთ, რა  
ბედნიერი ვარ. მადონა.

• მინდა ჩემს დაქალს, ნინოს ბოდში მო-  
ვუსხადო, რადგან მისი რვეული დაუკითხავად  
წავიკითხე და მოვატყუე, არ წამიკითხავს-მეთ-  
ქი. ნინო ამირიძე, შაბატი.

• „ქანთარე“, გახსოვს, პირველად რომ  
დამირეკე? რაღაც სისულელეებს მეჩურჩულე-  
ბოდი და მეც გისმენდი. სწორედ ამ სისულე-  
ლეების ჩურჩულს ჰქვია სასწაული. კარგად  
მახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა. ვანობ, რომ  
იმ დღემ ჩვეულებრივად ჩაიარა და მერე გავ-  
იგე, რომ თურმე გინდოდა, ლამაზად ჩაველო.

• გოგონებო, ფრთხილად იყავით. თუ ვინ-  
მემ დაგიმესიჯათ, გიორგი მკვირა, 36 წლის  
ვარ, თბილისელი, ჭაღარა, მოკლედ შეჭრილი  
თმით, ბიზნესმენი, არ დაუჯეროთ. დიდი  
მატყუარაა და დემოზიტზე ნადირობს.  
ექსტრემი.

• მარი, ახლა გზის საყიდლად მივდივარ  
და ჩემი მესიჯი თუ ვერ აღმოვაჩინებ... გოცინი.  
• ქალუ, ჩემს მესიჯებს „გზავნილებში“ მი-  
უჩინე ადგილი, თორემ, თუ დაგიბადებდევ...  
შეყვარებული მინდა, მაგრამ ყველას ეშინია  
ჩემი. ნეტავ, რატომ? ალბათ სახელი აშინებთ.  
ონავარი გოგო.

• ჩემო უსყვარლესო ჟურნალისტო, მარი  
ჯაფარიძე, დიდი მადლობა ჩემი გახარები-  
სთვის, რომ ასე სწრაფად დამაკავშირე დაკარ-  
გულ მეგობარს. მოუთმენლად ველოდი ახალი  
ჟურნალის გამოსვლას. მანამდე კი ნინო ნიქა-  
ბაძე დამიკავშირდა. ვერ წარმოიდგენთ, რა  
ბედნიერი ვარ. მადონა.

• მინდა ჩემს დაქალს, ნინოს ბოდში მო-  
ვუსხადო, რადგან მისი რვეული დაუკითხავად  
წავიკითხე და მოვატყუე, არ წამიკითხავს-მეთ-  
ქი. ნინო ამირიძე, შაბატი.

• „ქანთარე“, გახსოვს, პირველად რომ  
დამირეკე? რაღაც სისულელეებს მეჩურჩულე-  
ბოდი და მეც გისმენდი. სწორედ ამ სისულე-  
ლეების ჩურჩულს ჰქვია სასწაული. კარგად  
მახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა. ვანობ, რომ  
იმ დღემ ჩვეულებრივად ჩაიარა და მერე გავ-  
იგე, რომ თურმე გინდოდა, ლამაზად ჩაველო.

წარმოიდგენ, როგორ მინდა მოგვეფრო.

• მე მჯერა... მჯერა, ზოგჯერ თვალბეს  
ცრემლები გვინის. თუ ცხოვრებაში არასოდეს  
არ არის გვიან, გთხოვ მაპატიო, სიბრძნე  
ჩემი! მიყვარხარ, შენი ბაჯაჯუნა. მპუა.

• მინდა ჩემს სიცოცხლეს ვუთხრა, რომ  
ძალიან, ძალიან მიყვარს და მის გარეშე სიც-  
ოცხლეს ვერ შევძლებ. ზური, ჩემი ცხოვრების  
აზრი ხარ. ენესაგან.

• იცი, მარი, ვინ მიყვარს სიცოცხლეზე  
მეტადაც კი? ბესო ოზურთუმაშვილი. მიყვარხ-  
არ, ბესო და არასოდეს დაგივიწყებ, ჭეშმარი-  
ტი სიყვარული რომ მაჩუქე. ინდირა.

• ნუკრი გეორგიძე, მე ისევ ძალიან მიყ-  
ვარხარ და გელოდები. ნუკ, მენატრები. ოლონდ,  
თავისუფალი იყავი. მეტი არაფერი მინდა. გოც-  
ინი. მტირალა ანუკი.

• რომ შემეძლოს იმ სიზმრის ყიდვა,  
რომელშიც შენ გნახავ ყოველდღე, ვიყიდდი.  
ახლოს არ მყავხარ ბესო და სიზმარში მაინც  
მოგვეფრო. მენატრები, სიხარულო. ინდირა.

• გრძობა ნამებო ქრება, ჩვენ კი ამ ნამ-  
ში უნდა მოვასწროთ მისი შეგრძობა. ჩემი  
ბედნიერება დროებით შეწყდა, მაგრამ აუცი-  
ლებლად გაგრძელდება. ბესო, მიყვარხარ.

• მირიან ჯემუროვი, სიცოცხლეზე მეტად  
მიყვარხარ, ჩემი ცხოვრება ხარ, სიგიჟემდე  
მენატრები, სიხარულოო, „მიკაქალ“,  
მინოოოოოო.

• რუსთაველი ლამაზთვალეა ქეთი,  
სიგიჟემდე მიყვარხარ. ვიცი, შენი მწვანე თვალები  
სულ სხვას შესცქერის, მაგრამ იმ „სხვამ“  
არც კი იცი შენი ფასი. არა, მოგიტაცებ,  
რა...

• მიყვარხარ, მიყვარხარ, არ მიხარა არა.  
შენი სიყვარული დამტანჯავს მარად/ შენ რომ  
გიყვარდე, ჩემო სიცოცხლე, მე დაგიტომბდი  
მთელ ჩემს სიცოცხლეს/ ლამაზ ხურციძე, მიყ-  
ვარხარ.

• „ქანთარე“! მე შენ მიყვარხარ, ისე,  
როგორც ყავას უყვარს ლემი, მე შენ მიყვარხ-  
არ, ისე, როგორც ვამპირს უყვარს ფიქრი სიბ-  
ნელეში, მე შენ მიყვარხარ ისე, როგორც ნად-  
ირობა მგლების ხროვას და მე შენ მიყვარხარ  
ისევე ისე, შენ თუ გახსოვრ? „ანარქია“.

• მარი, გაა მომიკითხე ნორიოში. გაა, მიყ-  
ვარხარ. თუა.

• არ იტირო, უბრალოდ შეხედე ცას და  
დამიხასოვრე: ვილაცას სადღაც უყვარხარ! მიყ-  
ვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ, ბესო, სიც-  
ოცხლეზე მეტადაც კი. ინდირა.

• კობა ბაძალა, მენატრები. თამუნა.

• ვერ დაგივიწყებ, რადგან მე შენში უკვე  
ვიპოვე მარადისობა. მე უშენოა არ შემოი-  
ძლია, როგორც მთაწმინდას — უთბილისო-  
ბა! ბანდურა, მიყვარხარ და მენატრები. ბაჯა-  
ჯუნა.

• დამიბეჭდე, გვედრები. გორში, ნინომ-  
ვილზე მცხოვრებ ხაჩიძე მაკას მინდა ვუთხრა,  
რომ ძალიან მიყვარს. გამაგიჟა შენმა თვალბემა.  
უშენოდ თავს მოვიკლავ. გოც.

• თვალბემა ისე არავის ჩაეხედავ, რომ  
შიგ შენი სახე არ დავინახო. ყურადღებას ისე  
არავის მივაპყრობ, რომ შენი ჩრდილი არ  
დავინახო. გიო, ვერ გივიწყებ, მიყვარხარ.

• მარი, „პრივეტ“. მირზა არაბულს მინდა  
ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს. მას კი ჰგონია,  
რომ მეგობრები ვართ. საგარეუოელი გიო  
ჯაბნიაშვილი კი მაგარი ნადირალაა. თეო-თეო-  
17.

დედის დღეს და 8 მარტს! ამქვეყნად ყველაზე  
კარგი და საყვარელი დედიკო ხარ. ძალიან  
გიყვარხარ. შენი თაზო და თეონა.

• ჩემს დიკოს, ნანას ვულოცავ 8 მარტს.  
გოცინი. ვიცი, აუცილებლად წაიკითხავ. მაი-  
კო შ.

• მინდა, ქალთა დღე, 8 მარტი მივულოცო  
თინათინს, თამუნასა და თეკლას. ასევე ყველა  
ქალს. ჯარისკაცი.

• ქალთა დღეს ვულოცავ თბილისში, ნინო  
ოზურთუმაშვილს და მის დედიკოს. სულ გახ-  
არებულები მენახეთ და მრავალ 8 მარტს  
დასწრებოდეთ. ინდირა.

• ერთ ბრანიან ბიჭს 10 მარტს დაბადების  
დღე აქვს. გილოცავ, ჩემო ძვირფასო და ყოვე-  
ლივე საუკეთესოს გისურვებ. უზომოდ მიყ-  
ვარხარ და მენატრები. შენი ჯიუტი გოგო.

• ანა ლენიაშვილი! საყვარელი, გილოცავ  
ქალთა დღეს! გისურვებ ჯანმრთელობას, ბედ-  
ნიერებას, უღვე სიხარულს და სიყვარულს შენს  
ლამაზ ნინო და გიორგისთან ერთად. გოცინი,  
დათო.

• ნანა ხაჩიშვილს ვულოცავ 8 მარტს. ვუ-  
სურვებ უღვე სიხარულს.

• ღირსეული მანდილოსნებო, გილოცავთ  
8 მარტს. დიდი მატყუარა.

• ფატი და მაია კობახიძეები, ნინო და  
ირინა დეკანოსიძეები, ესენი ჩვენი მამიდები  
და დეიდები არიან. ოთხივე ძალიან გვიყვარს  
და ოთხივეს ვულოცავთ 8 მარტს.

• შენ მე ამ გულში ტაძარს აგიგებ/ შენზე  
ვილოცებ, საინფორმაციო/ თინათინო შორე-  
ნი, შენი თამაშებით ყველა ქალს ვულოცავ 8  
მარტს. მაგრად მენატრები. რონი.

• 3 და 8 მარტს ვულოცავ ყველა ქალს და  
დედას. განსჯობებით კი, ჩემს დედიკოს, თი-  
ნიკო შიოშვილს.



• ვეძებ ანრის, რომელიც ქობულეთში, პლა-  
ჟზე გაეცინა, სასტუმრო „მესხეთის“ წინ. ანრი,  
„გზავნილების“ საშუალებით ერთხელ უკვე მოგ-  
მართე, მაგრამ ვერ დამიკავშირდი. ანრი,  
ძალიან გთხოვ, თუ წაიკითხავ, გამოემხაურე.  
ვიცი, გახსოვარ. მართალია, 1 დღე ვიყავი  
ერთად, მაგრამ ვერ გივიწყებ. ჩემს ნომერს  
მარი მოგცემს. ლიზი.

• მარი, გთხოვ, ეს მესიჯი უახლოეს ნო-  
მერში დამიბეჭდე, ძალიან გთხოვ. ვეძებ გიორ-  
გი ჯაფარიძეს, 36 წლის, ღია ფერის თვალებით.  
ჰყავს ერთი და და ძმა. თუ ვინმეს გეცნობ,  
გთხოვთ დამიკავშირდეთ. გიორგი ჯაფარიძე,  
ნეტავ ვიცოდე, სად უნდა ვეძებო. იცი? მე შენ  
ყოველთვის მიყვარდი. ახლაც მიყვარხარ და  
მენატრები. მონასტერში მართლა ნახედი? ხომ  
არ დავევიანე?

• მარი გთხოვ, დამიბეჭდე. მინდა ხმა  
მივანვინო კობა ელიავას. შენს შვილს სჭირდ-  
ები. უნდა, რომ გაგიცნოს. შენს სურათს ეფ-  
ერება, ამბობს, მალე მოვაო. 4 წლისაა ჯერ  
და უკვე გნატრობს. ნუ გაანადგურებ, მისი  
ბრალი არაფერია. მარიკა.

• ვეძებ ხონში მცხოვრებ დებს, დიანა და  
ლიკა ახობაძეებს. გოგონებო, მაგრად მენატრ-  
ებით. თქვენი მეზობელი, წყალტუბოდან. მანანა.

• ვეძებ ხონში მცხოვრებ დებს, დიანა და  
ლიკა ახობაძეებს. გოგონებო, მაგრად მენატრ-  
ებით. თქვენი მეზობელი, წყალტუბოდან. მანანა.

• ვეძებ ხონში მცხოვრებ დებს, დიანა და  
ლიკა ახობაძეებს. გოგონებო, მაგრად მენატრ-  
ებით. თქვენი მეზობელი, წყალტუბოდან. მანანა.

• ვეძებ ხონში მცხოვრებ დებს, დიანა და  
ლიკა ახობაძეებს. გოგონებო, მაგრად მენატრ-  
ებით. თქვენი მეზობელი, წყალტუბოდან. მანანა.

• ვეძებ ხონში მცხოვრებ დებს, დიანა და  
ლიკა ახობაძეებს. გოგონებო, მაგრად მენატრ-  
ებით. თქვენი მეზობელი, წყალტუბოდან. მანანა.

• ვეძებ ხონში მცხოვრებ დებს, დიანა და  
ლიკა ახობაძეებს. გოგონებო, მაგრად მენატრ-  
ებით. თქვენი მეზობელი, წყალტუბოდან. მანანა.

• ვეძებ ხონში მცხოვრებ დებს, დიანა და  
ლიკა ახობაძეებს. გოგონებო, მაგრად მენატრ-  
ებით. თქვენი მეზობელი, წყალტუბოდან. მანანა.

• ვეძებ ხონში მცხოვრებ დებს, დიანა და  
ლიკა ახობაძეებს. გოგონებო, მაგრად მენატრ-  
ებით. თქვენი მეზობელი, წყალტუბოდან. მანანა.

• ვეძებ ხონში მცხოვრებ დებს, დიანა და  
ლიკა ახობაძეებს. გოგონებო, მაგრად მენატრ-  
ებით. თქვენი მეზობელი, წყალტუბოდან. მანანა.



სოფო ჭონიძე

ქალბატონო ნუცა, „ევროვიზის“ კონკურსზე გასამგზავრებლად, სოფოსთან ერთად კანდიდატები კიდევ ვინ იყვნენ?

როგორ იცით, ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვა, რომელსაც უნდა გამოეველინა, თუ ვის უნდა წარმოედგინა წელს პირველად საქართველო „ევროვიზის“ კონკურსზე. სულ 600-მდე რესპონდენტი გამოიკითხა. ამის შედეგად, 10 მომღერალი დასახელდა და მათ შორის, ყველაზე მეტი ხმა სოფო ხალვაშმა მიიღო.

ვინ იყვნენ ის მომღერლები? — ანრი ჯოსაძე, ქრისტინე იმედაძე, ნინი ბადურაშვილი, ნინი შერმადინი, თამთა გოგუაძე და კიდევ სხვები.

როგორ შეარჩიეთ ის 5 სიმღერა, რომელიც სოფომ „ევროვიზის“ შიდა, შესარჩევი კონკურსის კონცერტზე ფილარმონიაში იმღერა?

კონკურსი გამოვაცხადეთ, ყველა მსურველს შეეძლო, თავისი სიმღერა შემოეთავაზებინა. მთავარი კრიტერიუმი ის იყო, რომ ეს სიმღერა კონკურსზე პირველად გაუღერებულყო. 30-ზე მეტი სიმღერა მოვიდა, მათ შორის, უცხოეთიდან გამოგზავნილებიც იყო. ბოლოს კი არჩევანი იმ 5 სიმღერაზე შევაჩერეთ, რომლებიც საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია. „ევროვიზის“ წესების თანახმად, სიმღერა აუცილებლად 3-ნუთიანი, ხალხურ მოტივებზე აგებული, მაჟორული განწყობილების უნდა იყოს და მისი შესრულებისას, ყოველგვარი „ბექი“ გამოირიცხება. სცენაზე, სოლისტიანად, მაქსიმუმ 5 კაცი უნდა იდგეს. სიმღერა აუცილებლად მშობლიურ ან ინგლისურ ენაზე უნდა შესრულდეს.

თუ იცნობთ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს — სოფოს კონკურენტებს?

როგორც ჩემთვის ცნობილია, რუსეთს ძალზე ძლიერი კონკურსანტი ჰყავს. ამის შესახებ ირაკლი ფირცხალავა ტელეფონით მესაუბრა. ცოტა არ იყოს, შევშინდი.

რომელ ადგილზე გასვლას ვარაუდობთ?

როგორც ცნობილია, 12 მაისს, „ევროვიზის“ კონკურსზე საქართველოს მომღერალი სოფო ხალვაში წარმოადგენს. „ევროვიზია“ წელს ორმოცდამეთორმეტედ ტარდება და მასში, 42 ქვეყანას შორის საქართველო პირველად მიიღებს მონაწილეობას. ამ კონკურსს წელს ფინეთის დედაქალაქი, ჰელსინკი უმასპინძლებს. სოფო ხალვაში ქართველი გულშემმატკივრების მიერ შერჩეული სიმღერით ჰელსინკში, ჰატვორდის სცენაზე, 12-ათასიანი აუდიტორიის წინაშე წარდგება. „ევროვიზიას“ მსოფლიო მასშტაბით 100 მილიონზე მეტი მაყურებელი ჰყავს. ამ კონკურსის ექსკლუზიური ჩვენების უფლება საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მიიპოვა. გადაცემა ტრადიციულად, „ევროვიზის“ სატელევიზიო ქსელის მეშვეობით პირდაპირ ეთერში გადაიცემა.

ქართველ ტელემაყურებელს საშუალება ჰქონდა, 3 მარტს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული სიმღერების შესარჩევი საკონკურსო კონცერტისთვის პირდაპირ ეთერში ედევნებინა თვალყური. უფრო დაწვრილებით „ევროვიზის“ კონკურსის შესახებ კონკურსანტის მუსიკალური პროდიუსერი, ნუსტა ჯანაილიძე მოგვითხრობს:

# ხისი შეეშინდა იხაკრი ფიხცხაღაცასთან საყბხის მემდეგ ნყცა ჯანელიძეს

— ათეულში მინც თუ მოვხვდით, ეს უკვე დიდი წარმატება იქნება. ამ კონკურსში, საკმაოდ გამოცდილი ქვეყნები მონაწილეობენ. ჩვენთვის ეს პირველი ნაბიჯია. ვნახოთ, რა იქნება.

— როგორც ვიცო, საქართველოდან ხმის მიცემა აკრძალულია.

— დიას. ამ კონკურსზე ასე ხდება — ხმას სხვა ქვეყნები აძლევენ. იმედი მაქვს, რომ ჩვენი მეგობარი ქვეყნები გვერდით დაგვიდგებიან.


— თავად სოფო როგორაა განწყობილი?

— სოფო არაჩვეულებრივი გოგონაა. დიდი სურვილი აქვს, რომ გაიმარჯვოს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან იღლება, არასოდეს წუნუნებს. ენერგიული და შემართულია. ამ კონკურსისთვის მან ცეკვაც კი ისწავლა. იქ ხომ მარტო ვოკალური მონაცემები არ სჭირდებათ — სიმღერის შესრულებისას, შოუს ელემენტებიც უნდა იყოს გამოყენებული.

— თუ იცით, გამარჯვებულისთვის რა პრიზა დაწესებულია?

— ჯერჯერობით, ამის შესახებ არაფერი ვიცი. ყველაზე დიდი პრიზი ჩვენთვის, სოფოს ათეულში მოხვედრა იქნება.

P.S. 3 მარტს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სოფო ხალვაშმა 5 სიმღერა შესარულა: ბექა ჯაფარიძის — „ჩემი ამბავი“, ოთარ ტატიშვილის — „მითხარი რატომ“, მიხეილ მდინარაძის — „თავისუფლება“, ლილიკო ნემსაძის — „აჭარულ მოტივებზე“ და ზურაბ მახნიაშვილის — „ოცნების ქალაქი“. საქართველოს მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა, ამ 5-დან მის მიერ მოწონებული სიმღერისთვის მიეცა ხმა. კონკურსის შედეგად, ბექა ჯაფარიძის „ჩემი ამბავი“ შეირჩა. სიმღერაზე კლიპის გადასაღებად, რეჟისორს ამერიკიდან მოვიწვევთ. კლიპი ძალიან ძვირად ღირებული იქნება. სოფოს იმიჯზე, ამ კონკურსზე, იმიჯმეიკერი — ირაკლი ნადარეიშვილი იზრუნებს.



მოქედვად იმსა, რომ ძალიან იღლება, არასოდეს წუნუნებს ენერგიული და შემართულია. ამ კონკურსისთვის მან ცეკვაც კი ისწავლა

# სხვადასხვა კომპოზიციის სიმფონიის მოტივებზე შესრულებული უცნაური ნახატები

6 მარტს, თბილისის სამხატვრო აკადემიის დიდ დარბაზში ამავე ინსტიტუტის სტუდენტების საკმაოდ საინტერესო და უცნაური გამოფენა მოეწყო, რომელსაც „გია ყანჭელის მეოთხე სიმფონია — მიქელანჯელოს ხსოვნას“ ერქვა. შესაბამისად, თითოეული სტუდენტის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები გია ყანჭელისა და სხვა ცნობილი კომპოზიტორების სიმფონიების ფონზე იყო შესრულებული. ამ უცნაური გამოფენის სანახავედ დარბაზში უამრავი ადამიანი შეიკრება, რომლებიც აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ახალგაზრდა მხატვრებს ერთი და იგივე კომპოზიციური აბსოლუტურად სხვადასხვა ფერებში ჰყავდათ წარმოდგენილი, თუმცა, გია ყანჭელის მეოთხე სიმფონიის მიხედვით შესრულებული ნახატები ძირითადად, მხიარული ფერებით გამოირჩეოდა. სურათების უმრავლესობა აბსტრაქტული ხასიათის იყო, თუმცა მასში რეალიზმიც ერა: მიქელანჯელოს ხელები, სხვადასხვა დასაკრავი ინსტრუმენტები და ა.შ. ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ აბსტრაქტულ ნამუშევრებში მხატვრის მიერ ჩაფიქრებული სახეები უნდა ამოგეცნოთ და დამთვალეირებლები დიდი ძალისხმევით ცდილობდნენ ამას, თან, ამა თუ იმ სურათზე ერთმანეთს საკუთარ აზრს უზიარებდნენ. თავდაპირველად, გამოფენის იდეის ავტორსა და ორგანიზატორს, ქალბატონ იან მსპანჯიას გავესაუბრეთ.




## ნათია ქვიციანი

— მე ვასწავლი საგანს — მუსიკისა და მხატვრობის კავშირები ანუ ხელოვნების სინთეზი. ამ გამოფენაში ის სტუდენტები მონაწილეობენ, რომლებმაც ეს საგანი გაიარეს. მათი ძირითადი ამოცანა ის იყო, რომ ნახატები გია ყანჭელის მეოთხე სიმფონიაზე შეექმნათ. ამ ყველაფერმა გაამართლა. ბავშვებმა აღნიშნეს, რომ მუსიკის ფონზე შექმნილი ნახატები განსაკუთრებული ემოციურობითა და ენერგეტიკით გამოირჩევა. ძალზე კმაყოფილი ვარ მათი შემოქმედებით.

— გამოფენის თემად მაინცდამაინც გია ყანჭელი რატომ შეარჩიეთ?

— ჩემი აზრით, ბატონი გია თანამედროვე, აღიარებული და ყველასთვის საყვარელი კომპოზიტორია. ამასთანავე, მას



აქვს მიქელანჯელოს ხსოვნისადმი მიძღვნილი სიმფონია, ამით კი, თითქოს კონტაქტი დამყარდა მხატვრებსა და კომპოზიტორებს შორის. როგორც შენიშნეთ, გამოფენაში ძირითადად, აბსტრაქტული ნახატებია და სწორედ ეს არის ძალზე საინტერესო. დღევანდელ დღეს, როცა ჩვენი ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი საკმაოდ უგემოვნო და მდაბიო მუსიკით არის გატაცებული, აქ გამოფენილი ნახატების ავტორებს ეს კლასიკური მუსიკა მოსწონთ და ამ კომპოზიტორების ეს-მით. მათ განვითარებული აქვთ ესთეტიკური გემოვნება...

გამოფენის რამდენჯერმე დათვალიერების შემდეგ, ყველაზე მრავალფეროვნად და საინტერესოდ მესუთე კურსის სტუდენტის, **სარამო ხარაბაშვილის** შემოქმედება მომეწონა და მასთან გასაუბრება გადავწყვიტე.

— რამდენად ადვილი ან რთული იყო სხვადასხვა კომპოზიციის სიმფონიების თანხლებით ნახატების შესრულება და წინასწარ თუ გქონდა გათვალისწინებული, რას დახატავდი?

— რა თქმა უნდა, წინასწარ მქონდა გააზრებული თუ ამ ნამუშევრებს როგორ და რა ფერებში დავხატავდი. მაგალითად, დებიუსის სიმფონიაზე შექმნილი ნამუშევარი უფრო იმპრესიონისტურია. ამ ნახატში ღამის ფერები მაქვს გამოყენებული ანუ მუქი ლურჯი და შავი, ხოლო მოყვითალო ფერი, მთვარის ფერს ნიშნავს. რაც შეეხება ბეთჰოვენს, ეს კომპოზიციური მისი ტრაგიკული ცხოვრებიდან გამომდინარე, შავ-თეთრ, გრაფიკულ ფერებში დავინახე... ყანჭელის მელოდია ნელია, მაგრამ უცებ, რაღაც მოვარდებდა. ასეა ჩემს ნამუშევარშიც — ღია ფერის ფონი მაქვს გაკეთებული და უცებ, ზემოდან რაღაც ეშვება. იქვე დავხატე საათი — დროის მანიშნებელი, რომელ-

იც თერთმეტიდან თორმეტ საათზე გადადის, რაც მიქელანჯელოს ეპოქაში გადასასვლელი ხაზია.

— შენი ყველა ნახატი აბსტრაქტულია. საერთოდ, ამ ფანში მუშაობ?

— ადრე უფრო რეალურ სურათებს ვხატავდი, მაგრამ ვიცი, რომ ყველანაირი მუსიკა და კომპოზიცია აბსტრაქტულია და თან, მე ასე დავინახე ეს კომპოზიტორები...

ნახატებს შორის ყველაზე მკვეთრი, მხიარული ფერებით მეოთხე კურსელის, **პასო ბინტურის** ნამუშევრები გამოირჩეოდა. მას გია ყანჭელის სიმფონიის გარდა, სხვა არც ერთი კომპოზიტორის შემოქმედების თანხლებით არ შეუქმნია ნახატები.

— ბესო, რატომ გადანწყვიტე რომ ნახატები მხოლოდ გია ყანჭელის შემოქმედებაზე შეგექმნა?

— ჩემთვის ეს სფერო აბსოლუტურად ახალი რამ არის, მაგრამ მაინც დავინტერესდი და გადავწყვიტე, ამ გამოფენაში მონაწილეობა. ფერწერისა და მუსიკის ტანდემი საკმაოდ საინტერესოდ მომეჩვენა, მივხვდი, რომ აქ შინაგანი განცდების გადმოცემა შეიძლებოდა და ბედი ვცაადე. მგონი, რაღაც გამოვივიდა.

— შენ მხოლოდ ორი ნახატი გაქვს და ორივე თითქმის ერთ ტონში — ნარინჯისფერშია გადანწყვეტილი. რატომ?

— სიმართლე გითხრა, გია ყანჭელის შემოქმედებას კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ამ სიმფონიას რომ ვუსმენდი, ვგრძნობდი, ჩემში რაღაც ახალი იბადებოდა... საერთოდ, ღია ფერები მიყვარს და ამ სიმფონიაშიც ეს ფერები დავინახე. თუმცა, შესაძლოა, ვცდებოდე.

# გაყოფილი ხართ თუ არა საკუთარი თავით?

ამბობენ, რომ არც ერთი ტესტი ბოლომდე სრულყოფილი არ არის; მიუხედავად ამისა, გირჩევთ, გულწრფელად უპასუხოთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს და გაერკვეთ, განსწავლეთ თუ არა არასრულფასოვნების კომპლექსი.

1. გიოცნებიათ თუ არა ხელმეორედ დაბადებასა და ცხოვრების ხელახლა დაწყებაზე?

- ა) დიახ — 4;
- ბ) არა — 16.

2. გაქვთ თუ არა ჰობი?

- ა) დიახ — 18;
- ბ) არა — 5.

3. როცა რაღაც საქმე არ გამოგდით, ამბობთ თუ არა, რომ მსგავსი რამ მხოლოდ თქვენ შეიძლება დაგემართოთ?

- ა) დიახ — 6;
- ბ) არა — 12.

4. გეუფლებათ თუ არა კმაყოფილების გრძნობა, როცა თქვენთვის ცნობილი ხდება, რომ ვიღაცის შურის ობიექტს სწორედ თქვენ წარმოადგენთ?

- ა) დიახ — 16;
- ბ) არა — 2.

5. შეგეცხვებით თუ არა თავმოყვარეობა, თუკი ვინმე მოსაწყენ და არასიმპათიურ ადამიანად მოგისხენიებთ?

- ა) დიახ — 3;
- ბ) არა — 12.

6. დაგეუფლებათ თუ არა სიმშვიდე, თუკი შეიტყობთ, რომ თქვენს ნაცნობს ისეთივე უსამოვნება შეემთხვა, როგორც თქვენ?

- ა) დიახ — 18;
- ბ) არა — 5.

7. თუკი დარწმუნდებით, რომ რაღაც საქმე თქვენი მონაწილეობის გარეშეც წარმატებით გვირგვინდება, გაგალიზიანებთ თუ არა ეს ფაქტი?

- ა) დიახ — 2;
- ბ) არა — 16.

8. ლატარიაში დიდი თანხის მოგების შურვილი ძალზე ხშირად ხომ არ გეუფლებათ?


- ა) დიახ — 4;
- ბ) არა — 20.

9. გულისცემა ხომ არ გიხშირდება, როცა ნათესავები ან მეგობრები მოულოდნელად ძვირად ღირებულ საჩუქარს გიძლენიან?

- ა) დიახ — 1;
- ბ) არა — 12.

10. გიყვართ თუ არა მსმენელთა დიდი აუდიტორიის წინაშე საკუთარი აზრის გამოთქმა?

- ა) დიახ — 16;
- ბ) არა — 3.



## ტესტის შედეგები:

120 ქულაზე მეტი: საკუთარი თავით ზედმინჯვით კმაყოფილი ბრძანდებით, ეს კი იმის ვარაუდის საფუძველს გვაძლევს, რომ ჯანსაღ თვითკრიტიკულობასა და რეალური თვითშეფასების უნარს მოკლებული ხართ. ეს ფაქტი სახუმარო ნამდვილად არ გახლავთ — ამიტომ გირჩევთ, მეგობრებისა და ახლობლების დახმარებით, საფუძვლიანად გაერკვეთ სიტუაციაში და საკუთარი ამბიციურობის აღსაკვეთად ქმედითი ზომებიც მიიღოთ.

60-120 ქულა: თქვენ მიერ მოგროვილ ქულათა რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა ნამდვილად არ

გაკლიათ. თუმცა, აქვე თქვენდა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ზედმეტი თავდაჯერებულობა და თვითკმაყოფილების გრძნობა უცხოა თქვენთვის.

60 ქულაზე ნაკლები: როგორც თქვენი პასუხებიდან ირკვევა, არც თავი მოგწონთ და ხშირად, საკუთარი ქცევითაც უკმაყოფილო რჩებით. ცხოვრებისადმი ასეთი მიდგომა არ გამოგადგებათ. თავი ხელში უნდა აიყვანოთ და საკუთარი შესაძლებლობებისა ირწმუნოთ. დაკვირვებით მიმოიხედეთ ირგვლივ და კარგად დაფიქრდით — გამოირიცხეთ არ არის, რომ ცდებოდეთ და საკუთარ თავს სათანადოდ ვერ აფასებდეთ!

**იაკონური  
სენსაცია**

**სუდოკუ**

**წინა ნომრის  
სუდოკუს პასუხები**

2	5	1	8	3	7	6	4	9	4	5	7	6	1	3	2	8	9	1	8	6	9	4	7	3	5	2
9	4	8	6	5	2	7	1	3	3	2	1	9	8	5	7	6	4	9	5	7	2	3	1	6	4	8
6	3	7	4	1	9	5	2	8	6	8	9	7	4	2	1	3	5	3	2	4	6	8	5	7	1	9
8	9	2	5	6	3	1	7	4	2	9	5	8	7	1	6	4	3	7	1	9	4	2	3	5	8	6
3	1	6	7	9	4	8	5	2	8	1	6	5	3	4	9	2	7	4	3	2	8	5	6	9	7	1
4	7	5	1	2	8	9	3	6	7	4	3	2	9	6	5	1	8	5	6	8	1	7	9	4	2	3
5	8	9	3	4	1	2	6	7	9	7	4	1	2	8	3	5	6	2	4	3	7	6	8	1	9	5
7	6	4	2	8	5	3	9	1	1	6	8	3	5	9	4	7	2	8	9	5	3	1	4	2	6	7
1	2	3	9	7	6	4	8	5	5	3	2	4	6	7	8	9	1	6	7	1	5	9	2	8	3	4

\* მარტივი

4		3		9	8		
	1		2	9			6
6		8		4	1		
	8			5	9	6	3
5				7			4
1	7	8				2	
		6		7	3		8
8				6	3		9
	4	5			2		1

\*\* საშუალო

		9		7			6
1			4				7
	5			3			
	2				5	6	
	4			8			5
		7	9	2			3
				9			4
3					2		5
6			5			2	

\*\*\* რთული


		4					9
5				1			
8				7	3		
	1						7
		5		9		6	
	9			6			3
		8	5				6
			2				1
	2					9	



# სკანოკრი



	1 ღღი სწრაფმავალი სამწვდო გემი	2 რუსი კომპოზი- ტორი	3 ერთგვარი კრემანი ნამცხვარი	4 ერაცის ფულის ერთეული	5 გონებასუსტი ადამანი	6 ამერიკის შტატი
	➔	↙	↓			↓
					7 ბანკის მსხვილი აქციონერი	
	8 ცურვის სტილი			9 მცენარეთა სამყარო	10 ნიანგის სახეობა	
	↙			↓	↓	
				↖	↗	
11 მოკ- ლელოლიანი მსუბუქი თოფი	↗				12 ალმაცერი	13 მინერალური ლურჯი საღებავი
14 ღერეფანი		15 ღღი საყვირი	16 მდინარე აფრიკაში	17 ხერხემლის ძვალი		
		↓	↓	↓		↖
	↗			18 საკომუნიკა- ციო ნაგებობა		19 სამშენებლო მასალა
20 თანამდებო- ბის პირი ძვ. რომში			21 შორის- ღებულ გამოხატვას წუხილს	↓	22 ხეებით ღვარული ფართობი	23 ტოტი
24 „ბიბლის“ ათი მცნება	➔		↓		25 ილიონი	↘
26 ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში		27 რჩული საზოგადოება			28 სმენის ორგანი	➔
↙		29 მონარქული სახელმწი- ფოს ტიპი	30 იაპონური ალუბალი	31 აფრიკული ქვეყანა		
		↙	↗	↗		
	32 თხის ჯოგი	33 საქართვე- ლის მეფე დავით VI	34 მოზამბიკის ღელაქლაქი		↖	
	↗				36 კედლის სანათი	
	35 ქვეყნის ნაწილი	➔				
37 კიბონის დეკორატიუ- ლი ქაშარი					38 ღაწე- სებულების შეკრევა	↖
↙		39 სველი, წყლით გააღვნილი	➔			
↖	40 ამერიკელი მწერალი				41 ძვ. რომაელთა სამოსი	↖



**წინა ნომრის სკანოკრილის პასუხები**  
 1. ანდერსენი; 2. დოლი; 3. კედარი; 4. კეპი; 5. ქიზიყი; 6. ჯულაშვილი; 7. პრადო; 8. შაში; 9. აჯიკა; 10. ნატამალი; 11. რიდე; 12. იშხანი; 13. პარიკი; 14. რეციდივი; 15. ლუნატიკი; 16. მარინადი; 17. ჭერამი; 18. აზადუ; 19. კაკადუ; 20. მუმუ; 21. კომა; 22. ჯიგარი; 23. ალ; 24. ლეონარდო; 25. პროფილი; 26. ანკარა; 27. კოლი; 28. ლიბერია; 29. სეული; 30. აქციზი; 31. ბოლი; 32. ბელგრადი; 33. მადონა; 34. დეფექტი; 35. სურათზე: ანჯენილა ჯოლი; ბრედ პიტ.



# აღზრდის ექსტრემალური მეთოდი ანუ „გაჩქმდი, თბერე ენას მთგაქტი!“ – სასქოლო პტაქციკამი

ამ დღეებში იტალიის ქალაქ მილანში შემზარავი ინციდენტი მოხდა. დანწყებითი სკოლის მასწავლებელმა ქალმა ურჩ მოსწავლეს მკრატლით ენა მოაჭრა... გაკვეთილის მსვლელობისას ბავშვები ჩვეულებისამებრ, ხმაურობდნენ და ცვლქობდნენ. განსაკუთრებით ანცობდა 7 წლის ახმედი. ბავშვი ფანქრის წასათლელად, მერხიდან რამდენჯერმე წამოდგა. ბოლოს 22 წლის მასწავლებელი, რომელიც მის კოლეგას დროებით ცვლიდა, ბავშვთან მივიდა და უთხრა: „აბა, ენა გამოყავი, უნდა მოგაჭრა!“ როგორც აღმოჩნდა, პედაგოგი არ ხუმრობდა. მან მკრატელი ამოიღო და ახმედს ენა გაუჭრა. ქრილობიდან სისხლმა იფეთქა. ქალმა მოსწავლე სპირფარეშოში წაიყვანა და შეეცადა, ბავშვი დაერწმუნებინა, რომ სხვებისთვის არაფერი ეთქვა. „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადამ ბიჭუნა საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც მას ენაზე 5 ნაკერი დაადეს. პატარა ახმედს 20 დღის განმავლობაში მშრალი და ცხელი საკვების მიღება ეკრძალებოდა. მასწავლებელი სამსახურიდან დაითხოვეს. ბავშვის მშობლებმა სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. იმ დღის შემდეგ, პატარა



ახმედს კომპარები ტანჯავს. ბავშვი გამუდმებით ტირის და სკოლაში წასვლაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. დედა იძულებული გახდა, სამსახურისთვის თავი დაენებებინა.

მსგავსი შემთხვევა მოხდა ბანგლადეშშიც. 2 წლის წინ, პედაგოგის მსეცური საქციელის შედეგად, 17 მოსწავლეს შვერყა ჯანმრთელობა. ცუდი ყოფაქცევის გამო, მასწავლებელმა ბავშვებს მკრატლით ყურები დააჭრა! მაშამადაწური სკოლის პედაგოგი აბდულ მაჯიდ სარადარი ამბობს, რომ იგი მოსწავლეების საქციელმა გააფელისა, რომლებმაც საკლასო ოთახში პედაგოგის არყოფნით ისარგებლეს და ისლამის წმინდა ტექსტების ხმამალა კითხვა შეწყვიტეს. მოსწავლეთა ცუდლუტობით გამხეცებულმა პედაგოგმა მკრატელს ხელი დაავლო და ბავშვების დასჯას მიჰყო ხელი. ეს საშინელი სცენა სკოლის დირექტორმა შეწყვიტა, რომელმაც ბავშვების წივილ-კვიილი გაიგონა და საკლასო ოთახში შევიდა. დაზარალებულთა მშობლებმა და ნათესავებმა მოგვიანებით, შური იძიეს და აღზრდის ექსტრემალური მეთოდების მოყვარული პედაგოგი სასტიკად სცემეს.

## ყველაზე ებტციკული აბგანთები და საგნები

ჟურნალმა The International Journal of Impotence Research-მა ბოლოწის უწივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც ადამიანთა სექსუალურ მიდრეკილებებს შეისწავლის. როგორც აღმოჩნდა, ადამიანებს ყველაზე მეტად, ფეხის ტერფი და ფესსაცმელი ალაგზნებს.



სამაჯურები, საფენები და კატეტერები. ფრჩხილებმა, სხულის თმის საფარმა, ცხირმა, ყურებმა და სხულის სუნმა ხმათა მხოლოდ 1% მიიღო. მეცნიერები ირწმუნებან, რომ ფეტიშიზმის შესახებ ძალზე ცოტა რამ არის ცნობილი. არსებული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი კლინიკური შემთხვევების, ფსიქიატრიული კლინიკების იმ პაციენტთა კვლევის დროს არის მოპოვებული, რომელთა უდიდესმა ნაწილმა სექსუალურ ნიადაგზე დანაშაული ჩაიდინა, დანარჩენები კი მკურნალობის კურსს გადიან. მეცნიერული კვლევის მიზანი კი, მთელი მოსახლეობის სექსუალურ გატაცებათა შესწავლაა. „ყოველდღიურ ცხოვრებაში ფეტიში — ისეთი რამ არის, რაც სექსობრივ ლტოლვას უწყობს ხელს, მაგრამ ფსიქიატრიული დიაგნოზის — „ფეტიშიზმი“ განსაზღვრებაში არ ხვდება. უმეტეს შემთხვევებში, ფეტიში სექსუალური ინტერესის ზრდასა და მის დაკმაყოფილებას ეხმარება, მაგრამ სავალდებულო და აუცილებელი სულაც არ არის“, — ამბობენ მკვლევრები. სექსუალური ხუმტურების წარმოშობის შესახებ მრავალი თეორია არსებობს, რომლის თანახმადაც, ადამიანის სექსუალურ ცხოვრებაზე ადრეულ ბავშვობაში მომხდარი მოვლენები ახდენს ზემოქმედებას. ფსიქონალიზის ფუქმდეგელი ზიგმუნდ ფროიდი ფეხებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იმით ხსნიდა, რომ „ტერფები — ფალოსისეული სიმბოლოა“. სხვა მკვლევრები ფიქრობენ, რომ ტერფებსა და გენიტალებზე პასუხისმგებელი, ტვინის ერთი და იგივე ნაწილია. ამიტომ ეს ორგანოები ერთმანეთთან რალაცნაირად დაკავშირებული უნდა იყოს.


5000 ადამიანის გამოკითხვის შემდგომ, მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ადამიანის სხულის ნაწილებს შორის, სექსუალურად ყველაზე აღმგზნები ორგანოები ფეხის ტერფი და თითებია. ასე ფიქრობს გამოკითხულთა 47%. რესპონდენტთა 64% სხულისადმი მიუძღობს ნივთებს შორის უპირატესობას ფესსაცმელს, ჩექმასა და პოკლეველიან წაღს ანიჭებს. „ფეხის ტერფი და მასთან დაკავშირებული ნივთები ყველაზე პოპულარული გენისაღმჭრელი საგნებია“, — იუნწყება გამოკვლევა. გამოკითხულთა 12%-ს საცვლები ალაგზნებს, 9%-ს — ზედა სამოსი, სხულის ზომა და ორგანიზმის მიერ გამოყოფილი სითხე, 7%-ს — თმა, 5%-ს — კუნთები, 4%-ს — გენიტალები და სხვადასხვა შემკულობა (მაგალითად, სვირინგი), 3%-ს — ჭიბო, გენის ობიექტის ეროვნება და მკერდი; 2% ფეხებს, დუნდულებს, პირსა და კბილებს ანიჭებს უპირატესობას.

ჩატარებულმა კვლევამ გენების რამდენიმე, ფრიად უჩვეულო ობიექტი გამოავლინა. მაგალითად: 150 ადამიანმა აღიარა, რომ სასქენ აპარატებზე აბოდებთ, ორმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ კარდიოსტიმულატორებზე ფიქრისას გული უჩვეულოდ უძგერთ. ყველაზე ცოტა ხმა დააგროვა ისეთმა ნივთებმა, როგორიცაა: სტეტოსკოპები, მავის საათები,


## უბისამართო SMS-მეცყბინების სიაყენი


სკოლის პედაგოგმა ქალმა, რომელსაც მარისუანის შექენა სურდა, შეცდომით, SMS-შეტყობინება დილერის ნაცვლად, პოლიციელის ნომერზე გაგზავნა. ეს შეცდომა მას ძვირად დაუჯდა. პოლიციელი ტრევეორ პერვანი ოჯახთან ერთად სადილობდა, როდესაც მის მობილურ ტელეფონზე SMS-შეტყობინება მოვიდა. ტექსტში მას მარისუანის გარკვეული დოზის გაყიდვას სთხოვდნენ. პერვანის თავდაპირველად ეგონა, რომ მეგობრები ესუმრებოდნენ, მაგრამ როდე-

საც ზედიზედ კიდევ რამდენიმე შეტყობინება მიიღო, მიხვდა, რომ ეს უბრალოდ ხუმრობა არ იყო. პოლიციელმა SMS-ს უპასუხა და ბედოვლათ „კლიენტს“ შეხვედრა დაუწიშნა. 34 წლის ენ გრინფილდი „პაემანზე“ გამოცხადდა, სადაც მას პერვანი და სხვა სამართალდამცველები ელოდნენ. სკოლის პედაგოგს ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ შექენის მცდელობასა და შეჩაფში ეღება ბრალი. გრინფილდი საკუთარი სკოლიდან 300 მეტრის მოშორებით დააყუს.



# ფოტოკუჩიონები





TB STARS

# პიჩაიანი ელიტური სახლი გუჩამიშვილზე



ღმადელე

გუჩამიშვილი



ინდივიდუალური გადახდის სისტემა

 38-91-92 45-17-17  
877-77-70-77 899-35-90-00

გარამიშვილის 78 (მატრო "გარამიშვილთან")

პინა შენდება  
**PASCHAI-ის (პერმანია)**  
სამშენებლო ტექნოლოგიის  
სრული გამოყენებით

პინები 57 მ<sup>2</sup> - დან  
თანამედროვე ლიფტი  
სუპერმარკეტი  
საბავშვო გალი  
აფთიანი  
სამედიცინო ცენტრი  
მიწისქვეშა ავტოსადგომი  
დასვა  
კაფე - ბარი  
იზოლირებული,  
კეთილმოწყობილი  
ფართ 5000 მ<sup>2</sup>  
მოპირკეთებული ქუჩა და  
მიმდებარე ტერიტორია  
თეთრი კარკასი